სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ლიტერატურის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ტიტე ჯოსია

ნაშრომი განძად დაშთების

თბილისი
2013

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲝᲗᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲭᲣᲠᲚᲣᲚᲘᲐᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

წიგნში მკითხველი გაეცნობა იონა მეუნარგიას, ივანე გეგიას, ოთარ ჭურღულიას ღვაწლსა და ამაგს ქართული კულტურის განვითარების საქმეში. აქვე მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, მეგრული ზეპირსიტყვიერების სახისმეტყველების გარშემო შექმნილი მონოგრაფიების კრიტიკული ანალიზის შემცველი წერილები. გამოხმაურება ქართველოლოგიური ლიტერატურის შენაძენ წიგნზე – „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“. აქვე დაბეჭდილი სხვა მასალებიც უთუოდ დააინტერესებს მკითხველს.

რედაქტორი: პროფ. რაულ ჩილაჩავა

რეცენზენტები: პროფ. გელა მამფორია
პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე

ISBN 978-9941-9346-9-8

იონა მეუნარგია

სამეგრელოს ცხოვრების ხის ძირძველი ფესვებიდან ამოიზარდა, ჩვენდა თავმოსაწონებლად ახევდა, ვრცლად გაშალა ტოტები, მწვანედ ააშრიალა ფოთლები და ქართული კულტურის, ქართული მწერლობის „ტურფა საბაღნაროში“ აელვარდა. ეს იყო XIX საუკუნის II ნახევარში. იმჟამინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში ჩაება. ამ ცხოვრების მედროშეთა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაინდების გვერდით მეტეხის კედელივით მტკიცედ დადგა, ქართული პატრიოტიზმის გრანდებს მხარი დაუმშვენა. მის უზადო ტალანტს, უშრეტ სულიერ ენერგიას აღიარებდნენ და მაღალ შეფასებას აძლევდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე... არტურ ზუტნერი, ჟიულ მურიე და სხვ.

გარდაცვალების შემდეგ დიდხანს მიივიწყა ჩვენმა ხალხმა ისეთი გულანთებული პატრიოტი და ფუტკარივით მშრომელი მოღვაწე, როგორიც იყო იონა მეუნარგია. კეთილშობილი მამულიშვილის სოლომონ ცაიშვილის პიროვნებას უნდა ვუმადლოდეთ იონა მეუნარგიას სახელის დავიწყების ბნელეთიდან გამოხსნას. ამ უანგარო ლიტერატორის გარდაცვალების (1957) შემდეგ ერთხანს ისვე დავიწყებას მიეცა დიდი იონას სახელი.

1852 წელს სამეგრელოს ერთ მშვენიერ სოფელ ცაიშში ქვეყნიერებას მოევლინა იონა მეუნარგია. ამ სასიქადულო მამულიშვილმა სახელოვნად განვლო ცხოვრების არც თუ ისე ვარდფენილი გზა. ჩინებული მწიგნობარის განსწავლის ადგილებია: მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, ქუთაისის სასულიერო სემინარია, თბილისის სასულიერო სემინარია (აქ ბოლო კურსიდანვე გარიცხეს, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო ახალგაზრდა), ჟენევის (შვეიცარია) აკადემია (სადაც 2 წელი ისწავლა). 1878 წლიდან პარიზშია. აქ ორი წელი დაჰყო. ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენა. დაუახლოვდა საფრანგეთის კულტურის მოღვაწეებს. პირადად გაეცნო

საფრანგეთის უდიდეს მწერალს ვიქტორ ჰიუგოს. ენერგიულად იმუშავა პარიზის ბიბლიოთეკებში. მოიძია საქართველოს შესახებ არსებული ფრანგული ლიტერატურა, ქართული ხელნაწერები. იონა მეუნარგიამ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას გადმოწერა ნანუჩა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი 396 სტროფის ოდენობით.

ევროპაში (შვეიცარია, საფრანგეთი) განსწავლული 26 წლის ჭაბუკი იონა საქართველოში დაბრუნდა. ცოდნით აღჭურვილი და სამშობლოს სამსახურისათვის მოწოდებული კაცი თანამშრომლობას იწყებს გაზეთებში – „დროება“ (რედაქტორი ს. მესხი) და „ივერია“ (რედაქტორი ი. ჭავჭავაძე). ზოგჯერ „დროების“ თანარედაქტორიც იყო. გარდა ამისა, მას ირჩევენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივნად. იწყებს ზრუნვას ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების შესაგროვებლად. დიდი ამაგი დასდო იონა მეუნარგიამ XIX ს. 80-იან წლებში „ვეფხისტყაოსანს“ (ამაზე სპეციალურად ქვემოთ შევჩერდებით). გარდა „დროებისა“ და „ივერიისა“, იგი აქტიურად თანამშრომლობს 1879 წლიდან ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში: „ტიფლისკი ვესტნიკ“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მოამბე“. ეს უანგარო მამულიშვილი წერილებს აქვეყნებდა ფსევდონიმებით: „ლელო“, „ი.მ.“, „ი.მ-ია“. იონა მეუნარგია მუდამ არჩევით თანამდებობაზე იმყოფებოდა. იგი იყო ფოთის ქალაქისთავის მოადგილე (1891-1895; 1907-1913 წწ.), ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახალხო მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარე. უეცრად აღესრულა 15 მაისს 1919 წლისა, 67 წლის ასაკში.

1874 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ბოლო კურსიდან გარიცხული 22 წლის იონა მეუნარგია თავის დღიურში ამბობს: „ნეტავ ვიცოდე რა კაცი გამოვა ჩემგან? ნუ თუ ჩემგან უხეირო რამე გამოვიდეს? მაგრამ მე ჩემი თავის რწმუნება მაქვს, მე რომ ვგრძნობ ჩემში რაღაც ძალას?.. ნუ თუ ამ რწმუნებამ, ამ ძალამ, ამ ძალის გრძნობამ უბრალოდ და ფუჭად ჩაიაროს?.. მაგრამ არა. მე არა

მგონი, რომ ისევ იმ ძველი გზით დავიწყო სიარული, რომლითაც, სამწუხაროდ, ჩვენი სემინარიელები დასეირნობდნენ დღემდე. ჩემს სისხლში სიცოცხლის წყალიც ურევია და კარგად თუ ავად მე არ შემიძლია უბრალო, საშუალო ცხოვრებაში დავრჩე"... ამ სიტყვებში იგრძნობა იონა მეუნარგიას შინაგანი ძალისხმევა, სულიერი ძახილი, საკუთარი თავის ძლიერებაში დარწმუნებული ჭაბუკის სულისკვეთება, სიცოცხლის სიყვარულისა და სამშობლოს სამსახურისათვის გამზადებული კაცის შემართება. ზემოთ დამოწმებული მისივე სიტყვების სიმართლე მისმა შემდეგდროინდელმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ დაადასტურა.

იონა მეუნარგიამ საყურადღებო წერილები უძღვნა გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, დავით ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა მრავალთა ბიოგრაფიისა და შემოქმედების აქტუალურ საკითხებს. მან დაგვიტოვა უნიკალური ბიოგრაფიული მასალები XIX საუკუნის ქართველ მწერლებზე. იგი შეუვალი და სწორუპოვარია როგორც ჩვენი სასიქადულო მოღვაწეების ბიოგრაფოსი. ამასთანავე, მან დაგვიტოვა ისტორიული თხზულებანი: „დავით დადიანი და მისი დრო", „ნიკო დადიანი", „ეკატერინე ჭავჭავაძე დადიანისა", ორი არქეოლოგიური მოგზაურობის (სვანეთი, აჭარა-ქობულეთი) აღწერა.

იონა მეუნარგიას ბიოგრაფიული ესკიზებისა და შემოქმედებითი ღვაწლის მოკლედ მოხაზვის შემდეგ სპეციალურად განვიხილავთ მის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსანთან". სოლ. ცაიშვილის შენიშვნით, იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსნის" კვლევა-ძიების თუ გამოცემის სურვილი გაუჩნდა ვიქტორ ჰიუგოსთან შეხვედრის შემდეგ. ამ შეხვედრაზე თვითონ იონა მიგვანიშნებს უბის წიგნაკში მოთავსებული ჩანაწერით, რომლის ფრაგმენტია გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული. სანდრო მაყაშვილის თანდასწრებით იონას ეკითხება ჰიუგო: „რუსეთიდან ბრძანდებით? მე: არა, საქართველოდამ. ჰიუგო: ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდამ? მე: არა მარტო ქალებით, დიდო პოეტო, სხვებითაც. ჰიუგო: მაგალითად? მე: პოეზიით. ჰიუ-

გო: ვინ გყავთ გამოჩენილი პოეტი? მე: რუსთაველი. ჰიუგო: რა დაწერა? მე: საგმირო პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ჰიუგო: გამიგონია, მხოლოდ შორიდან. საინტერესოა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა? მე: მეთორმეტეში. ჰიუგო: კიდევ უფრო საინტერესოა“...

„უნდა ვიფიქროთ, — წერს სოლ. ცაიშვილი, — რომ იონა მეუნარგიას, როგორც ქართული კულტურის პატრიოტსა და ახალგაზრდული თავმოყვარეობით გატაცებულს, პირველად ამ მომენტმა აღუძრა სურვილი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე შესდგომოდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-ძიებას, — ტექსტის დადგენისა, ილუსტრაციისა და გამოცემის საკითხებს, და რაც მისთვის მთავარი იყო, რუსთაველის ამ გენიალური ქმნილების გადათარგმნას ვიქტორ ჰიუგოს ენაზე. მან ყველა ეს გადაწყვეტილებანი ბრწყინვალედ განახორციელა.[1]

იონა მეუნარგიას უბის წიგნაკის ფრაგმენტიდან საგულისხმოა დიდი მწერლის ჰიუგოს ნათქვამი „ვეფხისტყაოსანზე“, რომ მისი არსებობა გამიგონიაო მხოლოდ შორიდან. საფიქრებელია, საფრანგეთის სახელგანთქმული მწერლის შორეული ნაცნობობა „ვეფხისტყაოსნისა“ პირველი უცხოელი რუსთველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880) წყალობით მომხდარიყო. მან რუსთაველის გენიალური პოემის მოკლე შინაარსი და რამდენიმე ათეული სტროფის პროზაული თარგმანი მიაწოდა ფრანგებს. ამასთანავე, ბროსემ სხვადასხვა ნარკვევში განიხილა არაერთი რუსთველოლოგიური პრობლემატიკა: „ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა“, „არაბეთის მეფის როსტევანის თავდაპირველი ისტორია“, „თარგმანი ქართულ რომან „ვეფხისტყაოსნიდან“, „გამოკვლევანი ქართული პოეზიის შესახებ“; „ცნობა ორ ხელნაწერზე“; „ნაწყვეტები რომან „ტარიელიდან“, „ლიტერატურული შენიშვნა ზოგიერთი ქართველი ავტორის შესახებ“, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა“, „ქართული რომანტიკული ლიტერატურა“.

[1] სოლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 135.

მარი ბროსეს ამ ღვაწლთან დაკავშირებით ი. სიმონოვი შენიშნავდა: „მიუხედავად იმისა, რომ ბროსემ 1828-1831 წლებში ქართული ლიტერატურის შესახებ წერილები გამოაქვეყნა და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი პროზაული თარგმანიც დაბეჭდა ფრანგულ ენაზე, ევროპაში გამოხმაურება ვერ ჰპოვა და თვით გოეთემაც არ მიაქცია ყურადღება“.[1] უნდა ვიგულისხმოთ, რომ რატომღაც არა მარტო გოეთესი, არამედ ვიქტორ ჰიუგოს ყურადღებაც ნაკლებად მიუქცევია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იონა მეუნარგიასთან დიალოგში „ვეფხისტყაოსანზე“ ფრაგმენტულ ინფორმაციებს მაინც წარმოადგენდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნასთან დაკავშირებით ილ. ჭყონია აქვეყნებს გაზ. „დროებაში“ (1884, 11 აგვისტო) ცნობას იმის შესახებ, რომ „თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდა რუსის გრაფს ა. ბობრინსკის ფრანცუზულს ენაზე გადაულია პროზით უკვდავი შოთას ქმნილება“. ამ ცნობისათვის დართულ ბობრინსკის განცხადებაში ნათქვამია, რომ მას არ შეუძლია ღირსებისამებრ თარგმნოს „ვეფხისტყაოსანი. ამიტომ იგი მიემგზავრება პარიზში, სადაც თავისი თარგმანის დაბეჭდვას აპირებს“.[2] ილ. ჭყონიას ცნობით, ბობრინსკის შემდეგ იონა მეუნარგია თარგმნის ფრანგულად პოემას „დედაენის კილოსა და აზრის მტკიცედ დაცვით“.[3]

ცნობილია, რომ 1885 წელს საქართველოს დედაქალაქში დაიბეჭდა ა. ბორენის (ა. ბობრინსკის) მოკლე პროზაული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზე. მას უძღვნის მთარგმნელის შესავალი წერილი, სადაც პოემა აღიარებულია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად. ავტორი ეხება გენიოსი ქართველი პოეტის ბიოგრაფიას მოკლედ. ამასთანავე შენიშნავს, „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში საუცხოო მზითვად ითვლებოდაო. ა. ბობრინსკი გულისტკივილით ამბობს, რომ ამ დიდებულ პოემას ევროპელი

[1] გაზ. „პრავდა“, 1937, 26 დეკემბერი; შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 605.

[2] შდრ. გ. იმედაშვილის დასახ. წიგნი, გვ. 98.

[3] ილ. ჭყონია, ქართველი პოეტებიდან უცხო ენებზე თარგმანი, ჟურ. „ივერია“, 1884, №VII-VIII, გვ. 110-120.

მკითხველი არ იცნობსო. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეს თარგმანი სუსტი და უფერული აღმოჩნდა. მან კმაყოფილება აღარ მოჰგვარა ფრანგ მკითხველ საზოგადოებას.[1]

გამორიცხული არ არის, რომ „ვეფხისტყაოსნით" იონა მეუნარგიას განსაკუთრებული დაინტერესების მიზეზი ყოფილიყო ჰიუგოსთან გამართული დიალოგის გარდა მარი ბროსეს მიერ ჩატარებული სამუშაონი პოემის თარგმნისა და კვლევა-ძიების მიმართულებით. როგორც ზევითაც ითქვა, პარიზში ყოფნისას ქართველი მწიგნობარი ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადმოწერს ნანუჩა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" დამატებანის 396 სტროფს: ჯერ კიდევ 1842 წელს დავით ჩუბინაშვილი თავის სტატიაში აღნიშნავდა, რომ ნანუჩა ციციშვილმა პოემას გაგრძელება დაუწერაო, მაგრამ მისი სტროფები არ დავბეჭდეთ, რადგან ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო.[2] ა. ხოძკო 1870 წელს ჟურნ. „ცისკარში" წერდა, რომ ყალბისმქმნელმა ციციშვილმა „ვეფხისტყაოსანს" 1500 სტრიქონი დაუმატაო. 1901 წელს გაზ. „ივერიაში" ზაქარია გულისაშვილი ნანუჩა ციციშვილზე ამბობდა. „ვეფხისტყაოსანს" ასახიჩრებს და არც კი ამბობს, საიდან იწყებს ამ საქმეს და სად ათავებს"... ინტერპოლატორ მანუჩარ (ნანუჩა) ციციშვილის მიერ რუსთაველის გენიალური პოემის დასახიჩრებაზე, მის უგვანო საქციელზე პირველთაგანმა არჩილ ბაგრატიონმა მიუთითა XVII საუკუნის 80-იან წლებში. იგი წერდა:

„ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
ვერ შეუწყვია საბრალოს, წმიდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვენე მით მორევია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია".

1880 წელს გაზ. „Обзор"-ში (№ 535) ქვეყნდება ცნობა, რომ იონა მეუნარგიას რედაქციისათვის მოუტანია რუსთაველის უკვდავი პოემის 396 სტროფი, რაც ამოწერილი ჰქონდა პარიზის ნაციონალურ

[1] რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 21.
[2] ჟურნ. ЖМНП, №8, 1842.

ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ხელნაწერიდან. ეს კი გადაწერილი ყოფილა 1702 წელს ქ. შემახაში ბეჟანა ოცხანას ქალიშვილის მიერ. იონა მეუნარგია მიგვანიშნებს, რომ პარიზის ეს ხელნაწერი შეუსწავლია მარი ბროსეს. 1846 წლის პეტერბურგის გამოცემაში ბროსემ ეს სტროფები რადგანაც არ შეიტანა, მიხვედრილი იყო, რომ ზედმეტი სტროფები რუსთაველს არ ეკუთვნოდა. სასურველია ამის შესახებ აზრი ეკითხოს დავით ჩუბინაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალიაო.[1]

იონა მეუნარგიამ კარგად იცოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტოგრაფული ხელნაწერის მოუღწევლობა, უფრო მეტიც — 1646 წელს ზუგდიდში ლევან დადიანის სამთავრო კარზე მაშუკა თავაქალაშვილის მიერ გადაწერილი პოემის ტექსტზე ადრინდელი ხელნაწერის უქონლობა ართულებდა საქმეს პოემის პირვანდელ სახეზე წარმოდგენის შესაქმნელად. მას გულს უღონებდა, რომ ნანუჩა ციციშვილის მსგავსი ინტერპოლატორთა (ყალბისმქნელთა) წყალობით რამდენად იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დაზიანებული. თანაც, ეტყობა, აღარ აკმაყოფილებდა პოემის მანამდელი რედაქციული ცვლილებანი. ჰაერივით საჭირო საქმედ მიაჩნდა, რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად კრიტიკულად დადგენა ტექსტისა პირველსახესთან მისაახლოებლად. ამ საშური საქმის განხორციელების ინიციატორად იონა მეუნარგია გვევლინება.

გაზ. „დროების“ 1880 წლის (№341) ფურცლებზე ქვეყნდება იონა მეუნარგიას, იაკობ გოგებაშვილის და რაფიელ ერისთავის მოწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასინჯვისა და დადგენის თაობაზე. გავეცნოთ ამ მოწოდებას: „დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“ და აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი გამოცემა გაიყიდა და ზოგიერთი გამომცემელნი აპირებენ ხელახლა ბეჭდვას, გვაძლევს მარჯვე შემთხვევას ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ დაუყოვნებლივ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე

[1] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 67.

ქართველ ლიტერატორს არცა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხისტყაოსანში“, თუ ეს ცვლილება არ იპოვება თითონ პოემის სხვადასხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება.

ჩვენი განზრახვა არის:

ა) შევათანხმოთ ვეფხისტყაოსანი სხვა და სხვა ვარიანტებთან, რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელთ-ნაწერი ვარიანტი, კიდევ ველით რამდენსამე).

ბ) თუ შესაძლებელი იქნება: შევიტყოთ — ვინ არიან ამ დამატების ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთველის ნაწერად ცნობილნი, მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა რუსთველზე“.

აი, ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა იონა მეუნარგია „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემას. იგი, ბუნებრივია, იცნობდა ადრინდელ გამოცემებს: 1712 წელს ვახტანგისეულ რედაქციას, ასევე 1841 წელს პეტერბურგში დასტამბული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს — მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილის და დავით ჩუბინაშვილის რედაქციით (ჩვეულებრივ ამას ბროსეს გამოცემას უწოდებენ.) ცხადია, იონასთვის ხელმისაწვდომი იყო დავით ჩუბინაშვილის საკუთარი გამოცემები პოემისა პეტერბურგში 1846, 1860 წლებში. როგორც შენიშნულია, დავით ჩუბინაშვილი აღნიშნულ გამოცემებში დიდ ანგარიშს უწევდა ვახტანგისეულ ტექსტს. გარდა ამისა, რუსთაველის სიკვდილუკარება თხზულება გამოქვეყნდა 1867, 1875, 1883 წლებში. უეჭველია, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ გამოცემას საფუძვლიანად იცნობდა იონა მეუნარგია, მაგრამ გული მიუწევდა ტექსტის უკეთესად დადგენისაკენ. მისი თაოსნობით (ეს გამომცემლის შენიშვნიდან ჩანს) შედგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია: გრიგოლ ორბელიანი (თავმჯდომარე), წევრები: დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი,

დავით ერისთავი და სხვ. რედაქციის მთავარი საზრუნავი იყო ხელნაწერების შეგროვება. გაზ. „დროებაში“ (11 იანვარი, 1981) ქვეყნდება ცნობა, რომ რედაქციაში სხვადასხვა პირისაგან შემოსულია 16 ხელნაწერი. გაზ. „დროების“ 1881 წლის 12 თებერვლის ნომერში იწყება გამოქვეყნება იონა მეუნარგიას ქრონიკალური ცნობებისა თუ ანგარიშებისა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა. სხდომებს წესისამებრ უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ ორბელიანი. პირველ სხდომაზე, რომელიც 1881 წლის 6 თებერვალს ჩატარდა სპეციალურად შევჩერდებით. ვემყარებით გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“ ანოტირებულ მასალებს (გვ. 51-52). კომისიის სხდომა ჩაუტარებულა გრ. ორბელიანის თავმჯდომარეობით. მის მუშაობას ესწრებოდნენ. ... ჭავჭავაძე, ნ. დადიანი, რ. ერისთავი, დ. ჯორჯაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, დ. დადიანი, არქიმანდრიტი გრიგოლი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი, ვ. მიქელაძე, თ. ჟორდანია, გ. იოსელიანი, ვ. თულაშვილი, ი. წინამძღვაროვი, მ. გურგენიძე, ო. ჭავჭავაძისა, ქ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნ. ორბელიანისა, ე. გაბაშვილისა, ა. შაიშმელოვისა... ამ ცნობის გამომქვეყნებელი იონა მეუნარგია შენიშნავს, რომ აკ. წერეთელი აღარ დასწრებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის პირველ სხდომას და მისი მოუსვლელობა ყველას გაუკვირდაო. სხდომის მონაწილეებს გრ. ორბელიანისთვის დაუვალებიათ კერძო პირთა ხელში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შეგროვება სამუშაოდ. იონა მეუნარგიას ცნობით, საზოგადოება გულგრილად მოკიდებია ყრილობის თხოვნას ხელნაწერების გამოგზავნის შესახებ. რედაქციამ მუშაობა დაიწყო მის ხელთ არსებული 22 ხელნაწერით, რომელიც ეკუთვნოდათ: ე. ქავთარაძეს, დ. თუმანოვს, ა. მამაცოვს, გ. მუხრანსკის, ზ. ჭიჭინაძეს (სამი ეგზ.), ა. მელიქოვს, დ. ბაქრაძეს, ე. მარჯანიშვილს, ნ. წერეთელს, ბ. წერეთლის მემკვიდრეებს, ი. მერკვილაძეს, ნ. კორინთელს, რ. ერისთავს, გ. თუმანოვს, ა. თუთაევს, პ. უმიკაშვილს, კეზელს, ი. მეუნარგიას. ეს უკანასკნელი გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს“ შეუდარებს პარიზის ნაციონალურ ბიბ-

ლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს. იგი იძლევა მოკლე დახასიათებას ამ ხელნაწერების სიძველისა და სანდოობის თვალსაზრისით, იქვე ჩამოთვლის რედაქციის ხელთ არსებულ ბეჭდურ გამოცემებს.

კომისიის პირველ სხდომაზე დაუდგენიათ, რომ პოემა იწერებოდა ვ-ს გარეშე („ვეფხისტყაოსანი“ და არა — „ვეფხვისტყაოსანი“). აქვე დაუდგენიათ პოემის ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონში „და“-ს გამოტოვება. „დროება“ იუწყება, რომ კომისიის სხდომები ჩატარებულა 1881 წლის 26-27 თებერვალს, 1-6-10-13-17-20-24-27-1 მარტს, 3-28 აპრილს.

იონა მეუნარგია „დროების“ (1881, №123) ფურცლებიდან იუწყებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას მუშაობა შეუწყვეტია ხელნაწერების უქონლობის გამო. იგი მიმართავს ოჯახებს, რათა ათხოვონ დროებით პოემის ტექსტის ხელნაწერები. აქვე იგი იხსენიებს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ნ. ელიოზოვის ოჯახში უნახავს ალექსანდრე მეფის (1443) ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის საქმიანობისადმი აკ. წერეთლის დამოკიდებულებას. იგი „დროების“ (1881, 1 მარტი) ფურცლებზე აქვეყნებს ფელეტონს „ცხელ-ცხელი ამბები“ (შენიშვნა ვეფხისტყაოსანზე). სახელგანთქმული პოეტი სახუმარო ტონით აკრიტიკებს რუსთაველის განუმეორებელი პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას: „ეს არის ამით ვათავებთ იმაზედ ლაპარაკს და გადავდივართ ვეფხისტყაოსნის გამრჩეველ საზოგადოებაზედ... იცით, რომ ჩვენ რუსთაველს ვასწორებთ?.. თქვენმა მზემ, ვასწორებთ; მაგრამ რუსულათ... დიდი ბაასი გვქონდა ამასწინეთ ორი ასოს ა-სა და ი-ს შესახებ. ჩვენის აზრით — ა-ნი არის პირ-აღმა აპლაკული ი-ნი და ი-ნი კი თავდაღმა დაპლაკული ა-ნი! ახლა ამაზედ გვექნება ბაასი შემდეგში, თუ სად როგორ ხმარობდა რუსთველი ამ ასოებს აპლაკულათ და დაპლაკულათ? ამებს ყველას ბ. მეუნარგია გაცნობებსთ გაზეთით! მართალია, რომ საზოგადოთ საქმე გაგვიჭირვა ამ

„ვეფხვის“ ანუ როგორც გავასწორეთ: „ვეფხის ტყაოსანმა“. თუ რუსულათ არ გადავთარგმნეთ, ისე გვიჭირს ჰაზრის გაგება და რუსულათ გადასათარგმნელად კი ქართულის გაგებაა საჭირო. ცეცხლში ვართ... ზოგიერთებმა ინატრეს: ნეტავი რუსთველი ადგებოდესო. ეს რომ კიდევაც მოხერხდებოდეს. რა სარგებელი იქნება? ის, შამოვა თუ არა ამ ჩვენს კრებაში, სირცხვილით და ჯავრით ისევ ჩაწვება კუბოში და ტყვილათ რაღათ უნდა გავსარჯოთ ის პატივცემული კაცი და მოვიყვანოთ საიქიოდან“.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დასახელებულ ფელეტონს შემთხვევით არ ქვეყნებს „გამზრდელის“ ავტორი. პოეტის ზემოთ დამოწმებული სიტყვები შინაგანად იქითკენ გვიბიძგებს, რომ გვაფიქრებინოს: აკაკი წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას, რასაც სპეციალური კომისია ეწეოდა, მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმით არ უჭერდა მხარს. ეს არც არის გასაკვირი. ასეა თუ ისე, კომისიამ შეძლებისამებრ თავისი საქმე გააკეთა — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ თუ რედაქციამ ენერგიული მუშაობით და უჩვეულო ენთუზიაზმით გამოსაცემად მოამზადა რუსთაველის გენიალური პოემის შედარებით კრიტიკულად დადენილი ტექსტი. ქართველთა ამ მუდმივად სათაყვანებელმა წიგნმა (კრიტიკულად დადგენილმა) მზის სინათლე იხილა 1888 წელს. ამაში განუზომელი წვლილი მიუძღვის ცნობილ კომერსანტსა და მეცენატს გიორგი ქართველიშვილს (1830-1901). მას დაუნანებლად დიდი თანხა გაუღია („უზარმაზარი თანხა“) ამ განუმეორებელი წიგნის გამოსაცემად. როგორც მართებულად შენიშნავს დარეჯან მენაბდე, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რამდენადმე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო: გაცხრილულა ტექსტი, გასწორდა ზოგიერთი ტექსტობრივი შესაბამობა, გაიმართა არაერთი ადგილი, დაზუსტდა მრავალი სიტყვის დაწერილობა, შეიცვალა სტროფული შედგენილობაც — მასში 1576 სტროფია. მიუხედავად ამისა, მისი მეცნიერული ღირებულება მაინცდამაინც დიდი არაა. ივი, არსებითად,

არცაა პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.[1]

ლ. მენაბდე შენიშნავს, რომ კომისიის მუშაობის პროცესს, სამწუხაროდ, კარგად არ ვიცნობთ. ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ მოკლე ჩანაწერები, რომლებიც „დროებაში“ გამოაქვეყნა იონა მეუნარგიამ. ზოგიერთი საყურადღებო ცნობა შემოუნახავს ი. მანსვეტაშვილსაც. ამ მონაცემებით სურათის მთლიანად აღდგენა არ ხერხდება.[2] ერთი რამ ცხადად ჩანს, რომ კომისიის მუშაობა და საქმიანობა ვარდფენილი გზით არ მიდიოდა. ისინი თურმე მუშაობის პროცესში წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. არც თუ იშვიათად სამუშაო პირობებიც არ ჰქონიათ. ილია არ მალავდა, რომ ერთხანს კომისიის შემადგენლობა შენობაში სამუშაოდაც არ დაუშვიათ.[3] როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობისას განსაკუთრებით ის ართულებდა მდგომარეობას, რომ ასეთი დიდი საქმე პეტერბურგის ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის გარეშე კეთდებოდა“.[4] დ. მენაბდეც წერს: „სიძნელეს ქმნიდა ისიც, რომ ტექსტზე მუშაობაში არ მონაწილეობდა არც ერთი აღმოსავლეთმცოდნე, კომისიის წევრებს არ ჰქონდათ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მუშაობის გამოცდილება.[5]

ახლა კი საჭიროდ გვესახება იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფიიდან ამოვიწეროთ შემდეგი პასაჟი: „მთავარი განზრახვა — მომწყვდეულიყო ტფილისში ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერი, დარჩა მიუწვდომელი, რადგან მე-16 საუკუნეზე ადრე დაწერილი ეგზემპლარი არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტების შედარებამ კი გადამწერთა

[1] დ. მენაბდე, იონა მეუნარგია — „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნ. შრომ. კრებ. „რუსთველოლოგია“, II, თბ., 2003, გვ. 314.

[2] ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 121.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი V, გვ. 125; იხ. ასევე გაზ. „დროება“, 1884, №222, 226; გაზ. „შრომა“, 1881, №9, 11.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 8;

[5] დ. მენაბდის დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

რამდენიმე დამახინჯებული ადგილი რუსთაველის ქმნილებისა გამოასწორა, რის შედეგადაც დაიბეჭდა გ. ქართველიშვილისეული ძვირფასი, თუ შეიძლება ითქვას, პირველი მდიდრული და აკადემიური გამოცემა უნგრელი მხატვრის მიხ. ზიჩის ილუსტრაციით".

1888 წელს გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის" ბოლოს გამომცემელი ამბობს: „პირველი აზრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის" დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველისძველი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა, — კომისიისგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წელს – მაინც კომისიამ სხვადასხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შეერთებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლწერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისთვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფოტო-ცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს, ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში"...[1]

ზიჩის ილუსტრაციებმა ასე დაამშვენა „ვეფხისტყაოსანი", ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იონა მეუნარგიას. მას ილია ჭავჭავაძემ დაავალა დაჩქარებით და სწრაფად ეთარგმნა რუსთველის სიკვდილუკარება პოემა ვიქტორ ჰიუგოს ენაზე (იხ. „დროება", 1884 წ., №211), რათა მის შინაარსს გაცნობოდა უნგრელი მხატვარი. ზიჩი ითხოვდა თურმე პოემის წაკითხვას მის მიერ დაუფლებულ რომელიმე ევროპულ ენაზე.[2]

იონა მეუნარგია ჩვეული ენერგიით შესდგომია პოემის თარგმნას

---

1 ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, ტფილისი, სტამბა ი. მარტიროსიანცისა, 1888.

[2] სოლ. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962, გვ. 10.

ფრანგულ ენაზე. 1884 წლის 16 დეკემბერს ნიკო ნიკოლაძისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მთარგმნელს პოემა გაუგზავნია ფრანგული თარგმანის სახით ზიჩისათვის: „ძვირფასო ძმაო ნიკო!.. როგორც ეს წიგნი გამოვიდეს, უთუოდ იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც, ზიჩისთან მიდი. ეს ხუთი დღეა გამიგზავნია მისთვის სურათები და თარგმანი... შენ იცი რასაც ეტყვი თარგმანზე; მე მაგინე რამდენიც გინდა, მხოლოდ წიგნის დადება არ დაუმცირო იმას, თორემ გულს აიყრის. უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი გასწორება სჭირიათქო. მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშავოსთქო“. იმავე წერილში იონა მეუნარგია ატყობინებს ნიკო ნიკოლაძეს პარიზიდან რენანის წერილის მიღების თაობაზე, სადაც წერდა თურმე: „გამომიგზავნე თარგმანი (იგულისხმება „ვეფხისტყაოსნისა“) და მე პარიჟის აზიურ საზოგადოებას წარუდგენო“. იონა განაგრძობს: „თარგმანს, რასაკვირველია, მე იმას არ გავუგზავნი, რადგანაც მარტში მე თვითონ ვაპირებ პარიჟში წასვლას, მაგრამ ეს კი იცოდე, რომ მაშ მეგრელი არ ვყოფილვარ, თუ წინასწიტყვაობა მე არ დავტყუე მას, — ზიჩისაც უთხარი ეს ამბავი“.

წერილიდან აშკარად გამოსჭვივის, რომ იონა მეუნარგია „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მის მიერვე შესრულებული თარგმანით თავიდანვე თვითონაც არ ყოფილა კმაყოფილი და ამიტომ მასზე მუშაობას მომავალშიც გააგრძელებდა. ეს დადასტურდა კიდეც ნიკო ნიკოლაძისადმი ხელმეორედ სრულიად ახლო ხანებში (1885 წლის 9 იანვარი) ცაიშიდან გაგზავნილ წერილში: „ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანობას ჩემის თარგმნისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს მევე გავასწორებ. სხვათა შორის, ზიჩის უთხარი ლაპარაკის დროს, რომ ჩემს თარგმანში, სიტყვა ქართული „ალვა“ ცუდად ვთარგმნე ბროსეს წყალობით. იმავე წერილში იგი თავის გამოჩენილ მეგობარს ატყობინებს არტურ და ბერტა ზუტნერების ცაიშში ჩაყვანას, სადაც ფრანგულად პოემის თარგმნას ხელმეორედ შესდგომიან „უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინიდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენთ ფრანციცუ-

ლად და მერე იქვე ნემეცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირაა დღე და ღამე ვმუშაობთ და როგორც იყო ერთს მეოთხედს მოუღეთ ბოლო. ამ პირველს მეოთხედში ერთი შეცდომა შემხვდა წინანდელის ჩემის თარგმნისა, რომელიც უთუოდ უნდა გასწორდეს ზიჩის ეგზემპლარში, თორემ მხატვრობა ნამდვილი არ გამოვა"... აქედან ირკვევა, თუ რა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა იონა მეუნარგია „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე გადაღების საკითხს და პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ გამოსაცემად საშზადისში ზიჩის მიერ მისივე დასურათების საქმეს. რათა ევროპელთათვის ახლოს გაეცნო რუსთაველის გენიალური თხზულება.

„ვეფხისტყაოსნის" თარგმნასთან ერთად მისი ქართულ ენაზე მორიგი გამოქვეყნების საქმეს თუ რა ფაქიზად და პასუხისმგებლობით ეპყრობოდა იონა მეუნარგია, ნათლად ჩანს ივანე მაჩაბლისადმი ზუგდიდიდან გაგზავნილ წერილში 1887 წლის 23 ივნისს: „მომწერე „ვეფხისტყაოსნის" საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბეჭდვა შემოდგომამდის... ძნელია და თავსაქექი ეს საქმე, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე, კიდევ იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მერე მოჰკიდო ხელი ბეჭდვას. აი, კიდევ მეორე რჩევა: თუ სხვაფრივ მზათა ხართ, დაბეჭდე ნიმუშად ერთი ფორმა (რვა გვერდი), ვითომ და მართლა გამოსაცემად ბეჭდავთ, თავის ბორდიურებითა და სხვა ჰანგებით, წმინდათ, ფაქიზად, დაბეჭდე ასე, ოციოდე ეგზემპლიარი, აჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, იმათი აზრი მოისმინე. შენ და სხვათაც დააკვირდნენ ამ ზაფხულ (დრო დიდი ოსტატი არის) და ბოლოს ვნახოთ რა გამოვა რისაგან".

1987 წლის 19 აგვისტოს იონა მეუნარგია კვლავ ივანე მაჩაბელს უგზავნის წერილს: „ვნახე სვანეთი-სავანეთი, საცა სამი კვირა დავყავ და გაბრუნებულზე „ნოვოე ობოზრენიეში" წავიკითხე „ვეფხისტყაოსნის" ბეჭდვა დაიწყესო. И в добрый час, არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირველი გამოცემა არის „როსკოშისა", მავრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე, — ჩვენი თაობის შეცდომაზე მე-

ორე თაობა დალაქობას ისწავლის, მაგრამ რაც შეიძლება, ცდას ნუ დააკლებ... ოტტისკი რათ არ გამომიგზავნე? თუ ძმა ხარ გამომიგზავნე, სული მიმდის, სანამ დავინახავდე...

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის 80-იან წლებში სხვა პრობლემებთან ერთად იონა მეუნარგია დაკავებულია ერთი ძირითადი პრობლემით — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნა, კრიტიკულად დადგენილი პოემის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოქვეყნება, მისი შემკობა ზიჩის ილუსტრაციებით. უნგრელი მხატვრის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსში ღრმად ჩაწვდომის მიზნით მისი თარგმნა ფრანგულ ენაზე.

როდის უნდა დაეწყო ფრანგულ ენაზე იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსნის თარგმნა? ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ საქმეს იგი ხელს ჰკიდებს 1884 წლიდან. მოვუსმინოთ „დროების“ (3 აგვისტო, 1884) ერთ ცნობათაგანს: „ერთი ჩვენი მწერალთაგანი (იგულისხმება იონა მეუნარგია) შესდგომია სრულის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ფრანციცულ ენაზედ. მეოთხედი კიდევაც გადაუთარგმნია და დანარჩენების გათავების იმედი სექტემბრისთვის აქვს. რაღა თქმა უნდა, რომ ფრანცუზული თარგმანი დაიბეჭდება კიდეც ლეგუვეს ან რენანის წინასიტყვაობით, როგორც გვწერს ამ აზრით გატაცებული მთარგმნელი“. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „მ. ბროსეს შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას ხელი მოჰკიდა ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა იონა მეუნარგიამ, რომელსაც ენერგიულად ეხმარებოდნენ თანამემამულენი თუ უცხოელი მოღვაწენი. მან, როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, კარგად გაართვა თავი ამოცანას, დასაბეჭდად გაამზადა თარგმანი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ გამოქვეყნებულა. ამჟამად მის ხელნაწერიც აღარ ჩანს“.[1]

იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა ფრანგულ ენაზე უკვე დასრულებული ჰქონია 1884 წლისთვის. ამის შესახებ ინფორმაციები ქვეყნდება „დროებაში“ (3. VIII, 1884; 2-XII, 1884;),

[1] რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 21.

„ივერიაში“ (VII-VIII, 1884) და სხვ. ამ თარგმანმა იმთავითვე მიიპყრო ქართველი და უცხოელი მოღვაწეების ყურადღება. თავისი აღტაცება ვახტანგ ორბელიანმა ლექსით გამოხატა.[1] საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის აზრი: „დღეს როგორღაც წილად მხვდა, საცა დიდს იხსენებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო. როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მზის ბრწყინვალებით განცვიფრებული, თაყვანს სცემდა მას, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივსა სცემდა მთვარესაც, რომელსაც მხოლოდ მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანის თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მისი მთარგმნელი — მეუნარგია იქნება, რადგან ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადღეგრძელოს მეუნარგია“. ილიას ეს სიტყვა პირველად ქვეყნდება „დროებაში“ (1884, №260).

ცალკე უნდა გავეცნოთ არტურ ზუტნერის სტატიას „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, რაც დაიწერა იონა მეუნარგიას მიერ ფრანგულ ენაზე პოემის თარგმანთან დაკავშირებით. იგი პირველად გამოქვეყნდა გაზ. „კავკაზ“-ში, გაზ. „დროებაში“ და ჟურნ. „ივერიაში“ 1884 წელს (იხ. „კავკაზი“, 1884, №265, 267, 268; „დროება“, 1884, №258, 259, 261, 264, 265; „ივერია“, 1884, XI-XII, გვ. 68-102).

ავსტრიელი ცოლ-ქმარი არტურ ზუტნერი (1850-1902) და ბერტა ზოფია ფელიჩიტა კინსკი (1843-1914). ბერტა გარეგნულად და სულიერად უმშვენიერესი ქალი ყოფილა. იგი მოსწონდა თურმე ერეკლე მეორის შვილიშვილს — ირაკლი ბაგრატიონს, ასევე სამეგრელოს მთავრის ძეს ნიკოლოზ დადიანს. ამასთანავე, ბერტა იყო სალომე დადიანის პარიზელი მეგობარი. არტური და ბერტა მთელი ხუთი წლის მანძილზე ზუგდიდში იმყოფებოდნენ.

[1] ვ. ორბელიანი, „ნანგრევთა შორის ლამპარი“, ლექსების კრებული, თბ., 1928, გვ. 109.

არტურ ზუტნერი იყო დადიანის მამულების მმართველი სამეგრელო-ლეჩხუმში. ქართული და მეგრული სალაპარაკოდ შეუსწავლია. როდესაც იონა მეუნარგია პოემის თარგმნას შეუდგა არტურ და ბერტა ზუტნერებს ქართული ენა ჯერ არ სცოდნიათ. არტური თავს „მემუარებში“ ამაზე პირდაპირ მიუთითებს (მთარგმნელს 3 თვის განმავლობაში ცაიშში ჰყოლია ზუტნერები): ქართული ეროვნული პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს იონა მეუნარგია ფრანგულ ენაზე გვითარგმნიდა სიტყვა-სიტყვით და ჩვენ მას მხატვრულად ვმართავდით ფრანგულ და გერმანულ ენაზეო.

დავუბრუნდეთ არტურ ზუტნერის საყურადღებო ნარკვევს „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. აქ არ გავაანალიზებთ ავტორის დაკვირვებებს პოემის სხვადასხვა საკითხზე, მხოლოდ შევჩერდებით ფრანგულად თარგმნის ისტორიასთან დაკავშირებულ მომენტებზე. ზუტნერი თავიდანვე აღნიშნავს იონა მეუნარგიას კეთილსინდისიერებას დასახული მიზნის მისაღწევად: „ამ გატაცებამ აიძულა ბატონი ი. მეუნარგია პოემის თარგმნისათვის მოეკიდა ხელი, რათა წარედგინა იგი ევროპელი მკითხველისათვის. მისი კალმით შეიქმნა რუსთველის პოემის პირველი სრული პწკარედი თარგმანი. თვით მთარგმნელი არ მალავს, თუ რა დიდი სიძნელის გადალახვა მოუხდა მას... აღიარებს, რომ დასახულ ამოცანასა და მის შესრულებას შორის ღრმა უფსკრულია. ასეთი თავმდაბლობა მთარგმნელის სასარგებლოდ მეტყველებს და ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი მოწიწებითა და პატივისცემით მოჰქცევია იგი სათარგმნ ნაწარმოებს... ლექსის საუკეთესო თარგმანი სხვა არა არის რა, თუ არა კარგად გარეცხილი ქსოვილის უკუღმა პირი: აქ იგივე ძაფებია (ე.ი. იგივე სიტყვები), მაგრამ ყვავილებისა და არაბესკების ნაცვლად ისინი მხოლოდ საერთო მოხაზულობას გადმოსცემენ, ისიც მეტად მკრთალად“.

არტურ ზუტნერის აზრით, იონა მეუნარგიას თარგმანს სხვა დატვირთვაც აქვს: „ბატონ ი. მეუნარგიას თარგმანით მოცემული პირველი ბიძგის შემდეგ რუსთაველის შესწავლის საქმე ერთ

ადგილზე აღარ გაიყინება". „სავსებით შესაძლებელია, — განაგრძობს სტატიის ავტორი, — რომ ქართველებს გარდა გამოჩნდებიან სხვა ფილოლოგები, რომლებიც ხელს მოჰკიდებენ რუსთაველის ენის შესწავლას, რათა უფრო ღრმად გამოიკვლიონ პოეტი და ამავე დროს წარმოდგენა შეიქმნან XII საუკუნის დროინდელი ქართული კულტურის მდგომარეობის შესასწავლად". არტურ ზუტნერის მიხედვით, „იონა მეუნარგიას თარგმანს არა აქვს პრეტენზია საბოლოო წარმოდგენა შეუქმნას ევროპელებს აღმოსავლური პოემის შესახებ. მისი საპატიო და ღირსეული მიზანია, დასავლეთის მეცნიერ-მკვლევარებს მიანიშნოს აღმოსავლური ლიტერატურის ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ძეგლის არსებობაზე". ნარკვევის ავტორი იონა მეუნარგიას ემადლიერება იმას, რომ იგი პირველი ევროპელია (დასავლელი კაცი), რომელმაც თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი" ფრანგულად და მიეცა საშუალება ისეთი ეტიუდის შექმნისა, რომლის მიხედვით თავის შთაბეჭდილებებს გააცნობს ევროპელებს რუსთაველის უკვდავ პოემაზე.

განსაცვიფრებელია თუ რა ჯადოსნური ენერგია და „ვეფხისტყაოსნის" შეუცნობელი სიყვარული უნდა ჰქონოდა კაცს, მოკლე დროში ისე ეთარგმნა პოემა, რომ მის შინაარსს ღრმად ჩასწვდომოდნენ მიხაი ზიჩი და ჯერ კიდევ (1884) ქართული ენის უცოდინარი არტურ ზუტნერი. ამის გამო გაკვირვებას გამოთქვამს ჟულ მურიე. იგი XIX საუკუნის 70-იანი წლების კავკასიის მეჯინაცვლის შვილის — მიხეილ ნიკოლოზის ძის აღმზრდელად მუშაობდა თბილისში. მან 80-იან წლებში თბილისში დააარსა ფრანგული გაზეთი, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. აქ იგი აქვეყნებდა წერილებს, ცალკეც მოზრდილ ნაშრომებს. ცნობილია მისი წიგნი საბეგრელოზე.[1]

ჟულ მურიემ რუსთაველის შემოქმედებაზე შექმნა ნაშრომი — „ჯერ არდაბეჭდილი ხელნაწერი... ვეფხისტყაოსანი ფრანციზულს ენაზე ნათარგმნი ი. მეუნარგიასი". ვიდრე იგი ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდებოდა, უთარგმნიათ ქართულად და დაუბეჭდავთ კიდეც

[1] ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 86.

(„დროება“, 1884, 256; გვ. 1-3). ამ სათაურს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: ეს ცნობა ჩვენი გამოჩენილის პოემის შესახებ ეკუთვნის ბ. მურიეს, რომელიც აპირებს მის დაბეჭდვას ფრანციზულს ენაზე, მაგრამ დაბეჭდვამდე დაგვავალა და გადმოგვცა ჩვენ ჩვენი მკითხველის გასაცნობად. დასაწყისში მურიე გამოთქვამს გაკვირვებას, რომ მოიპოვება ქართველი, რომელიც ეხლანდელ დროში რამდენიმე თვეს ანდომებს პოემის ფრანგულად თარგმნას. ავტორისათვის ი. მეუნარგიას მიუნდვია ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ შესწორება. მურიე შენიშნავს: „თუ ვეფხისტყაოსანი საუკეთესო ქართული თხზულებაა, მე მგონია ფრანცუზულადაც არ უნდა გამჭირებოდა მისი გაგება.[1]

საინტერესოა, რომ „დროებაში“ (1884, ნოემბერი) ქვეყნდება უავტორო ცნობა ამავე გაზეთში დაბეჭდილი მურიეს ფელეტონის გარშემო — იონა მეუნარგიას მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსნის შესახებ. მურიე მთლიანად გაცნობია თარგმანს და შეუნიშნავს მისი ღირსებანი. ეს კი ევროპელებს საშუალებას მისცემსო შესანიშნავი ქართველების გასაცნობად. გაზეთში მითითებულია, რომ თარგმანმა გამოიწვია ზუტნერის წერილი „კავკაზში“. იონა მეუნარგიას ეს თარგმანი გადაეგზავნაო ზიჩის სახელმძღვანელოდ სურათების დახატვისათვის და რომ ეს თარგმანი შემდეგ გაგზავნილი და დაბეჭდილი იქნება პარიზში (იქვე, 94).

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს გამოხმაურებია მოურიერი. იგი 1887 წელს ერთ-ერთ ჟურნალში წერს, რომ დაუწყიათ რუსთაველის პოემის პროზაული თარგმნა ფრანგულ ენაზე. ეს არის იონა მეუნარგიას თარგმანი. მისთვის თვითონ მთარგმნელს უთხოვია, რათა მისეული აზრი გამოეთქვა პოემაზე და თარგმანზეც.

მართალია, „ვეფხისტყასნის“ ფრანგულად თარგმანს იონა მეუნარგიას შესრულებით იმთავითვე გამოსჩენია დამფასებლები როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა მხრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ეძინათ თურმე ამ კეთილშობილური მოვლენის წინააღმდეგ

[1] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 88.

ნიჰილისტურად განწყობილ პირთ. ზოილმა (დ. კეზელი) ეს ბოლმა ერთ-ერთ გაზეთშიც გადმოანთხია. „Новое Обозрение"-ში 1886 წლის 7 სექტემბერს გამოქვეყნებულ პასკვილში იგი პირდაპირ დასცინის ჟულ მურიეს და იონა მეუნარგიას მუშაობას „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულად თარგმნა-შესწავლის საქმეში. იგი აღნიშნავს: გაფრანგებული მეგრელის იონა მეუნარგიას ნახევრად ველურმა წინაპრებმა, რომლებიც ოდიშში გარეულ ღორებზე ნადირობდნენ, არაფერი იცოდნენ შოთა რუსთაველის შესახებ და ეჭვი არ ექნებოდათ, რომ მათი შვილიშვილი მიწერ-მოწერას გამართავდა ფრანგ აკად. რენანთან და შეეცდებოდა, როგორმე ერთი-ორი სტრიქონი დაეწერებინა ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის განზრახვის გამოცემისათვის.[1]

სპეციალური შენიშვნის ღირსია, რომ იონა მეუნარგიამდე „ვეფხისტყაოსნის" უცხო ენაზე თარგმნის ტრადიციას საფუძველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა. პოემის პირველი სტროფის რუსული სიტყვა-სიტყვით თარგმანი გამოაქვეყნა 1802 წელს ევგენი ბოლხოვიტინოვმა თავის ცნობილ წიგნში. 1828-1831 წლებში მარი ბროსე პროზაული სახით თარგმნიდა ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსანს". მისი რუსულ ენაზე თარგმნის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენდა ი. ბარადინსკის თარგმანი, შესრულებული დავიტ ჩუბინაშვილის მონაწილეობას. ბარტდინსკის დახმარებას უწევდა გრიგოლ დადიანი. ნაწყვეტები ქვეყნდება 1845 წელს. ი. ევლახოვმაც შეასრულა პოემის ნაწყვეტების თარგმანი, რაც დაბალი ღირსებისაა. ამას მოჰყვა ა. აბაშიძის პროზაული თარგმანი. XIX ს. 40-იან წლებში „ვეფხისტყაოსანი" გ. ერისთავის დახმარებით პოლონურ ენაზე თარგმნა კაზიმირ ლაფჩინსკიმ. ეს პროზაული თარგმანი დაიბეჭდა 1863 წელს. როგორც ზემოთაც მიეთითა, ა. ბორენი (ბობრინსკი) რუსთაველს პოემის შემოკლებულ ვარიანტს თარგმნის ფრანგულად პროზული ფორმით, რაც მეტად სუსტია და უფერული. შესაძლოა ითქვას, იონა მეუნარგიას მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი

[1] ცნობა ამოღებულია გ. **იმედაშვილის** დასახელ. წიგნიდან, გვ. 109.

„ვეფხისტყაოსანი“ ფეხბედნიერი აღმოჩნდა, ვინაიდან ამან დიდად გაზარდა ინტერესი მისადმი ფრანგულენოვან საზოგადოებაში, რომელსაც რუსთაველის პოემის გარშემო არაერთი საგულისხმო ცნობა მიაწოდეს ჟ. მურიემ (1886), ა. ხახანაშვილმა (1896), ბარონ დე ბაიმ (1898), მ. თამარაშვილმა (1910), შ. ბერიძემ (1928), ნ. მარმა (1928), კ. კარსტმა (1934) და ა.შ. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან კიდევ უფრო ღრმავდება მისწრაფება საფრანგეთში „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებისა. 1938 წელს პარიზში ქვეყნდება პოემის სრული პროზაული თარგმანი (მთარგმნელნი: გ. გვაზავა, ანი მარსელი-პაონი) 1937 წელს ფრანგულ ენაზე რუსთაველის გენიალური პოემა თარგმნა ე. ორბელიანმა სოლ. იორდანიშვილთან ერთად. საინტერესო წერილები უძღვნეს „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ საკითხებს გ. გვაზავამ, ე. ჟალუმ, ლ. არაგონმა, კ. სალიამ, ნ. სალიამ, მ. წერეთელმა... 1964 წელს პარიზში დაიბეჭდა პოემის ახალი სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული ს. წულაძის მიერ (კონსტულტანტი შ. ნუცუბიძე). მას მაღალი შეფასება მიეცა, ხოლო საფრანგეთის აკადემიამ ლანგლუას სახელობის პრემია მიანიჭა. ეს თარგმანი დიდად შეაფასეს რ. ლაკოტმა, მ ბრიონმა, ჟ. კატალამ. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი რ. ლაფონი რუსთაველის შემოქმედებაზე აქვეყნებს საყურადღებო წერილს. რუსთაველს მაღალ შეფასებას აძლევდნენ: ე. ტოლსტაია, ა. ლანუ, ე. გიევიკი, პ. გამარა, ი. განდინი. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ დიდ და პატარა ფრანგულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა საგულისხმო მასალები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ.[1]

კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს. „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი უპირველესად გამიზნული იყო ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩისათვის, რათა მას დაესურათებინა ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ გამოსაცემად მომზადებული ეს უკვდავი წიგნი. უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი

[1] შდრ. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 19-29.

ზიჩი (1827-1906) 1847 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 1858 წელს აირჩიეს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსად. 1859 წლიდან საიმპერატორო კარის მხატვარია. 1881-1882 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში. დაასურათა მედიჩის „ადამიანური ტრაგედია", ლერმონტოვის „დემონი" („თამარის ცეკვა", „ტრეტიაკოვის გალერეა", „თამარი კუბოში", პუშკინის -„სახლ-მუზეუმი", პეტერბურგი და სხვ.).. ზიჩი 1881 წელს ჩამოდის თბილისში, სადაც მოწინავე ქართველი საზოგადოების თხოვნით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციაზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს მხოლოდ 14). „ვეფხისტყაოსნის" საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია. აღნიშნული ნამუშევრები (ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში) მხატვარმა უსასყიდლოდ გადასცა ქართველ ხალხს. გარდა ამისა, ქართულ თემაზე ზიჩიმ შექმნა რამდენიმე ტილო: „ქართველი ქალის პორტრეტი", იკორთის მონასტერი საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს (1888).

მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის" სიკვდილუკარება ილუსტრაციებს ქმნის იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის საფუძველზე. ზუტნერის, მურიეს, ილია ჭავჭავაძის მაღალი შეფასებანი და ზიჩის მხრიდან სრული წვდომა პოემის შინაარსის სამყაროში ნათლად გვიდასტურებს, რომ ეს თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესო უნდა ყოფილიყო. რაოდენ დასანანია, რომ იგი უკვალოდ გაქრა. 1955 წელს იონა მეუნარგიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოსამზეურებლად დიდად დამაშვრალი სოლ. ცაიშვილი წერდა: „ვეფხისტყაოსნის" იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა პოემის უცხოელთათვის გაცნობის საქმეში", ჯერ კიდევ არაა გამოცემული, დაკარგვის გზაზეა და საჭიროა მისი მოძებნა. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ამ თარგმანის ერთი ცალი ერმიტაჟში უნდა იყოს დაცული და მეორე კი მთარგმნელს ბალ-მონტისთვის უთხოვებია 1915 წელს, მაგრამ იგი საქართველოში აღარ დაუბრუნებიათ, რის შემდეგაც მისი კვალი არა ჩანს. ეჭვი არ გვეპარება, ამ სიტყვების დაწერიდან სოლ. ცაიშვილი მალე რომ

არ გარდაცვლილიყო (1957), ყველაფერს გააკეთებდა დაკარგული თარგმანის კვალის მისაგნებად.

საკითხზე მუშაობისას ფრიად საგულისხმო ცნობას წავაწყდით. 1938 წლის გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში („რუსთაველის საიუბილეო გამოფენა“) დ. ჯანელიძე წერს: „გამოფენაზე წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი ფრანგული თარგმანი — ბროსესი, მეუნარგიასი, ბორენისა და ე. იოსელიანისა. თუ 1938 წლისთვის პოემის მეუნარგიასეული ფრანგული თარგმნის ფიზიკურ არსებობაზეა საუბარი, მაშინ გასაკვირია, რა უნდა მოსვლოდა მას, სად უნდა გამქრალიყო. ამ მიმართულებით საინტერესო დაკვირვება აწარმოა გ. შარაძემ თავის ნარკვევში — „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტები“. ჯერ კიდევ 1938 წელს სოლ. ცაიშვილმა გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კერძოდ, იონა მეუნარგიასეულ ფონდში (№778) დაცულია მიხაი ზიჩის ნაკლებად ცნობილი შარჟები იონა მეუნარგიაზე და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე. ამ შარჟების გაცნობით დაინტერესდა გ. შარაძე და საყურადღებო მასალებსაც მიაკვლია. იგი წერს: „ზოგიერთ შარჟს შემოუნახავს ზიჩის ხელითვე ფანქრით მიწერილი იმ სტროფთა ნომრები, რომელთა ილუსტრაციასაც იგი წარმოადგენს (ასეთებია: 40, 136, 219, 553, 734, 962, 1127, 1172). ხოლო ორ შემთხვევაში კი, რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, ფრანგული თარგმანი სტროფისა — ერთი, მე-40 სტროფის მთლიანი თარგმანი, მეორე, 84-ე სტროფის დასაწყისი სტრიქონი“... შემდეგ მკვლევარს მოჰყავს ეს თარგმანები.[1]

ავტორს გამოაქვს სარწმუნო დასკვნა: „უნდა დაბეჯითებით ითქვას, რომ მ. ზიჩის შარჟებისათვის მხატვრის ხელით მიწერილი ეს ფრანგული ტექსტი, რომელიც უკვე ძლიერ გამქრქალებულია, უნდა იყოს ფრაგმენტები ზიჩისათვის 1884 წლის 11 დეკემბერს გაგზავნილი „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეული სრული

[1] გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 94-95.

ფრანგული თარგმანის პირველი ვარიანტისა, რომელიც ისე როგორც დანარჩენი სხვა ორი ვარიანტი — ერთი მირთმეული თბილისში იმპერატორისათვის (1888), ხოლო მეორე — ქუთაისში კ. ბალმონტისთვის (1914) დღემდე დაკარგულად ითვლება.[1] გურამ შარაძემ ზიჩის შარჟების საფუძველზე კიდევ ერთ საიდუმლოებას ახადა ფარდა: „ზიჩის შარჟებზე მისივე ხელით შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ახლა უკვე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეული დაკარგული სრული ფრანგული თარგმანის რაობაზე, რომ იგი შესრულებული ყოფილა თეთრი ლექსით“. მკვლევარმა ასევე დაადგინა, რომ იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი შეიცავს 1593 სტროფს. მას ეს თარგმანი შეუსრულებია რუსთაველის პოემის დავით ჩუბინაშვილის მიერ 1860 წელს გამოცემულ ტექსტის მიხედვით.

1888 წელს თბილისში დაბეჭდილმა „ვეფხისტყაოსანმა“, შემკულმა მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით, დიდი ინტერესი აღძრა რუსულ საზოგადოებაში იმ რეცენზიების საშუალებით, რაც ამ მდიდრულ გამოცემაზე გამოქვეყნდა მაშინდელ ქართულ-რუსულ პერიოდულ გამოცემებში. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. 1888 წლის 28 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა მეუღლითურთ იმპერატორი ალექსანდრე III. ამ დროს უკვე დაბეჭდილი იყო იონა მეუნარგიასა და გ. ქართველიშვილის ძალისხმევით „ვეფხისტყაოსანი“. მისი ერთი ეგზემპლარი გამომცემელმა გ. ქართველიშვილმა მიართვა იმპერატორის მეუღლეს მარიამ თეოდორეს ასულს. ამ შეხვედრისათვის მზად ყოფილა იონა მეუნარგიაც. მას რუსულ ენაზე შეუდგენია რუსთაველის პოემის ვრცელი შინაარსი, რაც ცალკე წიგნად გამოუცია გ. ქართველიშვილს. ეს წიგნაკი რუსი დედოფლისათვის გადაუცია იონა მეუნარგიას. აღფრთოვანებულ დედოფალს ქართველიშვილი და მეუნარგია დაუჯილდოებია იაგუნდითა და ბრილიანტებით შემკული ბეჭდებით.

---

[1] გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 94-95.

ამის შესახებ იმთავითვე იუწყებოდა „ივერია“.[1] ეს ყველაფერი მტკიცე დასტურია იმისა, თუ რა სულისკვეთებით იბრძოდა და ზრუნავდა იონა მეუნარგია, რათა „ვეფხისტყაოსანი“ მახლობელი ყოფილიყო უცხოელთათვის (ფრანგები, რუსები).

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

1. იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსნისადმი“ დიდი სიყვარული სიყმაწვილიდანვე ჰქონდა ჩანერგილი;

2. 25 წლის იონა მეუნარგიას პირველი საქმიანი მიმართება „ვეფხისტყაოსანთან“ გამოჩნდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას, სადაც იპოვა და გადმოწერა 396 სტროფი ნანუჩა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანისა;

3. „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-ძიებისადმი მისი ინტერესი გააღვივა და განამტკიცა 1876-1878 წლებში პარიზში ყოფნისას საფრანგეთის უდიდეს მწერალთან ვიქტორ ჰიუგოსთან მეტად გახმაურებულმა შეხვედრა-დიალოგმა;

4. სამშობლოში დაბრუნებული იონა მეუნარგიას ინიციატივით XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდანვე შედგა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შევიდნენ იმჟამინდელი სახელგანთქმული ქართველი მოღვაწენი (ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი...);

5. ქართველ მოწინავე საზოგადოებაში დაიბადა სურვილი, რომ რუსთაველის პოემის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოცემულიყო განთქმული უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით დამშვენებული;

6. მიხაი ზიჩის მხრიდან „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსში ღრმად ჩასაწვდომად და ილუსტრაციების შესაქმნელად ილია ჭავჭავაძის დავალებით იონა მეუნარგია მოკლე ხანში (1884 წლის სექტემბერ-

[1] „ივერია“, 1888, №207-209; შდრ. სოლ. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა“, ზუგდიდის სახელმწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, გვ. 385-386.

ნოემბერში) სრულად თარგმნის ფრანგულ ენაზე პოემას;

7. მის მიერ ვიქტორ ჰიუგოს ენაზე გადათარგმნილმა რუსთაველის უკვდავმა ქმნილებამ იმთავითვე დაიმსახურა მაღალი შეფასება როგორც ქართველთა (ილია ჭავჭავაძე, ვ. ორბელიანი...), ისე უცხოელთა (არტურ ზუტნერი, ჟულ მურიე...) მხრიდან;

8. იონა მეუნარგიას მიერ მეხაი ზიჩისათვის გაგზავნილი, ასევე 1915 წელს კ. მალმონტისათვის მირთმეული „ვეფხისტყაოსნის" ფრანგული თარგმანი დღემდე დაკარგულად ითვლება;

9. „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის მდიდრულ გამოცემაში დიდია წვლილი იონა მეუნარგიასი;

10. იონა მეუნარგიას სახელთან არის დაკავშირებული რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობის შედევრის შინაარსის პირველი სრული რუსული თარგმანის შესრულება, რაც 1888 წელს გ. ქართველიშვილის წყალობით ცალკე წიგნაკად გამოქვეყნდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ.დ. ქართველიშვილის მიერ, ტფილისი, სტამბა ი. მარტიროსიანცისა, 1888.
2. ჟურნ. ЖМНП, №8, 1842
3. ჟურნ. „ცისკარი", №2, 1870
4. გაზ. „დროება", №341, 1880
5. გაზ. „დროება", 11 იანვარი, 1881
6. გაზ. „დროება", 12 თებერვალი, 1881
7. გაზ. „დროება", №123, 1881
8. გაზ. „დროება", 1 მარტი, 1881
9. გაზ. „დროება", №222, 226, 1881
10. გაზ. „დროება", №211, 1884
11. გაზ. „დროება", 3 აგვისტო, 1884
12. გაზ. „დროება", 2 დეკემბერი, 1884
13. გაზ. „დროება", №260, 1884

14. გაზ. „დროება“, №№256, 259, 261, 264, 265
15. გაზ. „ობზორი“, №535, 1880
16. გაზ. „შრომა“, №9, 11, 1881
17. „ივერია“, №VII-VIII, 1884;
18. „ივერია“, №XI-XII, 1884
19. „ივერია“, №207, 209, 1888
20. გაზ. „კავკაზი“, №265, 267, 268, 1884
21. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 7 სექტემბერი, 1886
22. გაზ. „პრავდა“, 26 დეკემბერი, 1937
23. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №1, 1938
24. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, შემდგენლები: ლ. მენაბდე, ნ. ორლოვსკაია, შ. რევიშვილი, დ. ფანჩულიძე, თბ., 1976
25. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში III, შემდგენლები: ნ. ბებიშვა, ო. გოლიაძე, დ. დგებუაძე, დ. მენაბდე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ო. ჭურღულია, თბ., 1988.
26. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947
27. არჩილიანი, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1936
28. ილ. ჭყონია, ქართველი პოეტებიდან უცხო ენებზე თარგმანნი, ჟურნ. „ივერია“, №VII-VIII, 1884
29. ვ. ორბელიანი, ლექსები, თბ., 1928
30. ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, V, თბ., 1957
31. აკ. წერეთელი, „ცხელ-ცხელი ამბები“ (შენიშვნა, „ვეფხისტყაოსანზე“), გაზ. „დროება“, 1 მარტი, 1881
32. ი. მეუნარგია, ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან, სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1937
33. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1954
34. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1944

35. **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ, 1948

36. **ს. ყუბანეიშვილი,** „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947

37. **გ. იმედაშვილი,** რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957

38. **სოლ. ცაიშვილი,** მასალები **იონა მეუნარგიას** არქივიდან (გამოკვლევები და წერილები), თბ., 1940

39. **სოლ. ცაიშვილი,** **იონა მეუნარგიას** წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947

40. **სოლ. ცაიშვილი,** ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962

41. **ი. მეგრელიძე,** რუსთველოლოგები, თბ., 1970

42. **ლ. მენაბდე,** XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973

43. **გ. შარაძე,** არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973

44. **მ. დათუკიშვილი,** იონა მეუნარგია — ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მკვლევარი, თბ., 1983

45. **დ. მენაბდე,** იონა მეუნარგია — „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი და მთარგმნელი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნ. შრომები კრებ. „რუსთველოლოგია“, II, თბ., 2003.

ივანე გეგია

წარმომავლობა. ივანე გეგია არ იყო ძირძველი სამურზაყანოელი. იგი აქ არ დაბადებულა. სოციალური წარმოშობით მამამისი კონსტანტინე (ადგილობრივი მკვიდრნი თურმე „დიდ კოსტას“ უწოდებდნენ) გლეხი ყოფილა, სამეგრელოს, კერძოდ, მარტვილის მკვიდრი. მას დაუტოვებია მშობლიური კუთხე და 1865 წელს სამურზაყანოში, კონკრეტულად — დაბა ოქუმში დასახლებულა. ეტყობა, საცხოვრებლად ოქუმი „დიდ კოსტას“ შემთხვევით არ აურჩევია.

როგორც ისტორიულად ცნობილია, სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრი მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ბედიიდან გადმოუტანიათ ოქუმში. ე.ი. ოქუმი გამხდარა რეგიონის ცენტრი 1840 წლიდან 1906 წლამდე. სწორედ ამან შეუწყო ხელი ამ ხნის მანძილზე ამ ულამაზეს სოფელს ფერი და სახე ეცვალა როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ივანეს მამას უჭირდა მარტვილში ოჯახის რჩენა და ამიტომაც მიაშურა ოქუმს, რათა ვაჭრობისთვის მიეყო ხელი და მატერიალურად წელში გამართულიყო. სხვათა შორის, პატარა ივანესაც შთააგონებდა მამა ვაჭრობის უპირატესობას, მაგრამ ამაოდ.

კონსტანტინე გეგიას ოჯახი მრავალწევრიანი იყო. დედ-მამასთან ერთად ივანეს ჰყავდა და და ძმები. სამწუხაროდ, მამას დიდხანს არ დასცალდა წუთისოფელში ყოფნა. იგი გარდაიცვალა 1885 წელს. და-ძმებში ივანე უფროსი ყოფილა და უმამოდ დარჩენილი ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე.

დაბადების თარიღი. სოლომონ ცაიშვილი ივანე გეგიას დაბადების თარიღად ასახელებს 1860 წელს,[1] იგივეს იმეორებს ვალერიან ზუხბაია.[2] ამ უკანასკნელს უფრო დაეჯერება, რადგან

---

[1] სოლ. ცაიშვილი, „ივანე გეგია“, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებ. I, თბ., 1953, გვ. 367.

[2] ვ. ზუხბაია, „ივანე გეგია“, გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 14.VIII.1998; შდრ. გაზ. „მახარია“, №6, 204.

ივანე გეგიას ნამოწაფარი იყო და, ამდენად, აახლო ურთიერთობა ჰქონდა საყვარელ მასწავლებელთან. ოთარ ჭურღულიას მიხედვით, სამურზაყანოს პირველი ქართველი მგოსანი დაბადებულია 1861 წელს.[1] მისი ცნობა უფრო სანდოა, ვინაიდან უშუალოდ უმუშავია საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში დაცულ ივანე გეგიას არქივში, სადაც ინახებოდა თვით პოეტის მიერ დაწერილი მემუარული ნაშრომი „მოგონებანი", საიდანაც, ცხადია, მკვლევარი ამოიკითხავდა მისივე დაბადების თარიღს. ამავე თარიღს იმეორებს ოთარ ჟორდანიაც.[2] ასე რომ, ივანე გეგიას დაბადების თარიღად უფრო მისაღები და გავრცელებული ცნობაა 1861 წელი. გამოდის, რომ მამის ოქუმში გადმოსახლებისას პატარა ივანე უკვე 4 წლისა ყოფილა.

სასულიერო სასწავლებელში. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, მამას თურმე არ აინტერესებდა თავის შვილს ივანეს სათანადო სწავლა-განათლება მიეღო, რაც ბავშვის დაუოკებელი წყურვილი ყოფილა. ეტყობა, მამა უფრო მატერიალური სიკეთისკენ იყო მიდრეკილი და შვილსაც შთააგონებდა ვაჭრად ჩამოყალიბებას. პატარა ივანე კი ჩარჩვაჭრული მისწრაფებისგან შორს იდგა. ოთარ ჭურღულიას მოუსმინოთ: „მართალია, ივანე გეგია ვაჭრის ოჯახში აღიზარდა, მაგრამ ჩარჩ-ვაჭრულ საზოგადოებას ვერ ეგუებოდა. ეს არაერთხელ აღუნიშნავს თავის კორესპონდენციებსა თუ მოგონებებში. მაგალითად, 1895 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ ერთერთ წერილში ჩარჩ-ვაჭრების უსულგულობაზე შემდეგს წერდა: „არსებობისთვის ბრძოლა აიძულებს უფულო კაცს სულთამხუთავ მევახშესთან მიიქცეს ფულის სასესხებლად. მოვახშენიც ხედავენ მათ გაჭირვებას და ტყავს აძრობენ".[3] ერთ-ერთ ლექსშიც ამბობს: „არ მახარებს ოქრო-ვერცხლი ფულები".[4]

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, თბ., 1966, გვ. 62.

[2] ო. ჟორდანია, ივანე გეგია — პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წიგნში: „ივანე გეგია, გაზაფხულის მოლოდინში", თბ., 2011, გვ. 9.

[3] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 63.

[4] ივ. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 48.

მამის სურვილის საწინააღმდეგოდ, ივანე გეგია ჩაირიცხა ახალსენაკის ე.წ. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაუმთავრებია 1881 წელს. ე.ი. 20 წლის ასაკში. საინტერესოა, რომ მასთან ერთად სასწავლებელში სწავლობდნენ თურმე თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, მიხა ცხაკაია. თუმცა, როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას მიხა ცხაკაიას სკოლის მერხის მეგობრობა ვერაფერში გამოადგა. როგორც ირკვევა, 1924 წლისთვის ივანე გეგიას გადაუწყვეტია თავისი ლექსების, აფორიზმების, ანდაზების და მოგონებების ცალკე წიგნად გამოცემა თბილისში. ოთარ ჭურღულიამ გაარკვია, რომ საბუთებიდან ჩანდა მთავლიტის მიერ 24 ლექსისთვის ვიზის მიცემა დასაბეჭდად უკვე 1927 წლისთვის. იგი მაინც ვერ ელირსა გამოცემას. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს მოაქვს ზაქარია ჭიჭინაძისადმი ივანე გეგიას მიერ მიწერილი ბარათის ტექსტი: „ძვირფასო ძმაო ზაქარია! გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს. ზაქრო, შენი წერილი მივიღე, ალაგ-ალაგ ამოვიკითხე, ალაგ კი სრულებით ვერაფერი გაუგე. რაშია საქმე, და ვიცი „გლავლიტმა“ თუ უარი გითხრა ნებართვაზე, ეცადე ამხ. მახარაძე ან ცხაკაია მოიხმარე ნებართვის ასაღებად“.[1] წერილის ბოლოს კვლავ შეახსენებს ზ. ჭიჭინაძეს: „მიხას უთხარი: ამხ. გეგია შენი ნაამხანაგარი ყოფილაო“. ივანე გეგიას მიხა ცხაკაია ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილ სხვა წერილშიც არ „ავიწყდება“: „კიდევ: ამხანაგ მიხა ცხაკაიას ჩემი ამხანაგური მოკითხვა გადაეცი. თედო სახოკიაც არ დამივიწყო“.[2] როგორც ჩანს, სკოლის მერხის მეგობარს „ამხ. ცხაკაიას“ უკვე აღარ ეცალა ივანე გეგიას ნაწერებისთვის, იქნებ იმიტომ, რომ „ზოგიერთი ნაწერები თანამედროვე შინაარსიანი არ იყვნენ“ (ი. გეგიას სიტყვებია). „თანამედროვე შინაარსის“ არმქონე ნაწარმოებებს როგორ მიხედავდნენ „ამხ. მახარაძე და ცხაკაია“... ვერ უშველიდა საქმეს: „მიხას უთხარი: ამხ. გეგია შენი

[1] ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 92; შდრ. ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 139.

[2] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 141.

ნაამხანაგარი ყოფილაო“

უმაღლესი სასწავლებლისკენ გზის ჩახერგვა. როგორც ითქვა, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ივანე გეგიას 1881 წელს დაუსრულებია. სურდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. საამისოდ მზადებას შეუდგა, ნაშოვნი ფული სახარჯოდ არ ყოფნიდა. სურვილების ამაო ორომტრიალში ოჯახს უბედურება დაატყდა თავს, ივანეს მამა 1885 წელს გადაიცვალა. ოჯახის წინამძღოლობა უფროს შვილს ივანეს უნდა ეკისრა, დედისთვის, დისთვის, ძმებისთვის უნდა ეპატრონა. იძულებული შეიქნა მეურნეობისთვის მოეკიდა ხელი. ასე ჩაიხერგა უმაღლესი სასწავლებლისკენ მიმავალი გზა.

თვითნასწავლი აგრონომი. საუბარს ოთარ ჟორდანიას წერილიდან დამოწმებული ციტატებით გავაგრძელებთ, რომელიც წარმოაჩენს ივანე გეგიას პიროვნებას, როგორც თვითნასწავლი აგრონომისა. წერილის ავტორი საქართველოს ისტორიულ არქივში მოძიებული მასალებიდან ამოდის: „ივანე გეგია გაეცნო სპეციალურ აგრონომიულ ლიტერატურას, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებს და დაიწყო მათი დანერგვა საკუთარ მეურნეობაში; სხვადასხვა კუთხიდან იწერდა ახალი ჯიშის ხეხილსა და ყურძნის ნერგებს, ატარებდა ექსპერიმენტებს... მის სახელს უკავშირდება აფხაზეთში ჩაის კულტურის გავრცელება და მეაბრეშუმეობის განვითარება... ოქუმში დააარსა აბრეშუმის პარკსაშრობი ქარხანა, რასაც მოჰყვა სამურზაყანოს სოფლებში მეაბრეშუმეობით დაინტერესება... ივანე გეგიამ ახალი წესებით გააშენა დაბლარი ვენახი... იგი გახდა სოხუმის ოლქიდან ქუთაისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის წევრი“[1].

ივანე გეგიას მიერ სამურზაყანოში მეაბრეშუმეობის გავრცელებას თურმე სირთულეები ახლდა თან, რასაც მისივე „მოგონებებში“ ვეცნობით: „ხალხი შეპყრობილი იყო სხვადასხვა ცრუმორწმუნეობით და მკვიდრი არ ბედავდა დაჯენასა და მოვლას („იგულისხმება

[1] **ო. ჟორდანიას** დასახ. წერილი, გვ. 9-10.

აბრეშუმის ჭია), ვერ დაარწმუნებდი იმაში, რომ ყაჭის მოვლისთვის „წმინდა გიორგი“ არ გაანადგურებდა მეყაჭე ოჯახს“.[1] ოთარ ჭურღულია შენიშნავს; ივანე გეგიამ სამურზაყანოში დიდი ბიძგი მისცა მელორეობის განვითარებას. მას თავის მეურნეობაში ჯიშიანი ღორები — წმინდა სისხლის იორკშირის ნეზვები შეუჯვარებია ადგილობრივ ტახებთან, გამოუყვანია ახალი ჯიში, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა ინგლისურ ჯიშს. ზოგიერთი ნასუქი ეგზემპლარი 20 ფუთამდე აღწევდა თურმე.[2]

სასკოლო-პედაგოგიური საქმიანობა. სასკოლო-პედაგოგიური მოღვაწეობისკენ პირველი ნაბიჯი ივანე გეგიას 1883 წელს გადაუდგამს. ამის დასადასტურებლად მოვუხმობთ ციტატას, რომელიც „მოგონებებიდან“ ამოუწერია ოთარ ჭურღულიას: „სასწავლებლის (იგულისხმება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი — ტ.მ.) დამთავრების შემდეგ მოვშორდი მშობლებს და 1883 წელს ოჩამჩირეში კერძო სკოლა გავხსენი, სადაც ნორმალური პირობები ამ დროს სრულიად არ არსებობდა. ავიყვანე 20-მდე მოწაფე, სულ ოჩამჩირის მოქალაქეთა შვილები. ვასწავლიდი ქართულ და რუსულ წერა-კითხვას. ამათგან აღებული ფული სახარჯოდ არ მყოფნიდა. იძულებული შევიქენი ოჯახში დავბრუნებულიყავი“.[3] როდესაც 1883 წელს ოჩამჩირეში ივანე გეგიას მიერ სკოლის გახსნაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ საყურადღებო ფაქტს. მხედველობაში გვაქვს 1851 წელს დაბა ოქუმში პირველი სამრევლო სკოლის გახსნა. ჯემალ გამახარიას მოვუსმინოთ: „აფხაზეთის ისტორიაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც ქართველი მისიონერების სახელებთან არის დაკავშირებული. 1854 წელს დაბა ოქუმში სამურზაყანოსა და მთელი აფხაზეთის მასშტაბით პირველი სამრევლო სკოლა გაიხსნა... სკოლის დაარსება ცნობილი სასულიერო მოღვაწის დავით მაჭავარიანის სახელს უკავშირდება.[4]

---

[1] ციტატა მოტანილია ო. **ჭურღულიას** დასახ. ნაშრომიდან, გვ. 88.

[2] იქვე, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 62-63.

[4] **ჯ. გამახარია,** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005, გვ. 418.

ივანე გეგიას ნათქვამი „მოვშორდი მშობლებს“ უნდა აღვიქვათ როგორც შეუთავსებლობა მამის გადაწყვეტილებასთან შვილის ვაჭრობის გზაზე დასაყენებლად, რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა მისივე სულიერი მოთხოვნილებებისადმი. ახალგაზრდა კაცს განათლება, ცოდნის შეძენა და დაგროვება იტაცებდა, რათა მომავალში ეს ყველაფერი მოეხმარა თანამემამულეთა კეთილდღეობისათვის. ამიტომ შეუდგა იგი მშობლებისაგან დამოუკიდებელ საქმიანობას. ეტყობა, სიყმაწვილიდანვე ჰქონდა გულში ჩანერგილი სკოლა და განათლება, ქართული ენის დაცვა...

პედაგოგიური მოღვაწეობა განუგრძია ივანე გეგიას მშობლიურ ოქუმში. აქ არსებობდა ორკლასიანი სკოლა, სადაც ის დაუნიშნავთ 1891 წელს მასწავლებლად, კერძოდ, მეორე მასწავლებლის თანამდებობაზე. ეს ქვემოთ დამოწმებული დოკუმენტიდანაც ჩანს. ოთარ ჭურღულიას მიხედვით კი „ივანე გეგია 1887 წელს დანიშნეს ოქუმის სკოლის ქართული ენის მასწავლებლად, მაგრამ ერთი წლის შემდეგ რევოლუციური მოღვაწეობისთვის სამსახურიდან დაითხოვეს... მართალია, იგი მალე აღადგინეს სამსახურში, მაგრამ გაძლიერებული ფარული მეთვალყურეობა დაუწესეს და 1904 წლიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას სამუდამოდ აღუკვეთეს მასწავლებლობა.[1] შესაძლოა, მკვლევარი ამას წერს ივანე გეგიას „მოგონებების“ მიხედვით, რაც ჩვენთვის უცნობია აწ უკვე მისი არარსებობის გამო. ო. ჭურღულია არაფერს ამბობს 1891 წელს ივანე გეგიას დანიშვნაზე ოქუმის სკოლის მასწავლებლად. არც მის გათავისუფლებაზე 1893 წელს.

1891 წლის მარტის 19 კავკასიაში მართლამდიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სასწავლებელთა ინსპექტორის, არქიმანდრიტ ამბროსის შეტყობინება ივანე გეგიასადმი მის ოქუმის სკოლის მეორე მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, №34. შეტყობინებაში ვკითხულობთ: „Вы назначены вторым учителем Окумской школы ведомства Общ. восст. христианства на Кавка-

[1] ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

зе и утверждены в сей должности экзархом Грузии и председателем Совета Общества Высокопреосвященнейшим Палладием, с назначением годового содержания в размере 300 рублей.

Давая об этом знать, предлагаю немедля, вступить в исправление своей обязанности, о чем предварительно сообщить старшему учителю школы Петру Камкия".[1]

სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა ივანე გეგიას პედაგოგიური საქმიანობა ოქუმის ორკლასიან სკოლაში. ოთარ ჟორდანიას მიერ საქართველოს ისტორიულ არქივში (ფონდი 493, აღწ. I, საქ. 937, ფურც. 4) მოძიებული საბუთის თანახმად, იგი გაუთავისუფლებიათ 1893 წელს, თითქოს და მასწავლებლის დამადასტურებელი ატესტატის უქონლობის გამო. სინამდვილეში კი ამის მიზეზი იყო ივანე გეგიას ეროვნულ-პატრიოტული ძალისხმევა, ქართული ენის და ქართველი ერის ინტერესების დაცვა, ცარიზმის მომაკვდინებელი კოლონიური პოლიტიკის მხილება.

სწორედ ივანე გეგიას მასწვლებლობიდან გათავისუფლების წლიდან, ანუ 1893 წლიდან, დაიწყო აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევება, მისი დევნა, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" და „Русское слово"-ს აკრძალვა, სკოლებში ბავშვების გონებრივად დამმახინჯებელი ლევიცკის ე.წ. სახელმძღვანელოს შემოღება, ასევე უშინსკის „Родное слово"-ს დაკანონება. რადგან უშინსკი ვახსენეთ, ბუნებრივია, ვრცლად შევჩერდებით ივანე გეგიას მიერ 1893 წელის 11 ივნისის გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილზე – „მცირე შენიშვნა უშინსკის „Родное слово"-ზედ. იგი დაიბეჭდა ფსევდონიმით „ო-მელი ვ-ნო".

უშინსკის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით სტატიის დასაწყისშივე ივანე გეგია გულწრფელად აღიარებს: „თავის დროზე უშინსკის „Родное слово"-ს რუსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში პირველობას ვერავინ წაართმევდა რუსეთის ახალი თაობისთვის მას დიდი სარგებლობა მოჰქონდა, თუმცა საყმაწვილო წიგნების მომრავ-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 143.

ლებამ შეასუსტა მისი სახელი. ეს იმიტომ, რომ ეს საყმაწვილო წიგნები მოზარდებისთვის უფრო გონივრულად არის დაწერილი და ადვილად გასაგები. ავტორი აქვე სვამს კითხვას: დავუშვათ, რომ უშინსკის სახელმძღვანელოს დღემდე ტოლი და სწორი არ გამოჩენია, რომ „Родное слово“ უკეთესი სახელმძღვანელოა, „საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, ასევე კარგია თუ არა ეს წიგნი ქართველთა ყმაწვილებისთვისაც?“ სვამს კითხვას და უკომპრომისოდ თითონვე პასუხობს:

„ჩვენთვის, ქართველებისათვის, უშინკის „Родное слово“ არც ეხლაა და არც უწინ იყო სასარგებლო, მაგრამ სხვა ამ გვარი წიგნების გამო, უშინსკის წიგნსა ვჯერდებოდით. ჩვენი მოზარდი თაობის სწავლების საქმე თუ გვინდა გაადვილდეს, უთუოდ უნდა უარვყოთ უშინსკის სახელმძღვანელო“.[1] უარყოფის საფუძვლიან არგუმენტებსაც ქვემოთ ასახელებს პუბლიცისტი. ბოლოს კატეგორიული ტონით წერს: „უშინსკის მიერ შედგენილი საყმაწვილო წიგნი სრულიად გამოუსადეგარია ჩვენი ბავშვებისათვის. წარსულ წლებში სწავლის საქმე უფრო მარჯვედ მიდიოდა ჩვენს სკოლებში, რადგანაც ბ-ნ ი. გოგებაშვილის „Русское слово“ და მისივე „დედა ენა“ გვქონდა სკოლებში სახელმძღვანელოდ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, შარშან ამ წიგნების წყალობით შეგირდებმა სამი თვის განმავლობაში ისწავლეს ქართულ-რუსული წერა-კითხვა. რუსული ენის ლექსიკურ ვარჯიშობაშიც ეტყობოდათ გამარჯვება ბავშვებს. ამ სამოსწავლო წლიდან მოსპეს ქართული ენის სწავლება ჩვენ სკოლებში, აგრეთვე უარჰყვეს ბ-ნ გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნების ხმარება. ნაცვლად ამ წიგნებისა, გამოგვიგზავნეს შეგირდების დასარიგებლად მთელი ერთი ურემი უშინკის „Родное слово“-ები“.[2]

წერილის ბოლოს ივანე გეგია წუხს სწავლის საქმის დიდ შეფერხებაზე სკოლებში მომავლისათვის, თუ უშინსკის სახელმძღვანელო წიგნის ხმარებას არ დაშლიან, თუ უარს არ იტყვიან მასზე. ოთარ

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 113-144.

ჭურღულიას ენით რომ ვთქვათ, ივანე გეგიას შენიშვნებში ხაზგასმით აღნიშნულია ნაციონალური სკოლების სპეციფიკა და ამავე დროს დიდი აღშფოთებაცაა გამოთქმული მშობლიური ენის სწავლების აკრძალვის გამო.[1] ივანე გეგია ამ სტატიაში ახსენებს 1892 წლის სექტემბრიდან სოხუმის ოლქისთვის დაარსებული ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას, რომლის სკოლებში დაუწყიათ პირველად მოზარდი თაობის სწავლება უშინსკის სახელმძღვანელო წიგნებით. ოთარ ჭურღულიას თქმისა არ იყოს, სამურზაყანოს სკოლებში განსაკუთრებით ცუდი დღე დადგა მას შემდეგ, რაც აქ კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ზედამხედველად დანიშნეს შავრაზმელი მღვდელი იოანე ქავჟარაძე. იგი იყო ცარისტული ხელისუფლების აგენტი, ქართული ენის მდევნელი, ქართული ცნობიერების ამოძირკვისთვის მებრძოლი. რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისთვის ამ „შავრაზმელ მღვდელს" პატრიოტმა ქართველებმა იმთავითვე გამოუცხადეს ბრძოლა. მათ შორის იყო ივანე გეგიაც, რომელიც ოქუმშივე ებრძოდა მას, ხალხში გამოდიოდა ამ დაქირავებული აგენტის წინააღმდეგ.

1993 წელს ოქუმის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლობიდან გათავისუფლებული ივანე გეგიას პედაგოგობის საკითხი თურმე შვიდი წლის შემდეგაც „აქტუალური" ყოფილა. კერძოდ, დაუშვებლად მიაჩნდათ ამ პატრიოტი კაცის კვლავ სკოლაში შეშვება. ოთარ ჟორდანიას მიერ მიკვლეული დოკუმენტური მასალიდან ჩანს, რომ 1900 წლის 22 იანვარს საქართველოს ეგზარქოსის სახელზე შესულა ანონიმური წერილი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ოქუმის სკოლის მეორე მასწავლებლის თანამდებობის ივანე გეგიას მიერ დაკავების დაუშვებლობის შესახებ: „Несколько лет тому назад в наше училище был определен вторым учителем м. Окум Иван Гегия, который спустя несколько мееяцев был устранен от учительской должности за малоспособность и ненадёжность, увольнение состоялось летом 1893

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 69.

г., ...В настоящее время открывается место второго учителя, на таковую дольжность, носятся слухи, что назначается Советам Общества назначенный Гегия, чем население Окума сильно возмущено и в случае, если оправдаются эти слухи намерено не пускать свойх детей в школу... Не допустит назначения Гегия – человека, как уже признаннюго малоспособным в учительской деятельгности"...[1]

საქართველოს ისტორიულ არქივში ოთარ ჯორდანიამ აღმოაჩინა კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტური მასალა, რომელიც თარიღდება 1900 წლის 24 ივნისით. მასში ვეცნობით ოქუმის ხარების ეკლესიის მღვდლის იოანე ჩხენკელის მიმართვას კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების მისიონერ-ინსპექტორის, სოხუმის ეპარქიის მღვდლის ტ. ივანიცკისადმი. მასში მოცემულია ივანე გეგიას დახასიათება: „Когда я узнал, Окумский житель купеческий сын Иван Гегия просит Ваше Высокоблагословение о предоставлении ему вакантного места 2-го учителя Окумс(кой) двухлассной школы. Поэтому я, как местный священник и председатель здешнего школьного Совета, за не лишнее же считаю дать свое мнение о названным просителе Гогия, не смотря на то, что сомной состоит в близком родстве: Он по моему усмотрению, человек и способностью достаточно соответствующей просимой должности, добросоветно и аккуратно относящийся к школьному делу, как это было усмотрено в бытность его учителем при сказанной школе, - притом спецяльно знающий нотное пение, - поведения же безукаризненного и честного. О чём честь имею сообщить Вам. Священник Иванн Чхенкели".[2]

მართალია, ცარიზმის კოლონიური რეჟიმი ყოველმხრივ ავიწროებდა ივანე გეგიას, როგორც პედაგოგს, დიდ პატრიოტს, ქართული ენის მტკიცედ დამცველს, მაგრამ მიზანს მხოლოდ დროებით აღწევდა,

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ 146-147.
[2] იქვე, გვ. 148.

სამურზაყანოელი განმანათლებელი მოწოდებით პედაგოგი იყო და ასე დარჩა სიკვდილამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ცნობილია, რომ იგი გალის ცხრაწლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად მუშაობდა წლების განმავლობაში.

ივანე გეგიას პედაგოგიურ მოღვაწეობაზე საუბარს ოთარ ჭურღულიას სიტყვებით დავასრულებთ: „ივანე გეგია 1883 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ იგი არ ყოფილა უბრალო მენტორი. ივანე კარგად იყო დაუფლებული პედაგოგიური აზროვნების ისტორიას, სწავლებისა და აღზრდის პრინციპებს და სკოლაში როდესაც მოზარდ თაობას ასწავლიდა, ხელმძღვანელობდა მოწინავე მოღვაწეების შეხედულებებით“.[1]

სცენისმოყვარეთა დასის დამფუძნებელი. უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციას — „წერილი სამურზაყანოდან“: „ერთად-ერთი სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ამ მოკლე ხანში ქართველი სცენის მოყვარულთაგან ბ-ნ ივანე გეგიას მოთავეობით გამართულ იქნა ქართული წარმოდგენები, ოჩამჩირესა და ზუგდიდში თითოჯერ, ოქუმში — ორჯერ. წარმოადგინეს: 1. სამი მოქმედება „სამშობლოსი“; 2. „უჩინ-მაჩინის ქუდი“; 3. „რაც გინახავს — ველარ ნახავ“; 4. „ცოლი თუ გინდა, ეს არის“ და გაჰმართეს დივერტისმენტები. საზოგადო წარმოდგენებმა ყველგან კარგად ჩაიარა. როლები ყველამ იცოდა და გრძნობითაც თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქა-ნნი: ნეონილა ჩხენკელი და თეკლე გეგია და ბ-ნი ივანე გეგია. საზოგადოება ყველგან ნასიამოვნები დარჩა; ყველგან თანაგრძნობას უცხადებდნენ, მადლობას უხდიდნენ და სთხოვდნენ, კიდევ გვასიამოვნეთო“.[2]

ამ კორესპონდენციიდან ვრცელი ამონაწერი იმაზე მეტყველებს თუ რა გულისხმიერად გამოხმაურებია ილია ჭავჭავაძის „ივერია“

---

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 67.

[2] ა. ენგურელი, „წერილი სამურზაყანოდან“, გაზ. „ივერია“, №237, 1893; შდრ. ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

სამურზაყანოში 1890 წელს წამოწყებულ დიდ საქმეს სცენისმოყვარეთა წრის ოქუმში დაარსების თაობაზე. ასეთი დიდი კულტურული საქმის სულისჩამდგმელი სწორედ ივანე გეგია გახლდათ. იგი თვითონ ყოფილა სცენარისტი, რეჟისორი, დეკორატორი და მსახიობიც.

ვლადიმერ ალფენიძეს ივანე გეგიას „მოგონებებდან“ მოაქვს ასეთი ციტატა: „ხშირად თბილისში მოგზაურობამ, იქ ჩვენი მსახიობების გაცნობა-დაახლოებამ მეც შემაყვარეს ეს დიდი საქმე. სურვილი მქონდა ხალხისთვის სცენა გამეცნო“.[1] ივანე გეგია, გარდა ამისა, ასახელებს კიდევ ერთ ბედნიერ შემთხვევას, რომელიც უკავშირდება პეტერბურგიდან სამურზაყანოში მოხუცი მსახიობი ქალს ჩამოსვლას. იგი სამურზაყანოს უბნის (ე.ი. მაზრის) უფროსის ნათესავი ყოფილა. ეს ქალი თურმე თავის დროზე პეტერბურგის სამეფო თეატრის სცენაზე, როგორც მსახიობი-არტისტი, წარმატებით გამოდიოდა, მსახიობთა შორის პირველობით გამოირჩეოდა. ივანე გეგიას სწორედ ეს პეტერბურგელი მსახიობი მოუწვევია რეჟისორად და სამურზაყანოს ისტორიაში პირველად შედგომია თეატრალური დასის ჩამოყალიბებას. სცენისმოყვარეთა წრეში გაუერთიანებია ოქუმელი სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც რუსეთის, თბილისის, ქუთაისის სასწავლებლებში სწავლობდნენ. აქვე ჩაურიცხავს საკუთარი და თეკლეც. საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებას თვითონვე კისრულობდა.

როგორც აღინიშნა, ივანე გეგია დრამატურგიაშიც ცდიდა კალამს. მის მიერ 1890 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში „ლექსების კონა“ შესულია ერთმოქმედებიანი პიესა — ვოდევილი „სიყვარულის მონა“. ვლადიმერ ალფენიძეს საქართველოს სახალდო განათლების მუზეუმში უნახავს მეორე პიესის ფრაგმენტები. იგულისხმება სამმოქმედებიანი კომედია „მოდი ჭკუაზე“. ივანე გეგიას სოფელ ოქუმში სცენისმოყვარეთა წრე ანუ სოფლის თეატრი დაუარსებია 1890 წელს. ოთარ ჟორდანიას შენიშვნით, იგი სცენიდან ეროვნულ იდეებს ქადაგებდა, სამურზაყანოს მოსახლეობას ქართული ენისა და

[1] ვლ. ალფენიძე. სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის შესახებ, გაზ. „ლენინელი“, 5 სექტემბერი, 1972.

მამულისადმი სიყვარულს უღვივებდა.[1]

თეატრალური დასის საქმიანობა მხოლოდ სოფ. ოქუმით არ იფარგლებოდა. ივანე გეგიას თეატრალური წარმოდგენები გაჰქონდა ოჩამჩირეში, ზუგდიდში, ფახულანში... იგი, როგორც სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი, სახალხო თეატრის სცენაზე აცოცხლებდა ქართველი მწერლების შემოქმედებით ნიმუშებს: „სამშობლო“, „დაძმა“, „უჩინმაჩინის ქუდი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „დილა ქორწილის შემდეგ“. აქვე განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში დასმა მაყურებელს უჩვენა შექსპირის „ჰამლეტი“. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენების გასამართავად საჭირო მასალას (საქონელი კოსტიუმებისათვის, დეკორაციისათვის) თვითონ ყიდულობდა საკუთარი სახსრებით.

ოთარ ჭურღულია წერს: „ადვილი წარმოსადგენია გასული საუკუნის 90 და 900-იანი წლები, უგზოობა, ცუდი მიმოსვლა აფხაზეთის დაბებს შორის. ამ უგზოობის დროს ივ. გეგიას „დასი“ საგასტროლოდ ურმით გამგზავრებულა ოქუმიდან ოჩამჩირეში. ქალები მოკალათებულან ცალკე ურემზე, ხოლო მამაკაცები ცალკე. რაოდენი მონდომება, სიყვარული და სითბო უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი ივანე გეგიას წამოწყებაში, რომ სცენისმოყვარეთა ამ პატარა დასს იმდროისათვის საკმაოდ დიდ მანძილი ურმით გადაელახა და თავისი წარმოდგენები ეჩვენებინა ხალხისთვის“.[2] წარმოდგენების გამართვაში სცენისმოყვარულებისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენიათ ოჩამჩირელებს. კერძოდ, ქალთაგან — ანა თურქიას და ტ. ზუხბაიას, მამაკაცთაგან — თეიმურაზ ჩაჩავას, ვლადიმერ თოფურიძეს, ჩანთა ჩიჩუას, სამსონ და ნესტორ დავითაიებს, ჯორჯიკიას. სპექტაკლს ოჩამჩირის საზოგადოება დიდი სიყვარულით შეხვდა. წარმოუდგენიათ ორი პიესა, შემოსავალი მიუღიათ 120 მანეთის ოდენობით.[3]

ოქუმში ბიბლიოთეკის დამაარსებელი. თედო სახოკია ჟურნ. „მოამბეში“ წერდა: „ყველაზე სასიამოვნო და სანუ-

[1] ო. ჟორდანიას დასახ. ნარკვევი, გვ. 11.

[2] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 82.

[3] იქვე, გვ. 84.

გეშო მოვლენა ოქუმის ცოტა არ იყოს მდორე ცხოვრებაში აქაური წიგნსაცავია. ოქუმის შუაგულ გამორჩინებულ ადგილას წარმოდგენილი, გაშენებული აქაური მკვიდრის ივანე გეგიას საფასითა... სულ ერთ წელიწადი თუ არის, რაც ამ წიგნსაცავის დაარსების შესახებ აღიძრა ლაპარაკი „ივერიაში“. ვინც კი გაიგო, ყველამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა. წიგნსაცავის დაარსების მოთავეს ივანე გეგიას შეძლების კვალად ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაუწია ყველამ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან“.

როგორც ნოდარ შონია შენიშნავდა, XIX საუკუნის II ნახევრიდან ბედიიდან ოქუმში სამურზაყანოს ადმინისტრაციული ცენტრის გადმოტანის შემდეგ ამ სოფელს აკლდა ყველაზე აუცილებელი რამ — ეს იყო წიგნსაცავის უქონლობა. ამ მნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკულ განხორციელებას სათავეში ჩაუდგა ივანე გეგია.[1] რევოლუციამდელი სამურზაყანოს განმანათლებელი თვითონვე მიუთითებდა, რომ ოქუმის ბიბლიოთეკა პირველი იყო, საერთოდ, სოხუმის და სამეგრელოს რაიონში.

მოვუსმინოთ ოთარ ჭურღულიას: „1893 წელს ივ. გეგიამ განიზრახა დაბა ოქუმში გაეხსნა უფასო ბიბლიოთეკა და წიგნის პატარა მაღაზია. ამ წამოწყების მიზანი ნათელია. იმ შავბნელ დროში ხალხში წიგნის გავრცელება, განათლების შეტანა დიდი საზოგადოებრივი საქმე იყო. მაგრამ ამ ღონისძიების გატარება აწყდებოდა ბევრ დაბრკოლებას. ბოლოს, 1894 წლის 22 თებერვალს, ივ. გეგიამ მიიღო ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის ნებართვა ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. ბიბლიოთეკის გახსნას გამოეხმაურა ფართო საზოგადოებრიობა, მაშინდელი ქართული პრესა. პირველი ცნობა ოქუმში ქართული წიგნთსაცავის დაარსების თაობაზე დაიბეჭდა 1893 წლის „ივერიაში“ (№237).[2] ზემოთ დაციმოწმე ციტატა თედო სახოკიას წერილიდან ოქუმის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნ. „მოამბეში“.

---

[1] ნ. შონია, ნაშრომი საქართველოს წიგნსაცავებზე, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 10 იანვარი, 1970.

[2] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 84-85.

მოწინავე საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე გეგიას მიერ გადადგმულ ამ საშვილიშვილო ნაბიჯს. ამას აფასებდნენ ისინი, რომლებმაც იცოდნენ წიგნის ღირსება და მისი მნიშვნელობა ხალხში განათლების შესატანად. თუმცა, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთებიც ოქუმის ბიუროკრატთა მხრიდან, რომლებიც არაფრად აგდებდნენ წიგნთსაცავ-სამკითხველოს. ეს „თავგალაყებული ხალხი" კარგად ხედავდა თუ როგორ მოაგროვა ამ კეთილშობილმა ოქუმელმა ბიბლიოთეკის გასახსნელად 200 მანეთი, როგორ დაუმატა მას თავისი ჯიბის ფული, როგორ შოულობდა წიგნებს ბიბლიოთეკისათვის თვითონ თბილისელთა დახმარებითაც კი, მაგრამ უწიგნურთ, გონებადამახინჯებულთ ეს ყველაფერი სასაცილოდ არ ყოფნიდათ. თუმცა ივანე გეგია ამით გულს არ იტეხდა და სისრულეში მოჰყავდა თავისი მამულიშვილური ჩანაფიქრი. მოვუსმინოთ მისი „მოგონებებიდან" ერთ ნაწყვეტს:

„სულ მოკლე ხანში ნაცნობ-ამხანაგების დახმარებით მოვაგროვე 200 მანეთამდე, რაც დააკლდა ჩემი ჯიბის ფული დავუმატე... მაგრამ ოქუმის ბიუროკრატებს ბევრ არაფრად მიაჩნდათ ჩემი სამკითხველო: „Что за курятник построил И. Гегия в Окуме", — იძახდა სოფლის თავგალაყებული ხალხი... აგრე იწამლებოდა ჩემ მიერ დაწყებული კეთილი საქმე; მე გულს არ ვიტეხდი, წელიწადში ორ-სამ გზობით ჩავდიოდი თბილისში, იქ ვეცნობოდი თავ-კაცებს, ვიხმარებდი მათ, მაძლევდნენ ბიბლიოთეკისთვის წიგნებს".[1]

როგორც ცნობილია, ივანე გეგიას მიერ დაწყებული ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადო მოღვაწეები ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახით. როგორც ოთარ ჭურღულია შენიშნავს, მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის განკარგულებით ოქუმის ბიბლიოთეკას გამოუყო 300 მანეთის წიგნი. ოთარ ჟორდანიას მიერ მოძიებული დოკუმენტებიდან ჩანს,

[1] ი. გეგია, „მოგონებები", ს.მ.გ. №5280; შდრ. ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

რომ ოქუმის ბიბლიოთეკისთვის ფინანსური დახმარება გაუწევიათ ლავრენტი ბერძენიშვილს, ივანე კუკულავას, პავლე გეგენიძეს, ნესტორ სიხარულიძეს, კოლონიკე გოგოლაძეს, ილარიონ და ერმალონ ბერძენიშვილებს, სანდრო გოცირიძეს და სხვ.[1]

საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომლითაც ის ივანე გეგიას აცნობებს, რომ მან გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანს (იგულისხმება სოფრომ მგალობლიშვილი) დაუტოვა ათასი ცალი ქართული წიგნი და სთხოვდა ივანე გეგიას წიგნები უფასოდ დაერიგებინა სოხუმის მახლობელ მცხოვრებთათვის.

ივანე გეგიამ არა მარტო საკუთარი ჯიბიდან ამოიღო ბიბლიოთეკის ხის შენობის ასაგებად გარკვეული ოდენობის სახსრები, არამედ ორასამდე თავისი წიგნი შესწირა მას. იმ დროისათვის თავისი ოჯახური წიგნთსაცავიდან 200 წიგნის გატანა სოფლის ბიბლიოთეკისათვის თუ რამხელა პატრიოტული გადაწყვეტილებაა, ეს თავად მკითხველმა განსაჯოს. ივანე გეგიას თავდაუზოგავმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ბიბლიოთეკაში დასაწყისშივე თავი მოიყარა ხუთასზე მეტმა წიგნმა ქართულ და რუსულ ენებზე. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის... თხზულებებს გვერდი დაუმშვენა ტოლსტოის, ლერმონტოვის, პუშკინის, დოსტოევსკის, ალფონს დოდეს და სხვათა წიგნებმა.

რუსულ ადმინისტრაციას და მის აგენტ ადგილობრივ მკვიდრთ კარგად ესმოდათ, რომ ივანე გეგიას მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა ემსახურებოდა ხალხში განათლების შეტანას. ეროვნული კულტურის გამოღვიძებას, პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებას. გამომდინარე აქედან, ივანე გეგიას სიცოცხლეს უმწარებდნენ ავადსახსენებელი რუსი ეპისკოპოსი არსენი, მღვდლები: იასტრებოვი, გოლუბცოვი, სკოლების მეთვალყურე ალფეროვი, შავრაზმელი მღვდელი იოანე ქავჟარაძე. ამასთან დაკავშირებით გვინდა დავიმოწმოთ ოთარ ჭურღულიას მიერ ივანე გეგიას „მოგონებებიდან“ ამოწერილი ერთი ნაწყვეტი:

[1] გაზ. „ივერია“, 1896, 15 მარტი, №74; შდრ. ო. ჭორდანიას დასახ. წერილი, გვ. 16.

„რაც დრო და ხანი გადიოდა, ჩემი ბიბლიოთეკა საერო და უფრო სასულიერო საქმეში მოკალათებულ რუს მოხელეებს თვალში ეკალივით ეჩხირებოდა და მე, პოლიტიკურად არასაიმედო პირს, ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ეპარქიის მეთაურმა უმაღლეს სასულიერო მთავრობამ, მისმა ხელქვეითებმა გაიჩინეს დამხმარედ მღვდლები და მასწავლებლები, დააკისრეს მათ ჯაშუშობა. გათახსირებული ეპისკოპოსი არსენი, მისი ერთგული მეკუდენი-მღვდლები იასტრებოვი, გოლუბცოვი, სკოლების მეთვალყურე ალფეროვი. ვინ იცის, რას არ თხზავდნენ ჩემი მასწავლებლობის და სამკითხველოს შესახებ. მათ მე დამაბეზღეს სოხუმის ჟანდარმის როტმისტრთან“.[1]

ტ. ხუნდაძე წერს: „სოფ. ოქუმის სამკითხველოს გამგეს ივანე გეგიას ჟანდარმებმა გაჩხრეკისას უპოვეს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი, რომელშიც ის აძაგებს ქავჭარაძეს და მასწავლებელ ბორის ხორავას, რომლითაც ის ქართული ენის დევნისთვის ქართველი ხალხის საზიზღარ შვილებს უწოდებს“.[2]

ასე რომ, საქართველოს დაპყრობით, მოსახლეობის დამონებით, ქართველი საზოგადოების გარუსების ვირუსით შეპყრობილი რუსი მოხელენი, ადგილობრივი გადაგვარებული ქართველთა ნაწილის ხელშეწყობით ყოველმხრივ ცდილობდნენ, გასაქანი არ მიეცათ ივანე გეგიას დარი მედგარი ქართველი პატრიოტებისთვის ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისათვის გამიზნული ნებისმიერი ქმედებისათვის: ქართული ენის დაცვა, წიგნებისკენ მიდრეკილება, პატრიოტული მასწავლებლობა და ა.შ. ივანე გეგიას და მისი მსგავსი პროგრესულად მოაზროვნე ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი უკან არ იხევდნენ და საკუთარი სიცოცხლის ფასად მიიწევდნენ დასახული მიზნისკენ. ისინი ვერ შეაფერხა ვერც მუქარამ, დაშინებამ, მუდმივმა თვალთვალმა, დევნამ, გადასახლებამ. მათ ხომ ორ ფრონტზე უხდებოდათ ერთბაშად ბრძოლა-ცარისტული ავისმოსურნე ხელისუფლებისა და ადგილობრივი, რუსების მიერ

[1] ი. გეგია, „მოგონებები“, ს.გ.მ. №6280, გვ. 24-25; შდრ. ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 86.

[2] ტ. ხუნდაძე, თედო სახოკია, წიგნში: „თედო სახოკია“, თბ., 1969, გვ. 68.

მოსყიდული და გადაბირებული ჯაშუშების, ანუ იასტრებოვ-გოლუბცოვებისა და ქავჭარაძე-ხორავების წინააღმდეგ.

ივანე გეგიას თავგანწირული ბრძოლის შედეგად შენარჩუნებულ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რასაც გზადაგზა ამდიდრებდა წიგნებით. ბიბლიოთეკას თვითონვე ედგა სათავეში, მისი სარგებლობა უფასო იყო. სოლომონ ცაიშვილის მიხედვით. ბიბლიოთეკის არსებობის ძირითად წყაროს საწევრო გამოსაღები და შემოწირულობანი შეადგენდა.[1]

ივანე გეგიას მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა კომუნისტების მოსვლის შემდეგაც, შეიძლება ითქვას, „კბილებით ეჭირა“. იგი ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა დაარსებიდან ანუ 1894 წლიდან 1929 წლამდე, ვიდრე იგი ქობ-სამკითხველოდ არ გადაკეთდა. სამწუხარო ფაქტია, რომ 1993 წელს აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ეს ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავიც შეიწირა. აფხაზმა ვანდალებმა დაწვეს და გაანადგურეს. დაიწვა ქართველ მოღვაწეთა ავტოგრაფებით დამშვენებული წიგნები.

რევოლუციურ ორგანიზაციაში. თანამოაზრეებთან ერთად, ივანე გეგია თავგანწირვით ებრძოდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, მის სხეულში მედგრად ტრიალებდა რევოლუციური სული და განწყობილება. როგორც ცნობილია, თედო სახოკია და მიხა ცხაკაია მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ, ზაქარია ჭიჭინაძე კი – უერთგულესი მეგობარი. მათთან ურთიერთობით იმშვიდებდა სულს, შეძლებისამებრ მათგან ხშირად იძენდა აკრძალულ გაზეთებს: „Народная воля“, „Земля и воля“. ჩამოჰქონდა ეს გაზეთები სამურზაყანოში.

XX საუკუნის დასაწყისში ოქტომში ივანე გეგიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს პატარა რევოლუციური ორგანიზაცია. მასში გაწევრიანებული იყვნენ: ივანე გეგია, ნ. შენგელია (მასწავლებელი), ი. გიორგაძე, გ. ოქროპირიძე (მასწავლებელი), ალექსანდრე შენგელაია, მ. შენგელაია. ამ ჯგუფს კონსპირაცია სასტიკად ჰქონია

[1] ს. ცაიშვილის დასახელ. წერილი, გვ. 370.

დაცული. მათ თბილისიდან ლიტერატურას აწვდიდნენ ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია და მიხა ცხაკაია, ქუთაისიდან კი — სამსონ კილაძე.[1]

ამასთან დაკავშირებით, თავისი ცხოვრების მიწურულს აი, რას იხსენებდა ივანე გეგია: „ადგილობრივი სკოლის მასწავლებლობა ყველანი შემოვუსხდებოდით მაგიდას და სულგანაბული ვკითხულობდით, შევისწავლიდით და შემდეგ გადავცემდით ს. გუფში მასწ. პ. ჭარაიას, ის გადასცემდა სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელ ა. ჭედიას. და ასე ამ რიგით ნელ-ნელ ინერგებოდა სოციალისტური შეგნება ხალხში. იმ დროს ძალიან ჭირდა საიდუმლო ფოსტის გაგზავნა, მაგრამ ორი თვის განმავლობაში ყველა ქვემოჩამოთვლილ ორგანიზაციებს დაივლიდა არალეგალური ლიტერატურა".[2]

ივანე გეგიას და მის ჯგუფს ეგონათ, რომ მკაცრად გასაიდუმლოებით მოქმედებდნენ, მაგრამ არ ეძინა მტერს, ჟანდარმერიას რას გამოაპარებდნენ. მათ დატუსაღება და გადასახლება ელოდათ. ისინიც უკვე მიხვდნენ, რომ მათ თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. ივანე გეგიას რჩევის მისაღებად თბილისში ჩავიდა ილია ჭავჭავაძესთან. დიდმა ილიამ იცოდა, რომ ეკატერინე გაბაშვილი დაახლოებული იყო მეფის მოხელეებთან და სწორედ მას მისწერა წერილი ივანე გეგიას გადასარჩენად: „პატივცემულო ეკატერინე რევაზის ასულო! სალამი! ამ წერილის მომტანი ჩემი კარგი ნაცნობია და სამურზაყანოს ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი. დედა-ენისათვის თავდადებული მოღვაწეა. რაც გითხრას, მოუსმინე და შენებურად საქმე მოუგვარე".[3] ეკატერინე გაბაშვილმა, მართალაც, მისებურად მოაგვარა საქმე და ივანე გეგია თანამოაზრეებთან ერად გადასახლებას გადაურჩა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ამ ნათელ ეპიზოდშიც კარგად ჩანს მისი დიდბუნებოვნება, სწორუპოვარი მამულიშვილობა, განსაცდელში ჩავარდნილისთვის დახმარების ხელის გაწოდება. მას

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 80.

[2] ი. გეგია, „მოგონებები", ს.გ.მ. №6281, გვ. 28-29; შდრ. ო. ჭურღულიას დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[3] იქვე, გვ. 79.

გულთან ახლოს მიჰქონდა საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრთა გასაჭირი, განსაკუთრებით — აფხაზეთის მკვიდრთა. ივანე გეგიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავის „მოგონებებში“ გულმართლად წარმოაჩინა დიდი ილიას სახე-ხატი, მისი ღვაწლი და ამაგი, თავდაუზოგავი ბრძოლა ცარისტული ხელისუფლების ავი ზრახვების წინააღმდეგ. ქართველი ერის ინტერესების და ქართული ენის დაცვა, საქართველოს მთლიანობის იდეის განხორციელება. დიდ ილიას განსაკუთრებით ადარდებდა ქართული ენის მდგომარეობა აფხაზეთ-სამურზაყანოში თუ სამეგრელოში. ყველას გულში უნერგავდა იმ ჭეშმარიტებას, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოში ქართული ენის პოზიციების შერყევა, მისი დევნა და მოსპობა საქართველოს ერთიანობის დაშლის უმთავრესი იარაღი იყო, რაც ცარისტული ვაიხელისუფლების ოცნებას წარმოადგენდა.

„ძართულ პარტიაში“. რაც დრო გადიოდა, რუსოფილური სამთავრობო გადაწყვეტილებების არსს შეადგენდა საქართველოს დანაწევრება ცალკეულ კუთხეებად, ეროვნული კულტურის დაკნინება და იავარყოფა, ქართული ენის დევნა-შევიწროება, ეროვნული მოძრაობის აქტივისტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. ეს ყველაფერი სულს უწამლავდა ქართველ საზოგადოებას და ზრდიდა მასში ცარიზმის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობას. საზოგადოების მოწინავე და პროგრესული ძალების მხრიდან გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თავკაცობით. ამ მიმართულებით თავგანწირული ბრძოლა იყო გასაშლელი განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც ცარიზმის რეჟიმი სასტიკად დევნიდა ქართულ ენას და ყოველივე ქართულს, შთააგონებდნენ აფხაზებს, რომ აფხაზეთი ისტორიულად არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი, რომ აფხაზებს ქართველებთან საერთო არაფერი აკავშირებს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი დამწერლობა ორიგინალური კულტურის განსავითარებლად და ა.შ.

ეს ყველაფერი მკვიდრ პატრიოტ ქართველებში იწვევდა სასტიკ პროტესტს რუსული კოლონიზატორული პოლიტიკისადმი.

მწიფდებოდა მოთხოვნილება სამურზაყანო-აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ამოქმედებისა. აფხაზეთში ეროვნული ძალების გაერთიანების სათავეში მოექცა თედო სახოკია. ისინი ვერ ეგუებოდნენ მოსახლეობის რუსიფიკაციას, აფხაზეთის ქართული მოსახლეობის სკოლებში და ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვას და განდევნას. სამურზაყანო-აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის ბურჯებად 1895 წლიდან გვევლინებიან: თედო სახოკია, ივანე გეგია, ანთიმოზ ჯუღელი, სპირიდონ ნორაკიძე, ივანე ბურჭულაძე, გრიგოლ კანდელაკი, ს. კანდელაკი, ფარნა დავითაია. ამ ჯგუფის თანამგრძნობი იყვნენ პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია.

ეს პატრიოტული ჯგუფი პირველად „ქართულ პარტიად" მონათლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა თბილისში მეფისნაცვლისთვის წარდგენილ ასეთი სახელწოდების ტექსტში, რომელიც დაბეზღების ხასიათს ატარებდა. მასში მოხსენებული არიან: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი. ივანე გეგია, გრიგოლ კანდელაკი, ივანე ბურჭულაძე, ფარნა დავითაია, სპირიდონ ნორაკიძე:

„Об исследовании политической благонадёжности проживающих в Сухумской округ Редома Тимофеевича Сахокия, Антимозе Ивановича Джугели, Ивана Константиновича Гегия, Григория Ивановича Канделаки, Ивана Гавриловича Бурчуладзе, Парны Николаевича Давитая и Спиридона Левановича Наракидзе, являющихся главными представителями груяинской партии, противодействующей мероприятиями правительства по населения округа, и принятия против них административных мер воздействия". ამ დოკუმენტს მიაკვლია ოთარ ჭურღულიამ საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმში, რომელიც შეიცავდა თურმე თაბახის 50 გვერდს.[1]

მკვლევარს ამ დოკუმენტიდან მოაქვს ნაწყვეტი, სადაც საუბარია თედო სახოკიაზე: „Он путем печати старается добиться преподавания грузинского языка, как родного, в селах Сухумско-

[1] ო. ჭურღულია, ნარკვევები, გვ. 65.

го округа с мингрельским населением, признавая что этим путем он способствует легчейшему изучению русского языка".[1]

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით აპოლონ სილაგაძემ და ვახტანგ გურულმა გაარკვიეს სპეციალურად აღნიშვნის ფაქტი, რომ „ქართული პარტიის" წევრნი გამხდარან სასულიერო პირნიც: დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდეგში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი აქვსენტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი. ქართულ პარტიაში დაუწყია თავისი მოღვაწეობა ცნობილ პოლიტიკურ ფიგურას, შემდეგში ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ საგარეო საქმეთა მინისტრს, ივანე ჩხენკელის შვილს — აკაკი ჩხენკელს.[2]

დასახელებული მკვლევარნი მიუთითებდნენ, რომ თედო სახოკიას მიერ შექმნილ ქართულ პარტიასთან იყვნენ დაკავშირებულნი და მას თანაუგრძნობდნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ეპისკოპოსი კირიონი (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე), ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) და სხვ. ქართული პარტია მარტო აფხაზეთში არ მოქმედებდა, ქსელი ჰქონდა გაბმული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.[3]

საინტერესოა, რომ „ქართული პარტიის" საპროგრამო მოთხოვნაში შედიოდა აგრეთვე ყურადღების გამახვილება აფხაზების ხვედრზე. მათი აღზრდა ქართულ სკოლებში, აფხაზი მრევლისთვის ღვთის-მსახურების აღსრულება ქართულ ენაზე და სხვ.

„ქართული პარტიის" მამულიშვილურ საქმიანობას მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოება, საქარველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ თვითონ რუსეთის დემოკრატიული ძალებიც. ამ მხრივ, საგულისხმოა თედო

[1] ო. ჯურულია, ნარკვევები, გვ. 65-66.

[2] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, 1999, გვ. 16.

[3] იქვე.

სახოკიას თანამშრომლობა პეტერბურგის ბეჭდვით ორგანოებში. მან 1900 წელს (№17) „პეტერბურგსკიე ვედომოსტ“-ში გამოაქვეყნა კორესპონდენცია „სოხუმიდან“. ამ ვრცელი წერილით იგი ამცნობდა რუსეთის მოწინავე პროგრესულ საზოგადოებას თუ როგორ იქცეოდნენ აფხაზეთში მეფის მოხელენი, თუ როგორ უკრძალავდნენ ქართველ მრევლს ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას.

სწორედ ამ პუბლიკაციამ გამოიწვია ადგილობრივი ადმინისტრაციის შეშფოთება, — წერს ოთარ ჟორდანია, — ის სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის არსებობის შესახებ ალაპარაკდა, რომელიც რუსი მოხელეების მტკიცებით, მიზნად ისახავდა ქართული სამეფოს აღდგენას, აფხაზეთიდან რუსული ენის განდევნას, აფხაზების გაქართველებას, სკოლებში ქართულის სწავლებითა და ეკლესიებში ღვთისმსახურების ენად ქართულის შემოღებით. კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ ეს მოძრაობა ამიერკავკასიაში გავლენის მქონე „ქართულ პარტიად“, ხოლო აფხაზეთელი ნაციონალები ამ პარტიის ადგილობრივ აგენტებად მონათლა“.[1]

როგორც ა. სილაგაძე და ვ. გურული მიუთითებენ, „ქართული პარტიის“ წევრებს რუსული ადმინისტრაცია ბრალად სდებდა რუსოფილური სამთავრო ღონისძიებების ჩაშლის მცდელობას. საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის ხელყოფას.[2] კავკასიის ადმინისტრაცია მოითხოვდა მათ გაძევებას აფხაზეთიდან. ჟანდარმერიამ ღიდი ხნის გამოძიების მიუხედავად ვერ შეძლო სამხილის პოვნა „ქართული პარტიის“ წევრთა დასასჯელად. თუმცა ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯუღელს, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭულაძეს, ფარნა დავითაიას, სპირიდონ ნორაკიძეს წილად ხვდათ რუსეთში გადასახლება უვადოდ. ა. სილაგაძის და ვ. გურულის მიერ მოძიებული დოკუმენტის მიხედვით, ივანე გეგია გადაუსახლებიათ სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ოდესაში. ეს მოხდა 1904 წელს. თუმცა 1905

[1] ო. ჟორდანიას დასახ. წერილი, გვ. 19.

[2] ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. II, გვ. 71.

წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. ეს გამოწვეული იყო რუსეთ-იაპონიის ომით და უკვე დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით. ამის გამო ცარისტული ხელისუფლება უკან იხევს და ივანე გეგიას, სხვა გადასახლებულებთან ერთად, საქართველოში გაისტუმრებს.

ამან ვერ გატეხა „ქართული პარტიის“ წევრები. ისინი ჩვეული ენერგიით აგრძელებდნენ ბრძოლას რუსული კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ასე ჩაიწერეს მათ თავი საქართველოს ისტორიაში, როგორც ცარიზმის ანტიქართული მოქმედებების წინააღმდეგ შეუპოვარმა მებრძოლებმა. ივანე გეგია სულიერად არ გატეხილა. 1905 წლიდან იგი არ მოწყვეტილა თავისი სამაშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ერთხანს ივანე გეგია დაამწუხრა იმ რევოლუციის დამარცხებამ, რომელსაც თანაუგრძნობდა და რომლის დიდი იმედი ჰქონდა, ვინაიდან იგი მიაჩნდა ცარიზმის მსახვრალი ხელებიდან საქართველოს გათავისუფლების გარანტად. ეს იყო პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ამას დაემატა 2 წელიწადში ქვეყნისთვის თავს დამტყდარი უბედურება — ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობა. დიდ ილიასთან ის ხომ 1885 წლიდან მეგობრობდა. ივანე გეგიას კარგად ესმოდა, რომ ილიას ტრაგიკული აღსასრული შეასუსტებდა საქართველოში ეროვნულ მოძრაობას, რაც ასეც მოხდა.

ძართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამსახურში გაწევრიანება. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ პარტიას ფაქტიურად ერთი და იგივე საბრძოლო პროგრამა ჰქონდათ: საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლა, ქართველი ერის ინტერესების დაცვა, ქართული ენის დაცვა და მისი სწავლების გაუმჯობესება, ქართული კულტურის მოვლა-შენახვა და განვითარება, მოსახლეობაში წიგნების და ჟურნალ-გაზეთების შეტანა და გავრცელება, საქართველოს ძირძველი მხარის

– აფხაზეთის ინტერესების დაცვა და ა.შ. ასე რომ, „ქართული პარტია“ ფაქტიურად აღნიშნული „მოძრაობისა“ და „საზოგადოების“ იდეოლოგიიდან ამოდიოდა.

ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. ამ საზოგადოებას იმთავითვე დაუკავშირდნენ აფხაზეთის პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტი ქართველები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ივანე გეგია. იგი, როგორც „ივერიის“ მუდმივი კორესპონდენტი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეების ერთგული, დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს 1885 წლიდან. კვლავ მოვუსმინოთ ერთ ნაწყვეტს ივანე გეგიას „მოგონებებიდან“: „აი ამ გარემოებამ დამაახლოვა ილიასთან, ვინახულებდი და მთელი საათობით მეკითხებოდა ქართული ენის ავსა და კარგს აფხაზეთ-სამურზაყანოში და ნაწილობრივ სამეგრელოსაც შევეხებოდით ხოლმე. იმ დროს სამეგრელოში მთავრობის დახმარებით მძვინვარებდა აშორდიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოსგან და მეგრულ ენაზე წერა-კითხვის შემოტანა. რაც შეეხება აფხაზეთ-სამურზაყანოს გარუსების პოლიტიკას, თვით მთავრობის გავლენით ვითარდებოდა. აქ დაწყებული უბრალო ურიადნიკიდან უმაღლესი სამღვდელოება და ადმინისტრაციამდე ქართველებს სდევნიდნენ, ქართულ ენას სპობდნენ სკოლებში, ქართული ენის სწავლებას რომელ მასწავლებელსაც შენიშნავდნენ, ადგილიდან ითხოვდნენ, რაც მე თვით ორ-სამგზობით შემხვდა ამნაირი დასჯა. როდესაც ილიას გადავცემდი, – განაგრძობს ივანე გეგია, – აქ ნახულ და მომხდარ ამბავს, ღრმად ამოიხვნეშდა და მეტყოდა: არაფერია, ყმაწვილო, они далеко не пойдут. пусть говорят, что хотят. წამოსვლისას ილიას დავუტოვებდი ადრე დამზადებულ კორესპონდენციებს სხვადასხვა საკითხებზე, გამოვემშვიდობებოდი და წამოვიდოდი. გზად შევიარდი მიხა ცხაკაიასთან, თედო სახოკიასთან. ზაქარია ჭიჭინაძესთან. მიხა

და თ. სახოკია ჩემი სკოლის ამხანაგები იყვნენ. ზაქრო კი ჩემი ერთგული ამხანაგი. ამათგან ხშირად ვიძენდი აკრძალულ გაზეთებს „Народная воля“-სა და „земля и воля“-ს, ჩამომქონდა ოქუმში“.[1]

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, თავის დროზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის განკარგულებით ოქუმის ბიბლიოთეკას გამოუყო 300 მანეთის სხვადასხვა წიგნი. როგორც სოლომონ ცაიშვილი აღნიშნავს, ივანე გეგია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით გაეცნო და დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ყაზბეგს, ცახელს, დავითაშვილს.[2]

გავიდა დრო, მომწიფდა აზრი და მოთხოვნილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების დაარსებისა. ეს დიდი საქმე გადაწყდა 1916 წელს. ლ. გოდერიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილება დაარსდა 1916 წელს დაბა გალში. დიმიტრი ემხვარის, მღვდელ მ. ქეცბაიას, ივანე გეგიას და სხვათა ინიციატივით. განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე გეგია“.[3] ოთარ ჟორდანიას მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ამ მამაშვილურ საქმეში თავიანთი წვლილი შეუტანიათ ასევე პეტრე ჭარაიას და სამსონ სვანიძეს“.[4]

როგორც ლ. გოდერიძე შენიშნავს, თავიდანვე ქ.შ.წ.კ.გ.ს. სამურზაყანოს განყოფილების წევრთა რიცხვი 165 კაცს შეადგენდა. ივანე გეგიას ძალისხმევით 1917 წლისთვის ეს ციფრი 205-მდე გაიზარდა.

---

[1] ციტატა ამოღებულია ო. ჭურლულიას დასახ. წიგნიდან, გვ. 79-80.

[2] სოლ. ცაიშვილის დასახელებული სტატია, გვ. 307.

[3] ლ. გოდერიძე, კულტურულ საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX ს. II ნახ. და XX საუკ. დასაწყისში, თბ., 2005 წელი.

[4] საქართველოს ისტ. არქ. ფონ. 481, საქმე 1576, ფურც. 4-5; შდრ. ო. ჟორდანიას დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ამავე წელს განყოფიელბის შემოსავალი 2488 მანეთს შეადგენდა.[1] 1917 წელს მიუხედავად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, სამურზაყანოს განყოფილებამ შეძლო გაეხსნა შვიდი უფასო სამკითხველო. აქ უნდა დავასახელოთ ის სოფლები, სადაც ეს გამხდარა შესაძლებელი: ოტობაია, ბარღეფი, ჭუბურხინჯი, აჩიგვარა, ოქუმი, საბერიო.[2]

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილება ივანე გეგიას მეთაურობით აქტიურ მოღვაწეობას და შრომატევად საქმიანობას ეწეოდა: მართავდა ქართულ წარმოდგენებს, ქართულ წიგნებს უგზავნიდა რუსეთში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას, ახალკურსდამთავრებულებს აწყობდა ქართულ სკოლებში, უწევდა მატერიალურ დახმარებას, მოსახლეობას აწვდიდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ზრუნავდა სამურზაყანოში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის, აწყობდა ეროვნულ სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედებით საღამოებს და სხვა სახის ღონისძიებებს.

მართალია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობა არ აკლებდა ყურადღებას სამურზაყანოს განყოფილებას, მაგრამ, ეტყობა, ივანე გეგიას არ აკმაყოფილებდა ეს „ყურადღება“. ლ. გოდერიძეს საკითხზე მუშაობისას ეს არ გამოპარვია მხედველობიდან. მან მიაგნო ამ მხრივ საგულისხმო ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ სამურზაყანოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ივანე გეგია არაერთგზის თხოვდა დახმარებას საზოგადოების მთავარ გამგეობას, განსაკუთრებით მიუთითებდა იმ ფაქტორზე, რომ სამურზაყანო ყოველთვის უყურებდა საქართველოს, როგორც თავის დედას და ამიტომაც მეტ ყურადღებას იმსახურებდა მისი აზრით, ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო სამურზაყანოში ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება

[1] ცსსა, ფონ. 484, ფონ. 1576, ფურ. 2; შდრ. ლ. გოდერიძის დასახ. წიგნი.
[2] ლ. გოდერიძის დასახ. ნაშრომი.

და ქართული ენის კურსების გახსნა.[1]

მიტინგზე სიტყვით გამოსვლის მეძო. ქართველ ხალხს, ასევე სამურზაყანოს მკვიდრთ თებერვლის 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდათ. სჯეროდათ, რომ იწყებოდა საქართველოს რუსეთისგან გამოხსნის ბედნიერი დღეები, რაც ქვეყნის თავისუფლების გარანტად მიაჩნდათ. გამომდინარე ამ საზეიმო განწყობილებიდან, 1917 წლის 26 მარტს სამურზაყანოში იქუხა მრავალათასიანმა მიტინგმა, სადაც სიტყვით გამოვიდა ივანე გეგია, რომელმაც იქ დამსწრეთ მიულოცა რევოლუციის გამარჯვება.[2]

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ნანატრი დღე გაუთენდა. ჩვენმა ქვეყანამ აღიდგინა დიდი ხნით დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობა. ზეიმობდა ქართველი ერი, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხე, ბუნებრივია, სადღესასწაულო განწყობამ მოიცვა სამურზაყანოც. მთელი საქართველოს მასშტაბით გამართულ მრავალათასიან მანიფესტაციებს და მიტინგებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად შექმნილი მთავრობის მხარდასაჭერად შეუერთდა სამურზაყანოც. 1918 წლის 28 მაისს გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ივანე გეგიამ.[3]

აღსანიშნავია, რომ ივანე გეგიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში, სადაც სამურზაყანოელთა სახელით სიტყვაც წარმოთქვა.[4] მისი გამოსვლა განპირობებული იყო აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირში გაწევრიანების თაობაზე სამურზაყანოს მოსახლეობის დამოკიდებულების წარმოჩენით. ბუნებრივია, ივანე გეგიამ მხარი დაუჭირა აფხაზეთის (სოხუმის ოლქის) საქართველოსთან გაერთიანების აუცილებლობას და მისთვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მინიჭებას, რამეთუ

---

[1] ცსსა, ფონ. 481, საქ. 1576, ფუ. 2; იხ. ლ. გოდერიძის დასახ. წიგნი, გვ. 283.

[2] ვ. ზუბბაია, ივანე გეგია, გაზ. „მაზარია“, 2004 წელი, №6.

[3] ო. ჟორდანიას დასახ. წერ. გვ. 23.

[4] ეს სიტყვა დაიბეჭდა 1917 წლის 30 ნოემბრის გაზ. „ალიონში“. შდრ. ვ. ზუბბაია, ივანე გეგია, გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 14 აგვისტო, 1998.

სამურზაყანოელები და აფხაზები ძმები იყვნენ და მომავალშიც ასე დარჩებიან.[1] 1918-1921 წლებში ივანე გეგია იყო გალის რაიონის ერთობის წევრი და განაგებდა სასწავლო ნაწილს.[2]

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხებამ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობამ ანუ დამოუკიდებლობა-თავისუფლების კვლავ დაკარგვამ, ბუნებრივია, მომაკვდინებელი დაღი დაამჩნია ივანე გეგიას ოპტიმიზმს, მაგრამ გულს არ იტეხდა, კვალვ მომავლის იმედით აგრძელებდა ცხოვრებას.

ე.წ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი არ განდგომია ცხოვრებას, საზოგადოებას. კვლავ მასწავლებლობას დაუბრუნდა, გალის ცხრაწლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად დიდხანს მოღვაწეობდა. ეწეოდა ჩვეულ ფიზიკურ შრომას. სოლ. ცაიშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, საკუთარი შრომით მოაწყო კოლმეურნეობაში მექათმეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა. მრავალფეროვანი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მხცოვანი მასწავლებელი ბევრჯერ დაჯილდოვდა სიგელით, პრემიებით, ფულადი სახსრებითაც კი.[3] თუმცა საბჭოთა ხელისუფლებას ივანე გეგიას პიროვნება გულზე რომ არ ეხატა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან სიკვდილამდე (1941) ვერაფრის გამოქვყენება ვერ მოახერხა. ალბათ, „გლავლიტი“ იყო მუდამ უარზე. ოთარ ჟორდანიამ ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივის ზაქარია ჭიჭინაძის ფონდში აღმოაჩინა 1924 წელს ივანე გეგიას მიერ ზ. ჭიჭინაძისადმი მიწერილი ბარათი, სადაც წუხილია გამოხატული, თუ რატომ არ იბეჭდებოდა მისი ნაწერები: „რაშია საქმე არ ვიცი, „გლავლიტმა“ თუ უარი გითხრა ნებართვაზე, ეცადე ამხ. მახარაძე და ცხაკაია მოიხმარიო ნებართვის ასაღებად. ზოგიერთი

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1917, 12 აპრილი, №21; შდრ. ო. ჟორდანიას დასახ. წერილი. გვ. 23.

[2] წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებ. შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2006, გვ. 243.

[3] სოლ. ცაიშვილის დასახ. წერილი, გვ. 369.

ნაწერები თუ თანამედროვე შინაარსისანი არ არიან, თავის დროზე ხომ ამათ ფასი და პატივი ჰქონდა და თუ მაშინვე ვერ გამოვეცი, ისეთი დრო იყო, ახლა რა თუნდა დაუდგეს წინ მის გამოქვეყნებას."[1] მის გამოქვეყნებას ბარიერს უქმნიდა სწორედ ის, რომ თურმე ეს ლექსები „თანამედროვე შინაარსიანი" არ იყო. ეტყობა, „საბჭოურ" თემატიკას სათოფედ არ ეკარებოდა ივანე გეგია, ამიტომაც დარჩა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მისი ნაწარმოებები გამოუქვეყნებელი.

როგორც 1926 წელს ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, იმ დროისათვის ივანე გეგიას 40 ლექსი. 80-მდე აფორიზმი და ანდაზა, მოკლე ავტობიოგრაფია, მოგონებები ჰქონია გამოსაცემად მომზადებული, უნდოდა „სიკვდილზე დაესწრო და სიცოცხლეში დაებეჭდა"[2] ისინი, მაგრამ ამაოდ. ივანე გეგიამ კომუნისტური რეჟიმის სინამდვილეში ზუსტად 20 წელი იცხოვრა, მაგრამ ეტყობა, მისი პოეტური ჩანგი ბოლშევიკური წყობილების ამსახველ თემებზე არ დახურდავებულა, არ უმღეროდა დითირამბებს წითელ ბელადებს და პარტიას, იმ ანტიადამიანურ ქმედებებს, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა.

საბჭოთა წყობილების დამყარებას 1921 წლიდან საქართველოსთვის სიკეთე რომ არ მოუტანია, ამას ივანე გეგია სხვებზე უკეთ ხედავდა. პროგრესულად მოაზროვნე ქართველებთან ერთად, იგი იმედგაცრუებულია და ამას ლექსშიც ამხელდა. 1928 წელს დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ თავის ერთ-ერთ ლექსში „სინამდვილე" მოთქმის ტონით ამბობს:

„იმედები გამიცრუვდა,
დავრჩი ბოლოს მაჩანჩალა.
ოცნებით გატაცებულსა
გამომეველო პირში ჩალა".[3]

ოთარ ჟორდანიას მოვუსმინოთ: „საბჭოთა იმპერიისთვის დამახა-

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 139.
[2] იქვე, გვ. 140.
[3] იქვე, გვ. 84.

სიათებელი პოლიტიკური დევნა-შევიწროება ივანე გეგიასაც შეეხო. 1937 წელს, თითქმის 80 წელს მიტანებულ მხცოვან მოღვაწეს ბრალად სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრობა წაუყენეს. საბედნიეროდ, მან შეძლო თავის გამართლება.[1]

ოჯახი. ივანე გეგია არა მხოლოდ უბადლო საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ თურმე დიდებული მეოჯახეც. იგი დაქორწინებულა 1890-იანი წლების დამდეგს. მისი მეულღე ყოფილა მარიამ გიორგაძე, სათნო, გონიერი და კეთილშობილი მანდილოსანი. მათ სახელოვანი შვილები აღზარდეს კონსტანტინე და თამარ გეგიების სახით. როგორც ოთარ ჟორდანია შენიშნავს, კონსტანტინემ (1893-1963) და თამარმა (1900-1969) ღირსეულად გააგრძელეს ოჯახური ტრადიცია და ერთგულად ემსახურნენ თავიანთ ქვეყანას. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი თამარ გეგია-ჭანტურია დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს თამარ გეგიასა და გრიგოლ ჭანტურიას შვილებმა: რეჟისორმა ნელი ჭანტურიამ (1925-1987), ექიმმა მედეა ჭანტურიამ (დაბ. 1942).

ივანე გეგიას შვილიშვილი — ივანე კონსტანტინეს ძე გეგია (1919-1998) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ წარმატებით საქმიანობდა პედაგოგიურ სფეროში. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სადაც მძიმედ დაიჭრა. დიდხანს იყო ოჩამჩირის №1 საშუალო სკოლის დირექტორი (იხ. გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 17 აპრილი, 1998). ივანე გეგიას პირდაპირი შთამომავლები — თამარ ივანეს ასული (დაბად. 1944 წ.) და დავით ივანეს ძე გეგია (დაბად. 1960) შვილებთან ერთად თბილისში ცხოვრობენ.[2]

ივანე გეგია გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალულია სოფლ ოქუმში (გალის რაიონი).

---

[1] ი. გეგია, გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 84.

[2] მონაცემები გადმოწერილია ო. ჟორდანიას დასახ. წერილიდან, გვ. 11.

ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის უბადლო მკვლევარი

შტრიხები პროფ. ოთარ ჭურღულიას ბიოგრაფიისათვის: დაიბადა 1926 წელს ქ. ოჩამჩირეში პედაგოგების ოჯახში. დედა — ქალბატონი ელენე თურქია გახლდათ შესანიშნავი ბიოლოგი. საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, მამა — გრიგოლ ჭურღულია იყო რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, უგანათლებულესი პიროვნება. ბატონი ოთარი მამას მუდამ თავის იდეალად აღიარებდა, ისევე როგორც იოსებ ბოცვაძეს და ნოდარ ლომოურს.

ოთარ ჭურღულიას მოწაფეობის ბოლო წლები დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის მძვინვარებას, თუმცა ამას მის წარმატებით სწავლაზე არ უმოქმედია. ეს ომი გამარჯვებით დასრულდა 1945 წელს და ეს წელი ბატონი ოთარისთვისაც გამარჯვებით დამთავრდა — სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. წარმატებით დაასრულა იგი 1949 წელს. 1949-1952 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია, პარალელურად აქტიურად მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე — „გიორგი წერეთლის რეალიზმი“.

ოთარ ჭურღულია 1952 წელს ბრუნდება მშობლიურ აფხაზეთში, მუშაობას იწყებს სოხუმის პედინსტიტუტში. 1955 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1957-1961 წლებში სოხუმის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგის ფაკულტეტის დეკანია. 1958-1961 წლებში გამოსცა თავისი ნაწერების ორტომეული — „კრიტიკული წერილების“ სახელწოდებით. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ იმთავითვე შეუდგა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას. საკვლევაძიებო პრობლემად აირჩია ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი. 1966 წელს გამოსცა მშვენიერი წიგნი — „ნარკვევები“. მაშინ მისი სტუდენტი ვიყავი, პირველკურსელი.

მახსოვს, ლექციაზე შემოსვლისთანავე ბატონმა ოთარმა გაგვაცნო „ნარკვევების“ სასიგნალო ეგზემპლარი. თვალებგაბარჩხალებით გვიყურებდა, როცა გვიყვებოდა ნიკო ჯანაშიაზე, თედო სახოკიაზე, პეტრე ჭარაიაზე, ივანე გეგიაზე, ანთიმოზ ჯუღელზე.

1966 წლის სექტემბერში აფხაზეთის საზოგადოებრიობამ სოხუმის ფილარმონიაში შეხვედრა მოუწყო თბილისიდან ჩამოსულ დიდ სტუმრებს: კონსტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძეს, ლადო გუდიაშვილს, ელგუჯა ამაშუკელს, როგორც რუსთაველის პრემიის ლაურეატობის პირველ კანდიდატებს. ამ საზეიმო შეხვედრას მეც ვესწრებოდი. მთავარი მოხსენებით გამოვიდა ბატონი ოთარ ჭურღულია. რუსულ ენაზე წარმოთქმულმა მისმა ბრწყინვალე სიტყვამ სტუმრები და მასპინძლები თანაბრად აღაფრთოვანა. სიტყვის დასრულებისას დიდ კონსტანტინეს უკითხავს, ვინ არისო ეს ახალგაზრდა კაცი, იმდენად მოსწონებია მისი გამოსვლა.

ოთარ ჭურღულია 1969 წელს აქვეყნებს დიდებულ მონოგრაფიას — „დავით ჩქოტუა“, იმავე წელს სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გაიყო ქართული ენის და ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებად. ქართული ენის კათედრის გამგედ დარჩა დოც. ნიკანდრო ბასილაია, ხოლო ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. ოთარ ჭურღულია. 1970 წელს იგი აქვეყნებს წიგნს გამოჩენილ ქართველ მსახიობზე მიხეილ ჩუბინიძეზე („მიხეილ ჩუბინიძე“).

1973 წელს ოთარ ჭურღულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე — „ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში“. დაცვის უშუალო დამსწრე და მოწმე გახლავართ. ეს იყო ყველაზე გახმაურებული დაცვა იმ პერიოდის საქართველოში.

თავისი სადისერტაციო ნაშრომი ოთარ ჭურღულიამ ცალკე მონოგრაფიად გამოაქვეყნა 1974 წელს სახელწოდებით — „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, ტ. I., იმავე წელს გამოსცა მცირე

მონოგრაფია „დიმიტრი გულია“. 1976 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1980 წელს გამოდის მისი კიდევ ერთი წიგნი – „აფხაზეთი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში“. ოთარ ჭურღულია 1982 წელს სცემს მეორე ტომს ნარკვევებისა ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. იმავე წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ზურაბ ანჩაბაძის დაჟინებული თხოვნით ინიშნება პრორექტორად სასწავლო მუშაობის დარგში. ამ თანამდებობაზე იგი დარჩა 1988 წლამდე.

1983 წელს თბილისში ქვეყნდება ოთარ ჭურღულიას სოლიდური წიგნი – „ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი“. იგი ორი თავისაგან შედგება: 1. ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში; 2. ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი XX საუკუნეში. მეტად საინტერესო წიგნი გამოსცა მკვლევარმა 1992 წელს – „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (წერილები და გამოკვლევები). იგი დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

1993 წლიდან აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ პროფ. ოთარ ჭურღულია 250 ათას ქართველთან ერთად დევნილად იქცა. ამავე წლის შემოდგომის მიწურულიდან იგი დაინიშნა თბილისში გადმოტანილი თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორის პირველ მოადგილედ. 1995 წელს წიგნისათვის – „სიტყვა ფიქრის სხეულია“ მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, 1998 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელი გახდა. 2004 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო წიგნი – „შარვაშიძეები“. პრორექტორობას წარმატებით უთავსებდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეობას. ისტორიულ მნიშვნელობის წიგნი შექმნა – „ერთი კათედრის მატიანე“. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას მთელი 36 წლის განმავლობაში უძღვებოდა (1969-2005).

ოთარ ჭურღულია გარდაიცვალა 2006 წლის 11 ივნისს თბილისში, 80 წლის ასაკში.

პროფ. ოთარ ჭურღულიას უყვარდა გამეორება დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებისა: „მწერლობა ლექსებისა და რომანების წერა როდია მხოლოდ, მათ უკან უნდა იდგეს დიდი ბუნების მოქალაქე, ჰუმანისტი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი“. დიახ, ოთარ ჭურღულიაც თავისი ნაწერების უკან იდგა, როგორც დიდი ბუნების მოქალაქე, ჰუმანისტი ადამიანი და ჭეშმარიტი მამულიშვილი. მას სხვათაგან გამოარჩევდა ნათელი გონება, ჯანსაღი აზროვნება, კეთილი სული, წრფელი და წმინდა გული, ზნეობრივი სიმაღლე, მახვილი ენა, ნიჭიერება, სიდარბაისლე. ერუდიცია, ელეგანტურობა, რაფინირება. დადიოდა მუდამ გარეგნულად, ფიზიკურად მოწესრიგებული, სუფთად და კოხტად ჩაცმული. მუდამ ადამიანის სიყვარულით იყო გათანგული. სხვისი წარმატება საკუთარ წარმატებასავით უხაროდა, სხვისი განსაცდელი თავის განსაცდელად მიაჩნდა.

ოთარ ჭურღულია იყო უებრო და უზადო ლექტორი. სტუდენტს იზიდავდა მისი უნივერსალიზმი. ენციკლოპედიური განათლება, მჭევრმეტყველება. მისი ლექციის მოსმენისას გექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს შენს წინ ლექტორის ნაცვლად მთელი კვლევითი ინსტიტუტი იდგა. ეს არ არის ჰიპერბოლა ან სათქმელის გადმოცემის ემოციური მუხტი. ეს გახლავთ 45 წლის წინანდელი, მაგრამ დღემდე ცოცხალი ჩემი შთაბეჭდილების გამომზეურება. სტუდენტთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი ტაქტი ჰქონდა. მთელი სტუდენტობა საკუთარი შვილებივით უყვარდა. ყოველთვის ცდილობდა სუსტი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდისათვის ხელი გაემართა. ვერ იტანდა სიზანტეს და სიზარმაცეს, რის გამოც ხშირად ღიზიანდებოდა, ენით „გაშოლტავდა“ კიდეც ასეთ სტუდენტს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისეთ მოიადას ჩაურთავდა, წარჩინებული თუ „გაშოლტილი“ სტუდენტები სიცილს ვერ იკავებდნენ. სასესიო თუ სახელმწიფო გამოცდებზე ახალგაზრდებს ოთარ ჭურღულიაზე უფრო მზრუნველი მამა საიდან გამოუჩნდებოდათ.

როგორც ითქვა, ოთარ ჭურღულია ქართული ლიტერატურის

ისტორიის კათედრას 36 წლის მანძილზე განაგებდა. იგი დღენიადაგ იბრძოდა მის გაძლიერებისათვის, ახალ-ახალი ხარისხდაცული კადრებით გამდიდრებისათვის. ამ ხნის მანძილზე მისმა რუდუნებამ ეფექტური ნაყოფი გამოიღო. ე.წ. რეფორმამდე კათედრას ჰყავდა მრავალი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. ვერ დაასახელებ 2005 წლამდელ მეორე კათედრას სოხუმის უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც ჰყოლოდეს 6 მეცნ. დოქტორი და 19 მეცნიერებათა კანდიდატი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: ოთარ ჭურღულია, ვახტანგ ვახანია, ლუარა სორდია, მარიამ მირესაშვილი, ნინო ვახანია, ტიტე მოსია; მეცნიერებათა კანდიდატები: ნანა არახამია, ლირა გაბუნია, აბესალომ გადილია, ინდირა გადილია, ირმა ზაქარაია, ველიკო თოდუა, მირანდა თოდუა, მედიკო კვარაცხელია, ნანა კუცია, სალომე კაპანაძე, ჯონი მარღანია, ციალა მესხია, რევაზ სალია, მარინე ტურავა, დარიკო ფიფია, რუსუდან ფიფია, ჯემალ ხარებავა, მარინე ჯაიანი, ლელა ჯაფარიძე. როგორც კი ნიჭიერებას და შრომისმოყვარეობის უნარს შეატყობდა სტუდენტს, იმთავითვე იწყებდა ზრუნვას მის სწორ გზაზე დასაყენებლად.

კათედრის საქმიანობა, როგორც იტყვიან, მუდამ საათივით აწყობილი ჰქონდა. შინაარსიან სხდომებს მუდამ დათქმულ დროს ატარებდა. დილის 9 საათიდან საღამოს 5 ან ხშირ შემთხვევაშიც 10 საათამდე (მხედველობაში მაქვს იმჟამინდელი საღამო სწავლების პერიოდიც) ფეხს არ მოიცვლიდა. მისი გაცდენა, ან დაგვიანება წარმოუდგენელი იყო. კათედრის წევრები და ლაბორანტები მუდამ საქმიან რეჟიმში ჰყავდა. ლაბორანტები ოქმებს ყოველთვის აკურატულად აღგენდნენ. სიტყვა-სიტყვით წაიკითხავდა, გაასწორებდა ისე, გამოსაქვეყნებლად ივარგებდა.

ზემოთ რომ ვთქვი, ბატონი ოთარი დილიდან საღამომდე კათედრიდან ფეხს არ მოიცვლიდაო. ეს ისე არ გავიგოთ, თითქოს კათედრის წევრების და ლაბორანტების მუშაობის თუ მორიგეობის გაკონტროლებით იყო დაკავებული. ყოველთვის იჯდა და თავაუღებლივ კითხულობდა, წერდა. ბევრი მისი სტატია უშუალოდ ჩემს თვალწინ

იწერებოდა. კათედრაზე 9 წელი ვილაბორანტე და, ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე ზოგჯერ მორიგეობის საათებს „ჩავახალტურებდი“ რეპეტიტორობის გამო, როცა „გამომიჭერდა“, მწარე ენით „გამროზგავდა“, მაგრამ გულის გადაყოლება არ იცოდა. განა არ ვიცი, 65-მანეთიანი ხელფასით რა უნდა გააკეთო ცოლშვილიანმა კაცმაო, — დამშვიდებით მეტყოდა და მხარზე ხელს მომითათუნებდა. ასე სრულდებოდა ხანდახან ჩვენი „დაპირისპირება“.

ოთარ ჭურღულიას, როგორც მკვლევარის, თვალსაწიერი და ინტერესები მრავალმხრივი იყო: ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია, ზეპირსიტყვიერება, ლიტერატურული ურთიერთობანი, ისტორია, ენათმეცნიერება, თეატრალური პრობლემატიკა. საკმაოდ ერკვეოდა ფილოსოფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, მედიცინაში, კიბერნეტიკაში.

გამოქვეყნებული ჰქონდა 17 წიგნი და მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 450-მდე ესეისტური და საგაზეთო წერილი, სტატია, რეცენზია. იგი იყო 1959 წლიდან საქართველოს მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების წევრი, ალმანახ „რიწის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1975-1982). ოთარ ჭურღულია გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს წევრი, არაერთი მეცნიერული ნაშრომის ექსპერტი, ოპონენტი, რეცენზენტი.

ოთარ ჭურღულია სიცოცხლეშივე აღიარეს გამოჩენილ მკვლევრად, პროფესიონალ კრიტიკოსად, პუბლიცისტად, საზოგადო მოღვაწედ, სოხუმის კოლორიტად. თუმცა არც ერთ ამ შეფასებას არ იწყნარებდა გადაჭარბებული თავმდაბლობისა და გამო. როცა მის წიგნებზე რეცენზიებს თუ გამოხმაურებებს დაწერდნენ და ზემოთ ნახსენებ ეპითეტებს გამოურევდნენ, არ მოსწონდა ეს და იმთავითვე იტყოდა: მე ისეთი კუთხიდან ვარ, ჩემზე უკეთესი მსაჯული ჩემს თავს არასოდეს ეყოლებაო; „დიდი“, „გამოჩენილი“, „აღიარებული“ მეცნიერები იყვნენო: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია,

კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე და სხვ. მე და ჩემისთანანი კი რიგითი მკვლევრები ვართო. ეს იყო, მართლაც, საოცრად თავმდაბალი კაცის ნასიტყვი.

როდესაც ოთარ ჭურღულიაზე ვფიქრობ დღევანდელი გადასახედიდან, უმალ თვალწინ დამიდგებიან აფხაზეთში ნამოღვაწარი თავგანწირული მამულიშვილები: პეტრე ჭარაია, თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, ივანე გეგია, დავით ჩქოტუა, ანთიმოზ ჯუღელი... ალბათ, შემთხვევითიც არ ყოფილა ამ სახელოვანი ადამიანების ღვაწლის წარმოჩენით დაინტერესება მისი მხრიდან. მომავალი თაობა სწორედ მათ გვერდით მიუჩენს უკვდავ ადგილს ამ ფუტკარივით მშრომელ პიროვნებას, თავისი ქვეყნისათვის თავდადებულ მოღვაწეს.

ოთარ ჭურღულიას პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას გულთბილი წერილები მიუძღვნეს: ლევან მენაბდემ, სარგის ცაიშვილმა, სერგეი ზუხბამ, რევაზ ბარამიძემ, ოთარ ბაქანიძემ, დავით თევზაძემ, რევაზ მიშველაძემ, გენო კალანდიამ, ლადო მინაშვილმა, იუზა ევგენიძემ, ნაპოლეონ ლემონჯავამ, აბესალომ გადილიამ, ოთარ მიქიაშვილმა, ლუარა სორდიამ, ზურაბ ნაყოფიამ, რევაზ ჩხარტიშვილმა, ზეინაბ სარიამ, ლამზირა ფირცხალავამ, ტიტე მოსიამ და სხვ.

ოთარ ჭურღულიას მიერ გამოქვეყნებული წიგნებიდან ფუნდამენტური ხასიათის არის „ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანის“ ორტომეული. პირველ ტომში მკვლევარმა XIX საუკუნის პერიოდიკის, საარქივო მასალების, მემუარების, პუბლიცისტური წერილების, მხატვრული ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლის საშუალებით პირველად შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში უმნიშვნელოვანესი ცნობები და მასალები იმის გასარკვევად, თუ როგორ იყვნენ დაინტერესებულნი აფხაზეთით, მისი ხსნით და გადარჩენით გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი. პირველად გამოავლინა დასახელებული სახელოვანი მოღვაწეების შეხედულებანი ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის

მტკივნეულ საკითხებზე. ამავე ტომში წარმოჩენილია აფხაზეთშივე მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწეების: პეტრე ჭარაიას, თედო სახოკიას, ნიკო ჯანაშიას, კონსტანტინე მაჭავარიანის, ანთიმოზ ჯულელის, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის წვლილი და საქმიანობანი ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნული და სოციალური უფლებების დასაცავად. აქვე ვეცნობით მასალებს XIX საუკუნის მიწურულში აფხაზეთში ქართული თეატრის ჩამოყალიბების შესახებ, ავტორის მიერ გაანალიზებულია სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული სპექტაკლები გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ოქუმში.

საარქივო მასალების საფუძველზე ოთარ ჭურღულიას მიერ სკრუპულოზურად არის გაანალიზებული აფხაზი საზოგადო მოღვაწეების (გრიგოლ შარვაშიძე, დავით ანჩაბაძე, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, დიმიტრი გულია) როლი ქართველი და აფხაზი ხალხის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცების საქმეში.

დასახელებული ნაშრომის მეორე ტომი ოთარ ჭურღულიამ მიუძღვნა ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებს XX საუკუნეში. ავტორი მსჯელობს იმ დიდ წვლილზე, რომელიც ამ მიმართულებით გაიღეს თვალსაჩინო ქართველმა მწერლებმა: გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ლეო ქიაჩელმა, იოსებ გრიშაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ირაკლი აბაშიძემ და სხვ. განხილულია მათ შემოქმედებაში დამკვიდრებული აფხაზეთის თემა. ამ ორტომეულის გაცნობამ სერგეი ზუხბას ათქმევინა: „ოთარ ჭურღულია დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილების სწრაფვა მეგობრობისადმი წარმოადგენდა კანონზომიერ და ბუნებრივ მოთხოვნებილებას“. სარგის ცაიშვილი წერს: „ოთარ ჭურღულია ქართულ-აფხაზურ კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს იკვლევს არა როგორც მშრალი, კაბინეტური მუშაკი, არამედ იგი თვით ცოცხლობს ამ ურთიერთობათა ცხოვრებით.

ოთარ ჭურღულიას წიგნებიდან ასევე გამოვარჩევდით 1992

წელს დასტამბულს – „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (წერილები და გამოკვლევები). აქ შეტანილია საინტერესო გამოკვლევები ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შემოქმედების არსებით საკითხებზე, გიორგი შარვაშიძის პატრიოტულ ლირიკაზე, გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაზე. დიმიტრი გულიას და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობაზე, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას სამწერლო მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტზე, ზურაბ ანჩაბაძის ბიოგრაფიულ ესკიზებზე და ა.შ. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ოთხი წერილი თუ გამოკვლევა: „გალმა სჩანს ქისტის სოფელი“, „ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის“, „ხე“ ნაწილაკის ვარიანტები ქართველურ ენებში“, „აბრსკილის ეტიმოლოგიური გაგებისათვის“.

ოთარ ჭურღულია არ გახლდათ „კაბინეტური მუშაკი“. მას ხშირად უყვარდა ბუნებაში გასვლა სანადიროდ და სათევზაოდ, ვინაიდან ეს „საყმაწვილო სენი“ მუდამ შეახსენებდა თავს. აკი ამბობდა კიდეც; „მიყვარდა თევზაობა და ნადირობა. 12 წლისა ოჩამჩირიდან ილორში დავდიოდი სანადიროდ. დედას ეს არ მოსწონდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მამა კი ეტყოდა, ჩვენს შვილს დიდი გზა აქვს გასავლელი და სწორად ახლა უნდა გაკაჟდესო. თურმე მამაჩემი მართალი ყოფილა, ცხოვრება ხომ ადამიანს ყოველ ნაბიჯზე გამოცდის წინაშე აყენებს“.

„გაკაჟებული“ ოთარ ჭურღულია ნადირობა-თევზაობისას არ იფარგლებოდა მარტო აფხაზეთის ტერიტორიით, მას შეხვდებოდით ასევე ჭურიაში, ნაბადაში, სვანეთში, ანაკლიაში. მოხდენილად თქვა გენო კალანდიამ: „ოთარ ჭურღულია უცხოური მარკის თოფით, ტყავის სანადირო ჩანთითა და განუყრელი მწევრით შარვაშიძეთა და ემხვართა ერთგულ ძეტუმტესა და მორდუს მაგონებდა. ზღვისა და თევზის ქალაქში ტყისა და მინდვრის უცხოური სურნელი შემოჰქონდა“.

ოთარ ჭურღულია საზოგადო კაცი იყო. მისი გამოჩენა საზოგადოებაში ყოველთვის იწვევდა სასიამოვნო განწყობილებას. სამეცნიერო კონფერენციებზე. კრებებზე, თათბირებზე, დისკუსიებზე მისი გამოსვლები მუდამ საქმიანი, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო.

თავისი წონადი სიტყვით იგი მუდამ გამოირჩეოდა სხვათაგან. ოთარ ჭურღულიას სიტყვას ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ.

თბილისიდან ან მოსკოვიდან ჩამოსული რომელიმე მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის პირველი მასპინძელი ყოველთვის ბატონი ოთარი გახლდათ. რესტორანში, კაფეში ფულის გადახდას ვერავინ დაასწრებდა. მისი უებრო, ლაზათიანი და მომხიბვლელი თამადობის მოსმენა უმაღლესი სკოლის კურსების გავლის მომასწავებელი იყო. თამადობა შორის იდგა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების რახარუხისაგან. მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები დატენილი იყო სამშობლოს სიყვარულის მზით, ქართული ენის, ქართული გენის, ქართული აზროვნებისა და გონების გაიდეალებით, ადამიანისა და სამყაროს ტრფიალებით.

როგორც დასაწყისში ვთქვით, პროფ. ო. ჭურღულია დაიბადა და აღიზარდა პედაგოგების ოჯახში. თავადაც დიდებული ოჯახის პატრონი გახლდათ. მას მუდამ ერთგულად ედგა მხარში ძვირფასი მეუღლე, ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ქალბატონი ეთერ ფარულავა. მათ შესანიშნავი შვილები აღზარდეს. ნანა ჭურღულია მხატვარი გახლავთ, გრაფიკოსი, რომლის ნამუშევრების გამოფენა არაერთხელ მოეწყო საქართველოში, რუსეთში, ევროპის ქვეყნებში. ხათუნა ჭურღულია ხელოვნებათმცოდნეა. გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

მიუხედავად თავისი ცხოვრების 80 წელს გადაცილებისა, ოთარ ჭურღულიამ ბოლომდე შეინარჩუნა ნათელი აზროვნების უნარი, უნიკალური მეხსიერება. ყოჩაღად და ენერგიულად გამოიყურებოდა, ახალი წიგნების გამოქვეყნებაზე ფიქრობდა, აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ამიტომ გვეჩვენა მოულოდნელი მისი ამ წუთისოფელთან გაყრა. ყველას დაგვწყვიტა გული, მაგრამ ნუგეშად დაგვიტოვა თავისი ,,კვალი განათლებული“.

2012 წელი

ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება

ქართველოლოგიურ ლიტერატურას ახალი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა – „გიორგი მთაწმინელდის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ". მისი ავტორია დენიზა სუმბაძე – ცნობილი თეოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი-ესსეისტი. გაბრიელ ქიქოძეზე. მისივე გამონათქვამის კვალობაზე ვიტყვით, რომ ეს წიგნი არის პიროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლინება. ვინც ამ ჩინებული მოაზროვნის ნაშრომებს იცნობს, ადვილად და მკაფიოდ შეამჩნევს, რომ თითოეულ მათგანს წითელ გვირისტად გასდევს ეროვნულ-მოქალაქეობრივი პათოსი, საქართველოს თავგადაკლული სიყვარულის იდეა. სხვანაირად არც იყო. მოსალოდნელი. დენიზა სუმბაძე სიყმაწვილიდანვე აქტიურად ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში, რომელსაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან თავკაცობდნენ სულმნათი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. იმთავითვე გამოირჩა სამეგობრო ოთხეული: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, იდა თვარაძე, დენიზა სუმბაძე.

დენიზა სუმბაძე სრულიად ახალგაზრდობიდანვე იმდენად მედგარი ადამიანი იყო, რომ, მიუხედავად ზვიად გამსახურდიასთან მეგობრობის განსაკუთრებულობისა, არ ერიდებოდა მასთან მსოფლმხედველობრივ განხეთქილებაში ყოფნას. მათ შორის ჩადგა ანთროპოსოფია (რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელიც ღვთის ადგილას გაღმერთებულ ადამიანს აყენებს) და შტაინერი. გასაზიარებელია დენიზა სუმბაძის ვარაუდი, რომ შესაძლოა მსოფლიო მასონურმა მოძრაობამ სწორად შტონერის შრომებით დაიწყო საქართველოში შემოსვლა. მიგვაჩნია, რომ შტაინერის ანთროპოსოფიით ზვიადის და მერაბის გატაცება თავის დროზე იმას როდის ნიშნავდა, თითქოს ეს მათი მსოფლმხედველობრივი თანხვედრა იყო, ან შტაინერის მსოფლმხედველობაზე დამყარებას მოასწავებდა. მით უფრო ვერ გავიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს, თითქოს ამით უნდა

ყოფილიყო განპირობებული ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდება – „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“. ეს სახელწოდება იყო მხოლოდ მიბაძვა და ანალოგია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საფრანგეთისა“.

მე, როგორც ზვიადის და მერაბის ეროვნული იდეალების უვადო ტყვეობაში მყოფი, აბსოლუტურ თანაგრძნობას ვუცხადებ საანალიზო წიგნში გახმოვანებულ დენიზა სუმბაძის პოზიციას ნატოსთან მიმართებაში. მე პირადად ნატო მაგონებს ბიბლიური შემეცნების ხეს. სამყაროს ცენტრში მოხეირე უმშვენიერეს შემეცნების ხეს („ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“) სატანის წაქეზებით როგორც კი მიუახლოვდა ევა, დაავიწყდა უფლის მცნებანი, აკრძალული ხილი იგემა და შესცოდა ღმერთს, დასცილდა ამით ღვთიურ ბუნებას. ევას ემსგავსებიან ნატოსკენ მიმსწრაფი ერებიც. ნატოს ბრჭყვიალებით გონდაბინდულნი მისივე ხილით დანაყრებით კარგავენ ეროვნულ ტრადიციებს, რელიგიურ მრწამსს და ნებსით თუ უნებლიედ მასონური მატარებლის მგზავრები ხდებიან.

ნატო ხომ ალენ დალესის, ბჟეზინსკის, სოროსის, მასონთა ლოჟის იდეოლოგიაზე აგებული სამხედრო ორგანიზაციაა, რომელსაც, ზვიად გამსახურდიას ენით რომ ვთქვათ, მტაცებლური მიდგომა ახასიათებს სხვა ქვეყნისადმი. ნატო ებრძვის ეროვნულ მოძრაობებს, იგი მიმართულია ეროვნული სახელმწიფოების წინააღმდეგ: „ეროვნული სახელმწიფოები ამუხრუჭებენ კაცობრიობის პროგრესს, „ეროვნულობა“ ანუ ნაციონალიზმი არის ადამიანის ავადმყოფობა, იგივე კიბოს სიმსივნე (აურელიო პეჩჩეი).

დენიზა სუმბაძე ნატოს დახარბებულ ქართველობას შეახსენებს შტაბ-ბინაში (ბელგია) მოთავსებულ გიგანტურ კომპიუტერს, რომლის კოდური ნომერია 666, რომელიც ასოცირდება „გამოცხადების“ წიგნის სტრიქონებთან: „ვიხილე მხეცი... და მისცა მას ურჩხულმა ძალა მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი და რიცხვი მისი მხეცისა ექვსასსამოცდაექვსი“ (გამოცხ. 13, 1; 13, 2; 13, 18). ნატოს ეს გიგანტური კომპიუტერი, დენიზა სუმბაძის ენით რომ ვთქვათ,

ნატოს შტაბ-ბინის „მხეცის“ ტახტი, მონიტორინგს ახორციელებს მთელი პლანეტის ხალხის მასებზე (ჯონ კოლემანი — ამერიკელი პოლიტოლოგი).

დენიზა სუმბაძე მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორია: „ადამიანისა და სახელმწიფოს იდეალი პლატონის ფილოსოფიაში“, „თავდავიწყებისათვის, ანუ ირრეალურის ეთიკური გააზრებისათვის პლატონის ფილოსოფიის შუქზე“, „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, „მოწამეობა და აზროვნება“ (ქრისტიანობა და პლატონი). „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე“ (შოთა რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართება), „ქალდეველები ბიბლიაში, ანუ კაცობრიული თვითშემეცნება და ქართველი ერის ფენომენი“, „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია და ა.შ.

დენიზა სუმბაძე მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. რად ღირს იმ ფაქტის დასახელება, რომ მან ძველბერძნული ენიდან გადმოაქართულა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“, დიონისე არეოპაგელის ტრაქტატი „საიდუმლო ღვთისმეტყველებისათვის“.

წარმოდგენილი წიგნი შეიცავს დენიზა სუმბაძის მიერ სხვადასხვა დროს საჯარო გამოსვლებისა და ცალკეული წერილების კრებულს. ამასთანავე, მკითხველი მასში იპოვის ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას. იდა თვარაძის ბიოგრაფიებთან დაკავშირებულ საგულისხმო მომენტებს. რაც მთავარია, თავიდან ბოლომდე წიგნს ასულდგმულებს ეროვნული სულისკვეთება, ეროვნულ-მოქალქეობრივი პოზიცია. გამოკვეთილია ქართველთა ცნობიერებიდან ეროვნული იდეალების ამოშლის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ ბრძოლაში დენიზა სუმბაძისთვის ამოსავალი პუნქტია შუა საუკუნეებიდან ზარების დარისხება. სახელოვან წინაპართა აჩრდილების გამოხმობა თანამედროვეთა გამოსაფხიზლებლად, გამოსაღვიძებლად „წესისამებრ მამულისა სვლისთვის“.

ინტერესს იწვევს დენიზა სუმბაძის წერილი „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, რომელიც ავტორს წიგნის სახელწოდებადაც გამოუტანია. მასში დაკვირვების ობიექტად არის ქცეული XI საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებელი („ქება პავლე სი“), რომელიც ასე იწყება:

„დიდებულო, ქრისტეს მოციქულთა თაო!
ახალსა ამას ერსა საღმრთოსა,
ეკლესიისა ნესტუად ხმატკბილად,
საღმრთო შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო“...

როგორც ვხედავთ, ქართველი ერი ამ ტროპარში წარმოდგენილია „ახალ საღმრთო ერად“ ანუ „ახალ ღვთაებრივ ერად“. დენიზა სუმბაძე გიორგი მთაწმინდელისეულ ამ ცნებასთან სავსებით ლოგიკურად აერთიანებს იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილ საგალობელს — „ქება და დიდება ქართულისა ენისა “. ავტორი წერს: „ამ ორ ნაწარმოებში: იოანე-ზოსიმეს საგალობელში ქართული ენისადმი და გიორგი მთაწმინდელის საგალობელ-სავედრებელში პავლე მოციქულისადმი მთელი მოძღვრება. მოცემული ერის შესახებ, მისი დამარხული ვინაობისა და სამომავლო სულიერი მისიის შესახებ“. ამავე თვალსაზრისს უკავშირებს იგი დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აკადემიის შექმნას „სწუად ათინად“ და „მეორედ იერუსალიმად“ ანუ კაცობრიობის ისტორიის ახალი ინტელექტუალური და სულიერი განსხვავების კერად. ამავე აზრის დასტურად მიაჩნია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მიერ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობის წოდების მიღებაც. ეს წერილობით პირველად დასტურდება გიორგი მერჩულეს მიერ 951 წელს შექმნილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ანუ ქართული პროზის პირველ შედევრში — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს ეუბნება: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“.

დენიზა სუმბაძემ ილუსტრირებული ფრაზის შინაარსში თუ სა-

იდუმლოში ახლებურად ჩაგვახედა, პოპულარული და დაკანონებული მოსაზრებებისგან განსხვავებით: „უნდა დავაკვირდეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასახულ წოდებას ბაგრატიონებისას, როგორც წოდებას და არა რეალურ გენეტიკურ განსაზღვრულობას ჩვენი მეფეებისას... შვილად წოდებულსა“ და არა შვილსა და შთამომავალს“.

კვლავ დავუბრუნდეთ გიორგი მთაწმინდელის სავედრებელ-საგალობელში („ქება პავლე სი“) მოცემულ გამოთქმას: **„ახალსა ამას ერსა სალმრთოსა“**. დენიზა სუმბაძეს მიაჩნია, რომ ამ ტაეპში გახმოვანებულია გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველების იდეა ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ახალი ერის შესახებ. ცხადია, აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს ატრიბუტზე **„ახალი“**, ჩვენი აზრით, იგი იმავე შინაარსის დამტევია, რაც „განახლებული.“ აქ ცნება „განახლება“ ქართულ სასულიერო პოეზიაში ხშირად ფიგურირებს: „ქრისტე, ღმერთო, ბუნება კაცთა დაძულებული ცოდვისაგან განაახლენ“ (ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ. 18); „მესამე დღესა აღდგა ქრისტე მკვდრეთით და ძველი იგი კაცი, ადამ, განაახლა, ესე არს ღმერთი ჩუენი“ (უძველესი იადგარი, II, გვ. 403). ამ გამოთქმების სათავეა ბიბლია: „განიძარცუეთ **ძველი იგი კაცი** და შეიმოსეთ **ახალი იგი განახლებული** მეცნიერება მსგავსად ხატისა მის დამბადებლისა მისისა“ (კოლას, 3, 9-10). საგულისხმოა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ წმ. მარიამის არსებაში განსხეულებული ქრისტე ქართველი ჰიმნოგრაფების მიერ წოდებულია **მეორე ადამად**: „რომელი მეორე ადამ ქალწულმა გვიშვა“ (მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები. გვ. 52); „მეორე ადამ, ქრისტე მოვიდა ძიებად პირველსა მის და შეწირა თავისი თავი უცოდველმან სოფლისა ცოდვათა და ერის უმეცრებისათვის“ (ძველ ქართ. სახელ. პოეზია, გვ. 309). სინურ მრავალთავში ვკითხულობთ: **„ახლისა** ვენახის კვირტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისა და დაჰხსნა სალმობანი ჩუენში“ (გვ. 47).

დავით გურამიშვილის პოეზიაში „ძველი დღის“ ანტონიმად ჟღერს „ახალი დღე“: „ვირემდის განახლდებოდა **ძველი** დღე ღამე მზიანი... **ახალმა დღემან** განწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი... სანამ

დღე ძველი. დღეს ახალს ჩვენ დღედ არ გაგვინათებდა"... ე.ი. აქ საუბარია „ძველი დღის" ანუ მამაღმერთის გაახალდღევებაზე ანუ ქრისტედ განახლებაზე.

გავიხსენოთ „ქება და დიდება ქართულისა ენისა", სადაც ვკითხულობთ: „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან"... ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, ძველ ქართულში „ახალი" ნიშნავდა რიგით პირველსაც. ატრიბუტ „ახალთან" დაკავშირებით შეუძლებელია აქვე არ გავიხსენოთ შავთელის გამონათქვამი:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა,
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა".

ზემოთ საილუსტრაციო ნიმუშები სპეციალურად დავაფიქსირეთ. მიგვაჩნია, რომ მსაზღვრელი „ახალი" იგივე შინაარსითაა გაჯერებული, რაც გიორგი მთაწმინდისეულ შესიტყვებაში – „ახალი ერი", ეს ნიშნავს ქრისტეს რჯულით განახლებულ ერს, გაქრისტიანების შემდეგ ახალ ერად მოვლენილს, საღმრთო ერად, ანუ საღმრთო სჯულის მატარებელ ერად. ვინაიდან ქრისტიანული რელიგია მსოფლიო რელიგიაა, საკაცობრიო რელიგია, ამდენად, ამ სარწმუნოების მატარებელი ერი, მათ შორის ქართველი ერი, მსოფლიო ერია, ანუ ახალი ერი. სავსებით სწორად შენიშნავს დენიზა სუმბაძე, რომ ბიზანტიამ ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად ქცევას.

როდესაც გიორგი მთაწმინდელი ლაპარაკობს „ახალ ერზე", ცხადია, მას არ ავიწყდება „ძველი ერი" ანუ წარმართული ხანის ქართველი ერი, რომელიც გაქრისტიანების შემდეგ ჩამოყალიბდა „ახალ ერად" ანუ ქრისტეს მოძღვრებაზე დამყარებულ ერად. მაცხოვრის რჯულისადმი თავგანწირულმა ერთგულებამ აქცია იგი არა მარტო ახალ, არამედ „საღმრთო ერად". არა მგონია, რომ „საღმრთო ერი" ნიშნავდეს მხოლოდ „ღვთაებრივ ერს". მასში უთუოდ მოიაზრება ქრისტეს რჩეული ერი, ანუ მასში ქრის საგალობლის – „ქება ...

ქართულისა ენისაჲს“ სული, გამოკვეთილი იდეით, რომ მაცხოვარი მეორედ მოსვლისას კაცობრიობას განიკითხავდა მხოლოდ ქართული ენით. პირველად ზვიად გამსახურდიამ გაგვარკვია, რომ ძველ ქართულში „ენა“ და „ერი“ სინონიმური სიტყვებია. ასე რომ, იოანე-ზოსიმეს თანახმად, ქრისტეს მიერ ამორჩეულ ქართულ ენაში თავისთავად მოიაზრება ქართველი ერი.

2001 წელს პარიზში ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე დენიზა სუმბაძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება, სადაც **პირველად მსოფლიო მეცნიერებაში განაცხადა**, რომ ქრისტიანობა ეს არის ქალდეური ცნობიერების ამოხეთქვა იუდეაში. ასევე მან განაცხადა ეს „ქალდეურის“ როგორც ცნების ახალი დატვირთვითა და შინაარსით: **„ქალდეურის“, როგორც უძველესი ქართული ცივილიზაციის გაგებით“**.

წარმოდგენილ წიგნშიც დენიზა სუმბაძე იგივე აზრს ავითარებს. იგი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს უკანასკნელ სიტყვებს: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?!“ – „უფალო, უფალო, რაისთვის დამიტევებ მე უმწეოდ?!“ ეს სიტყვები, როგორც ცნობილია, წარმოთქმულია არამეულ ენაზე. ამან შეიძლება, – წერს ავტორი, – გაავცელებული აზრი იესო ქრისტეს ებრაელობისა, ნაცრად აქციოს; ფსიქოლოგიურად დაუშვებელია ადამიანმა სხვის ენაზე მიმართოს უფალს თავისი უკანასკნელი სათქმელისათვის, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ ქრისტეს მშობლიური ენაც და ღვითისმშობლის ენაც არამეულია. არამეული ენა იგივე ქალდეველების ენაა. იესო ქრისტე არამეული ცნობიერების წარმომადგენელია, – წერს დენიზა სუმბაძე და იქვე განაგრძობს: „იესო ქრისტეს შემოსვამ „დავითიანობის“ ტიტულით გამოიწვია მისი ებრაელად გაგება, მისი ებრაელობის დამკვიდრება თვით პავლე მოციქულის მიერ, ისევე როგორც ეს მოხდა ბაგრატიონების შემთხვევაში, მაშინ როდესაც, ამ ტიტულს თავისი ისტორიოსოფიური დანიშნულება ჰქონდა და არა პირდაპირი.

წიგნში სამი დანართის სახით წარმოდგენილია: 1. „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“, 2. „საქართველოს მონარქისტული იდეა

სრულიად სახიფათო ფაზაშია შესული“. ამ დანართებთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიმეოროთ წიგნის რეცენზენტის რევაზ ბალანჩივაძის მიერ ნათქვამი: „მენანება, რომ მათ დანართი ერქვათ... საქმე ისაა, რომ „დანართს“ უმეტესწილად ყოველთვის ნაკლები პრეტენზია აქვს, ვიდრე ძირითად ნაწილს... დენიზა სუმბაძის „დანართები“ კი თავისი ღრმა შინაარსით ძირითადი იდეის ტოლი და სწორი, ამ იდეის შემდგომი გავრცობა და დასაბუთება, მისი უკეთ წარმოჩენაა“.

არაჩვეულებრივი ნაშრომია „პავლე ინგოროყვა და ქართველ ბაგრატიონთა პირველი ხსენებანი: ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რა მოზღვავებული პასუხისმგებლობით უნდა იწერებოდეს სამეცნიერო ნაშრომი.

ერთი სიტყვით, დენიზა სუმბაძის წიგნის — „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ — სახით მკითხველმა მიიღო შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, რომელიც გაჯერებულია ეროვნული სულისკვეთებით.

„უვადო მივლინებიდან“ მოვლინებული

რაულ ჩილაჩავას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს საქართველოში. მისი ახლობლების, მეგობრების, თანამოკალმეების წრე ეგზომ ფართოა. თაყვანისცემა თაყვანისცემად, მაგრამ ფენომენალური შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის ნაშრომ-ნაჯაფარი საკადრისად არ შეფასებულა სამშობლოში. რაულ ჩილაჩავას „უკრაინის დროით“ 40-წლიანი თავაუღებელ ღვაწლსა და ამაგზე ღირსეულად არაფერი თქმულა (მხედველობის მიღმა რჩება თითო-ოროლა სტატია). საყვედური თანაბრად ნაწილდება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეებზე, კრიტიკოსებზე თუ დაინტერესებულ პირებზე. გული მეკუმშება 40-წლიანი „დუმილის“ გამო. ალბათ, კურიოზი შეიფარებს იმ ფაქტს, რომ რაულ ჩილაჩავას წიგნი საქართველოში 1991 წლის შემდეგ არ გამოქვეყნებულა. საუბარია იმ რაულ ჩილაჩავაზე, რომელსაც დღემდე 100 წიგნი აქვს გამოცემული.

თავს არ ვიმართლებ. მეც, რაულ ჩილაჩავას სიყრმის მეგობარს, დღემდე მასზე ერთი სტრიქონიც ვერ „გამომეტებია“. არტახში მება ხელი. ცოდვა გამხელილი სჯობს, მუდამ მბოჭავდა მორიდება და მოკრძალება ამ უნიჭიერესი პიროვნების წინაშე. ვაითუ, საკადრისი სიტყვა ვერ ვთქვა ამ უნიკალურ მოვლენაზე ქართულ–უკრაინულ პოეზიაში, ვაითუ, ჩემი „ნაცოდვილარი“ არ მოეწონოს-თქო. ამასობაში ჩვენი ურთიერთობის 44 „აჯანყებული“ წელი დამადგა თავზე. ამასწინათ ლატვიიდან მივიღე საჩუქრად რაულ ჩილაჩავს წიგნი-გიგანტი „უვადო მივლინება“ (630 გ.). სულმოუთქმელად წავიკითხე. წიგნი დავხურე და აღტაცებამ ცაში ამზიდა. ცაში სიხარულით სრბოლისას უფალსაც შევჩივლე: შეიძლებოდა თუ არა რაულ ჩილაჩავას ცხოვრების წარმართვა ისე, რომ „მოგონებების აკიდოში“ ფეხი აღკვეთოდა „ავარიას“. „უვადო მივლინების“ გაცნობა-დამუშავებამ ადრინდელი ყოველგვარი მოკრძალება-მორიდების არტახები დამამტვრევინა. ამ წიგნმა ჩემზე უჩვეულო შთაბეჭდილება დატოვა, მისი თანაგამცდელი გამხადა (არ ვიცი, ამ წერილით რამ-

დენად შევძლებ მკითხველიც თანაგანცდაში ავიყოლიო).

მთელი საქართველო უნდა ამაყობდეს „უკრაინის დროით“ რაულ ჩილაჩავას ნამოღვაწარით: გამოჩენილი პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. უკრაინის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის უკრაინული და უცხო ენების კათედრის გამგე. უკრაინის ეროვნულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი. უკარიანული ენციკლოპედიის რედაქტორი. უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. მაქსიმ რილსკის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. ვლ. ვინიჩენკოს სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლის მფლობელი (დიმიტრი მარტის შენიშვნით, რაულ ჩილაჩავამდე პრესტიჟული საერთაშორისო — ფრანც კაფკას სახელობის ოქროს მედალი ჯერჯერობით არც უკრაინაში და არც საქართველოში არავის მიუღია). წმ. სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენების („ოფიცრის ჯვარი“, „კომანდორის ჯვარი“) კავალერი, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმ. მემატიანე ნესტორის ორდენის კავალერი. უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეროვნებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე. უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე. დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი. უკრაინის უზენაესი საბჭოს (რადას) საპატიო სიგელის კავალერი („უკრაინელი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“). უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში... ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი. რ. ჩილაჩავას უკრაინული ლექსები შეტანილია სახელმძღვანელოებსა და ანთოლოგიებში.

როდესაც გაიცნობიერებ რაულ ჩილაჩავას საზოგადოებრივ

მოღვაწეობას და პოეტური შემოქმედების მასშტაბურობას, გაოცება შეგიპყრობს. როგორ შეძლო და მოასწრო ამდენის გაკეთება ამ ფუტკარივით მშრომელმა კაცმა. 100 წიგნი შექმნა და გამოაქვეყნო, მართლაც, საზღაპრო თემაა. რაულ ჩილაჩავა თავის წიგნებში (ორიგინალური, თარგმანები) წარმოადგენს ორ ერს, ორ ლიტერატურას, ორ კულტურას, რამხელა პასუხისმგებლობაა ყოველივე ეს ორივე (ქართველი და უკრაინელი) ერის წინაშე.

რ. ჩილაჩავას მსგავს ადამიანებზე უთქვამს თითქოს კონფუცს: „კარგი ადამიანი თავიდან ფეხებამდე კი არ იზომება, არამედ თავიდან ზეცამდეო“. რაულ ჩილაჩავამ დღემდე იცხოვრა ასეთი პრინციპით: „ერიდეთ ტრიბუნებს და მაღალ კვარცხლბეკებს. ნურასოდეს მოსწყდებით მიწას, რამეთუ საკუთარ სიმაღლეზე წარმოდგენას შეიქმნით მხოლოდ მაშინ, როცა მიწაზე დგახართ“ (ანტონიო მაჩადო). მისი სწორუპოვარი ღვაწლი და ამაგი დღემდე საკადრისად დააფასა უკრაინამ. უკრაინელი ლიტერატურათმცოდნენი და კრიტიკოსები რაულ ჩილაჩავას უწოდებენ „ქართველ და უკრაინელ პოეტს“, „რენესანსულ ოსტატს“ (პროფ. ვიქტორ კოპლატოვი), „პოეზიის რაინდს“ (ლეონიდ ვიშესლავსკი), „უფლისგან ხელდასხმულ პოეტს“ (პეტრო ოსადჩუკი), „იშვიათი ნიჭის პატრონს“ (მიტრო პავლიჩკო), „კაც-ორკესტრს“ (ს. იოვენკო). ს. იოვენკო განცვიფრებას ვერ მალავს რაულ ჩილაჩავას გმირული შემოქმედებით: „რაულ ჩილაჩავას უკრაინული ლექსები, თარგმანები და სამეცნიერო ნაშრომები უკრაინის ოქროს განძია. ბრალია, თუ ვინმესთვის ეს სიახლეა და არა დამტკიცებული ჭეშმარიტება“. იგი ჩვენი სახელოვანი თანამემამულის თარგმანების უნიკალურ საავტორო ანთოლოგიას („აგვისტო“, 560 გვ.) გმირულ ნაშრომს უწოდებს. პოეტისა და ლიტერატურათმცოდნის ო. იანოვსკის შეფასებით, რაულ ჩილაჩავას ლექსები უნიკალური მოვლენაა უკრაინულ პოეზიაში.

2002 წელს რაულ ჩილაჩავამ უკრაინულ ენაზე გამოსცა მისივე უკრაინული შემოქმედების ნიმუშების ერთი ნაწილი. 512-გვერდიან წიგნს ჰქვია „ორი დედაქალაქი“. მასში თავმოყრილია უკრაინულად

დაწერილი ლექსები, ესეები, მარგინალები და მონოგრაფიები. ხ. იოვენკო „ორ დედაქალაქზე“ მსჯელობისას წერს: „ხან როგორც ფილოსოფოსი და არტისტული პიროვნება, ხან როგორც ნატიფი ოქრომჭედელი. ხან კი როგორც საგანში ჩაღრმავებული მეცნიერი... ჟონგლირებს კატრენებით, რითმებით. ტკბება დ ავერ დამტკბარა ორი უშესანიშნავესი ენის (ქართული, უკრაინული) ლექსიკით“. უკრაინელი ლიტერატურათმცოდნენი გაოცებით საუბრობდნენ რაულ ჩილაჩავას ერუდიციის ენციკლოპედიურ მასშტაბზე, რომელსაც შემოქმედი აკადემიურ მწვერვალზე აჰყავს. უწოდებენ მას იშვიათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭიერების მწერალს. ს. იოვენკოს შენიშვნით, „რაულ ჩილაჩავას უკრაინულ რობაიებშიც, სადაც ფილოსოფიური მარგალიტებია მიმობნეული, ცოცხლობს ქართული ტკივილი“.

ახლა კი სხვა „ქართულ ტკივილზე“ მინდა გესაუბროთ ზემოთ დამოწმებული უკრაინული მასალების ფონზე, თუ მის საპირისპიროდ. ცნობილი პოეტის მურმან ჯგუბურიასი არ იყოს, „გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ოდნავ მაინც თუ დავინახეთ და შევაფასეთ გურამიშვილის ნაკვალევზე შემდგარი მესიტყვის ნაშრომ-ნამოღვაწარი?“ ვერ დავიდეთ გულზე ხელი და ვათქმევინეთ „შემდეგი სიტყვა წერტილს“. რაულ ჩილაჩავა როცა გვიმტკიცებს საქმით და სიტყვით: „საქართველოა იქ, სადაც მე ვარ“, ამას დაფასება უნდა. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მისი წიგნები უკრაინაში 100 000-იანი ტირაჟით გამოდიოდა, საქართველოში 3000 ტირაჟს ალარ გასცილებია. 1991 წლის შემდეგ კი, საერთოდ, ერთი წიგნიც არ დაუსტამბავს სამშობლოში. აქ იგი არც ლიტერატურული შეხვედრებითა და საღამოებით გაუნებივრებიათ, არც ახალ-ახალი წიგნების პრეზენტაციებით. მასზე დაწერილ ნარკვევებზე თუ გამოკვლევებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. რაულ ჩილაჩავას, ალბათ, ტკბილმოსაგონრად დარჩება 1981 წლის 27 მაისს თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის სცენაზე გამართული მისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, ასევე იმავე წელს ზუგდიდის შალვა დადიანი სახ. თეატრში შემდგარი საღამოც. ეს იყო და ეს.

რაულ ჩილაჩავას თბილისში დაბრუნება მუდამ ოცნების საზღვრებით იყო შემოწერილი. მას „ერთი პაწაწინა თავშესაფარი ეწადა, სადაც ღამის გასათევი და სამუშაო ადგილი ექნებოდა.“ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეთა დაპირებები რჩებოდა დაპირებებად; „დათაფლულ დაპირებებისა და გაცვეთილი ქათინაურების იქით საქმე არ წასულა“. გულისტკივილით იგონებს „უვადო მივლინების“ ავტორი: „მე თითქოს დავემსგავსე დიოგენს, რომელიც თურმე ქანდაკებებს მოწყალებას სთხოვდა. როცა უკითხავთ, ამას რატომ აკეთებო, მიუგია; რათა უარს მიეჩვიოო“. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია რაულ ჩილაჩავას „მოგონებების აკიდოდან“ ერთი ეპიზოდი არ ამოვიღო. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ნოდარ დუმბაძეს ერთხელ გულითადად მიუღია რაული და უთქვამს: „ვიცი შენი მამულიშვილური საქმიანობა და ახალგაზრდებისთვის ერთი ბინაც რომ მივიღო, გჯეროდეს, შენი იქნებაო“. გავიდა დრო. მეგობრების შეტყობინების საფუძველზე (მწერკავშირმა ბინები მიიღო და თუ არ გინდა ისევ გამოგტოვონ, სასწრაფოდ ჩამოდიო) რაულ ჩილაჩავა უკრაინიდან თბილისში სასწრაფოდ ჩამოდის და ნოდარ დუმბაძეს შეახსენებს თავს: „ბატონმა ნოდარმა ჯერ იყო და ვერ მიცნო, მერე კი უცებ სრულიად უადგილოდ მკითხა: შენ ხომ თბილისში ცხოვრობ!.. მივხვდი, რომ ეს უარის თავისებური ფორმა იყო, უმალ დავტოვე მისი კაბინეტი“. წარმოიდგინეთ, უებრო ქართველი პოეტი და მთარგმნელი, ორი ერის მოჭირნახულე, ორი ერის კულტურის წარმომადგენელი, ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის ხიდის ხუროთმოძღვარი, რომელიც უკრაინაში ქუხდა, თბილისში არ „ახსოვდათ“, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვერ „ცნობს“ მას და ისიც არ „ახსოვს“ — კიევში ცხოვრობს თუ თბილისში. ეს მაშინ, როდესაც უკრაინული პოეტური ბაროკოს პატრიარქმა, უკრაინული კლასიკის უკანასკნელმა მოჰიკანმა მიკოლა ბაჟანმა რაულ ჩილაჩავა უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორად დანიშნა კიევში ჩაწერის გარეშე, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი მოვლენა იყო. ამ დიდმა

მწერალმა და მთარგმნელმა უსახლკარო ქართველ შემოქმედს მაღალ ინსტანციებში უშუამდგომლა და მისთვის ბინა მიაცემინა. უფრო მეტიც, 1975 წლის შემოდგომაზე ახალმიღებულ თითქმის ცარიელ ბინაში მიკოლა ბაჟანი და ივან დრაჩი მეუღლეებითურთ ვარდებით ხელში ახალგაზრდა რაულს მოსალოცად ეწვივნენ...

იოსებ გრიშაშვილის მეტაფორას გადავასხვაფერებ; „უვადო მივლინება" ბეჭედია ბაჯაღლო და „მოგონებების აკიდო" შიგ ჩასმული ბადახში. ეს არის ავტობიოგრაფიული ჯანრის თხზულება. ავტორმა მასში წარმოგვიდგინა თავისი ადამიანური ბუნების ინდივიდუალობა, თავისი შინაგანი ბუნება, ხასიათი, ქცევა, რაც აღარ გადადის ავტოაპოლოგიაში. „მოგონებების აკიდო" არ არის რაულ ჩილაჩავას მიერ თავისი ცხოვრების მშრალად აღწერა. იგი „თითოეულ სიტყვას ოქრომჭედლური სიმშვენიერითა და მახვილი ისარივით კვეთავს" (შ. ამონაშვილი); საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე თავის განვლილ ცხოვრებას ემოციურად აღწერს და მხატვრულად განასახიერებს. ავტობიოგრაფიულ პროზულ თხრობას თემის გაგრძელებად ჩაერთვის ლექსები. ერთგვარი კომპოზიციური ხერხია, ლექსნარევი პროზით წარმოდგენილი „მოგონებების აკიდო!.." ეს არის ცოცხალი მატიანე 1968 წლიდან დღემდე ქართულ-უკრაინული და უკრაინულ-ქართული ლიეტრატურული ურთიერთობისა, კულტურული ურთიერთობისა.

რ. ჩილაჩავამ 40 წელზე მეტხანს იცხოვრა უცხო ქვეყანაში, მშობლიურივით საყვარელ უკრაინაში, სადაც იგი თავისიანად იგულეს, შეისისხლხორცეს: „ორმოცი წელი მამულს გარეთ... ორმოცი წელი უკრაინაში... ამ ერთი მაჩვენებლით უკვე გადავასწარი სულმნათ წინაპარს დავით გურამიშვილს." „უვადო მივლინების" ავტორი ურყევი ხიდია საქართველო-უკრაინის ურთიერთობისა: „არ ვიცი, ბოგირი ვიყავი, ბონდის ხიდი თუ მართლაც ხიდი, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, რომ თვალს და ხელს შუა წარსულის საკუთრება ვხდები, რომელსაც, ვინ უწყის, როგორ შეაფასებს ჩემს შემდეგ გამოჩეკილი თაობა, ან საერთოდაც თუ მოიცლის შესაფასებლად!" ვიდრე საქართველოს და უკრაინის ლიტერატურული ყოფა „მოიცლის"

საარსებოდ, შთამომავლობა უეჭველად მოიცლის რაულ ჩილაჩავას ღვაწლის დასაფასებლად. დავით გურამიშვილის შემდეგ რაულ ჩილაჩავა იქნება მუდამ მეორე ქართველი პოეტი, რომელიც ამ ორი ერის კულტურულ ურთიერთობის ცაზე მზესავით იელვარებს.

როგორ მეამაყება, რომ ასეთ შემოქმედთან და მოღვაწესთან სიყრმიდანვე ვმეგობრობ. ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი პირველი გაცნობა. 1963 წლის 6 იანვარს გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა ჩემი პირველი ლექსი „მშვიდობის დილა“. ამ ლექსმა მიმიყვანა ზუგდიდის საქალაქო ბიბლიოთეკასთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, სადაც გავწევრიანდი კიდეც. ერთხელ წრის სხდომის დაწყებამდე კარი შემოაღო ტანახოვანმა ყმაწვილმა, მხარზე ფოტოაპარატგადაკიდებულმა, შემოაღო და შევარდნივით შემოიჭრა. აჩიკო ფირცხალავამ გაგვაცნო მისი ვინაობა. ახლაც მახსოვს, უცებ რაც გავიფიქრე გულში, რომ ამ ყმაწვილისგან დიდი შემოქმედი და მოღვაწე დადგებოდა. ღმერთმა ისე აგიხდინათ ყველა ჩანაფიქრი, როგორც მე ამიხდა. წრეში რაული გამოირჩეოდა ლექსების სიუხვით, ანალიზის უნარით, ასაკთან შედარებით სანიმუშო განათლებით, ნაკითხობით, წიგნიერებით. ეს ერთგვარ მოკრძალება-შორიდების ბარიერს ქმნიდა ჩვენსა და რაულს შორის. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „რატომღაც ვერაფრით შევჩვევივარ იმ აზრს, რომ გასული საუკუნის 50-60-იანი წლები, — ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის ხანა, — უკვე შორეული წარსულია“. ამ „შორეულ წარსულს“ დეტალურად იხსენებს „მოგონების აკიდოს“ ავტორი. მას მახსოვრობიდან არ გამორჩენია უმნიშვნელო დეტალიც კი, რასთან შეხება ჰქონია. იგივე ითქმის ახალგაზრდა მწერალთა წრეზე და მის წევრებზე. ჩემთვის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი მინდა გამოვიხმო: „ერთხელ ზუგდიდში ოქტომბრის ქუჩაზე გაზიანი წყლის კიოსკთან ვიდექი და ხარბად ვფურცლავდი ეს-ესაა შეძენილ მირზა გელოვანის კრებულს, რომლის შავ სუპერზეც სამხედრო მუნდირში გამოწყობილი პოეტი ეხატა. კითხვით გართულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა ბეჭებში ოდნავ მოხრილი ჩია ტანის ახალგაზრდა, რომელსაც თვალები ჩინელი კომუნისტების

ბელად სუნ-იატ-სენივით მოეჭუტა და ირონიული ღიმილით შე-მომცქეროდა. — გიყვართ პოეზია? — მკითხა მან გამომცდელად.“ ეს „ახალგაზრდა“ სწორედ არჩილ ფირცხალავა იყო, უნიჭიერესი პოეტი, „ცხოვრების წესით ჭეშმარიტი ეპიკურელი“. სამწუხაროდ, იგი ადრე დაემშვიდობა წუთისოფელს.

„მოგონების აკიდოში“ რაულ ჩილაჩავა გულთბილად იგონებს ახალგაზრდა მწერალთა წრის სხვა წევრებსაც. ასევე განსაკუთრებით ეფერება წრის ხელმძღვანელის, ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის, ქალბატონ ქეთევან ცხონდიას სახელს (ცნობილი ფეხ-ბურთელის ბორის სიჭინავას დედა). ამასთანავე, დაწვრილებით იხ-სენებს პოეტი ზუგდიდს, იმათ, ვისთანაც ბავშვობა და სიყმაწვილე გაუტარებია: ზაურ მოლაშხია, ოთარ ჭითანავა, ნოდარ ჩილაჩავა, იურა წოწერია, ოდიკ ქუხილავა, მურად ხუბულავა, ანზორ ბარამია, ედემ კვირტია, ედიშერ არღვლიანი, გივი ჭითანავა, პეტრე წულაია, ელგუჯა დარასელია და სხვ.

ღრმად შთამბეჭდავია პაპა სოლომონზე დაწერილი მოგონება, ჩოთო ბებიას გახსენება: „ბაბუას ბიბლიური მოთხრობები და ბებიას მეგრული ზღაპრები იყო ჩემი შთაგონების პირველი თავანკარა წყარო“. რაულ ჩილაჩავას ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მეზობელი, არც ერთი მასწავლებელი, არც ერთი მეგობარი, ვინც წარუხოცელი კვალი დაამჩნია მის საინტერესო ცხოვრებას. ყველა დამწყებ შემოქმედს, თუ ახალგაზრდა მწერალს, ვისაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გაზ. „მებრძოლის“ რედაქციასთან ჰქონია ურთიერთობა, თავისუფლად შეუძლია გაიმეოროს რაულ ჩილაჩავას სიტყვები: „ის მღელვარება და ჟრუანტელი, გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციაში რომ მიგრძვნია, წარუხოცელია და გაუნელებელი“. თბილად იხსენებს „მოგონებების აკიდოს“ ავტორი ღვთისნიერ კაცს ისაკ ქორთუას, შალვა შენგელს, ბიქტორ ქობალიას, კაკო ჭანტურიას, კუკური გელანტიას, ბაბო აბულაძეს, ენვერ ჩიქავას და სხვ. იგი არ ივიწყებს ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მირიან ნარმანიას ამაგს, კომკავშირის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის გურამ გუნავას ვაჟკაცურ საქციელს.

ინტერესით იკითხება რაულ ჩილაჩავას თბილისური მოგონებები: პირველი სტუმრობა თბილისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის ჩაბარება ქართულში, „ფრიადის“ მიღებით გამოწვეული სიხარული და სტუდენტის სახელის მოხვეჭა, ლექციები და საუკეთესო ლექტორები (ნოდარ ტაბიძე, ნიკო ლეონიძე, იოსებ ბოცვაძე, ტარიელ კვანჭილაშვილი, ანდრო ჭილაია, ილია ნატროშვილი, სამსონ ჩაგუნავა, ოთარ ბაქანიძე, კარლო ჯორჯანელი, ნანა მიქაძე, რევაზ მიშველაძე... გამორჩევით ახასიათებს ავტორი გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილს, პროფ. ნოდარ ტაბიძეს: „მაღალი, ელეგანტური, მუდამ კოპწიად ჩაცმული და არისტოკრატული მიხვრა-მოხვრის ლექტორი კათედრაზე რომ შედგებოდა, ყველანი უმალ საწერკალმებს მოვიმარჯვებდით, რათა მონაყოლიდან რამე არ გამოგვპარვოდა“. „მოგონებების აკიდოზე“ საუბარს რაულ ჩილაჩავას სიტყვებითვე დავასრულებ:

„და მე დღემდე მგონია:
არც რაიმე მქონია,
მოგონების გარდა“.

დავხურე „მოგონებების აკიდო“ და ფიქრებმა შემიპყრეს — საწერ მაგიდაზე სიჩუმე განერთხო, თითქოს ანგელოზმა ჩამოიარა. წაკითხული ტექსტი კანდელის ზეთივით მეცხება სულში, სადაც თაბორის ნათელიც იღვრება. აიაზმასავით შესხურება მეხსიერების ეკრანზე გარდასულ დღეთა ლანდები. თითქოს ღვთის თვალი ტრიალებს ირგვლივ... „უვადო მივლინება“ ფეხის ჩაკრეფის საშუალებას არ მაძლევს. ბეთლემის ვარსკვლავივით მოკიაფე პოეზიის სამყაროში გადავყავარ. იქ მელოდება მზის მონათალი ლექსები, მოკალული პოეტური სიტყვა. თუმცა

„ჯერ ჭირში უნდა გამოვიცადო
და საკუთარი სისხლით შევფერო
ოცდაცამეტი ქართული ასო,
ოცდაცამეტი ყმა და სარდალი...
და მამულისთვის ომში ვაგელვო
ქართული ასო ოცდაცამეტი“.

პოეტს თუ სურს, აიცდინოს ეშაფოტი, ცოდვის კითხვას დააღწიოს თავი, არ უნდა შემოაკლდეს სიტყვა!

„რადგან პოეტის ეშაფოტი და
ცოდვის კითხვა
იწყება მაშინ, როს აკლია მას
სიტყვა... სიტყვა!“

ამ შეგნებით იწერება რაულ ჩილაჩავას ლექსი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. მის არაერთ ღვაწლზე ვისაუბრეთ ფრაგმენტულად ზემოთ, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, პოეტია, თხემით ტერფამდის პოეტი. რაულს შვენის ყოველდღე ხმამაღლა გაიმეოროს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ „უვადო მივლინების“ ავტორი მოხდენილად შენიშნავს: „პოეზია უკიდურესად ჭირვეული ქალბატონია. მას არ აინტერესებს ნაჭამ-ნასვამი ხარ თუ მშიერ-მწყურვალი, სახლკარიანი თუ უსახლკარო. იგი ნიადაგ მოითხოვს უანგარო სიყვარულს, თავდადებას, ერთგულებას, აზრის, განცდის, ვნების უკანასკნელ წვეთამდე მხოლოდ მის საკურთხეველთან დგომას და ლოცვას“. მრავლისმეტყველი სტრიქონებია: „პოეტს უნდა ჰქონდეს გული გლეხის, მხედრის, პილიგრიმის“. ზაურ მოლაშხიას ეძღვნება ლექსი „პოეტი“:

„სიტყვა უჭრიდეს რვალვით,
თვითონაც იყოს რვალი,
რომ მოუხადოს სამშობლოს
უნეტარესი ვალი...
თან ქვეყნად ლექსი რჩებოდეს
ზედ გულზედ დასაწერი“.

მომავლის მჭონე ლექსს პატრონი სჭირდება, სხვანაირად „უკვდავება“ ჯიგარგამოცლილი ფუყე ცნებაა. ლექსს მკითხველი სჭირდება და არა გადამკითხველი. რაულ ჩილაჩავას ერთი ლექსი თანამედროვე ქრონიკის ბალღამშია ამოვლებული:

„მოკვდა ავტორი, მოკვდა მკითხველი
და გადამკითხველს შერჩა მთითხვნელი.
სიტყვა მკვდარია, აზრი მკვდარია,

თითხნის მთითხვნელი და უხარია—
არც განმსჯელი ჰყავს, არც განმკითხველი!“

ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში (და სხვაგანაც) პოეზიას მკითხველი არ შემორჩეს. წინაალმდეგ შემთხვევაში დათვის ანგალის ტყვე გაეხდებით. სწორედ მკითხველის იმედით წერს და ცხოვრობს „უვადო მივლინების“ ავტორი:

„ამ წიგნში სხვას ნუ დაუწყებ ძებნას,
იგი სარკეა, ხოლო სარკეში
მარტო საკუთარ სახეს ხედავენ
და თუკი მისი კითხვისას უცებ
შენსავ ორეულს მოჰკარი თვალი,
ჩათვალე, რომ ვართ ტყუპისცალები
და ერთმანეთის არა გვაქვს ვალი.

ეს ლექსი ცოცხლობს აკაკის „პოეტში“ ჩატანებული აზრის მოდერნიზებული დვრიტით. ამ იმედით იხსნება ლექსის სეზონიც:

„გაყვითლებულან ტყეები,
გაყვითლებულან ეზონი.
სევდის მიზეზი გამხდარან
წვიმები უმიზეზონი,
ლექსის სეზონი იწყება,
ვით სანადირო სეზონი“.

ასე ხდება მკითხველის გულის მონადირებაც — გამორჩეული ღრმა პოეტური გარდასახვით, ფილოსოფიური დამუხტულობით, ფილიგრანული არტისტიზმით, რომანტიკით, სენტიმენტალურობით... გალინა ულანოვა წერდა: „ნამდვილ ბალერინას სცენაზე არასოდეს ასდის ოფლის სუნი, რადგან მან ეს ოფლი უკვე რეპეტიციაზე მოიდინაო“. ამ გამოთქმით რომ ვისარგებლოთ, რაულ ჩილაჩავას ლექსებსაც არ ასდის ოფლის სუნი. რადგან მან ეს ოფლი საწერ მაგიდასთან მოიდინა. ასეთი ტიტანური შრომით, რუდუნებით, ტკივილით იბადება ლექსი:

„ქაღალდზე ლიცლიცა შუქი რომ ანთია,
ეს ლექსის სტრიქონთა ფოსფორი კიაფობს,

მისტიკით მოცული, ვით ქირომანტია,
ფიცხი, ვით იაბო.
არ ვიცი, რას იზამს, საით გაჭენდება
სტრიქონი დანარჩენი.
უწყალოდ, სასტიკად, მრისხანედ თენდება,
მზე კარზე მომდგარა, როგორც განაჩენი".

რაულ ჩილაჩავა ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს: მშობელ მიწაში უმტკიცესი ფესვებით ჩაზრდილ პოეტს არ უნდა დაჰყურებდეს მუდამ მოღუშული ზეცა, მისი ნაყოფი არ უნდა ისპობოდეს ჩანასახშივე, თორემ მეწლე ხეხილივით იქცევა იგი. ასევე:

„ძვირფასო, თეთრი ღრუბელივით არის პოეტი,
მოხეტიალე ქარის ფრთებზე ატატებული
თუ ფიქრითა და სატკივრებით არ გაიჟღინთა,
წვიმის მაგიერ უსახურ ჩრდილს უგზავნის მიწას".

გარდა ამისა, პოეტი ერის სიზმარივით არის, რომელმაც ზეიმის, გლოვის და გამოცდის ჟამი წინადღით მაინც თუ არ მიანიშნა ქვეყანას, არასდროს ახდება იგი. ხშირად გაიგონებთ წინაპრებისგან მომდინარე გამონათქვამს: ადამიანს საკუთარ თავზე უფრო დიდი მტერი აღარ ჰყავსო. რაულ ჩილაჩავა გვინერგავს, რომ მთლად ასეც არ არის საქმე: „ცხოვრების წიგნი გადავფურცლე, როგორც ცნობარი, აღმოვაჩინე, რომ მე ერთი მყავს მეგობარი. მასთან მომიწევს პურის ჭამა და ღრამის თევა, თურმე ის ერთი მეგობარი (გაგიმხელთ!) — მე ვარ.

არაერთხელ ითქვა: რაულ ჩილაჩავამ გაბმით მხოლოდ 19 წელი იცხოვრა სამშობლოში, თითქმის 40 წელი — უკრაინაში, ბოლო წლებში კი რიგაში იმყოფება, როგორც უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში. სხვათაშორის, მან თავი გამოიჩინა, როგორც დიპლომატმაც; „ყველა დიპლომატი რომ ისეთი მაღალი კულტურის იყოს, როგორც რაულ ჩილაჩავა, ურთიერთგაგების ხიდები ათგზის მტკიცე იქნებოდა" (ილგა ტალბერგი). ამდენი ხნის მანძილზე უცხო ცის ქვეშ მცხოვრები პოეტის გულწრფელობაში ძნელია ეჭვი შეიტანო: „რაც მამულში არ ვიცხოვრე, ვთვლი, რომ არ

მიცხოვრია“. მისი შემოქმედებითი ღვაწლი ადასტურებს: „თუმც უცხო ქვეყნის ვარ მოქალაქე, ქვეშევრდომი ვარ საქართველოსი“. ან კიდევ: „მამულო, ჩემში ბიბინებ მთებით, ველებით, კორდებით. მეგონა, გიახლოვდები, მე კი სულ უფრო გშორდები“. უკრაინიდან ლატვიაში გადადგილებული შემოქმედის სამამულო ხმაში მშობელი ქვეყნის მონატრების შუქი იღვრება: „და ჩემი ქვეყნის სანახებს ველაციცები რიგიდან“; „ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ჩემი ტკივილის ზოლია“.

რაულ ჩილაჩავა ათასობით ლექსის ავტორია ქართულ და უკრაინულ ენებზე. ლექსების დიდი წილი საქართველოზე მოდის — მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. მან სამშობლო ზუგდიდიდან იცის: „და ჩემი სული, ვით მოლაღური, შეხიზნულია ზუგდიდის ჭადრებს“. ნეტავი იმ დროს:

„ახლა უწინდებურად ძველ დროს დავეხარბები,
როცა ჰყავდა ბაბუას მეზობლებად თარბები.
ყურს ვუგდებდი საუბარს ბალღი სუნთქვაშეკრული,
მერეოდა ერთურთში აფხაზური, მეგრული“.

წავიდა ის დრო. მტერზე უფრო დიდმა მტერმა, თანაც მეზობელმა ერთმორწმუნემ (ვაი, ასეთ ერთმორწმუნეს!) „ჩვენი მიწა ჩაიმტკაველ-ჩაიარშინა“. დღეს ვერც მოხევე ლელთ ღუნია გაგვცემს პასუხს ტკივილიან კითხვაზე: „გამაგებინე, მოხევევ, ვინ ვარ, თუ თავი ჩემი მე არ მეყუდვნის?“ დამნაშავე მოყვარე მტერში უნდა ვეძიოთ, თავად ქართველებში (და არა მხოლოდ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში), ვინაიდან „ერთმანეთი ვაგინეთ, ერთმანეთი ვხოცეთ. თითქოს მტერი გვეძლიოს, ისე ვიხორხოცეთ“. ეს მაშინ, „როცა დემონმა ჩვენივე სისხლი სახეში ზიზღით შემოგვანთხია“. სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა უმთავრესად ასეთი „პატრიოტების“ ხელში:

„გათენებამდე ილხინეს,
გათენებამდე სვეს.
ქება შეასხეს იღბალს,
ქება შეასხეს სვეს.
სამშობლოს გაუმარჯოსო, —

მზის ამოსვლისას თქვეს.
მერე მთელი დღე ეძინათ.
სულ ეს იყო და ეს".

იერემიას გოდებამდე დადის პოეტის ტკივილიანი განცდა: „სამშობლოს ჩემსას პატრონი არ ჰყავს, სამშობლო ჩემი ჰგავს ეკლესიას, ეშმაკები რომ შემოესია და ღამით მათი ყიჟინა არყევს". ან კიდევ: „დღეს ყველა ხევი, ყველა ხეობა საქართველოსთვის დარიალია... სანამ თბილისში სკამებს იყოფენ, მამულის მიწას იყოფენ მტრები". დღეს, როცა „ჩვენს ალღუმებზე ჯავშანი გაცვდა, ფუჭი ფრიალით დროშა გახუნდა", ნაკლებად თუ ფიქრობს ვინმე ამაზე:

„სანამდე უნდა ვეწამო,
სანამდე გავძლო ასე?!
ან მომხვდურს ზედ შევაკვდები,
ან წამოვიგებ რქაზე!"

დღეს, როგორც არასდროს, გმირი სჭირდება საქართველოს, გმირის ძიების ჟამი გვიდგას, მაგრამ დიდი ილიასი არ იყოს, „სად არის გმირი, რომელსაც ვეძებთ, რომელსაც ვსტირით". ვერ გეტყვით, დღევანდელი კოშმარული სიტუაციიდან გამოსაელის მპოვნელი გმირი მოგვევლინება თუ არა, საერთოდ. შენილბული გმირი ღმერთმა დაგვიფაროს. რაულ ჩილაჩავა ოპტიმისტური განწყობილებით შეგვანჯღრევს:

„ჩვენ კი გვჭირდება ჩვენი გმირი, ნამდვილი, ნაღდი,
რომელიც მამულს ძლიერსა და ბედნიერს გახდის.
თორემ ნიღაბი, ნიღაბი რომ შველოდეს რამეს,
ნიღბით დავდივართ ნახევარი ქვეყანა ლამის".

აწმყოზე გულდაწყვეტილი „საუკუნის შხამდალეული" პოეტი გაოგნებული დგას წარსულსა და მომავალს შორის: „ვდგავარ წარსულს და მომავალს შორის, გულდაწყვეტილი დღევანდელ დღეზე". ეს არ არის ბანზე ასაგდები კითხვები: „კაენი მოძღვრად ვინ დაისახა? სატანა გვერდით ვინ დაისახლა?" ნაყოფად გაუცხოება მოვისხით: „ადრე ვინც მცნობდა, ახლა ველარ მცნობს, ძველი ნაც-ნობიც გასაცნობია". დავუმოყვრდით ეგოიზმს: „გახსოვდეს მარტო შენ შენი თავი, რადგან

სხვას შენთვის არა სცალია“. ცხოვრება, სიცოცხლე გაუფასურდა: „ისე გეტყვიან: „გარდაიცვალა!..“ თითქოს ვენახში გადავიდაო“. დღევანდელმა ყოფამ შვა ღრმად ფილოსოფიური სტრიქონები:

„არც საძარცვი დაგვრჩა და აღარც გასაყოფი,
გულო ჩემო, გამაგრდი, ბოღმა დაიურვე!
— ცოცხალი ხარ?
— ცოცხალი!.. — მხოლოდ დე იურე!“

დე იურე ცოცხალნი დე ფაქტო სიცოცხლის გადასარჩენად უცხოეთში გარბიან. ქვეყანა დაიცალა, ხალხიც გათავდა ვიზის ლოდინში:

„ვინც ღამეს პურის რიგში ათევდა,
ამჟამად ვიზის ლოდინში ათევს.
პურიც გათავდა, ხალხიც გათავდა,
ვინღა პატრონობს ნახნავს და ნათესს“.

ბრწყინვალე ლექსია „ნაცარქექია“. მისმა „გმირმა“ სინჯა ტაიჭი და რაში, სინჯარაში ჭინკა ჩაამწყვდია, კოცნის ტყაშ მაფას, ეჭიდება ოჩოკოჩს და სურს მის ჩლიქებზე ნალების დაჭედება; ბობოქარ ზღვას პეშვით დალევას უქადის, ზეცამდე კოშკების აგებას აპირებს, დევების მოძებნას და გაჩანაგებას. ჩვენც:

„ვიფიქრეთ — ცოტნეა,
შლეგი შავლეგია.
აღმოჩნდა ყვარყვარე
და ნაცარქექია!“

შეუძლებელია დამშვიდებული სულით, აუღელვებელი გულით, ცრემლებისა და ტკივილების შეგრძნების გარეშე გაითავისო აფხაზეთზე დაწერილი ლექსები: „გაგრა“, „ბიჭვინთის ტაძარი“, „ბედია, ბესლეთი, დრანდა“, „კორიდა“, „გოდების კედელი“, „ფსოუს ხიდი“, „ბომბორა“, „შველა“, „სიკვდილის მერეც“, „ვაი თუ როსმე“, „სიზმარი“ „ლოცვა“. ამ ლექსიდან ერთ სტროფს ამოვიღებ:

„სანამ ბუხარში ცეცხლი იხრჩობა
და კვამლი მაღლა ვეღარ ასულა,
ცხუმსა და ცხინვალს ქართული კვალი
შეცდომასავით გადახაზულა“...

რაულ ჩილაჩავას პოეზია, ეს არის გამომსახველობა ფილოსოფიური საზრისებისა, ჰუმანისტური სულისკვეთებისა, ეროვნული მეობისა და ტკივილებისა, სიცოცხლის აპოლოგიისა, სახისმეტყველებითი ფენომენისა...

„უვადო მივლინებაში“ გარკვეულ ადგილს იჭერს ლექსების ციკლი „მოფერება“. რაულ ჩილაჩავა თავის მეგობრებს, კოლეგებს, მასწავლებლებს, ყველას, ვისაც აფასებს და პატივს სცემს, სათითაოდ სამ-სამ სტროფს უძღვნის. 106 „მოფერებულთა“ შორის არიან სამეგრელოს (მეტწილად ზუგდიდის) მკვიდრნი: ბიეტა აბშილავა, ნაზი არონია, ედიშერ არღელიანი, ანზორ ბარამია, ოთარ გაბელია, ანზორ გვარამია, ნონა გაფრინდაშვილი, გიგლა გობეჩია, ბათუ დანელია, ფრიდონ თოდუა, ვახტანგ თორდია, დილარ ივარდავა, გენო კალანდია, რენე კალანდია, ზაურ კალანდია, ედემ კვირტია, რამაზ კუპრავა, ზაურ მოლაშხია, ტიტე მოსია, ვახტანგ ფარცვანია, ჯემალ ქირია, ჯემალ ჩახავა, ენვერ ჩიქავა, თამაზ ცანავა, ზურაბ ცხონდია, იურა წოწერია, ოთარ ჭითანავა, ვახტანგ ხარჩილავა, დიმიტრი ჯაიანი, ნოდარ ჯალაღონია, იზაბელა ჯანაშია, მურმან ჯგუბურია, ბონდო ჯიქია, შუკო ჯიქია, ჯანო ჯანელიძე.

„მოფერებაში“ კიდევ ერთხელ გამოვლინდა რაულ ჩილაჩავას შინაგანი სულიერი კულტურა, კეთილშობილება, უსაზღვროდ ადამიანური სითბო, ზნეობრივი ნორმა. ამ ლექსების კითხვისას თვალწინ დაგიდგებათ მიძღვნის ობიექტთა სახეები, მათი ღვაწლი, ამაგი, ადამიანური თვისებები.

და ბოლოს: „უვადო მივლინება“ არის 60 წლის რაულ ჩილაჩავას შემოქმედების გვირგვინი. ეს არის დიდი წიგნი არა მარტო პოეტური ნიმუშებისა და თარგმანებისა, არამედ წიგნი-მატიანე ქართულ-უკრაინული და უკრაინულ-ქართული კულტურული ურთიერთობისა 1968 წლიდან მოკიდებული დღემდე. ჩვენო სახელოვანო და საამაყო რაულ! „შენ უმძიმეს ტვირთის ქვეშაც ნება არ გაქვს დაბარბაცდე“.

2009 წელი
ზუგდიდი

გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა

გალაკტიონოლოგია წინ მიდის, ნაყოფიერდება და პოხიერდება ახალი წიგნებით, გამოკვლევებით, წერილებით, ნარკვევებით. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ფენომენი ღმერთივით შეუცნობელია. საცილობელი არ უნდა იყოს, რომ დღემდე მასზე, რაც დაწერილა, ჰგავს თვალის მოჭრამდე ფიზიკური მზერის მზესთან გასწორებას. ხოლო თვალისმომჭრელ სივრცეში თუ იდუმალების სამყაროში რა ხდება, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის. ნეტავი მას, ვინც პირველი გადაკვეთავს იმ სივრცის ზღვარს. საგულისხმოა, რომ გალაკტიონოლოგიის დიდი მთის აღმართზე კუთვნილ ტვირთს ეზიდება ზუგდიდელი მკვლევარი ზეინაბ სარია. იგი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად და გულმოდგინედ მუშაობს გალაკტიონის პოეზიის პრობლემურ საკითხებზე. ყოველთვის ცდილობს ისეთი პრობლემების კვლევას, რაც ნაკლებად, ან საერთოდ არ დამუშავებულა სამეცნიერო ლიტერატურაში. 1996 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაციის („გალაკტიონის ვერლიბრი“) წარმატებით დაცვის შემდეგ შეუდგა სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. თემად შეარჩია – „გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა“. დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ზ. სარიას კვლევის შედეგები შეჯამებულია 300-გვერდიან მონოგრაფიაში, რაც გამოქვეყნდა 2003 წელს. მანამდე კი რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული გალაკტიონის პოეზიის გარშემო.

გვსურს, ჩვენეული თვალსაზრისი გავაცნოთ მკითხველს ზ. სარიას მონოგრაფიაზე, რომელსაც ეწოდება – „გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა“. წიგნში აქცენტირებულია ისეთი საკითხები, რაზეც ნაკლებად არის ყურადღება კონცენტრირებულ სპეციალურ ლიტერატურაში. ვერ დავეთანხმებით წიგნის ანოტაციის ბოლოს ავტორის მიერ თავმდაბ-

ლობით ნათქვამს: „წიგნი დაეხმარება პროფილური სასწავლებლების უფროსკლასელებსა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, იგი უთუოდ დააინტერესებს პოეზიის მოყვარულთა ფართო წრესაც“. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი ამასთანავე დიდ სარგებლობას მოუტანს გალაკტიონის პოეზიის მკვლევართ, რომელთაც შთაგონების ახალ სულს ჩაბერავს, ახლებურად აუხელს თვალს მთელი რიგი საკითხების ახალ რაკურსში გასაცნობიერებლად.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ზ. სარია ამ წიგნს უძღვნის მშობლებს ოქროს ქორწილზე. იგი დიდი ტრადიციების მქონე ოჯახში აღიზარდა, ლიტერატურის სიყვარულის მადლი დედიდან გამოჰყვა. დედა, ციალა ქირია, ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი, თავადაც მკვლევარია. რად ღირს მარტო მისი მეთოდური ხასიათის ნაშრომის დასახელება — იოანე ზოსიმეს ქართული ენის საგალობელზე — „ქება ...ქართულისა ენისა“. ამასთანავე, იგი რამდენიმე წიგნის ავტორია.

ზ. სარიას საანალიზო მონოგრაფია შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში ავტორი მსჯელობს გალაკტიონის პოეტიკურ ტრაქტატზე, დიდი პოეტის შეხედულებებზე პოეზიის დანიშნულების შესახებ, მის ქნარზე. მეორე თავი მთლიანად ეძღვნება გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციურ ლირიკას, ხოლო მესამე თავში განხილულია სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკის ნიმუშები. წიგნის არქიტექტონიკა ტრადიციისამებრ ემყარება შესავალ და დასკვნით ნაწილს. ერთვის გამოყენებული 125 დასახელების ლიტერატურის მათითებელი.

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ წიგნთან, სოლიდურ მონოგრაფიასთან. ვიდრე მასზე საუბარს გავაგრძელებდეთ, სპეციალურად შევნიშნავთ, რომ ზ. სარიამ 1996 წელს არანაკლებ საყურადღებო წიგნი გამოსცა — „გალაკტიონის ვერლიბრი“. ეს გახლდათ ამ პრობლემაზე დაწერილი პირველი მეცნიერული გამოკვლევა. ანოტაციის სტრიქონი რომ ვიხმაროთ: „გალაკტიონოლოგიის სუფთა ფურცლის შევსების ავტორისეული ცდა“.

საანალიზო მონოგრაფიის ავტორი ვიდრე გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციური ლირიკის საიდუმლო სამყაროს კარებს მისეული გასაღებით შეგვიხსნის და ახლებურად გაგვატარებს მასში, გვაზიარებს განუმეორებელი პოეტის შეხედულებებს პოეზიის დანიშნულებაზე. მისივე ზეგარდმო მადლით აჟღერებული ჩანგის ძალმოსილებას და პოეტიკური ტრაქტატის რაობას. მართალია, გალაკტიონის პოეზიის მკვლევარნი არაერთგზის უბრუნდებიან ამ საკითხებს, მაგრამ ზ. სარია ცდილობს კიდევ ერთხელ მისეული თვალით ჩაგვახედოს მის არსში. ქართული და საზღვარგარეთული ლიტერატურიდან არაერთი დიდი შემოქმედის აჩრდილის გამოხმობა შეიძლება, (რომლებიც ცალკეული წერილების თუ მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით გვაცნობენ თავიანთ ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს. გამონაკლისი არც გ. ტაბიძე ყოფილა. აქ უნდა დასახელდეს 1908 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მის მიერ დაარსებული ჟურნალ „შუქის“ მოწინავე სტატია, 1912 წელს დაწერილი წერილი – „სიმბოლიზმი – უცხო და ქართულ პოეზიაში“, „მიყვარდა ჰანგი“ (ეს თავისებური პოეტური მანიფესტი გამოქვეყნდა 1915 წელს), 1921 წელს იწერება კიდევ ერთი წერილი-მანიფესტი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ხოლო 1922 წელს – „პოეზიის დღე“. ყურადღებას იქცევს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველი ნომრის წინათქმა (1922), აგრეთვე გოტიეს წიგნის („მინანქრები და კამეები“) მიმოხილვა. ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე ზ. სარია კომპაქტურად გვაცნობს გალაკტიონის თვალსაზრისებს პოეზიის დანიშნულებაზე. ირკვევა, რომ „ცაიერადი“ პოეტის კონცეფციები არ ყოფილა მწყობრი, ერთსახოვანი და სტაბილური. იგი მოვლენების განვითარების თუ ეპოქათა უკუღმართობის ფონზე იცვლება. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას მიიჩნევს, რომ პოეტი ერის სამსახურში უნდა იდგეს, პოეტური სიტყვის ძალა ავისა და კარგის გამმიჯნავია ერთმანეთისაგან.

სწორედ შენიშნავს ზ. სარია, რომ განახლების სურვილმა განაპირობა გალაკტიონის დაინტერესება სიმბოლიზმით: „ამ პერი-

ოდში მწერლის დანიშნულებაზე გალაკტიონი დემოკრატიულ შეხედულებებს ავითარებს, მისთვის მიუღებელია სიმბოლისტთა ენა უკიდურესი ხელოვნურობისა და ბუნდოვანების გამო". თუმცა გალაკტიონი მყარად არ შერჩენია ამ კონცეფციას. მისი თეორიული აზროვნება კვლავ ცვლილებებს განიცდის. უკან რჩება საგანთა და მოვლენათა გაუცნაურების ხელოვნება. პოეზიის ელიტარულობის აღიარებასთან ერთად ძალაში რჩება პოეზიის საზოგადოებრივი ფუნქცია (წერილი-მანიფესტი „პოეზია უპირველეს ყოვლისა"). გალაკტიონის თავისუფლების პოეზიის არწივს ფრთები შეატრუსა დესპოტიზმისა და დოგმატიზმის ცეცხლის ალმა. 1948 წელს დაწერილ ერთ მინიატურაში ტრაგიკულად განიცდის პოეტების მეფე ყვავილებსა და აპლოდისმენტებზე ჭეშმარიტი ხელოვნების გაცვლას. იგი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის იძულებითი მომარჯვებით დადგა საბჭოური ცხვრების პლატფორმაზე. ზ. სარიას მიხედვით. „საჭირო იყო თვალთმაქცობა, კომპრომისი და პოლიტიკური ვითარების შესაბამისი ქმედება, ოფიციალური იდეოლოგიისათვის საამო ლექსების წერა, კომუნისტური სულისკვეთების გათამაშება". ეს მეტად რთულად გასარკვევი საკითხია. მუზის, განწყობილების ასეთი სულიერი მეტამორფოზა გენიოსი შემოქმედებისაგან ერთი შეხედვით მოულოდნელი ჩანს. გალაკტიონი უშიშარი პოეტი იყო, მას სიკვდილის არ ეშინოდა, იცოდა, რომ „სიკვდილის გზა არღა არის ვარდისფერ გზის გარდა". ასე რომ, კომუნისტური რეჟიმისაგან მოსალოდნელი სიკვდილის საფრთხის წინაშე არ უნდა კანკალებდეს პოეტი და ფიზიკური გადარჩენის მიზნით არ უნდა წერდეს მისთვის შეუფერებელ ლექსებს. მითუმეტეს ბოლშევიზმმა უბედურების გარდა არანაირი სიკეთე არ მოუტანა მას. უფრო მეტიც — თვითმკვლელობამდე მიიყვანა 67 წლის გენიოსი. ვფიქრობთ, გ. ტაბიძეს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ 1921 წლამდე, ანუ საქართველოში ე.წ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, მას დიდ პოეზიაში სათქმელი თითქმის ამოწურული ჰქონდა. შექმნილი შედევრები რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟა-

ფშაველას გვერდით დასამკვიდრებლად საკმარისი იყო. კომუნისტური დიქტატურით მოშხამულმა, პირად ცხოვრებაში გამწარებულმა და ალკოჰოლიზმით გაბრუებულმა ხელი მიჰყო უსახური ნაწარმოებების წერას. ამით იგი საბჭოთა სოციალისტურ სისტემას უმტკიცებდა, რომ როგორი სინამდვილეც იყო, ისეთ ლექსებს უწერდა მას. თუმცა ამ წყობილების პერიოდში დროდადრო ლომივით გაიღვიძებდა გალაკტიონში ნამდვილი გალაკტიონი და კვლავ იწერებოდა შედევრები. ერთი რამ ცხადია: გალაკტიონს არ ეყო ტერენტი გრანელის ნებისყოფა და სულიერი გამძლეობა.

გალაკტიონის პოეტიკური ტრაქტატი განფენილია მისივე 2100-ტაეპიან ლექსში, რომელსაც ჰქვია „საუბარი ლირიკის შესახებ“ (1940 წ.). სწორედ აქ არის პოეტური ძალისხმევით შეჯამებული უდიდესი შემოქმედის შეხედულებები პოეზიის რაობაზე. ზ. სარია გვაძლევს მის ანალიზს ძირითად საკითხებზე ყურადღების გამახვილებით. ამ ლექსად დაწერილი პოეტიკური ტრაქტატის ბოლო მონაკვეთს მძიმე ჩრდილად ადგას პოეტის პოლიტიზებული სახე: ლირიკის როლი საბჭოთა კავშირში. 1937 წლის ავადმოსაგონარი რეპრესიები ჩავლილია, რა აიძულებს პოეტს? „საუბარი ლირიკის შესახებ“ გვიდასტურებს, რომ გალაკტიონი დიდი პოეზიის სიდიადეს რიტმის, რითმის და იდეა-აზრის ერთიანობაში ხედავს: „მთავარი ძარღვი პოეზიის ზომაა, რითმა. მისით მარადის გაიელვოს შუქმა ბედითმა. მაინც იმაზე უმთავრესი სხვა დედა-არსი არის მშვენიერ პოეზიის იდეა, აზრი“. ზ. სარია ამ სტროფში ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის გამოძახილს ისმენს, რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს. ამ პრინციპის მომარჯვებით დაწერილ ლექსს გალაკტიონი ვეღარ ჩათვლიდა მშვენიერი პოეზიის ნიმუშად: „სხვა დედა-არსი არის მშვენიერ პოეზიის იდეა, აზრი“.

„მეოცე საუკუნის პოეზიის ზევსის“ სახეში ორი გალაკტიონი მოსჩანს, როგორც მთა და ბარი. 1927-წლამდელი მთაპოეტი და 1928-1959 წლებში მთიდან „ბარში“ დაშვებული შემოქმედი. გამომდინარე აქედან, ეპოქათა კატაკლიზმების ფონზე გალაკტიონის

პოეზია განიცდის ორგზის რეფორმას, რაც ზ. სარიას სპეციალური მსჯელობის საგნად გაუხდია. პირველი სალექსო რეფორმის პერიოდი 1915-1927 წლებით თარიღდება, მეორე კი — 1928-1958 წლებით. პირველ პერიოდში იგი გამოირჩევა ვერსიფიკაციული აღმოჩენებით. თავს იჩენს ვერლიბრი. თუმცა „მისი ვერლიბრიც კი ისე იკითხება, თითქოს ფარული მეტრული წესრიგი მოქმედებდეს“ (თ. დოიაშვილი). სალექსო რეფორმის პირველ პერიოდში გალაკტიონი სიმბოლიზმის უღელტეხილზე დააბიჯებს. ზ. სარიას სწორი შენიშვნით, ქართული სიმბოლიზმი აერთიანებდა თითქმის ყველა იმდროინდელი ავანგარდისტული ნაკადის ნიშნებს“. ამას მოჰყვა ვერსიფიკაციული სიახლეების დამკვიდრება. პოეტის მეორე კრებულის 86 ლექსი 19 საზომითაა დაწერილი, პირველი წიგნის 120 ლექსი კი — 10 საზომით. უნდა დავეთანხმოთ ზ. სარიას, რომ გალაკტიონმა პირველი რეფორმა კლასიკურ მწერლობასთან მკვეთრი დაპირისპირების გარეშე დაამკვიდრა. მისი რეფორმისტული სულისკვეთებანი უმაღლესი ზნეობრიობით გამოირჩეოდა. პოეტს არ დაუნგრევია ტრადიცია, რომ დაემკვიდრებინა თავისი ნოვაციები“. მკვლევარი იქვე განაგრძობს: „იმდენად ძლიერი იყო პირველი სალექსო რეფორმით გამოწვეული ეფექტი, რომ ჩრდილში მოექცა მეორე რეფორმა, ბევრმა ვერ ცნო იგი, აღიქვა დაღმასვლად... არა და უნდა ვაღიაროთ, რომ გალაკტიონის პოეზიაში 30-იანი წლებიდან კონიუნქტურული კომპრომისების გვერდით ხელშესახებად იკვეთება თვისებრივი სიახლე ქართული პოეტური სიტყვის განვითარების გზაზე“.

ზ. სარიასთვის დაფიქრების საგანი გამხდარა გალაკტიონის სახელში „ქ“ ასოს „კ“ ასოთი შეცვლა და საბოლოოდ პოეტის მიერვე დამკვიდრება ფორმისა — გალაკტიონი. მკვლევარი მას ასეთ ახსნას უძებნის: „ეს არ იყო მოდური ახირება, არამედ იმის შეცნობა, რომ ის გახლდათ თვითმყოფადი, ჰქონდა ფრაზის საკუთარი მიმოქცევა, თავისი რითმები, რიტმები, ორიგინალური ვიბრაცია ტაეპისა. სწორედ ეს არის პოეტური გამართლება იმისა, რომ

მას გალაკტიონი ჰქვია და არა გალაქტიონი, როგორც ნებისმიერ მოკვდავს შეიძლება რქმეოდა".

გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას ამაღლებულ სიყვარულზე ბევრი დაწერილა, არც ზ. სარიას მონოგრაფიაა გამონაკლისი: „ამ ფაქტს ოდნავადაც არ ამცირებს ის, რომ პოეტის ბაგეს შიგადაშიგ წყდებოდა უცისფერო სახელი — მერი. გალაკტიონი მხოლოდ ფიქრისა და ზმანების საუფლოში ესიტყვებოდა მას. ის მისი უხორცო მუზა იყო, ოცნების ქალი". გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას სამიჯნურო და მეუღლეობრივი სიყვარულის წარმოჩენის შემდეგ მკვლევარს ჩვენი ყურადღება გადააქვს ეროტიკული შეფერილობის ნაკადზე და სიყვარულის რომანტიკულ კონცეფციაზე. სწორად შენიშნა ზ. სარიამ, რომ ჯერ კიდევ 16 წლის ყმაწვილ პოეტს ასულდგმულებდა მაღალი გაგება სიყვარულისა. ყველა ჩვენთაგანს ამაში ადვილად არწმუნებს ლექსი „რაც უფრო შორს ხარ":

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი — როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი — როგორც ედემი".

მკვლევარი საგანგებოდ აანალიზებს გალაკტიონის სამიჯნურო ლექსების გარკვეულ ნაწილს: „საშორით შენით", „უსიყვარულოდ", „გეტერა", „შენ ზღვის პირად", „მერი" (გალაკტიონის პოეტური მისტიფიკაცია), „შიშველი", „ვერხვები", „ვინ არის ეს ქალი", „დამწველი თავისი სიმშვენიერით" და სხვა.

ზ. სარიას დასკვნით, სამიჯნურო ლექსები გალაკტიონის მიერ ორ პლანში იწერება. ერთი რიგის ნაწარმოებები რეალურ სფეროს განეკუთვნება, სხვა წყება ქმნილებებისა — ზმანებათა საუფლოს. ერთგან ეროტიკული მოტივი ჭარბობს და დიონისური თრობის ექსტაზი გიპყრობს, სხვაგან კი ამაღლებული განცდის საგალობელი გვესმის.

ზ. სარია არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც იკვლევს და უფიქრდება სამშობლოს ტრაგიკულ განცდას, საკუთარ მამულში უსამშობლობის მტკივნეულ გრძნობას, ეროვნული ფესვების ძი-

ების მოტივს გალაკტიონის პოეტურ სამყაროში. ბუმბერაზი პოეტის შემოქმედების სამივე პერიოდში (დაყოფა პირობითია. თვითონ გალაკტიონს არ მოსწონდა კრიტიკოსების მხრიდან მისი შემოქმედების პერიოდებად დაყოფა) მძაფრად იგრძნობა სამშობლოს სიყვარულის მაჯისცემა, მისით ქრონიკული დასნეულება. ეს არ იყო ჩვენი სახელოვანი ლიტერატურული ტრადიციებისათვის ხარკის გაღების აქტი. ის მისივე ეროვნული ბუნებიდან გამომდინარეობდა, მისივე ეროვნული მეობისა და თვითშეგნების ომახიანი ამოძახილი გახლდათ. 1918 წელს აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობის მარტის ფიფქივით გაქრობა, მოსალოდნელი ასიმილაციის ზვავქვეშ მოყოლის შეგრძნება, საბჭოთა ტერორისტული ხელისუფლების, როგორც ვეშაპის ხახიდან მუცელში ჩალაგება ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისა და იდეალებისა, გულს უღეჭავდა და სულს უჭმუჭნიდა პოეტს.

ზ. სარიას სწორი შენიშვნით, გალაკტიონი პოეტურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე სამშობლოს სიყვარულით გათანგავს თავის ლირიკას. მკვლევარი ილიას, აკაკის, ვაჟას პატრიოტულ ლირიკასთან პარალელის გავლებით ცხადყოფს, თუ რამდენად დადის ჩვენი საამაყო პოეტების აჩრდილი მის პოეტურ განწყობილებაში, რამდენად ბაძავს მათ საკუთარი შემოქმედების მამულის სამსახურში მუხლჩაუხრელად ჩასაყენებლად: „აკაკის და ვაჟას რომ ესმოდათ, ის კვნესა სწვდება გალაკტიონის ყურთასმენას, მთელ მის არსებას... მაგრამ ავტორი ილიასებურად ოპტიმისტია: „მაგრამ მომავლის შვება ვინ უწყის რაოდენია?..“ გალაკტიონმა XIX საუკუნის სამოციანელთაგან ესტაფეტასავით მიიღო მაღალი მისია ერის შვილისა. ზ. სარია მკითხველის გონების თვალს გააყოლებს მითოლოგიური ამირანის სახის წარმოჩენას გალაკტიონის პატრიოტულ პოეზიაში აკაკისა და ვაჟას ლირიკის გამოტარებით: „შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია. „ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: „ამირანია!“... ალბათ, სტალინის სიკვდილით გამოწვეული სიხარულის ფონზე იწერება: „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა

მშვიდობა ნახოს საქართველომა, გრილი ნიავის ქროლა შეიგრძნოს მჭკნარმა მდელომა“.

კომუნისტური ტირანიის მძვინვარების პერიოდში გალაკტიონი შვებას ჰპოვებს ეროვნული ფესვების ძიებაში („ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „მესხის გამოხედვა“, „წამყე ბეთანიისკენ“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირას“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „ქართლის ცხოვრება მძიმეა“...), რაც ზ. სარიას კვლევის ობიექტად უქცევია. კომუნისტური რეჟიმის დროს გამოიკვეთა მის ლექსებში ეროვნული ფესვების ძიების მოტივი, მიჰყვება რა წინაპრის ნაკვალევს, გალაკტიონი გვანიშნებს, რომ მამა-პაპათა პატრიოტული ფიქრი და საქმე უნდა გაგრძელდეს“.

ზ. სარიას ცალ-ცალკე დაკვირვების საგნად გაუხდია გალაკტიონის შედევრები: „ლურჯა ცხენები“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „დომინო“. თუ ერთი ლექსით უწერია ნებისმიერ ჭეშმარიტ პოეტს უკვდავებაში ჰპოვოს თავშესაფარი, გალაკტიონი ამას უთუოდ „ლურჯა ცხენებით“ აღწევს. ამ შეუცნობელ ლექსზე ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება მომავალში. მას ვალში არც საანალიზო წიგნის ავტორი დარჩენია. იგი ცდილობს „ლურჯა ცხენების“ ახლებურად გააზრებას. მასში ახალი ნიუანსების შეტანას, ახალი პარალელების ძიებას. მკვლევართა მთავარ პრობლემას წარმოადგენდა მუდამ ლურჯა ცხენების სიმბოლიკის დაზუსტება. ზოგი მასში ბედთან მუდმივი კვეთების სიმბოლოს ხედავს, ზოგი — ხელოვნების სახე-ნიშანს, ზოგი კი — ჟამთასვლის სიმბოლიკას. ზოგიერთს ლურჯა ცხენები გალაკტიონისა და მისი პოეზიის ერთიანობის სახე-ხატად მიაჩნია. ვფიქრობთ, ამ სიმბოლოს სწორ გააზრებასთან ახლოს დგას ზ. სარია. მისი მოსაზრებით, ლურჯა ცხენები კრებითი, რთული სახე-სიმბოლოა. ბედთან შერკინებასაც მოიცავს, შემოქმედების სიმბოლოსაც, ჟამთასვლის ვიზუალურ სახესაც. ლურჯა ცხენები სულიერი განახლების, სიცოცხლის კვლავ აღორძინების, მარადისობასთან ზიარების, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლოა.

თვითონ გალაკტიონი გვარკვევს „ლურჯა ცხენების“ გენეტიკური

წარმოშობის არსში: „ორი მერანია... მერანი ავთანდილის, მერანი ბარათაშვილის. ისინი სხვადასხვანი არიან. საჭირო იყო მათი შეერთება და ეს მოვახერხე მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება, აი, „ლურჯა ცხენები“. ზევით დამოწმებული მოსაზრებებისაგან განსხვავებით ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ ლურჯა ცხენები — ეს არის სიმბოლო გალაკტიონის სულის კვეთებისა, სამშობლო მისი „სულის ხმოვანებისა ლოცვის სიმხურვალეში“, ეს არის სიმბოლო ტრანსცენდენტურ სამყაროში შელწევის ცდისა. ბიბლიური მემკვიდრეობითი ცოდვის მკაცრი შეგრძნებიდან გამომდინარე, ღმერთი ვერ უსრულებს შენაპირებს სამუდამო მხარეში (ღვთის სასუფეველში) დამკვიდრებისა. სამოთხის გარეშე ყოფნა კი ცივი სამარის შეგრძნებას იწვევს, რის გამოც მისი სული გაუხარელია, მისი ცხოვრების უსულდგმულო დღეები შეშლილი სახეების რბოლად ელანდება. თუმცა კვეთება და სრბოლა მისი მებრძოლი სულისა ამას არ ეგუება, იგი ცეცხლივით რიალებს, „ბნელ ხვეულებში გამოუცნობი ქიმერების“ გამოცნობისაკენ ისწრაფვის:

„მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება“.

აქ „შუქი“ არ არის ფიზიკური სინათლე, იგი სულიერი შუქია. ზ. სარიას მიხედვით, „უდაბნო“ ბიბლიური სახე-სიმბოლოა, ქმნადობის, სრულყოფილების მიღწევის, სრულყოფილებისკენ სწრაფვის ადგილად გაიაზრება“. არა გვგონია. ვფიქრობთ, პოეტის მიერ მოხმობილი „უდაბნო“ თეოლოგიური შინაარსის შემცველია, როგორც მარჯვე და მოსახერხებელი ადგილი ღრმა ლოცვებისა და ღმერთის შემეცნებისათვის. ღვთის შეცნობა კი ძალუძს ცოდვებისაგან გათავისუფლებულ ადამიანს, რათა დაიბრუნოს პირველი სახე და იბრძოლოს ღმერთისთვის დასამსგავსებლად. სწორედ ამ სულისკვეთებით სრულდება „ლურჯა ცხენები“:

„როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გვრვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

ზ. სარიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოძებნა ნათესაური

კავშირი რაინერ მარია რილკეს ლირიკასთან, ასევე ლორკასთან და უიტმენთან: „გალაკტიონს ბევრად მეტი აქვს საერთო ლორკასთან, უიტმენთან, რილკესთან, ვიდრე ბოდლერსა თუ რომელიმე რიგით რუს სიმბოლისტთან, გარდა ბლოკისა“. მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ მკაფიოდ დასაბუთებული აქვს მკვლევარს თავისი თვალსაზრისი სათანადო პარალელების ჩვენებით.

ავტორი განსახილველი მონოგრაფიის „დომინოზე“ მსჯელობის დასრულებისთანავე ასკვნის: „სიმბოლისტურ-სიურეალისტური იკონოგრაფიით იხატება იმქვეყნიური ხედები. პოეტი ემბლემატური მეტყველებით წარმოგვისახავს მარადიული არყოფნის სამყაროს, სადაც ყველაფერი სიცივის თოშით გადაფითრებას მოუცავს“. ირ. კენჭოშვილის მოსაზრებას გალაკტიონის „დომინოზე“ ბელის „მასკარადის“ გავლენის თაობაზე, ზ. სარია ავსებს ბლოკის ლექსთა რკალების („ნიღაბი“, „თოვლის ნიღაბი“) გავლენის მეტყველი დაფიქსირებით.

თვითმკვლელობის მოტივი ერთ-ერთი მტკივნეული მოტივია გ. ტაბიძის პოეზიაში. ზ. სარიამ თავის წიგნში მას ვრცელი ადგილი დაუთმო და კიდევ ერთხელ შესზარა მკითხველი იმ ფაქტებით, თუ როგორ მზადდებოდა გალაკტიონის სული და არსება თვითმკვლელობის გადაწყვეტილების მიღებისათვის, რისი მოწმე გახდა, სამწუხაროდ, ქართველი ერი 1959 წლის 17 მარტს. თუ არ ვცდებით, სპეციალურად ეს მოტივი პირველად ზ. სარიამ წამოსწია, რაც გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციურ პოეზიაში მძაფრად იგრძნობა. მკვლევარის მართებული შენიშვნით, დიდი პოეტის სიმბოლისტობა არ იყო მხოლოდ ამის მიზეზი. იგი ულრმავდება ტრაგიკულ მომენტებს „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის ცხოვრებაში: 1905 წლის რევოლუციის დამარცხება, თებერვლის რევოლუციით მონიჭებული იმედების დასამარება ოქტომბრის გადატრიალებით, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის სიკვდილი, საბედისწერო 1924, 1937 წლები, წიგნების გამოცემისთვის ხელის შეშლა წლობით, „ბერიას კუდების“ მიერ ცხოვრების საყვარელი თანამგზავრის ოლია ოკუჯავას დაპატიმრება და დახვრეტა, კომუნისტური

ტირანიის ხელში თავისი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობა და ა.შ. თვითმკვლელობის განცდა და სიკვდილის აჩრდილი სიყვმაწვილიდანვე დასდევდა „მარტოობის ორდენის კავალერს“. ცხადია, ეს გამოწვეული იყო აუტანელი ეპოქით, რაც თვალნათლივ დაგვანახა მონოგრაფიის ავტორმა გალაკტიონის ლექსების საფუძველზე, მისივე შემოქმედების ადრეული ხანიდან ბოლომდე.

ერთი შეხედვით, მკითხველს თვალს მოჭრის ზ. სარიას წიგნში შესული ნარკვევის ბრჭყვიალა სათაური — „გალაკტიონი და ბიბლია“ და მისი ბოლო სტრიქონები: „ჯერჯერობით ღიად რჩება საკითხი ღვთისადმი პოეტის დამოკიდებულების შესახებ“. მკვლევარის სათქმელი სათაურშივე მთავრდება. ამ დიდ თემას გადაუარა ნაჩქარევი ნაბიჯებით. არადა, ამ ხარვეზის შევსება მის მშვენიერ მონოგრაფიას რკინის სიმტკიცით დააყენებდა ფეხზე. ეს უპირველესი პრობლემაა გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციური პოეზიის კვლევის პროცესში. მითუმეტეს, ავტორი საინტერესო მინიშნებებს გვაძლევს, რომლის გაშლა ნებისმიერი მკვლევრის დამკვალიანებელია და მაიმპულსირებელი საკითხის ღრმად გასარკვევად.

არ შევეცდებით თუ ვიტყვით, რომ ზ. სარიამ გალაკტიონოლოგიაში შედარებით საფუძვლიანად შეისწავლა ისეთი საკითხები, როგორიცაა: გალაკტიონისეული ოკაზიონალიზმები, სიტყვის ნიუანსირება, პოსტმოდერნული შტრიხები (ძველის გამოხმობა ახლის შესაქმნელად), სასაუბრო სტილი, ინტროსპექტულ-ექსტროვერსიული გალაკტიონის პოეზიაში, კომიზმი და ირონიული ტონალობა გალაკტიონის ლირიკაში. ამ საკითხების ანალიზი და შეფასება შორს წაგვიყვანდა. მოკლედ მოვჭრი, რომ მონოგრაფიის მეორე თავი მთლიანად ეთმობა გ. ტაბიძის სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკის განხილვას. იგი 10-მდე ქვეთავს მოიცავს: მსოფლიოს ახლებური განცდა გალაკტიონის პოეზიაში, სამოქალაქო-პუბლიცისტური ჟღერადობის ლექსები, სოციალური უთანასწორობის მხილება, მეფისტოფელური საუკუნე, გალაკტიონი და 1917 წლის რევოლუციები, კომუნისტური სისტემის პროპაგანდა, საბჭოური იდეოლოგიის კლიშეები და სასიგნალო ლექსები, 1941-1945 წლების

პოეზია, „ქებათა ქება“ ნიკორწმინდას და გალაკტიონური და ა.შ.

ჯერ კიდევ 1975 წელს სწორად შენიშნავდა ზ. აბზიანიძე: „გალაკტიონ ტაბიძე ადამიანის სულიერი სამყაროს ყველა გამოვლინებას საკაცობრიო იდეალებს უსადაგებდა, პიროვნული ცხოვრებისთვის უფრო დიდსა და ზოგად მასშტაბს ეძებდა, მეორე მხრივ, მას უდიდესი, ეპოქალური მოვლენები ადამიანის სულიერ მიკროკოსმოსამდე დაჰყავდა“. ამ კონცეფციის გაშლით ზ. სარია კალმის ერთი მოსმით გვისაბუთებს მსოფლიოს ახლებურ განცდას გალაკტიონის ლირიკაში. მისი აზრით, გალაკტიონთან მამული განცდილია მსოფლიო კონტექსტში და არა იზოლირებულად. გლობალური მოვლენები იმიტომ იზიდავს მის თვალს, რომ იცის, იქ წყდება მისი მამულის ბედიც... პლანეტის მაჯისცემის სიხშირეს იმეორებს საკუთარი პულსით. ზ. სარია გალაკტიონის პოეზიაში ქართული და მსოფლიო მოვლენების გამთლიანების იდეას ეძებს და პოულობს. ამ მხრივ, მისი გონების მზერა მიმართულია განსაკუთრებით ერთი ლექსისკენ – „პროლოგი 100 ლექსისა“. მასში ნათლად იკვეთება დღეისათვის მეტად აქტუალური პრობლემა – ჯანსაღი ევროპულ ღირებულებებთან მისი ერის ზიარების პრობლემა. ამჟამად რეალური ჩანს საქართველოს გზის გაწვაფვა ევროპულ სივრცეში, თუმცა იგი მრავალ კითხვას ბადებს. კონსტანტინე ზ. გამსახურდიას თქმისა არ იყოს, საქართველო კი იპოვის გზას დასავლეთისკენ, მაგრამ ეს ცოცხალი საქართველო იქნება თუ მისი გვამი, რომელსაც შეასვენებენ „ევროპულ სახლში?“ მისი სიცოცხლე კი ის იქნება, რომ შესძლოს თავისი ინტერესების აქტიურად შეთავსება დასავლეთის ჯანსაღ არაეგოისტურ ინტერესებთან.

მომდევნო ქვეთავებში ზ. სარია მოკლედ და ზოგადად აანალიზებს გალაკტიონის სამოქალაქო-პუბლიცისტური ჟღერადობის ლექსებს, სოციალური უთანასწორობის მამხილებელ ნაწარმოებებს („უბინაო ბავშვები“, „ბავშვები კაფეში“), მეფისტოფელური საუკუნის განმაქიქებელ თხზულებებს. შედარებით ვრცლად ჩერდება მკვლევარი საკითხზე – გალაკტიონი და 1917 წლის რევოლუციები.

გალაკტიონის 1917 წლს რევოლუციებთან დამოკიდებულებაზე

მსჯელობისას უთუოდ გასათვალისწინებელია დ. თევზაძის მიერ გამოთქმული აზრი: უნდა განვასხვავოთ ზოგადრევოლუციური და კონკრეტული შინაარსის ისტორიული აქტი. პირველი, ავტორის შემოქმედებითი ბუნების თანაზიარია და სამყაროს მარადჟამ განახლებასა და თავისუფლებისაკენ სწრაფვაში პოულობს გამოხატვას, ხოლო მეორე, თუმცა უშუალო კავშირშია პირველთან, კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის შემცველია". სწორედ ამ შეფასების კვალდაკვალ წარმართავს ზ. სარია საუბარს აღნიშნულ საკითხზე. გასაზიარებელია მისი აზრი, რომ გულდადინჯებული კვლევაა საჭირო, როდესაც ვეძებთ გალაკტიონის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლუციასთან. იგი, მართლაც, გულდადინჯებული კვლევით ნათელს ჰფენს ამ პრობლემას.

მონოგრაფიაზე მუშაობისას ზ. სარია, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა იმ აურაცხელ ლექსს, რომელიც კომუნისტური სისტემის პროპაგანდის მიზნით დაიწერა, საბჭოური იდეოლოგიის გავლენით შეიქმნა. მათი ერთი ნაწილის განხილვისას ზ. სარიას მკითხველის ყურადღება გადააქვს იმ სასიგნალო ლექსებზე, რომლებიც გვამცნობს, რომ კომუნისტური რეჟიმი პოეტების მეფის ცხოვრებას შხამავს და ამწარებს, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აყენებს, „მარტოობის ორდენის კავალერად" აქცევს, მაგრამ „იმედის ორდენის რაინდადაც" მოგვივლენს.

წიგნის ავტორს სპეციალური დაკვირვების ობიექტად უქცევია გალაკტიონის 1941-1945 წლების პოეზია, რაც მთლიანად თავმოყრილია დიდი შემოქმედის თხზულებათა თორმეტტომეულის მეხუთე ტომში. ცხადია, იგი ცალკე მონოგრაფიის დამტევი თემაა. ზ. სარია მათზე მსჯელობისას მკითხველს ოდენ გადათვალიერების დონეზე ტოვებს.

წიგნში ცალკეა გამოყოფილი სამსჯელოდ გალაკტიონის შედევრი — „ქებათა ქება ნიკორწმინდას". საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გლაკტიონს ეს ლექსი ჯერ კიდევ ტაძრის დანახვამდე შეუთხზავს. მოვუსმინოთ თვითონ გენიოს პოეტს: „პირველად რომ ნამდვილი ნიკორწმინდა ვნახე, გავოცდი, თითქოს მომატყუეს, ციდან მიწაზე ჩამომიყვანეს და ცივი წყალი გადამასხეს". ეს სიტყვები გახლავთ

ნაყოფი იდეალიზებული ხატის გაფერმკთალებისა. საგულისხმო პარალელი მოაქვს ზ. სარიას: „სხვათა შორის, არტურ რემბომ „მთვრალი ხომალდი" ისე დაწერა, რომ ზღვა თვალით არ უნახავს". მკვლევარი ამ შედევრ-ლექსს განიხილავს პოეტიკური კუთხით, როგორც ცნობილია, ჯერ გრ. რობაქიძემ, შემდეგ კი აკ. ხინთიბიძემ ამ ლექსში აღმოაჩინეს სრულიად ორიგინალური სახე რვასტრიქონიანი მყარი სალექსო ფორმისა, რომელიც უცნობია მსოფლიო პოეტიკაში. აკ. ხინთიბიძემ მას უწოდა „გალაკტიონის სტროფი", გრ. რობაქიძემ კი მას შეარქვა „გალაკტიონური".

ზ. სარიას მართებული შენიშვნით, გალაკტიონის ოქტავა მხოლოდ უცხოურ გამოცდილებას როდი ეყრდნობა, არამედ ფესვები უდგას ეროვნულ პოეზიაში. აქ მას ახსენდება ძველი ქართული პოეზიიდან რვატაეპიანი ლექსი, ე.წ. „რეული" (სიტყვიდან — რვაეული — რვატაეპიანი სტროფის გამომხატველი). შდრ. მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი", დავით გურამიშვილის პოეზია. მონოგრაფია სრულდება ნარკვევით — „გამეორება გალაკტიონის კლავიატურის ერთი კლავიში". სათანადო პოეტური ნიმუშების შესწავლის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის: გალაკტიონის პოეზიაში გამეორება სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება. 1. ტაეპში ან ტაეპებში კონდენსირებულია იდეა, დასკვნითი ხასიათის თეზისი და ავტორი მათი გამეორებით აზრს აძლიერებს. 2. გამეორება უწყვეტობის განცდას ამძაფრებს. 3. გამეორება ხდება ზუსტი სიმეტრიის დაცვით, რაც ევფონიური თვალსაზრისით ჟღერადსა და ჰარმონიულს ხდის ნაწარმოებს. 4. იქმნება მონოტონური მელოდიზმის შთაბეჭდილება. 5. მძაფრდება ემოცია. 6. განწყობილებას ეძლევა დასრულებული სახე.

დასასრულ ზ. სარიას მონოგრაფიის — „გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო პუბლიცისტური ლირიკა" — ჩვენ მიერ ზოგადი მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ იგი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს, საკვლევი პრობლემა მასშტაბურია. ამ სახის წიგნი გალაკტიონზე ჯერ არ დაწერილა, რაც ზრდის მის აქტუალობას. სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული ეს მონოგრაფია უცილობლად სარგებლობას მოუტონს ყველას, ვისაც გალაკტიონის პოეზია აინ-

ტერესებს. ეს არის ერთი აგურის მიტანა გალაკტიონოლოგიის დიდი კორპუსის ასაგებად. ავტორი ღრმად არის ჩამწვდარი გალაკტიონის პოეზიის საიდუმლოებას. კვლევის პროცესში ითვალისწინებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (სხვა საკითხია, ეთანხმება თუ არ ეთანხმება მას). წიგნი დაწერილია სადა და ნათელი სტილით. იგი, მცირე გამონაკლისის გარდა, არ „აბრუებს“ მკითხველს უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ამოზიდული ტერმინებით, სიტყვებით.

ამ მონოგრაფიის კითხვისას გზადაგზა მებადებოდა შენიშვნები, რომლის ერთ ნაწილს აქვე დავაფიქსირებ. ეს მხოლოდ კეთილი სურვილებია და მეტი არაფერი. წიგნის სათაური უზარმაზარ პრობლემას მოიცავს. ცხადია, 300-გვერდიან ნაშრომს გაუჭირდება გაწვდეს მთელ თორმეტტომეულში ჩაქვითკირებული გალაკტიონის პოეტური საიდუმლოების ამოცნობას, ამიტომაა, რომ ზოგიერთი ქვეთავი ფრაგმენტული კვლევის საზღვრებში იკეტება. წიგნის თვალშისაცემ ნაკლად მესახება რელიგიური ნაკადის, რელიგიური განცდების, ღმერთის ძიების მოტივის განზე გადადება. გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციური ლირიკის კვლევისას მისი გამოტოვება წიგნს ამსგავსებს თვალამოვარდნილ ბეჭედს. უნდა წარმოჩენილიყო თუ რამდენად ერწყმის „ცაიერადი“ პოეტის რელიგიური განცდები ეროვნულსა და ზნეობრივს. ასევე უნდა გამოკვეთილიყო პირადული და მსოფლიო სევდა, პესიმიზმი და ოპტიმიზმი. შენიშვნა გაგვიჩნდა მონოგრაფიის აღნაგობის მიმართაც. სჯობდა წიგნის ბოლოში გადატანა მთლიანად პოეტიკური საკითხებისა, სასაუბრო სტილისა, სიტყვის ნიუანსირებისა, გალაკტიონისეული ოკაზიონალიზმებისა და ა.შ.

ზ. სარიას გამოკვლევის ღირსებაში ადვილად დარწმუნდებიან სკოლის მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები, სტუდენტები, სპეციალისტები და, საერთოდ, გალაკტიონის ლირიკით დაინტერესებულნი. ერთი სიტყვით, ზ. სარიას მონოგრაფია — „გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო პუბლიცისტური ლირიკა“ — გალაკტიონოლოგიის შენაძენია.

მიახლოება „მგლოვიარე სერაფიმთან“

1961 წელს მეშვიდეკლასელმა სოფ. ხეთაში ბიძაჩემის (ლიტერატორი აკაკი ჭითანავა) საწერ მაგიდაზე დავლანდე წიგნი, რომლის გარე ყდაზე ეწერა „ტერენტი გრანელი, რჩეული“. მიმიზიდა სიტყვამ — „გრანელი“. ამ ფსევდონიმზე ბიძამ ახსნა-განმარტება მომცა. შემატყო წიგნით დაინტერესება და მირჩია მისი წაკითხვა. მართალია, ერთი წლით ადრე დედის გარდაცვალებაზე პირველი ლექსი დაწერილი მქონდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ პოეზიის ბაღში ხილის დაკრეფა შემეძლო. პოეტის „რჩეულმა“ რაღაც ფანტასმაგორიულ სივრცეში გადამისროლა და ეგზალტირებულ მდგომარეობაში დამტოვა. გუშინდელ ყმაწვილს რაღაც არ ვგავდი. ღამით უცნაურ მოჩვენებებშიც გადავეშვი. პოეზიისადმი ინტერესი დილის მზესავით მეზრდებოდა. დედით დაობლებულს და დანაღვლიანებულს, შესაძლოა ამიტომაც დაუნათესავდა ჩემს სულს ტერენტი გრანელის სევდიანი ლირიკა. ა. ჭითანავას მოსვენებას არ ვაძლევდი, რაც შეიძლებოდა მეტი მოეთხრო ჩემთვის „უცნობ სფინქსზე“. მან ზოგადად გამაცნო პოეტის ბიოგრაფიული ესკიზები. ერთი უცნაური ამბავიც მომითხრო, რისი მომსწრეც თვითონ გამხდარა რუსთაველის გამზირზე. თურმე სნეული ტერენტი გრანელი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოქცეულა, ზამთრის პირზე თეთრი ხალათით შემოჭრილა ხალხში. გამვლელ-გამომვლელთ სიცილი დაუყრიათ მისთვის. გაგულისებულ პოეტს ბოლომდე ჩაუხსნია თეთრი ხალათის ღილები და გაშიშვლებულს ამგვარი „პასუხი“ გაუცია ხარხარის მოყვარულთათვის.

აკაკი ჭითანავამ მითხრა: ვატყობ, ტერენტი შეგიყვარდა, მე გაგაცნობ ისეთ კაცს, აგერ ჩვენს მეზობლად, სოფ. პირველ მაისში, რომელიც გრანელთან ახლო ურთიერთობაში იყოო. იგი ბევრ საიდუმლო და საინტერესო ინფორმაციას ფლობს ამ უცნაურ პოეტზე, თვითონაც ლირიკოსია. ეს გახლავთ ნოე დაფნარელი (კობახიძე). როგორც გაირკვა, მასთან თურმე ხშირი სტუმრობა ჰქონია ტერენტი

გრანელის პოეტური ფურორით დამუხტულთ. მისგან ითვისებდნენ საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვან მასალებს, რაც ქვეყნდებოდა კიდეც.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქ. ზუგდიდის საქალაქო ბიბლიოთეკასთან არსებობდა (დირექტორი ქეთევან ცხონდია) ლიტერატურული წრე (ხელმძღვანელი თინა თირქია — მშვენიერი ქალბატონი და პედაგოგი). 1963 წელს ჩემი გაწევრიანებისას ამ წრეში დამხვდნენ: არჩილ ფირცხალავა, რაულ ჩილაჩავა, ზაურ მოლაშხია, გიორგი სიჭინავა, გურამ გვარამია, მიხეილ შტადაძე, შახი ჯალაღონია, გრიშა სიჭინავა და სხვ. ამ ლიტერატურულ წრეში ტერენტი გრანელის კულტი იყო. ა. ფირცხალავამ „მგლოვიარე სერაფიმის" აურაცხელი ლექსი იცოდა ზეპირად, რასაც ყოველთვის ემოციურად წარმოთქვამდა და ჩვენც „გვწამლავდა" მისი „თრიაქით". ა. ფირცხალავა ცდილობდა ფიზიკური ცხოვრების წესითაც მიებაძა „ქარისა და ღამეების" პოეტისათვის, რაც მის მშობლებსაც საგონებელში აგდებდა.

დღევანდელივით მახსოვს: 1967 წელს ქ. სოხუმის მასწავლებელთა სახლში პირველკურსელმა სტუდენტმა მონაწილეობა მივიღე ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც მიეძღვნა ტერენტი გრანელის დაბადების 70-ე წლისთავს. ეს უფრო იმიტომ გავიხსენე, რომ მას ძალზე ცოტა პოეზიის მოყვარული დაესწრო. იგი ორგანიზებული იყო დოც. ბენო გვასალიასა და პოეტ მურმან ხურცილავას მიერ. ძალზე ცოტა მონაწილე მოვიდა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ შიში არ იყო განეიტრალებული კონიუნქტურიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ 36-წლიანი პაუზის შემდეგ პოეტის „რჩეული" ელიზბარ უბილავას გამბედაობით უკვე გამოცემული გახლდათ. ის კი არადა, მეორე დღეს ერთმა ლექტორმა მითხრა: რაღაც საღამო მოგიწყვიათ წუხელ, მგონი ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი. ღირდა-კი? რა პოეტი იყო იგი, ცხოვრებას გაურბოდა, გადაგვარებას ქადაგებდა, სულ წუწუნი და ტირილი, წარმავლობა, ღამე, სიბნელე და ქარი, მიწიდან გაფრენა და მეტი არაფერიო... ეს „ნაბოდვარი"

იყო ექო XX საუკუნის ოციანი წლების რაპაპული კრიტიკისა, ასე რომ უშხამავდნენ სიცოცხლეს სვეგამწარებულ პოეტს: „რეაქციული წიგნი“, „ნაცოდვილარი“, „მისტიკოს-ნაციონალისტი“, „მათხოვარ ქრისტეზე მლოცველი“, „ნაბოდვარი“, „საშინელება“, „მიულებელი,“ „შეუფერებელი“, „უვარგისი“, „მკვდარი ადამიანი“, „სევდიანი და მოწუწუნე“, „გრანელის ლექსი სუსტი და მჭლე“, „მავნებელი“, „ტროცკისტი“, „მენშევიკი“, „რაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი, ცხვირში საკმევლის სუნი გეცემათ“ და ა.შ.

ტერენტი გრანელი! — ქართული პოეზიის ციდან დაკიდული სემირამიდის ბაღი. ტერენტი გრანელი! — „უცნობი სფინქსი“, „მგლოვიარე სერაფიმი“, „პოეტი-ბავშვი“, „ბავშვი უფალი“, „ღრუბლის ბავშვი“, „მწუხარე შუქი“, „სევდის ტრიუმფატორი“, „ანგელოზი თეთრი ბაღისა“, „თეთრებში გამოწყობილი“, „დედამიწის სიზმარი“, „ცისფერი სიშორე“, „გრძნობის მგოსანი“...

ტერენტი გრანელი! — „ბრილიანტებით მოფენილ ხილვებში“, „სიმბოლიზმის მწვანე ფერებში“ ჩაფლული პოეტი, რომლისთვისაც არ იყო „შველა ცხოვრების და პოეზიის შუა“. ლირიკოსი, რომელიც ფიროსმანივით „ფარულ კოშმარებს ატარებდა სევდის მინაში“; შემოქმედი, რომლის „ლექსები იცრემლებიან, როგორც ინფანტას ცრემლები“, ვისაც „მისტიკური ქროლვით“ ჩაესმოდა „ცოდვილი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი“ და შეეძლო „პოეტური სახეების კოშმარულ მოჩვენებად ქცევა“.

ტერენტი გრანელი, რომლისთვისაც პოეზია იყო ლოცვა, პოეზია იყო ფიცი, პოეზია იყო ზეცა, ხოლო ცხოვრება — ტალახი, თბილისი — „დარდის უდაბნო“, ვარსკვლავები — თეთრი მარადისობის სიმბოლო. პოეტი, რომლისთვის იყო „ტანი სიმძიმე“, „ტანი ციხე“, „ხორცი ლეში“, რომლის გამოც იგი იხედებოდა „საგნის გაღმა“, „ლოცვის გაღმა“, „ოცნების იქით“, „სიტყვის იქით“ ციურ „ფეერიულ ყოფაში“ დასახლების მიზნით. „მინანქრული სტრიქონების“ ავტორისათვის ყველაფერია „პოეზია ქარისა და ღამეების“, „მხოლოდ ლექსები, მარტო ლექსები და მეტი არაფერი“. მისთვის პოეზია ისეთივე

შეუცნობელი იყო, როგორც ღმერთი და როგორც სიყვარული. მას თავისი სული ეჩვენებოდა, როგორც „ღმერთის ლანდი“ და გრძნობა, როგორც „გრიგალი მძიმე“. ფანტასტი პოეტი ავადმყოფურად გადაგვდებს მსოფლიო სევდით დაქანცულ საკუთარ განცდებს: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ. წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“. ან კიდევ: „მიწას ადგია ცა გარინდებით და ეს ქვეყანა თითქოს ყუთია“, რის გამოც შენატროდა იგი „საფლავების მწვანე სიმშვიდეს“ და აკეთებდა ესკიზურ მონიშვნებს სამყაროს უინტრიგო ეტიუდებზე ეგზისტენციალურ მარტოობაში მყოფი ლირიკოსი.

როდესაც ტერენტი გრანელის წიგნის კითხვას დაასრულებ (უკვე მერამდენედ), სადღაც „ცისფერ სიშორეში“ მიაყურადებ „მწუხარე მელოდიას“, „გულიდან სისხლის წვეთებით“ თუ „შეშლილი ცრემლებით“ კი „სულს ლაჟვარდოვან ცისკენ გაგზავნი“, სადაც „უხმო საათმა ფიქრი მოთოვა“. „ექსკურსია ცისკენ“ შეგამჩნევინებს, რომ „უსაზღვრო სივრცეა სულში“, რომ „აქ სინათლეა და ბნელა იქით“ და „ისევ ცისფერ სამყაროს ეძებ“.

როდესაც ტერენტი გრანელზე ფიქრობ, „მისტიკურ ხილვებში“ გახლართულს თვალწინ დაგიდგება ცასა და მიწას შუა დაკიდული ხორცშემოხეული სულის ლანდი კაცისა, რომელიც მიწას მოსწყდა, ვერც ზეცას მიწვდა და „მესამე გზის“ ძიებაში გაილია, რომლისთვისაც პოეზია იდუმალების, უსაზღვროების, მარადისობის სიმბოლოდ იქცა. შინაგანი ნების თავისუფლების, ნებისყოფის გამოცდის ხარჯზე იწრთობოდა „მესამე გზის“ ძიებაში მისი პოეტური სულის „სიცოცხლის გრადაცია“, რომელსაც ურყევ თვითსრულყოფამდე და თვითდაჯერებამდეც მიჰყავდა უნიკალური შემოქმედი: „პირველ პოეტად ვითვლები“, „მთელ მსოფლიოს დავიპყრობ, ვიცი“, „ჩემს სახელს მთელი მსოფლიო აღიარებს მალე“, „უკვე იწამეს ჩემი გენია“, „პოეზიაში ვარ უდიდესი“, „მომავალი მაინც ჩემია“, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“...

როდესაც ტერენტი გრანელზე ფიქრობ და მისივე ბიოგრა-

ფოსების შემწეობით თვალწინ გაისიგრძეგანებ პოეტის ცხოვრების გზას, შეძრწუნებები, სულის ეკრანზე კინოკადრებივით ჩაივლიან მოლანდებები: დედით ობოლი, „ბავშვი უფალი“ დედინაცვალ დარიას შეჰყავს წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიაში, სადაც მეოცნებე თვალებს მიაპყრობს ხატებს, წმინდანებს, გარეთ მიაყურადებს „საფლავების მწვანე სიმშვიდეს“, დადის სკოლაში „მოსწავლეთა მეფედ“ წოდებული, სახარაზოში ზის და მამას ეხმარება ფეხსაცმლის კერვაში, იაკობ შანავას ბიბლიოთეკაში ეწაფება წიგნებს წყაროსწყალივით; აკვირდება ლაკადის პეიზაჟებს, ჭანისწყლის ნაპირებზე უყვარს განმარტოება, ჩაფიქრება, ზეცისკენ მზერა; გული ეზიდება თბილისისკენ, ქუთაისის გავლისას ჯერ არ დაყნოსავს „სიმბოლიზმის მწვანე ყვავილების“ სურნელებას; თბილისის რკინიგზის სადგურზე „მოეწყობა“ ვაგონების გადამბმელად, კონდუქტორად, შემდეგ არჩევს გაზ. „სახალხო საქმის“ რედაქციის შიკრიკობას, „ახალი სოფლის“ გაზეთების დამტარებელთა უფროსობას, ხდება დროებით სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი, იარაღით ხელში იბრძვის თურქი ასკერების წინააღმდეგ ბათუმის გასათავისუფლებლად; გაზეთ „ახალ ნაკადში“ ბეჭდავს პირველ ლექსს (1919 წლის 30 მარტი) გამოსცემს გაზეთ „იას“ (ერთი ნომერი), ჟურნალ „კრონოსის სარკეს“ (ორი ნომერი); 1920 წელს აქვეყნებს ლექსების პირველ კრებულს — „პანაშვიდები“ (გობრონ აგარელთან ერთად), ამ კრებულს მოჰყვება ზედიზედ: „სამგლოვიარო ხაზები“ (1921), „სულიდან საფლავები“ (1922), „მემენტო მორი“ (1924) და „ლექსები“ (1925). 1924 წელს გამოდის ამ პოეტური ფურორის მომხდენი ლირიკოსისადმი მიძღვნილი სპეციალური გაზეთი — „ტერენტი გრანელი“. სულიერი ცხოვრებით ხორცს მოწყვეტილ მარტვილ შემოქმედში იწყება და ვითარდება სულიერი დეპრესია. თბილისის ქუჩების და სასაფლაოთა „ბინადარ“ ლანდად ქცეულ კაცს ფსიქიატრიული საავადმყოფო „ათვინიერებს“, მაგრამ ამაოდ. ხშირად იქიდან გაქცევით „შველის“ თავს. იგი საბოლოოდ ფიზიკურად დაიშრიტა (1934 წ.) და მიიბარა მისივე „დარდის უდაბნოს“ მიწამ.

ტერენტი კვირკველიადან ტერენტი გრანელამდე განვლილი დრო პოეტს ამზადებდა (ვით ბიბლიური აბრამი ისაკს) ღმერთისთვის და პოეზიისთვის მსხვერპლად შესაწირად. ასეთი მსხვერპლი და ზვარაკი პოეზიას, ალბათ, საუკუნეში ერთხელ ეღირსება და ებადება. XX საუკუნის 20-იანი წლების ალიონისთვის ტერენტი გრანელი ქართული პოეზიის ცაზე მეტეორივით გაინავარდებს და ჭეშმარიტად წმინდა პოეზიის თაყვანისმცემელთ „გამოუცნობ ცეცხლის ალში“ გახვევს. აღფრთოვანებულთა რიგში ჩადგნენ: ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. ორბელიანი, კ. გამსახურდია..., რომელთაც იმთავითვე კეთილი სიტყვები შეაწიეს ამ ქვეყნად მხოლოდ ლექსისთვის მოვლინებულს.

ტერენტი გრანელის მომნუსხველი პოეზიის შემფასებელთა შორის დავასახელებთ: ნ. აგიაშვილი, ლ. ალიმონაკი, დ. ახვლედიანი, ვ. ბარნოვი, რ. ბეჟანიშვილი, თ. ბორელი, მ. გვეტაძე, ლ. გუდიაშვილი, ვ. დაისელი, ხ. ვარდოშვილი, დ. თევზაძე, გ. იმედაშვილი, კ. კაპანელი, პ. კაკაბაძე, დ. კობიძე, ა. კორინთელი, ბ. ლაშხია, რ. მიშველაძე, ა. ნიკოლეიშვილი, ვ. ნორაკიძე, შ. ნუცუბიძე, ა. ჟორდანია, გ. რუხაძე, ვ. რუხაძე, ს. სიგუა, ლ. სორდია, მ. ტურავა, ელ. უბილავა, დ. ფიფია, ა. ქელბაქიანი, ბ. ქელბაქიანი, ჯ. ღვინჯილია, გ. შავიშვილი, კ. ჩიქობავა, თ. შოთაძე (ფიფია), ა. ცანავა, გ. ცქიტიშვილი, ზ. ცხონდია, გ. წერეთელი, ს. ჭილაია, გ. ხერხეულიძე– საგანგებოდ გავხაზავთ, რომ ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში სწორუპოვარი და განუმეორებელი წვლილი მიუძღვის ლერი ალიმონაკს. ბედნიერია ის შემოქმედი, ვისაც ასეთი ჭირისუფალი ეყოლება. მან პოეტის „მეორედ მოსვლის“ დღიდან ურყევად დააყენა ფეხზე ტერენტოლოგიური მეცნიერება, რომელიც სამომავლოდ კიდევ ერთ საყურადღებო მკვლევარს ელოდა გელა მამფორიას სახით.

გ. მამფორია ტერენტი გრანელის პოეზიით ადრიდანვე დაინტერესდა. თვითონ, როგორც პოეტმა, ახალი ნათესაური ძაფები მოძებნა მის სულთან. მან „უცნობი სფინქსის“ პოეზიაზე მუშაობა მას შემდეგ გააქტიურა, რაც სადისერტაციო თემად გაიხადა

იგი. ნაშრომი თითქმის დასრულებული ჰქონდა, როცა აფხაზეთის ტრაგედიამ მოუსწრო, სოხუმის დაცემამ ეს ნაშრომიც შეიწირა (მე და გელა სოხუმის დაცემას იქვე მოვესწარით და რის ვაი-ვაგლახით ერთად გამოვიარეთ საკენ-ჭუბერის გოლგოთად წოდებული გზა). მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარი მორალურად არ დაეცა და გულდაგულ კვლავ განაგრძო პრობლემაზე მუშაობა, რაც 1997 წელს საკანდიდატო დისერტაციის ბრწყინვალე დაცვით დაგვირგვინდა. თუმცა გ. მამფორია აქ არ შეჩერებულა. მან 2000 წელს მკითხველ-სპეციალისტებს მშვენიერი საჩუქარი შესთავაზა, გამოსცა მონოგრაფია – „დათოვლილი სანთელი – ტერენტი გრანელის პოეზია“ (წიგნი I).

ფართოა საკითხთა წრე, რასაც გ. მამფორია ამ წიგნში იკვლევს: ტერენტი გრანელის სიმბოლისტური პოეზია, სამყაროს ტრაგიკული აღქმა, სიცოცხლისადმი, გაზაფხულისადმი, სინათლისადმი, თბილისისადმი, გალაკტიონისადმი, ფიროსმანისადმი, სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, რომანტიკული სიყვარულის ადრესატები, პოეტის სალექსო ფორმები და ა.შ. მართალია, „მგლოვიარე სერაფიმის“ ბიოგრაფიის სრულყოფილად აღსადგენად და გასაშუქებლად ბევრი დაიწერა, ბევრი მასალა იქნა მოძიებული, მაგრამ გ. მამფორია თავის წიგნში კვლავ უბრუნდება ამ საკითხს. ამას ის გამართლება აქვს, რომ პოეტის ბიოგრაფიას მკვლევარი მის მიერვე მოპოვებული მასალებითა და ინფორმაციებით ავსებს. რად ღირს მარტო ვლ. სალიას, ა. შანავას, ფ. თვალთვაძის მოგონებანი. ავტორი ტერენტი გრანელის ბიოგრაფიულ ესკიზებზე საუბარს ასე ამთავრებს: „ტერენტი გრანელს უშუალო მემკვიდრე არ ჰყოლია, მაგრამ უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ გრანელის დის – ზოზიას შვილიშვილების – ბუთა და გიზო როგავების სათუთი და ყოველდღიური ზრუნვა დიდი წინაპრის სულიერი ნაღვაწისადმი. ძმებმა როგავებმა (პროფესიით ორივე ექიმია) არაერთი საინტერესო შტრიხი შემატეს ტერენტი გრანელის პოეზიის თარგმნის, კვლევისა და გამოცემის საქმეს.

გ. მამფორიამ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ტერენტი გრანელთან დაკავშირებით ახალ მასალებს მიაკვლია, ასევე ლექსებსაც, რომელთა ერთი ნაწილი ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდა, ზოგს კი თავის წიგნშიც იმოწმებს. მონოგრაფიის სერიოზული მონაკვეთია სიმბოლისტური ნაკადის კვლევა პოეტის შემოქმედებაში. სწორადაა შენიშნული, რომ ტ. გრანელის სიმბოლიზმთან კავშირის საფუძვლიანი შესწავლა და მისი მხატვრული ნაწარმოებების მოდერნისტულ ჭრილში გაშუქება აუცილებელია პოეტის შემოქმედების სრულყოფილად წარმოსაჩენად" (დარიკო ფიფია). ეს პრობლემატიკა არაერთ მკვლევარს გაუხდია დაკვირვების ობიექტად, მაგრამ გ. მამფორიამდე იგი ასე ღრმად არავის შეუსწავლია, რასაც მოჰყვა დ. ფიფიას ანგარიშგასაწევი წიგნი – „სიმბოლისტური ტენდენციები ტ. გრანელის შემოქმედებაში" (თბ., 2001).

გ. მამფორია ტ. გრანელის პოეზიაში სიმბოლიზმის ნაკადის საფუძვლიანად წარმოჩენამდე მოკლედ ეხება პოეტის შემოქმედებითი გზის დასაწყისს და ფრაგმენტულად მიმოიხილავს კ. გამსახურდიას, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. ორბელიანის (ფსევდონიმია) აღფრთოვანებულ სტრიქონებს და გამონათქვამს ქართულ პოეზიაში ამობრწყინებულ ცისკრის ვარსკვლავზე. რად ღირს თუნდაც ტიციან ტაბიძის სიტყვების გახსენება: „ტერენტი გრანელის წიგნი – „სულიდან საფლავები" დაწერილია **ცრემლებით** და **ნერვებით**. არის ადგილები, რომლებიც სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ უბრალო თქმითა და გულწრფელობით. ტერენტი გრანელი სანთელივით იწვის პოეზიისათვის. არ შეიძლება ამ ალმა ცეცხლი არ გააჩინოს". წიგნის ავტორი მოდერნისტული სკოლების წარმომადგენელთა შეხედულებების პარალელურად რაპპული ურაკრიტიკის დიამეტრულად განსხვავებულ მიუღებელ შეფასებებს აფიქსირებს, რომელიც ტ. გრანელს „მომაკვდავი კლასის" განწყობილების გამომხატველ პოეტად თვლიდა, ვინაიდან პოეტი გვერდს უვლიდა ე.წ. რევოლუციური ეპოქის „გმირულ ჰეროიკას". სანიმუშოდ მკითხველს შევახსენებთ

რაპპული კრიტიკიდან დაძრული „ბოდვების“ ნაწყვეტს: „შეუძლია თუ არა ჩვენს თაობას სახელმძღვანელოდ გაიხადოს გრ. რობაქიძის, ი. გრიშაშვილის, ს. აბაშელის, ს. შანშიაშვილის, ტ. გრანელის და სხვების პოეზია, მწერლობა? შესაძლოა თუ არა სიმწრით შობილი, რევოლუციის ქარცეცხლში გამოწრთობილი საქართველოს ახალი თაობა დაეყრდნოს წყალწყალა პატრიოტებისა და მისტიკოსების შემოქმედებას? ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, ჩვენსა და მათ შუა „ხიდია ჩატეხილი... „გრანელ-გამსახურდიას ტიპის მწერლები ჯერ კიდევ მოუჭკვიანებელი რეაქციონერი ინტელიგენტებია, რომლებიც „კულტურის“ საშუალებით ებრძვიან რევოლუციას“. ასეთად მოაზროვნე ბოლშევიზმის რუპორი კრიტიკოსები სანაგვე ყუთში მოისროლა ისტორიამ, ხოლო „მეორედ მოსული“ ტ. გრანელის პოეზიის ხომალდი მარადის იტორტმანებს ქართული სიტყვიერი კულტურის ზღვაში.

ბევრი რამ თქმულა ტ. გრანელის სიმბოლისტურ პოეზიაზე. გ. მამფორიაც მას საფუძვლიანი კვლევის საგნად იხდის და საკმაოდ წარმატებითაც. უშუალოდ საკითხზე საკუთარი დაკვირვების გადმოცემამდე, იგი სამართლიანად აკეთებს ძალზე კომპაქტურ ფორმებში მცირეოდენ ექსკურსს „ცისფერყანწელთა“ სკოლის ბიოგრაფიაზე, რათა კიდევ ერთხელ შეახსენოს მკითხველს სიმბოლიზმის, ამ უაღრესად თავისებური ლიტერატურული მიმდინარეობის, წარმომავლობის და საქართველოში დასახლების ისტორია. სწორედ ამ ფონზე იკვლევს ავტორი ტ. გრანელის სიმბოლისტურ ტენდენციებს.

თბილისში დამკვიდრებისთანავე ტერენტი გრანელის პოეტურ ყნოსვას გაუტკბა ქუთაისიდან დაძრული „სიმბოლიზმის მწვანე ყვავილების“ სურნელება. ეს არ იყო პოეტურ ეიფორიაში მყოფი ლირიკოსის სტიქიური არჩევანი. მის იმჟამინდელ განწყობილებას, ფსიქიკას ოსტატურად მოერგო საფრანგეთიდან საქართველოში შედარებით გვიან ფეხმოკიდებული სიმბოლიზმის „ბოჰემური არტისტიზმი“, ესთეტიკური შეხედულებები. ტ. გრანელი ამართლებდა

სიმბოლიზმის დამკვიდრებას თავის სამშობლოში: „არ გვაწუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას“... ქართველი სიმბოლისტების გავლენით პოეტს სიმბოლიზმამდე მისასვლელ გზად რეალური ცხოვრებისა და წარსულის უარყოფა ესახებოდა. გამომდინარე აქედან, თავის წერილში „ახალ სამყაროში“ (1919 წ.) იგი ქართულ პოეზიას ძველს, შაბლონურს უწოდებდა, რომელსაც გამანადგურებლად მოედოო „სიმბოლოების ჯადოსნური ცეცხლის ალი“. ვფიქრობთ, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში თუ ლიტერატურათმცოდნეობაში გადაჭარბებულად არის შეფასებული სიმბოლისტების ღვაწლი, თუმცა მხილებულია გარკვევით მათივე შეცდომები და ე.წ. გასაბჭოების შემდეგდროინდელი გადახრები, რაც 1932 წლის 23 აპრილს დასრულდა. რაც არ უნდა დიქტატორული რეჟიმით ყოფილიყო განპირობებული და ფსიქიკური შიშით, პირადად ჩვენთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელი ჩანს „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრების რეაქტიული სიჩქარით ციდან მიწაზე დანარცხება: „თანამედროვე რეკონსტრუქციის პერიოდის შინაარსის მისაწვდომად და მისი ანარეკლის მოსაცემად საჭიროა სხვა შემოქმედებითი მეთოდები, რომელიც იჭედება მოწინავე რევოლუციური ლიტერატურის მთლიან ფრონტზე და მომავლის დაუფლებისათვის „ცისფერი ყანწების“ განვლილი იდეოლოგიურ-მხატვრული გზები დაძველებული და უვარგისია... გაუქმებულ იქნას „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობა; რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაწილეებს მეტი ტემპით განაგრძონ თავისი ფსიქო-იდეოლოგიური გარდაქმნა დამკვრელი ეპოქის პერიოდში უშუალოდ ჩაბმისათვის“.

ვერასოდეს გაუწევს წინააღმდეგობას კრიტიკას — ქართველ სიმბოლისტთა ქედმაღლური და წარსულის მაიგნორირებელი ლიტერატურული იდეოლოგია: „გიორგი მერჩულის და რუსთველის შემდეგ ქართული ენა გადაგვარდა და ლექსი გაიტეხა. ჩვენში დღემდე გრძელდებოდა ეს ეროვნული დეკადანსი. ქართული ლექსი

და ქართული სიტყვა „ცისფერყანწელებს“ ჩაუვარდათ ხელში, როგორც გადამწვარი მუგუზალი... „ცისფერი ყანწები“ ისე იბრძოდა ქართული კულტურისათვის, როგორც მთაწმინდელები ათონში, ისე ებრძოდა ლიტერატურულ ფეოდალიზმს, როგორც გიორგი სააკაძე“. მათი მრწამსით, რუსთაველის შემდეგ ქართული ენა და ლექსი გადაგვარებულა მათივე დრომდე. უპრიანი იქნებოდა მოდერნისტებს ეს ეთქვათ – „ვაჟას შემდეგ“, თორემ რა ვუყოთ დავით გურამიშვილს, ტატო ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ან „სიბრძნე სიცრუისას“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ენას? ეს ხომ ნაწილობრივ ბოლშევიკური ლიტერატურის იდეოლოგების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ წარსულს და ქართველებს ჩასჩიჩინებდნენ ყურში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას უსაქმობას დაჩვეულ საზოგადოებაში ჰქონდა გასავალი“ და ქართული ლიტერატურის ისტორია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხიდან“ უნდა იწყებოდესო (ფ. მახარაძე).

ტ. გრანელი იმიტომაც არის დიდი პოეტი, რომ ერთი წუთითაც არ დამდგარა საბჭოეთის პლატფორმაზე. „რევოლუციურ ეპოქაზე“, „დამკვრელურ პერიოდზე“ ერთი „წითელი“ ლექსიც არ დაუწერია, არ დახურდავებულა, არ წასულა ლიტერატურულ ხალტურაზე, ციურ პოემას მან ზვარაკად შესწირა მიწიერ-ხორციელი მისწრაფებანი, რაც თვალნათლივ არის წარმოჩენილი გ. მამფორიას მონოგრაფიაში. სწორად შენიშნავს ავტორი, რომ ტ. გრანელმა ყოველგვარი კორექტივის გარეშე გაიზიარა სიმბოლიზმის ზოგიერთი დებულება. „ცისფერყანწელებს“ პოეტი ქართული სიტყვის რეფორმატორად აღიარებდა. მისი კავშირი სიმბოლისტურ ესთეტიკასთან გამოვლენილია „კრონოსის სარკეში“ დაბეჭდილ წერილში „ახალ სამყაროში“, ასევე „დაისებში“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტ. გრანელი არ ყოფილა ორთოდოქსი სიმბოლისტი. მან მხოლოდ ხარკი გაიღო მათი იდეოლოგიისადმი, გარკვეულწილად თანაუგრძნობდა მათ. შესაძლოა ამიტომაც დარჩა გალაკტიონთან ერთად „ორდენის“ კარებს მიღმა. სიმპტომატურია ლ. სორდიას შენიშვნა, რომელსაც

აბსოლუტურად ვეთანხმებით, რომ ტ. გრანელის შემოქმედებაში კლასიკურ-მოდერნისტული ტრადიციები განუთიშველად ერწყმის ერთმანეთს და ვარდის სიმბოლიზაცია მის პოეტურ სამყაროში ქართული პოეზიის სათავეებიდან მოდის.

გ. მამფორია „უცნობი სფინქსის“ მიერ „ცისფერყანწელთა“ სკოლის შესახებ დაწერილი სტატიების მიმოხილვის შემდეგ დაასკვნის: „ტ. ტაბიძის და ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილებიდან და სიმბოლიზმის საკითხებზე თეორიული მსჯელობიდან გამომდინარე, ტ. გრანელი ბრწყინვალედ იცნობს სიმბოლისტურ სკოლას და თვითონაც იდეურად ახლოსაა ეპოქის ამ ახალ ესთეტიკასთან“. ამის შემდეგ ავტორი სხვა მკვლევარებთან შედარებით სრულყოფილად იკვლევს სიმბოლისტური ფენომენის შეჭრას ტ. გრანელის პოეტურ სივრცეში. მსჯელობას იგი იწყებს გრანელის სევდით: „ტერენტი გრანელის სევდაში პოეტურად კოდირებულ მისტიკას, იდუმალებას უთუოდ აქვს საერთო სიმბოლიზმთან: „პოეზია მან იდუმალების, უსაზღვროების, მარადისობის სინონიმად აღიქვა და ამით მიგვანიშნა სიმბოლისტურ ესთეტიკასთან პირდაპირი შეხების წერტილებზე“.

მ. მამფორიას საკვლევი თემის სამიზნედ ამოღებული აქვს ტ. გრანელის ისეთი ლექსები, სადაც პოეზია მისთვის „სიხარულია“, ხოლო ცხოვრება „ტალახი“; პოეზიასა და ცხოვრებას შორის გამომწყვდეული შემოქმედის შველა არის „პოეზია-ზეცა“, რაც იწვევს ცხოვრებისაგან განდგომის პათოსს („ვწყვეტ ცხოვრებასთან ყოველგვარ კავშირს“). მკვლევარი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ სიმბოლიზმის კვალი გრანელის როგორც ადრინდელ, ისე გვიანდელ ლექსებშიც შეინიშნება. ამის დასადასტურებლად საკმაოდ მოაქვს საილუსტრაციო მასალები. ამასთან დაკავშირებით ლ. ალიმონაკისა და მ. გვეტაძის შეხედულებების გადასინჯვის მომხრეა.

სიმბოლისტურ მიმართულებასთან ტ. გრანელის პოეზიის იდეური ნათესაობის დადგენასთან ერთად გ. მამფორია მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ გრანელის ბევრ ლექსში

ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე გამოვლენილია პოეტის სიმპათიები და სიყვარული სიმბოლიზმის ფუძემდებელთა მიმართ: „ტერენტი გრანელის ლირიკაში ბოდლერის, მალარმეს, ედგარ პოს, ესენინის, ბლოკის ხშირი მოხსენება მათთან იდეური კავშირის არსებობაზე მეტყველებს“. ამ მიზნით, ავტორს საგანგებო დაკვირვების საგნად უქცევია „იდუმალი ქალის“ — ლენორას სახელის პოეტური წარმოსახვა ტ. გრანელის ლირიკაში. ლენორა ედგარ პოს „ყორანის“ ლირიკული გმირია (ედგარ პოს და ლენორას სახელი ხშირად ფიგურირებს ასევე ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ტაბიძის პოეზიაში). გ. მამფორია სამართლიანად ეთანხმება მ. გვეტაძის მოსაზრებას და ამ მიმართულებითაც განაგრძობს კვლევას, რომ „ტერენტი გრანელის ლირიკაში ლენორას გაჩენა სავსებით ორგანული და ბუნებრივი იყო. თუ გავითვალისწინებთ გრანელის პოეზიის საერთო ხასიათს, ქალი, რომელიც დაკავშირებულია სიკვდილთან და სილამაზესთან, იდუმალი, ტრაგიკული ლენორა, უთუოდ ორგანულია პოეტის ლირიკისათვის“.

ოცნებით ზეცამოვლილ ტერენტი გრანელს, როდესაც „დედამიწა უფრო აშინებს“, არამიწიერი იდეალის ხორცშესასხმელად იტაცებს „ლურჯისა“ და „ცისფერის“ სიმბოლიკა, რაზეც საგანგებოდ არის კონცენტრირებული ყურადღება მონოგრაფიის ავტორის მიერ. მ. გვეტაძემ შენიშნა, რომ „ლურჯი ფრინველი — მიუწვდომელი ოცნების სიმბოლო, ლიტერატურაში მეტწილად შემდეგ ტერენტი გრანელის ლექსში მწუხარებასთან არის დაკავშირებული“. საკითხის საფუძვლიანი დამუშავებისას გ. მამფორია მიდის დასკვნამდე, რომ „ცისფერი“ და „ლურჯი“ ფერის მხატვრული გააზრება ტერენტი გრანელის ლირიკაში თანხვდება რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელ ფერწერულ ესთეტიკას.

მართლაც, უსაზღვროა ფერთა სიმბოლიზაციისას პოეტის წარმოსახვის არეალი: „მწუხარება — ლურჯი ფრინველი“, „ლურჯი ნამოსახლარი“, „ლურჯი მწუხარება“, „ლურჯი უსაზღვროება“, „ლურჯი ცხრილი“, „ლურჯი სივრცე“, „ლურჯი ბაღი“, „ცისფერი

ყვავილი“, „ცისფერი სიშორე“, „ცისფერი შუქი მარადისობის“, „სულში – ცისფერი სინათლე“, „ცისფერი ფიქრი“, „ცისფერი მტრედი“, „ცისფერი სამყარო“, „ცისფერი ხატება“, „მოგონებების ცისფერი ქსელი“, „ცისფერი ღამე“.

როგორც ითქვა, ტ. გრანელის პირველი თუ მოგვიანო პერიოდის ლექსებში აღბეჭდილია „სიმბოლიზმის მწვანე ყვავილების“ ფერი, მაგრამ ეს იყო ერთგვარი ხარკის გაღება ამ ლიტერატურული მიმართულების სასარგებლოდ. სწორად შენიშნავს გ. მამფორია, რომ ტერენტი გრანელის დაშორება „ცისფერყანწელებთან“ მოხდა მსოფლმხედველობრივ ნიადაგზე. როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელებმა“ ერთ-ერთმა პირველებმა წამოაყენეს „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი, რაც მათი ესთეტიკური პრინციპების შენელებას წარმოადგენდა, ეს პოეტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ა. ნიკოლეიშვილის მართებული შენიშვნა, რომ პოეტის შთაგონება კანონიკურ ჩარჩოებში ფაქტობრივად ვერ თავსდება, რის გამოც მეტად გაძნელებულია იმის დადგენა, მის შემოქმედებაში სად იწყება სიმბოლიზმი და იმპრესიონიზმი და სად თავდება რომანტიკული აღმაფრენა თუ რეალიზმი“.

ქართული კულტურის ისტორიამ ტერენტი გრანელი შეიწყნარა, როგორც ტრაგიკული პიროვნება. გ. მამფორია იკვლევს პოეტის ტრაგიზმის ფესვებს, „სევდის ტალანტის“ მიერ სამყაროს ტრაგიკულ აღქმას. სევდა-მწუხარება, პესიმისტური განწყობილება, „სოფლის სამდურავის“ თემა გრანელის დროისთვის ქართულ ლიტერატურაში ღრმად დამკვიდრებული იყო საუკუნეთა მანძილზე. ნიშანდობლივია, რომ გრანელის სევდიანი ლირიკა არ არის წიგნიერი გავლენის ნაყოფი. იგი პოეტის სულიერი ცხოვრების გამოძახილია. გ. მამფორიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტერენტი გრანელის პოეზიაში გამოვლენილი სევდა მხოლოდ პირადული, ვიწრო სუბიექტურ საფუძველზე აღმოცენებული როდია. პოეტი ფილოსოფიური განზოგადებით ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს ეჭიდება“. ამ ჭრილშია განხილული მონოგრაფიაში გრანელის ლექსების საფუძველზე პოეტის მიერ

სამყაროს ტრაგიკული აღქმის პრობლემატიკა, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების, როგორც შესაძლო წყაროების გათვალისწინებით. იგივე ითქმის კლასიკური მწერლობის (რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა) ტრადიციების მომარჯვებაზეც. რაც იმის დასტურია, რომ ტ. გრანელის პოეზია ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ეროვნული ტემპერამენტის, ეროვნული ხასიათის მატარებელი ლირიკაა – ორგანულად რომ ერწყმის და აგრძელებს კლასიკური მწერლობის ტრადიციებს". ამავე აზრს განამტკიცებს დიდ წინამორბედთა პოეტური რემინისცენციების კვალი.

ლ. ალიმონაკმა პირველთაგანმა გააკეთა აქცენტი იმაზე, რომ ტერენტი გრანელის პოეზიის ტრაგიკული კონფლიქტების გახსნა და გაანალიზება შეუძლებელია პოეტის შემოქმედებითი ფსიქიკის ბუნების შესწავლის გარეშე. მკვლევარს სპეციალურად მკითხველის ყურადღება გადააქვს გრძნობის პრიმატზე (იხ. მისი ფსიქოლოგიურ-ესეისტური ხასიათის თხზულება – „კვირის წირვები"). ლ. ალიმონაკი საინტერესოდ შენიშნავს: „სწორედ ზღვარდაუდებმა გრძნობამ განაპირობა ტერენტი გრანელის, როგორც პოეტის, დამოკიდებულების გართულება გარესამყაროსთან, მასში ცნობიერისა და ქვეცნობიერის, ხილულისა და ირეალურის ათქვეფა, პოეტში „თანხმიერი უთანხმოების" წარმოშობა". გ. მამფორია ცდილობს კიდევ უფრო განავრცოს ეს მოსაზრება. ავტორი დაწვრილებით განიხილავს იმ ლექსებს, სადაც მეტისმეტად გადმოღვრილია პოეტის გრძნობები, რასაც იგი ზოგჯერ სიგიჟემდეც მიჰყავს. გულწრფელია „გრძნობის მგოსანი", როცა იტყვის: „თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია". თავის გრძნობას ეს პოეტური გენია მძიმე გრიგალს ადარებს: „ეს ჩემი სული – ლანდია ღმერთის, ეს ჩემი გრძნობა – გრიგალი მძიმე". „გრძნობის მგოსნის" ლექსების სკრუპულოზურ ანალიზს მკვლევარი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ტერენტი გრანელის პოეზიაში ტრაგიზმის მძაფრმა გრძნობამ და განცდამ შემოქმედის ფსიქიკაში წარმოშვა გარემომცველ სამყაროსთან და ამ სამყაროში არსებულ მოვლენებ-

თან კონფლიქტური ხასიათი, რასაც მოჰყვა მისთვის სიკვდილის მიღება, როგორც ახალი თვისობრიობის გარანტიისა. თუმცა ვერც სიცოცხლემ და ვერც სიკვდილმა ვერ შეასრულეს „მარადიული ყოფის“ პოვნის უმაღლესი ფუნქცია, რაც, გ. მამფორიას თქმით, გრანელის პოეტურ შემეცნებაში გზას უხსნის მისტიციზმის ახალ ტალღას, რომელიც „მესამე გზის“, „სხვა პლანეტის“, ღმერთის ძიების წყურვილითაა გაჯერებული.

სწორია და ანგარიშგასაწევი ლ. ალიმონაკის დაკვირვებანი, რომ ტ. გრანელის მიერ „მესამე გზის“ ძიებაში თავს იჩენს მისტიკურ სამოსელში გახვეული პოეტის ჰუმანიზმი. იგი „მეორედ მოსულ“ ქრისტედ აცხადებს თავს, რითაც არსებითად ცდილობს მიწისა და ზეცის მორიგებას, ზეცაში დამკვიდრებული სილამაზისა და ღვთაებრიობის მიწაზე დამკვიდრებას, რისი მიუღწევლობაც პოეტში იწვევს ღრმა სულიერ დეპრესიას. სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს კვლევა-ძიებას გ. მამფორია „მესამე გზის“ პრობლემაზე მსჯელობისას. მონოგრაფიის ავტორი ასევე ვრცლად ჩერდება და საყურადღებო დაკვირვებებს გვთავაზობს ღმერთისა და სულის „განსხვეულებაზე“ ტ. გრანელის პოეზიაში. იგივე ითქმის დუმილის ესთეტიკაზეც.

ტერენტი გრანელი ცასა და მიწას შუა გაორებული პოეტია, ცასა და მიწას შუა გაჩენილი. იგი უფრო მეტად ზეცაში განაგრძობს „სენტიმენტალურ მოგზაურობას“, მაგრამ არც მიწაზე დაბრუნება ავიწყდება, რადგან კარგად იცის, რომ მიწამ მისცა მას შესაძლებლობა ცაში ხეტიალისა და „მარადიული ყოფის“ ძიებისა. გ. მამფორიას პოეტის შემოქმედებიდან ამოუკრებია თითქმის ყველა ლექსი, რომელშიც მძაფრად იგრძნობა მიწის, სიცოცხლის, ამქვეყნიური სიყვარულის, გაზაფხულის, ყვავილის, „ცისფერი ქვეყნის“, ფოთლების შრიალის, ხიდან ხეზე გადამფრენი ჩიტის, შემოდგომის გაყვითლებული ველების, ბაღისა და სილურჯის, „ძვირფასი ქვეყნების“, მტრედების, მზიანი დღის, ელვარე სივრცის, ნათლის სუფევის და, რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს სიყ-

ვარული. წიგნის ავტორი ისე მიმზიდველად აანალიზებს პოეტის „თეთრ ფიქრებში“ გახვეულ „მიწიერ“ ლექსებს, თითქოს წამით გავიწყდება მისი მისტიკობა, სამყაროს უარყოფა, „მესამე გზის“ ძიებისთვის, ღმერთისა და პოეზიისთვის ფიზიკური სიცოცხლის მსხვერპლად გაღების მოტივები, სულზე ზრუნვით მიწიერი მისწრაფებების დათმობით გამოწვეული ქრისტიანული სტოიციზმი. „გრძნობის მგოსანს“ თრგუნავს საქართველოს ბედი და განიცდის მის ტკივილს; „ამიტომ უნდა მას „რაღაც სიცოცხლეზე მეტი“, რომ უმკურნალოს მამულის იარას. იგი ბიბლიური იერემიასავით გოდებს: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“ (1921). ან კიდევ: „და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ (აქ იგულისხმება 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის არმიელთა მიერ ქართველი მეომრების დახოცვა და ფიზიკურად გადარჩენილ დაჭრილთა მკვდრებთან ერთად ცოცხლად დამარხვა). საქართველოს ბედზე ფიქრია გამოხატული ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში. ტ. გრანელი იმითაც არის დიდი და მამაცი პოეტი, რომ მან ამხილა 1924 წელს სტალინის დიქტატორობა საქართველოში მე-11 არმიის წითელარმიელებისაგან მოწყობილი სისხლიანი მოვლენების გამო: „იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით. მამის საფლავზე რად დაგავიწყდა აგენთო თუნდაც ერთი სანთელი“.

ტ. გრანელი ფიზიკური, მიწიერი სიცოცხლის სიყვარულსა და ხალისს „თეთრ ფიქრად“, „თეთრ დღეებად“ ნათლავდა. გ. მამფორიას პოეტის ამგვარი შინაარსით დატვირთული ლექსების ციკლში მოქცეული მიძღვნითი ხასიათის ლექსებიც განუხილავს ცალკე პარაგრაფებად: „თბილისი – წმინდა თავშესაფარი“, „გალაკტიონი – ყოველთვის დიდი“, „ფიროსმანი და სარაჯიშვილი“, „რომანტიკული სიყვარულის ადრესატები“. თბილისისადმი მიძღვნილი ლექსების გაანალიზებისას გ. მამფორია სწორად გვაკვალიანებს: ტერენტი გრანელისთვის თბილისი არ იყო უსულო საგანი, არამედ პიროვნება, ისევე ძვირფასი, როგორც გალაკტიონი, როგორც ყველა უახლოესი

მეგობარი და სულის მესაიდუმლე. თბილისი პოეტს წმინდა თავშესაფრად მიაჩნდა, მის წინაშე სანთელივით ილეოდა, აქვე ნატრობდა საფლავს, თბილისის გარეთ მისთვის ღამე იწყებოდა.

როგორც შენიშნულია, ტერენტისთვის გალაკტიონი იყო პოეზიის მეტრი. მისი პოეზია არავის ისე არ უგრძვნია და განუცდია, როგორც გრანელს.

გ. მამფორია დაკვირვებას აწარმოებს გრანელის მიერ გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებზე, ეძებს მათი შეხების წერტილებს, მიგვანიშნებს პოეტის ლირიკაში გალაკტიონის გავლენის კვალზე. გალაკტიონსაც მოსწონდა ტ. გრანელის პოეზია და პოეტურ კრებულზე — „მემენტო მორი" — ასეთი მინაწერიც გაუკეთა: „გაუმარჯოს ტერენტი გრანელის პოეზიას". მეტად საყურადღებოა ბოლო პარაგრაფი — „რომანტიკული სიყვარულის ადრესატები". მისაღებია მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ტერენტი გრანელი ქალისა და სიყვარულის შესახებ წერს, იგი გვევლინება რომანტიკული სიყვარულის ამსახველ პოეტად. მკვლევართა წერილებიდან და მოგონებებიდან ჩანს, რომ ტ. გრანელს რამდენიმე მიჯნური ჰყოლია. 16 წლისას შეყვარებია თანასოფლელი, სახელად ლილი. თბილისში პოეტი გაუტაცნია თამარ ჯაფარიძის სიყვარულს, ასევე თინათინ როინიშვილის შთაგონებით დაუწერია „ქალი აგონია". პოეტის სიყვარულის ობიექტი ყოფილა ირა რადოვსკაიაც.

ტ. გრანელი არა მხოლოდ იდეალური პოეტი იყო, არამედ ქართული ლექსის რეფორმატორიც. შეიძლება ითქვას, გ. მამფორიამდე ტერენტი გრანელის ვერსიფიკაციული სიახლეები საგანგებო კვლევის საგნად არავის უქცევია. ამ მხრივაც იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს მონოგრაფიის ბოლო (IV) თავი — „ტერენტი გრანელის სალექსო ფორმები".

დასკვნის ნაცვლად ვიტყვით, რომ გელა მამფორიას მონოგრაფია — „დათოვლილი სანთელი" — ტერენტი გრანელის პოეზია — წინ გადადგმული ნაბიჯია ამ უთუოდ დიდი პოეტის ენიგმატურ პოეზიასთან მისაახლოებლად.

მეგრული ზეპირსიტყვიერების სახისმეტყველებიდან

ქართული ხალხური შემოქმედება ისტორიის მანძილზე საქართველოს თანამდევი სულია. მისი სათავეები წარმართობის ხანის სიღრმეებში იკარგება. განგებამ ჩვენი სამშობლოს მთა-ბარს ბუნების უჩვეულო სილამაზისა და მშვენიერების კალთა დააბერტყა. ამასთანავე, მისი მკვიდრი ქართველობა მაღალი ნიჭიერებით დააჯილდოვა. ღვთის ძალისხმევით მამაცობაც, გულადობაც და რაინდობაც დაგვებედა. სწორედ ამით იყო განპირობებული მთელი არსებობის მანძილზე ჩვენი ქვეყნის დროსა და სივრცეში მტრობის ღრუბლის ყორნის ფრთებივით სავსავი.

არ ეძინა შურს, როგორც სატანას, იგი შობდა მტერს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გვისწორდებოდა. ამას დამატებული ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობით დღემდე ვრჩებით გაუხარელ ერად. მტრისას! რასაც გლობალური პოლიტიკის მორევში გადაყირავება გვიქადის (ჩვენ მუდამ ვიყავით მტრის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ნიშანში ამოღებული ერი და ქვეყანა).

საუკუნეების მანძილზე ქართული კულტურის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ხალხური სიტყვიერება (ლეგენდები, თქმულებები, მითები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, შელოცვები, ლექსები და სიმღერები). სწორედ ამიტომ მოექცა თავის დროზე ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას... ყურადღების ცენტრში. დიდი ილია შენიშნავდა, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზე, ეროვნულ წარმატებებზე განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. აკაკი წერეთლის თქმით: „თუ გვინდა ერის წარსული ვიცოდეთ, უყოყმანოდ ზეპირსიტყვიერებას უნდა მივმართოთ... ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველია“.

სათანადოდ არის შესწავლილი ხალხური შემოქმედების ნიმუ-

შების გამოყენება – გავლენა ძველ ქართულ სასულიერო თუ საერო მწერლობაზე. საკმარისია დავასახელოთ: „ამირანდარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „არჩილიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, დავით გურამიშვილის პოეზია და ა.შ. ხალხური საუნჯისადმი აქტიური მიმართებით გამოირჩეოდნენ ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. გამონაკლისს არც „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენდა.

ქართული ფოლკლორის სიდიადის დემონსტრირება იწყება მისი შემკრებლობითი საქმიანობიდან, რაც მე-17 საუკუნიდან იღებს სათავეს და გრძელდება მე-18 საუკუნეში. ხოლო მომდევნო პერიოდში მასშტაბურად გაშლილ ხასიათს იღებს (გრიგოლ ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი, დავით ჩუბინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, პეტრე უმიკაშვილი, თედო რაზიკაშვილი...). ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების, გამოცემის და მეცნიერული შესწავლის საქმეში მთელი XX საუკუნის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანეს ცნობილმა ფოლკლორისტებმა, მკვლევარებმა, რომელთა ჩამოთვლა-დასახელებაც კი შორს წაგვიყვანდა.

ქართული ფოლკლორის ზღვას ბობოქარ მდინარედ ერთვის მეგრული ზეპირსიტყვიერება. მისი შეგროვებისა და გამოცემის დაწყებამდე არა ერთი ცნობები და ჩანაწერები შემოგვენახა სამეგრელოს ბუნებაზე, ისტორიაზე, ზნე-ჩვეულებებზე (არქანჯელო ლამბერტი – 1633-1653, შარდენი – 1672-1978, ჟიულ მურიე – 1880). თუმცა რომის პაპის ხსენებული მისიონერების ჩანაწერები და აღწერები უმეტესწილად ტენდენციურია, ვინაიდან კათოლიციზმის უღელში ქართველთა შებმით იყვნენ დაინტერესებულნი.

საგანგებოდ უნდა დაფიქსირდეს, რომ მეგრული ხალხური მასალების შეგროვება და გამომზეურება მეცნიერული მიზნებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იკრებს ძალას (ვგულისხმობთ პროფ. ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს). მეგრული ხალხური

შემოქმედებითი მასალებისა და ტექსტების შეგროვება და პუბლიკაცია დაკავშირებულია ისეთი თვალსაჩინო პიროვნებების სახელთან, როგორებიც იყვნენ: იოსებ ყიფშიძე (მეგრული ენის გრამატიკა, სანკტ-პეტერბურგი, 1914), შ. ბერიძე (მეგრული ენა, 1920), მ. ხუბუა (მეგრული ტექსტები, 1937), ა. შანიძე (მის მიერ შეკრებილი მასალების ოდენ ერთი ნაწილია გამოქვეყნებული.) განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ს. მაკალათიას ღვაწლი (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941 ახალწელიწადი სამეგრელოში, 1927, ჯეგე მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938).

შეუძლებელია გულგრილად წავუყრუოთ იმ საწყენ ფაქტს, რომ „კომუნიზმის გააფთრებული მშენებლობის პერიოდში“ დიდი ხნის მანძილზე მუსირებდა ნიჰილიზმი მეგრული ხალხური სიტყვიერებისადმი. ამ სავალალო ვითარების გამო მწუხარე ტონით წერდა ცნობილი ფოლკლორისტი – მეცნიერი აპ. ცანავა: „XX საუკუნის 60-იან წლებამდე განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მეგრულ-ლაზური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და პუბლიკაციის საქმე. საქართველოს ამ კუთხის ფოკლორულ-ეთნოგრაფიული შესწავლის დაყოვნება არ იყო გამართლებული და იგი უახლოეს მომავალში უნდა გამოსწორდეს“ (მეცნიერმა ეს თქვა 1971 წელს). მართლაც და გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დიდად დაეტყო ამ სპეციალურად მივიწყებულ საქმეს გამოსწორება. გამოიცა: „ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, 1975; „ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და აპ. ცანავამ, 1991; კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბ., 1979; კ. სამუშია, ქართული ზეპირსიტყვიერება (მეგრული ნიმუშები), თბ., 1990; კ. სამუშია, ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები, „ეგრისის მაცნე“, 2001.

ბუნებრივია, დასახელებული გამოცემანი არ ამოწურავს მეგრუ-

ლი ფოლკლორის სიმდიდრეს. ამ მიმართულებით მომავალშიც უნდა გააქტიურდეს მუშაობა, რომ დაკარგვას გამოვსტაცოთ მეგრული ხალხური შემოქმედების მითაჟამიდან დღემდე მოღწეული მარგალიტები. ჯ. სამუშია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მეგრულ ფოლკლორზე ფიქრობდა და ზრუნავდა. ჩვენს გვერდით ლეგენდასავით დადიოდა ხალხური ლექსის ჭირისუფალი, მისი შემკრები და უზადო მკვლევარი. მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მეცნიერთა მიერ ნაკვლევია მრავალი კუთხით, სხვადასხვა თემატიკური პრინციპით: სამშობლო, სამიჯნურონი, წუთისოფელი, სოციალური და კლასობრივი უსამართლობა, სატირა და იუმორი, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, გამოცანები, ანდაზები, ასევე ფილოსოფიური და რელიგიური მოტივები და სხვ. მეგრული ხალხური სიტყვიერების შესწავლის სფეროში ახალი ეტაპი დაიწყო. ეს გახლავთ ქრისტიანულ სახე-სიმბოლოთა კვლევა-ძიება, სახისმეტყველებითი პრობლემების შესწავლა – დამუშავება. ამ ახალი ეტაპის სათავესთან დგანან ბელა მოსია და ხათუნა გოგია.

დიდ მეცნიერს, რევაზ სირაძეს ვერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში არაერთხელ უთქვამს პირადად ჩემთვის: ვწუხვარ, რომ მეგრული ენის უცოდინრობის გამო დედანში ვერ ვკითხულობ მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხანდახან ბეჟან კილანავა მახედებს მეგრული ფოლკლორის სამყაროში და გაოცებას ვერ ვფარავ... გავრცელებულია აზრი, რომ მეგრულ ხალხურ რეპერტუარში წარმართული ტრადიციების სიძლიერე იგრძნობა ქრისტიანულზე. მე პირადად ეს არ მჯერა, ამიტომ სასურველი იქნებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი პიროვნებანი შეგვერჩია სამეგრელოში და ამ მიმართულებით დაგვეკვალიანებინა ისინიო. სწორედ ასეთი ახალგაზრდა მკვლევარი დაუკავშირდა რ. სირაძეს. ხ. გოგიამ გაამართლა იმედები. მისმა კვლევა-ძიებითმა რუდუნებამ რ. სირაძის კმაყოფილება გამოიწვია. რაც შეეხება ბ. მოსიას, წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე მდგარ რთულ პრობლემებს. 2000 წელს გამოსცა საყურადღებო წიგნი – „ახალი ალთქმის სახისმეტყველებითი აზროვნების ასახვა ქართული

ხალხურ სიტყვიერებაში“ (მეგრული მასალების მიხედვით).

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში პირველი საუკუნიდანვე იწყებს გავრცელებას, ხოლო აღმოსავლეთში კი — მეოთხე საუკუნის I ნახევრიდან. თუმცა ქართლთან შედარებით სამეგრელოში იგი მოგვიანებით იქცა სახელმწიფო რელიგიად. ქრისტიანობის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში თან მოჰყვა ბიბლიის გადმოღება ქართულ ენაზე. აღიარებული კონცეფციით, ბიბლია ბერძნული ენიდან ითარგმნა ქართულად. ეს უნიკალური რელიგიური წიგნი და სიბრძნის დიდი სალარო საქართველოს ყველა კუთხისთვის მისაწვდომი გახდა ქართული ენის წყალობით („ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“, — ამბობს X საუკუნის უბადლო ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე).

არანაირი საინფორმაციო წყარო და მასალები ჩვენამდე არ მოღწეულა იმის დასადასტურებლად, რომ სამეგრელოში ცდილიყო ბიბლიური ტექსტების (განსაკუთრებით ახალი აღთქმისა) ფრაგმენტულადაც კი გადმოღება მეგრულ ენაზე. ეს იმის მაუწყებელია, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზეც (რომ არაფერი ვთქვათ შემდგომ პერიოდზე) მეგრელის მშობლიური ენა ქართული იყო და იმდენად ფლობდა მას, რომ თავისთავად შეეძლო ბიბლიის შინაარსის აღქმა.

ბიბლიური ტექსტების შინაარსს, ბიბლიურ-ქრისტიანულ ცნებებს, სიმბოლურ-ალეგორიულ ასპექტებსაც კი სამეგრელოს მოსახლეობა დროთა მანძილზე ითვისებდა და ითავისებდა. ამისი უტყუარი დასტურია მეგრული ზეპირსიტყვიერება. კონკრეტულად ახალი აღთქმის სახისმეტყველებითი აზროვნების და მეგრული ზეპირსიტყვიერების ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტის გარკვევა დაუსახავს მიზნად ბ. მოსიას თავის მონოგრაფიაში.

„წინასიტყვაში“ რედაქტორის პროფ. ნ. სულავას მიერ წიგნისთვის და მისი ავტორისთვის მიცემული კვალიფიკაცია იმთავითვე კეთილად განაწყობს მკითხველს თუ სპეციალისტს მონოგრაფიის ინტერესით გასაცნობად. ნ. სულავა წერს: „წინამდებარე გამოკვლევა ავტორის

ფართო ერუდიციას, პრობლემის ღრმა წვდომასა და გააზრებას ემყარება... ქართული ფოლკლორის მეგრული მასალა ისეთი ფართო განხილვის საგანი ამ მიმართულებით ჯერ არ ყოფილა... მთელი თემა სიახლეა ქართული ფოლკლორის კვლევაში და საყურადღებო მოვლენაა ჩვენს მეცნიერებაში".

ბ. მოსია დიდი პასუხისმგებლობით მოპყრობია საკვლევ პრობლემას. იგი არ კმაყოფილდება მარტო მეგრული ზეპირსიტყვიერების ღრმა ცოდნით, არამედ საფუძვლიანად არის დაუფლებული მთლიანად ქართულ ფოლკლორულ მასალებს, ამავე დროს ავლენს უბადლო ცოდნას ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ლიტერატურისა, ასევე საკითხის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა. გააჩნია ანალიტიკის მისაბაძი უნარი, მოსაწონია წერის მანერა და სტილი. კეთილსინდისიერად იხსენებს და იმოწმებს იმ ავტორებს, ვისაც ოდნავი შეხებაც კი ჰქონია მისივე კვლევის ობიექტთან, საძიებელ თემასთან. ახასიათებს თავისი კონცეფციების თამამად გამოთქმა, მოზომილია და გაწონასწორებული განსხვავებულ თვალსაზრისებთან მიმართებაში.

საანალიზო წიგნის საყურადღებო მონაკვეთია „საღვთო სახელები". მასში ერთიანდება პარაგრაფები: „შემოქმედი ღმერთი", „უხილავი", „მზე", „მთვარე", „ნათელი", „ვარსკვლავი", „მართალი და სიტყვა", „გზა და კარი", „დრო", „იერუსალიმი", „სიყვარული".

ძველ ალთქმაში სამყაროსა და ადამიანის გამჩენი ღმერთი **შემოქმედად** მოიხსენიება: „ღმერთი შემოქმედი შენი და შემოქმედი ცისა და ქუეყნისა" (ეს. 51, 13). გამომდინარე აქედან, ქართული სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურა ღმერთს შემოქმედად წარმოაჩენს. მართალია, მეგრულ ფოლკლორში ვერსად იპოვით მასალას, სადაც უფალი შემოქმედად იყოს დაფისირებული. მაგრამ გვაქვს ისეთი მონაცემები, სადაც ღმერთი ქვეყნის დამაარსებლად ფიგურირებს: „ღორონთი, სქან სახელი ხვამალი, ქიანაში დუმაარსებელი" (ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, სამყაროს დამაარსებელო). ეს მამაზეციერის ბიბლიურ-ქრისტიანული გაგებაა,

საგულისხმოა მეგრულ სახალხო ლექსში „განგების“ გაელვება, რასაც ბ. მოსია სათანადო ყურადღებას უთმობს. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ „განგება“ ღვთის კეთილი ნებაა, წყალობაა ადამიანებზე, რომლის წვდომა, წინასწარ გამოცნობა მათ არ ძალუძთ.

პარაგრაფში „შემოქმედი ღმერთი“ ბ. მოსია განიხილავს მეგრულ ხალხურ ლექსს „ქიანა“ (ქვეყანა, სამყარო). მისი დასკვნით, ამ ლექსის მიხედვით, ყველაფერი, რაც არსებობს (ცა, მიწა, მზე, მთვარე, ქუხილი, ჰაერი, ელვა, ზღვა, მთები, ქვა, კლდე, წყალი ზამთარი, ზაფხული, დღე, ღამე) ადამიანის შექმნილია და დაწესებული. არადა, ლექსი არ იძლევა ამის საფუძველს. ყველაფრის ამის შემქმნელად ამ წარმართულ თხზულებაში სახელდება ორთა ანუ წარმართული ღვთაება. მასზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს, უფრო დამაჯერებელი ჩანს კ. სამუშიას ნაფიქრი, რომ ორთა ზებუნებრივი ძალაა, სამყაროში არსებულ ცოცხალ არსებათა გამგებელი. თუმცა ლექსი „ქიანა“ უფრო „ავსებს“ ორთას ყოვლისშემძლეობას, რომ ცოცხალი და უსულო საგნები მისი წყალობითაა გაჩენილი, იგი „ბუნების მომხატველია“. აქ თავს იჩენს ღმერთი — მხატერის იდეა, რომელიც ლექსის შინაარსს ანათესავებს ბიბლიურ-ქრისტიანულ წარმოდგენებთან, რაც გავრცელებული იყო ადრეული ხანის ქართულ მწერლობაში. ასევე ნეოპლატონურ ესთეტიკასთან აქვს მას შეხების წერტილები.

ბ. მოსია „ქიანას“ მიხედვით ადამიანს წარმოაჩენს ზეკაცად, ღმერთთან, შემოქმედთან გათანაბრებულ ძალად. ლექსში კი ადამიანის ყოვლისშემძლეობის ამგვარი გაგება არ დასტურდება. ინტერესის გაზრდის მიზნით მთლიანად მოვიტანთ მას: „ცა დო დიხა, ბჟა და თუთა, გურგინ, ჰავა დო ვალი, ზღვა, გვალეფი, ქუა, კირდე, დო არძანერი წყარი, ზოთონჯ, ზარხულ, დღა დო სერი, ნანდულ გორჩქინელი სქვამი,ქიანაშ ორთაშ ჭყოლოფუა ბუნებაშე მონახანტ ჩქი ვორწყეთ ჯგირეფცინი არის კოჩიშ ნაქიმინა, ასქვამანც თე ქიანას აზრი, ხელობა დო რჩქინა“. გამოთქმა — „ქიანაშ ორთაშ ჭყოლოფუა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ „ქიანაშ ორთაშ“ გაგებულ იქნას, როგორც „ქვეყნის შემქმნელი“ ან გამგებელი. ლექსი ეჭვმიუტანლად

გვაკვალიანებს, რომ „ორთა“ ნიშნავს შემქმნელს, შემოქმედს. „ქიანას“ მთქმელი განაგრძობს: ორთას მიერ შემქმნელ სამყაროს და მოხატულ ბუნებას ამშვენებს ადამიანის აზრით, ხელობითა და ცოდნით ნამოქმედარი თუ ნამუშაკევი ყოველივე კარგი, რასაც შევყურებთო. ასე რომ, „ქიანა“ თვითონვე ამუქებს წიგნის ავტორის დასკვნას. ჩვენს აზრს განამტკიცებს ბ. მოსიას მიერ დაკვირვების ობიექტად ქცეული მეორე ლექსიც – „შქირენა“ (შიმშილობა).

დამკვიდრებულია აზრი, რომ კატაფატიკურ-აპოფატიკური ღვთისმეტყველება ეფუძნება პირველმიზეზის გაგებას, ერთი მხრივ, სამყაროში გამოვლენილის, განცხადებულის და თვალსაჩინოსი, მეორე მხრივ კი, როგორც შეუმეცნებადის, მიუწვდომელისა. ღმერთის კატაფატიკურ-აპოფატიკური მეთოდით შეცნობის საფუძვლები თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში დევს, საიდანაც იგი ბუნებრივად იმკვიდრებს ადგილს არა მარტო სასულიერო-საერო მწერლობაში, არამედ ხალხურ შემოქმედებაშიც. მისი კვალის ანაბეჭდები მეგრულ ზეპირსიტყვიერებაშიც შეინიშნება. აპოფატიკური (კატაფატიკურთან ერთად) ღვთისმეტყველების აურაცხელი ნიმუში მოგვეპოვება ქართულ სიტყვიერ კულტურაში: აუგებელი, გამოუთქმელი, გამოუკლეველი, გამოუსახველი, გარეშეუწერელი, დაუსაბამო, დაუღამებელი, უცნაური... მათ წრეში შემოდის „უხილავიც“, რაზეც ყურადღებას ამახვილებს ბ. მოსია. მის მიერ მოტანილი მეგრული ფოლკლორული მასალებიდან ირკვევა, რომ სამეგრელოს მკვიდრთ ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების გზით გაუთავისებიათ კატაფატიკურ-აპოფატიკური თეოლოგია, რომ იგი არის ღმერთის შეცნობის, ლოგიკური ცოდნის ერთ-ერთი უბადლო საშუალება, რაც სათავეს უძველესი ინდური ფილოსოფიიდან იღებს, ხოლო ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში მას საფუძველს უყრის კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო ენციკლოპედიურ ფორმას აძლევს გრიგოლ ნოსელი. საგულისხმო ნიმუშები შეურჩევია და განუხილავს მონოგრაფიის ავტორს: „ოღონც გორწმუნუთი ვარა, ვამაფუთი ძირაფილი“ (ოღონდ გერწმუნებით თორემ არა გვყავარ

დანახული), „ეთი უძირაფუ ნძალც“ (იმ უხილავ ძალას). „ძალი“ ქრისტეს სახელია, ასევე ყოველი ზეციური არსებისა, რაც ავტორის შენიშვნით, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან მოდის: „საყვირნო, ქუხდით კიდეთა ქუეყანასათა და ზეცისა ძალნო, რომელნი ხართა მაღალთა შინა“. უფრო საინტერესოა კიდევ ერთი მაგალითი. სახალხო მთქმელი ღმერთზე ამბობს: „ვეძირე დო ვორწყეთინი“. ბ. მოსიას შენიშვნით, „აქ მოკლედ გადმოცემულია ღმერთი, როგორც შემოქმედი, რომელიც ადამიანებს საცნაურად ეხილვება ისევ მატერიალური სამყაროთი, რომელიც მის მიერ იქმნა“. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ დამოწმებულ ციტატაში უშუალოდ მინიშნებულია მაცხოვარზე, როგორც ორბუნებოვან (ღვთიური, კაცური) ღმერთზე.

მზის, მთვარის, ვარსკვლავის, ნათლის სიმბოლიკა და ესთეტიკა ღვთისმეტყველებაში, სასულიერო და საერო მწერლობაში ქართული შუა საუკუნეებისა ფართოდ არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამას ვერ ვიტყვით ქართულ ხალხურ (მითუმეტეს მეგრულ) სიტყვიერებასთან მიმართებაზე. ამ ხარვეზის ამოვსების წარმატებული ცდაა ბ. მოსიას საანალიზო მონოგრაფია. იგი აქარწყლებს ჯერ კიდევ მოძრავ მცდარ შეხედულებას, „თითქოს დასავლეთ საქართველოში ძლიერი წარმართული ტრადიციების არსებობა, თანამედროვე ეტაპზეც, ხელს უშლიდეს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფართოდ გაშლა-განვითარებას, რასაც ძირითადად წმინდა გიორგის კულტის სიძლიერით ხსნიან და მთვარის კულტის გაგრძელებად მიაჩნიათ“.

ბ. მოსია სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით და ხალხური მასალების მოხმობით მკითხველს საჭირო წარმოდგენას უქმნის მზის ღმერთობის ტრადიციაზე, არმაზის მზის კერპად მიჩნევაზე, მითრას კულტის არსებობის ვარაუდზე (სპარსულის გაელენით), მეგრულ ფოლკლორში მზის „გაქრისტიანებაზე“, მზის ქრისტიანულ სიმბოლიკად გააზრებაზე და ა.შ. მზისა და მთვარის მთავარ ღვთაებებს ხედავენ წარმართული პერიოდის მეგრულ ლექსში: „ბჟა დია ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა

ჩემი). ბ. მოსია განიხილავს კიდევ ერთ მითოსური ხანის ლექსს: „მორთია ჩხანაია ტოლეფ ობარჩხალაია“ (მოდიო, მზიანო დღევ, თვალებ ბარჩხალა მზეე“). მკვლევარი თვლის, რომ „ჩხანაია“ მზის კნინობით – ალერსობითი სახელია და არ იქნებოდა სწორი მის ქვეშ ვიგულისხმოთ „მზიანი დღე“. ეს თვალსაზრისი მიუღებელია. „ჩხანაია“ მზიანი დღეა და არა მზის კნინობითი სახელი. „ჩხანა“ ნიშნავს სიცხეს, „ჩხანაია“ იგივე ცხელი დღეა, ან კიდევ – სხივოსანი დღე (შდრ. „ჩხორია“ – სხივები).

წიგნის ავტორი საკუთარი შეხედულებების გადმოცემით აანალიზებს მთელ რიგ ნიმუშებს მეგრული ზეპირსიტყვიერებისა, სადაც მზე გარკვეული უფლების მქონე მნათობად მოჩანს, ყრმა მზისა და მთვარის გაზრდილადაა მიჩნეული, მზე ყოველივეს მაცოცხლებელი ძალაა, მზე ცოლად და მთვარე ქმრად გამოიყურება. ავტორს საკითხთა წრეში შემოაქვს მეგრული ჭიაკოკონა ანუ ჩვეულება მზეზე (ცეცხლზე) გადახტომისა, რასაც ვ. ნოზაძე მიიჩნევდა მზის თაყვანისცემის ეპოქიდან შემორჩენილად. ცეცხლზე გადახტომისას სწამდათ, რომ იწმინდებოდნენ მავნებლებისგან და ცდუნებისაგან. ადამიანის სულიერი გაწმენდა-განბანვის, სულიერი განახლების მოტივს უკავშირებს ბ. მოსია მეგრულში მზისა და რძის ფუნქციური შინაარსის იდენტურობას. მეგრული მზე და რძე ერთი და იგივე მნიშვნელობით გადმოიცემა „ბჟა“ ფორმით. თ. უთურგაიძეს გარკვეული აქვს, რომ ისინი ეტიმოლოგიურად სხვადასხვა ფუძისგან ნაწარმოები სახელებია. ამასთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს ზ. კიკნაძის საგულისხმო მოსაზრებას. იგი განიხილავს მეგრულ „ბჟას“ როგორც მზისა და რძის სახელს მითოსურ პლანში და ხევსურულ პლანში და ხევსურულ მზის ცვარს (რძის სახელია), რის შედეგად ასკვნის, რომ შესაძლოა მზის ცვარი გულისხმობდეს რძეს, რადგან ეს ორი საგანი მზე და რძე მითოსურ პლანში გაიგივებულია. ბ. მო-სია მზესთან, რძესთან, ცეცხლთან ერთად განმწმენდი ბუნების მქონე საგნად განიხილავს სისხლს. წყალს.

ბ. მოსიას გაანალიზებული აქვს უაღრესად საყურადღებო

მეგრული ხალხური ლექსი უთუოდ პრეისტორიული ხანისა „ბჟა“ (მზე), სადაც მზე დასახულია სინათლის და დღის დედაწყაროდ. მკვლევარს გამოაქვს მართებული დასკვნა, რომ ხსენებულ ლექსში. მზე სულიერ ასპექტში მოიაზრება, რომლისთვის მინდობა სიკეთის საფუძველია. მზის სულიერ პლანში გააზრება აახლოებს მას ქრისტიანულ ღმერთთან: „ღმერთი არს კეთილი, სახიერი, წმინდა, იგი არს წყარო, დასაბამი ყოვლისა სიცოცხლისა, ნეტარებისა, სიწმინდისა“. წიგნში დაკვირვების საგნად არის ქცეული ერთი მარგალიტი მეგრული ზეპირსიტყვიერებისა, რომელსაც ჰქვია „სიზმარი“. მასში მოთხრობილია ღმერთების დედამიწაზე ჩამოსვლა, რომელთაც თანმხლებად ჰყავდათ ანგელოზები. ღმერთებს თავზე მზე ეხურათ ქუდად, ტანზე ეცვათ ღრუბელი, ხოლო მთვარე ვერცხლის ფრთასავით ეკიდა ცაზე. ღმერთები მიწაზე დადიოდნენ საქადაგებლად, ცა და მზე მღეროდნენ, დედამიწაზე სრული წესრიგი და მშვიდობა სუფევდა. ბ. მოსია ამ ლექსში ხედავს ქრისტიანული მრწამსის გამოვლენას, რაც აფიქრებინებს, რომ იგი ქრისტიანული სამების გამოხატულება უნდა იყოს, მისი სამი ჰიპოსტარი. აქ ავტორი ეწინააღმდეგება საკუთარ თვალსაზირსს, როცა ამ ლექსთან დაკავშირებით იტყვის: „მრავლობით რიცხვში ღმერთის ხსენება გვავარაუდებინებს რომ საქმე გვაქვს პოლითეიზმთან, როდესაც ყოველ საგანსა თუ მოვლენას თავისი ღმერთი ჰყავდა“. ვფიქრობ, ეს ლექსი წინარექრსტიანული დროისაა, როდესაც ადამიანები ბუნების უსულო საგნებსა და მოვლენებს ასულიერებდნენ („ცა იბირდ, ბჟა იბირდ“ — ცა მღეროდა, მზე მღეროდა). ლექსი გადმოეიდა რა ქრისტიანულ ეპოქაში, განიცადა მსოფლმხედველობრივი ცვლილება, მოხვდა იმ მთქმელის ხელში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული სამების არსი, თუმცა წარმოდგენა ჰქონდა მასზე. სამების ოჯახის წევრები (მამა, ძე, სულიწმიდა) ცალკეულ ღმერთებად წარმოედგინა.

ყურადღება მიიქცია ბ. მოსიას მიერ მეგრული ფოლკლორიდან გამოვლენილმა წყარომ „მზიანი ღამისა“. ლექსს ჰქვია „ქოიძირ-

ნანო“? (გინახავთ?) ამ ჩვენთვის საინტერესო მასალას დავიმოწმებთ მთლიანად:

ქოიძირნანო შქა სერს
ბუა ცას მიკოხედუნი.
ახალი კოჩი თიშ ჯინათ
გურს იოხენდუნი?
ჩიტებს ქუდუხუნდეს,
რაგადანდეს ამბებს.
დიდა ჩიტი სქუალეფშენი
ღორონც ურზანდ სანთელს.
თეჯგურა სასწაულეფი
ქიანას რე ბრელი.
კოჩშე მეტი ოკო რდენი
თინა ქოძირენი“.

„გინახავთ შუაღამე
მზე რომ ცაზე ანათებდა (იჯდა)
ახალი კაცი მის ყურებით
გულს რომ იოხებდა?
ჩიტები დამსხდარიყვნენ,
ამბობდნენ ამბებს.
დედა ჩიტი შვილებისთვის
ღმერთს უნთებდა სანთელს.
ამისთანა სასწაულები
ქვეყანაზე არის ბევრი
კაცზე მეტი უნდა იყო,
ის რომ დაინახო“.

ეს ლექსი ეჭვს არ ბადებს, — წერს ბ. მოსია, — რომ არის ქრისტიანული ხანისა და მის „მზიან ღამეში“ მოიაზრება ღვთიური ნათლის ხილვა და არა ზამთრის სულსტისიუმის ანუ ნაბუნიობის „მზიანი ღამე“. სამეცნიერო ლიტერატურაზე დამყარებით იგი შენიშნავს, რომ ღმერთის სახელდება „მზიან ღამედ“ ემყარება კატაფატიკა-აპოფატიკას, ან ღმერთის სახელდებას დადებითი და უარყოფითი ნიშნების გაერთიანებით. საილუსტრაციოდ მოტანილ ლექსში მკვლევრის ყურადღებას იქცევს შესიტყვება „ახალი კაცი“ („ახალი კოჩი“) და შესაძლოდ თვლის მასში ვიგულისხმოთ ქრისტე. სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურაში მაცხოვარი წოდებულია ახალ კაცად, ანუ ძველი კაცის (ადამის) განახლებად, მეორე ადამად. ასევე ქრისტეს მიერ დახსნილი ადამიანიც იწოდება ახალ კაცად. დამოწმებულ ლექსში „ახალი კაცი“ მოაზრებულია არა ქრისტედ, არამედ მის მიერ ხსნილად, რომელსაც შუაღამის ცის ჭვრეტისას ძე ღმერთი ესახება „მზიან ღამედ“, ანუ ღამის ცაზე დაკიდულ მზედ. მისი ხილვა კი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მოკვდავ ადამიანზე მეტია, ანუ მიახლოებულია ღმერთთან, როგორც

ცოდვებისაგან განტვირთული, მაცხოვრის წყალობით ჯოჯოხეთიდან თავდაბსნილი. ასე რომ, მეგრული სახალხო ლექსიც ადასტურებს ქრისტეს სიმბოლოდ „მზიან ღამეს“, ანუ შუაღამით ცის ელვარებას მზის ალით.

ისმის კითხვა: მეგრელი ხალხური მთქმელი დამოუკიდებელი აზროვნებით მივიდა ქრისტეს ორბუნებოვნების გამომხატველ სიმბოლოდ „მზიანი ღამის“ გაცნობიერებამდე, თუ იგი მწიგნობრული გავლენის შედეგია. ცნობილია, რომ ოქსიმორონის ტიპის შესიტყვება „მზიანი ღამე“ პირველად თავს იჩენს „ვეფხისტყაოსანში“. მეგრელები რუსთაველის პოემას შუა საუკუნეებშივე ეცნობიან. გავიხსენოთ, რომ ჯერჯერობით ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ გადაწერილია 1646 წელს ზუგდიდი სამთავრო კარზე ლევან II დადიანის შეკვეთით მამუკა თავაქალაშვილის მიერ. თუ მთქმელი სათანადო წყაროთი საზრდოობის გარეშე ქმნის ამ სახეხატს, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ იგი ყოფილა უჩვეულო პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, ხოლო მეგრულ ფოლკლორში „მზიანი ღამის“ გაელვება უნდა ჩავთვალოთ მეგრული ზეპირსიტყვიერების უდიდეს მიღწევად.

ბ. მოსიას დამსახურებად გვესახება მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაში ლიტერატურულ „მზეთამზესთან“ შინაარსობრივად თუ მნიშვნელობით დაახლოებული გამოთქმის მიგნება — „ბჟაში-ბჟალარა“ (მზის-მზეობა): „გურს უცორს ბჟაში — ბჟალარა, სიტიბა დო ჩხანაია. ღურუ ღორონთქ დოჭყუას ძვალი ოხარკალაია“ (გულს უყვარს მზის-მზეობა, სითბო და მზიანი დღე. სიკვდილი ღმერთმა დასწყევლოს ჩხაკუნა ძვლიანი).

მკვლევარი დაკვირვებებს აწარმოებს მთვარის სიმბოლიკასთან დაკავშირებით. ამისი კვლევა-ძიება დაწყებული აქვს პრექრისტიანული დროიდან ეპოქათა მიხედვით თანმიმდევრულად ზეპირსიტყვიერებასთან მიმართებაში. სამეცნიერო ლიტერატურის ფონზე ავტორი ასკვნის, რომ მთვარის ღვთაების სალოცავი ადგილების არსებობითაა განპირობებული რიგი გეოგრაფიული სახელების მსგავსება მთვარის ღვთაების სახელთან — სინი-სინწა-ოსინდალე... ასევე მნათობთა

სახელებს უკავშირდება კვირის დღის სახელწოდებაც, რის მიხედვითაც ორშაბათი მთვარის დღეა, სახელწოდებაც მსგავსი აქვს — თუთაშხა (ორშაბათი). წიგნის ავტორი ვრცლად მსჯელობს წმ. გიორგის — მთვარის თუ მზის ღვთაებისგან მომდინარეობის შესახებ. იგი შენიშნავს, რომ წმ. გიორგის მთვარის კულტიდან გამომდინარეობის იდეა არ ეწინააღმდეგება მზის ღვთაებიდან მომდინარეობის იდეასაც და, პირიქით. ბ. მოსია მთვარის სიმბოლიკაზე საუბრისას გამოკვეთს თეთრი მთვარის — თუთარჩელას სახეს, რომლის სითეთრე, სისავსე გამოწვეულია მზით, რითაც მზე და მთვარე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ვ. ნოზაძე ადამიანთა პირველ ღმერთად მიიჩნევს მთვარეს, როგორც მამაკაც ღვთაებას. მისთვის უცნობია როდის შეცვალა იგი მზემ. მთვარის ღმერთობა იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც ადამიანი მონადირე იყო.

ნათლის ესთეტიკაზე მსჯელობისას სწორ შეხედულებას ავითარებს ბ. მოსია, რომ ქრისტიანული ნათლის სიმბოლიკას წინ უძღოდა თეთრის სიმბოლო და ორივე მზესთან იყო დაკავშირებული. თეთრის სიმბოლური სახე გადავიდა ქრისტიანული ნათლის ესთეტიკაში. საინტერესოა, რომ სანთელი მეგრულ ფოლკლორში მსხვერპლად შეწირვის სიმბოლოა, როგორც კრავი. მკვლევრის დაკვირვებით, სანთელი მეგრულ მასალებში საიქიოს გამნათებელია, ასევე იგი გაიაზრება ღვთაებისა და წმინდანების სახე-სიმბოლოსთან ერთად სულიერი ხედვის სიმბოლოდაც. სულიერი ნათლის სახე მოიხსენება სულიერი თვალის მეოხებით, სულის სიწმინდე ადამიანთა ნათელში დამამკვიდრებელია.

საანალიზო წიგნში, ვფიქრობთ გადასასინჯი ჩანს ვარსკვლავის ქრისტიანული სიმბოლიკის წარმოსაჩენად მეგრულ მასალებში სათანადო ნიმუშების მოპოვება. საამისოდ გამოყენებული ნიმუშების ანალიზი კი ხელოვნური გვეჩვენება.

ბ. მოსიას მიერ განხილული საღვთო სახელებიდან შევჩერდებით „დროზე“ და „იერუსალიმზე“. „ჟამი“ (იგივე დრო) ქრისტეს სახელია: „რამეთუ არა იცით, ოდეს ჟამი იგი“ (მარკ. 11, 33). „უჟამო ჟამიც“ მაცხოვრის სიმბოლოა. მართალია, მეგრულ ფოლკლორში არ

დასტურდება ქრისტეს სიმბოლოდ „დრო-ჟამი“, მაგრამ აქ მოგვეპოვება საოცარი ლექსი „ბორჯი“ (დრო), რაზეც ყურადღებას ამახვილებს წიგნის ავტორი. ლექსში „დრო“ გაგებულია სუბსტანციად, რომელიც მომსწრეა დედამიწის პირველი შემოტრიალებისა: „სი უჯინედ სარიკოს ბჟაშე დიხაში მოხარცქუას, სი ვარენო გიჯინუუნი დიხაში პირველ დორთაფაშა, სი გიჯინუუ პირველ სერშა, პირველ დღაში გოთანაშა... ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა, არძას არზენს მუშუშის“ (შენ უცქეროდი საარაკოს მზისგან მიწის მოწყვეტას, შენ უცქერდი დედამიწის პირველ შემოტრიალებას, შენ უყურებდი პირველ ღამეს, პირველი დღის გათენებას... დროს არ იცის მოფერება, ყველას აძლევს თავ-თავის (წილს)).

მიწიერი და სულიერი იერუსალიმის სახარებისეული სიმბოლური სახე გადმოსულა მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაში. კარგია, რომ ბ. მოსიას ამ მიმართულებით უწარმოებია წარმატებული კვლევა-ძიება. მან მოიძია და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა საგულისხმო მეგრული მასალები, რომელთაგან ორიოდე ნიმუშს შევახსენებ მკითხველს: „სი რდი ჩქიმო ელსამეთი, შურიშ გინართუაფალი“ (შენ იყავი ჩემთვის იერუსალიმი, სულის გადასაყოლებელი), „ელსამეთშა ვართი იფში შურქი ვამიჩხონდუკონი“ (იერუსალიმში არც წავიდოდი, სულის ცხონება რომ არ მდომებოდა).

ბ. მოსია ასტრალური სიმბოლიკის შესწავლის შემდეგ წიგნში გარკვეულ ადგილს უთმობს მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში ფერთამეტყველების საკითხის გარკვევას. ფერთა სიმბოლიკის წრებრუნვას განსაზღვრავს: თეთრი, შავი, წითელი, ლურჯი, ოქროსფერი. მეგრული ხალხური ლექსის თანახმად, სითეთრე მზის ნიშანია („ჩე ბჟალარა მიორე“ — თეთრი მზეობა ადგას). წიგნში მოტანილია ნიმუშები, სადაც მოხსენიებულია თეთრი მთა („ჩე გოლა“), ალვის ხის სახელწოდება („ჩეჯა“), ხარის სახელი „ჩელა“, „თეთრი ცხენის“ სიმბოლიკა და სხვა. მონოგრაფიის ავტორს დამოწმებული აქვს მეგრული შელოცვის საინტერესო ტექსტი, სადაც თეთრი ფერის უძველესი ტრადიციებია გადმოცემული. მეგრულ ფოლკლორში განთიადის ნათელი მთვარის ფერთან იყო

შედარებული, ხოლო მთვარიან ღამეს ერქვა „თუთარჩელა სერი“. თუთარჩელა „თეთრ მთვარეს“ ნიშნავს. როგორც ი. გაგულაშვილს შენიშნული აქვს: „მთვარესა და მზეს თანმიმდევრულად თეთრი და წითელი ფერის სიმბოლიკით წარმოსახავდნენ ძველი ქართველები.“ რ. სირაძის მიხედვით, წითელ ფერს ქართული ფოლკლორული მასალებით ყველაზე მეტად ახასიათებს მრავალმნიშვნელობა. იგი სამეფო ფერიც იყო. ბ. მოსიას მიერ მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში მოძიებული მასალა წითელი ფერის სიმბოლიკასთან დაკავშირებით მეტად მწირია, იგივე ითქმის ლურჯ ფერზეც. საერთოდ ბ. მოსიას მონოგრაფიაში ფერთა სიმბოლიკის (გარდა თეთრი ფერისა) ჩვენება მეგრული ფოლკლორული მასალების მიხედვით არ ჩანს დამაჯერებელი. ავტორი უფრო გართულია იმის წარმოჩენით თუ წითელი, ლურჯი, შავი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი როგორ ფიგურირებს საერთოდ ქართულ მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერებაში, მხატვრულ ლიტერატურაში... წამოჭრილი საკითხის გამაგრება მეგრული მასალებით მკრთალი ჩანს. ამას ვერ ვიტყვით თეთრი ფერის სიმბოლიკაზე. იგი, მართლაც, ამომწურავად პასუხობს დასმულ პრობლემას.

მკვლევარი მეგრული ფოლკლორის ფერთა სიმბოლიკის საკითხს იდეურად უკავშირებს სამყაროს აგებულებას. უძველესი დროიდან ხალხში წარმოიშვა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სამყარო შედგება სამი სკნელისაგან. თითოეულ სკნელს შეესაბამებოდა შესაფერისი ფერები. ქვესკნელი წარმოიდგინებოდა შავი ფერით, ზესკნელი – თეთრით, შუა სკნელი (ადამიანთა საცხოვრებელი) კი – წითლით ანუ ჭრელით. მეგრულ ფოლკლორში ქვესკნელის ეპითეტი „შავი“ დაფიქსირებულია ბ. მოსიას მიერ დამოწმებულ ერთერთ ნიმუშში („უჩა წკურუმც“ – შავ უფსკრულში). მართებული ჩანს მისი შენიშვნა, რომ ქრისტიანული ჯოჯოხეთის მეტაფორული გააზრება მითოსიდან იღებს სათავეს, რომლის გადმონაშთიც გვაქვს ამ ლექსში („ენატანია“). წარმოდგენას სკნელებზე ვხვდებით არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერებაში, არამედ ბიბლიაშიც, რაც მკვლევარს არ გამოპარვია მხედველობიდან.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბ. მოსიას კვლევის საგნად ქცეულმა მეგრულმა ხალხურმა ლექსმა „ხარხიშ გენია“ (ხალხის გენია). მკვლევარი მიიჩნევს, რომ მასში კაცობრიობის სულიერი იერარქიაა წარმოდგენილი. სავსებით ვეთანხმებით მის თვალსაზრისს, რომ ლექსში ნახსენები „გენია“ მიუთითებს ადეპტზე, რომელიც ფლობს ეზოტერულ ცოდნას და შეუძლია ჩაწვდეს იმ ზენორმას, რომლის ქვეშ მოიაზრება უმაღლესი იდეალი ანუ ღვთაება. სწორედ ამ გენიას შეუძლია ადამიანი „გახედნოს“ და უჩვენოს გზა, რომელიც კაცობრიობამ გაუხსნა ქრისტეს უფლისკენ თავისი ჯვარცმით, რომლის შემდეგ დაუდო ხალხთა მოდგმას ახალი აღთქმა. ეს ლექსი მიგვანიშნებს ადამიანების კატეგორიებად დაყოფაზე. ისინი იყოფიან სამ ფენად: ნულის ქვემოთა ფენა, ნულის ფენა და ნულს ზემოთა ფენა. ამათგან მთავარია „ჟი ნორმა“ (ზე ნორმა ანუ ნულს ზემოთა), რომელიც მართავს ყოველივეს, მისი ადგილი სასუფეველშია. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან მიწიერი სატკივრით შეპყრობილნი. ნულს ქვემოთა ფენაში ლექსი ათავსებს ხეპრეებს, ბაქიებს, ავაზაკებს, გიჟებს... ნულ ფენას ლექსი სწამებს კეთილისა და ბოროტის გაუგებრობას, სიბეცეს, გულმხდალობას. ბ. მოსია ხსენებულ ლექსში სამართლიანად ხედავს სამყაროს აგებულების მოდელს: ნული შუასკნელია, ნულის ქვემოთ ქვესკნელია, ჯოჯოხეთი, ნულს ზემოთ კი — ზესკნელი, ზებუნებრივი ძალები.

როგორ გავიგოთ ლექსის სათაურში გაჟღერებული სიტყვა „გენია“. „გენია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს უდიდეს შემოქმედებით ნიჭს, ძველბერძნულ მითოლოგიაში იგი მფარველი სულია, რომელიც თან ახლავს ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე და წარმართავს მის საქმიანობას. შემდეგში კეთილი ან ბოროტი სული, გენია რელიგიურად ნიშნავს ჯოჯოხეთს (შდრ. ქეგლი II, გვ. 1420, 1426). მოულოდნელი ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ „გენია“, „გენია“ განმარტებული არ არის ს. ორბელიანის, ილ. აბულაძის, ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში. მითუმეტეს იგი ფიგურირებს ახალ აღთქმაში: „თანამდებ არს იგი გენისა და მას ცეცხლისასა“ (მათე, 5, 22, შდრ. 10, 28). როგორც ჩანს, სახარების მთარგმნელს

უშუალოდ გადმოუღია ეს სიტყვა ბერძნულიდან. „გენიასა მას ცეცხლისას“ კონტექსტში იგულისხმება ჯოჯოხეთის ცეცხლი „გენია“ მეგრულშიც დამკვიდრდა და ნიშნავს გიზგიზა ცეცხლს. რომელი განმარტება მივუსადაგოთ მეგრულ ლექსს „ხარხიშ გენია?“ ლექსის ქართულად გადამღებს, ბუნებრივია, ეს სიტყვა გადაუტანია უშუალოდ. ცხადია, აქ „გენია“ აღარ გაიგება მეგრული გიზგიზა ცეცხლის, ან ჯოჯოხეთის შინაარსით. მას უფრო მიესადაგება „შემოქმედებითი ნიჭი“, ან „მფარველი სული“. ვფიქრობთ, გამოთქმაში „თე ჟი ნორმა გენია რე“ (ეს ზე ნორმა გენიაა) მოიაზრება მთქმელის მიერ „თელ ქიანაშ მარსხებელი“ (მთელი ქვეყნის დამხსნელი) ქრისტე, როგორც ღმერთ-კაცი.

ამის შემდეგ ბ. მოსიას მკითხველის ყურადღება გადააქვს ყველაზე პოპულარულ კოსმოლოგიურ სიმბოლოზე სიცოცხლის ხის სახით. ზემოთ ხსენებული სკნელების (ზესკნელი, შუასკნელი, ქვესკნელი) გამაერთიანებლად ითვლებოდა ხე ცხოვრებისა. საქართველოში მრავალი საკრალური ხეა ცნობილი: ვაზი, თხილი, ნიგოზი, ალვა, ნაძვი, მუხა. ავტორს დაძებნილი აქვს მეგრული ფოლკლორული მასალები, სადაც ვაზი მაცხოვრის მიერ შექმნილი ხეა. სიმბოლური მნიშვნელობისაა ხის ორგანოებიც: ფესვი, რტო-მორჩი, ფოთოლი, თესლი. სახარებაში ქრისტე წოდებულია მარცვლად მდგოვისა. მარცვლის სიკვდილი (დათესვა) სიმბოლოა ხელმეორედ აღმოცენებისა, განახლებისა და მრავალი ნაყოფის გამოღებისა. სახარებისეული სიმბოლური შინაარსის შემცველი მაგალითები განხილული აქვს მონოგრაფიის ავტორს. წიგნში ვრცლად არის გაშლილი მსჯელობა სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობაზე. სიკეთისა და ბოროტების შემცველი მასალები საკმაოდ მოიპოვება მეგრულ ფოლკლორში. კოლხების წარმოდგენით, სამყაროში ბინადრობენ ავი სულები, რომლებიც ადამიანს ევლინებიან მგლის, ტურას, კატის, ძაღლის და სხვა ცხოველთა სახით. ეს წარმოდგენები მკვლევარს წარმოჩენილი აქვს მეგული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებით. ერთი შეხედვით, საჩოთიროდ მოგეჩვენება მგლისა და ტურის წრეში ძაღლის მოქცევა. ძაღლი გამოირჩევა ერთგულებით და არა ბოროტებით, მაგრამ

წმინდა ცხოველთა რიცხვს არ განეკუთვნება. იგი არ გამოდგება შესაწირ ცხოველად ცხვარივით, თიკანივით და ხბოსავით. ავტორის ყურადღება მახვილდება ასევე ლომის, გველის, ღორის სიმბოლიკაზე საკითხთან დაკავშირებით.

საინტერესოდ შენიშნავს ბ. მოსია, რომ ხალხური მასალების მიხედვით, ბოროტების უარყოფის იდეა საუკუნეთა განმავლობაში მსჭვალავდა ხალხის შემეცნებას, რომლის პარალელურად სიკეთე მარადიული ბუნების მქონე ღვთაებრივი არსია. ეს იდეა წამოჭრილია პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის არეოპაგიტიკაში. ღორის სიმბოლოზე მკვლევარი წერს: „ღორი ქართული წარმოდგენებით დაკავშირებული იყო მითრას (მზის) კულტთან. იგი შესაწირავი ცხოველი იყო ამ ღვთაებისადმი და მას უკავშირდებოდა მზის დღესასწაული, რაც ახალი წლის დასაწყისად ითვლებოდა. ამიტომ დღესაც სიმბოლურია საშობაოდ ღორის დაკვლის ტრადიცია, რაც ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ემთხვევა წელიწადის დასაწყისად მიჩნეული იანვარს“.

წიგნში დაფიქსირებულია სათანადო მაგალითები ხალხური სიტყვიერებიდან თუ წარმართობის ხანაში რის საშუალებით ხდებოდა ბოროტების განდევნა (წითელი ტყემლის ტოტი, კატის ბეწვი, ცხენის თავის ქალა, ნალი, ნემსი...). ქრისტიანობის ეპოქაში ავი სულების განდევნა ხდება ჯვარის ძალით.

ბ. მოსია იკვლევს ასევე ღვთაებას „ჟინი ანთარი“. ხალხური მონაცემებით, ეს ღვთაება ბუზებისა და ყვავებისგან ყანის დამცველია. იოსებ ყიფშიძე და სერგი მაკალათია ერთიანი აზრისანი არიან: „ჟინი ანთარი“ ითვლება ღვთაებად, რომლის პატივსაცემად იმართებოდა მსხვერპლშეწირვა. ვახშმისათვის საგანგებოდ ცხვება მჭადი, რომლის შუაში ჩადებულია კონუსის ფორმის ყველის ნაჭერი... ლოცვის დასასრულის შემდეგ ამ დიდ მჭადს დაჭრიდნენ და შეჭამდნენ, დარჩენილ ნამცეცებს ბუზებისა და ყვავის კერძად მიიჩნევდნენ, დილაადრიან მას სახლის ბანზე დაყრიდნენ“. აპ. ცანავა მეგრულ მასალაზე დაყრდნობით ჟინი ანთარს თვლის საქონლის ღვთაებად.

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ იგი მიჩნეულია მეცხოველეობის მთავარ ღმერთად. სულხან-საბა ორბელიანს და დ. ჩუბინაშვილს „ანთარი“ განმარტებული აქვთ „მაიმუნად“. ივ. ჯავახიშვილი მეგრულ ანთარს უკავშირებდა ხევსურულ ანატორს და აფხაზურ აიათარას. ს. მაკალათიას თანახმად, „აფხაზური „აიათარ“ და მეგრული „ჟინი ანთარი“ ავესტაში მოხსენიებული იაზატაა (კეთილი სული): „ათარი, რომელიც იყო ცეცხლის ღვთაება, ავესტაში წოდებულია აჰურა მაზდას შვილად“. ბ. მოსია მეტად სარწმუნო დაკვირვებად მიიჩნევს ნ. აბაკელიას დასკვნას, რომ „ჟინი ანთარის“ და „თუდონი ნერჩის“ თაყვანისცემაში საქმე გვაქვს ცისა და დედამიწის თაყვანისცემასთან. ჟინი ანთარის სახით შეიძლება საქმე გვქონდეს ცის ღმერთთან. ბ. მოსიას მკითხველის ყურადღება გადააქვს შუმერებში ღვთაებად მიჩნეული „ან-თართან“. „ან“ ცას გულისხმობს, „თარი“ კი ღვთაებას: ავტორი იმ აზრისაა, რომ „ჟინი ანთარის“ ქვეშ იგულისხმება ცის ღვთაება, ანუ ციური ღვთაება. იგივე შეხედულებისაა ხ. გოგია... ბ. მოსია მხედველობიდან არ უშვებს თ. მიბჩუანის საგულისხმო შენიშვნას, რომ შუმერებში თარ ღვთაება განსჯას, ხალხის ბედის გადაწყვეტას ნიშნავს. რაოდენ პარადოქსულად არ უნდა გვეჩვენოს, სვანურშიც „ნიათარ“ განსჯილს ნიშნავს. ანალოგიურ ნიმუშებს საანალიზო წიგნის ავტორი მეგრულ ხალხურ მასალებშიც პოულობს. ზეციურ სამართალს იცნობს ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებიც: „ეს გაგება ცისა მას აახლოებს ქრისტიანულ წარმოდგენებთან, რომლის მეშვეობით ისმის მეგრულ ხალხურ მასალებში ის აზრი, თითქოს სიმართლის გზა დამამკვიდრებელია ცაში, უფალთან, სიცრუისა კი აშორებს პირველსაწყისს“.

ბ. მოსიას დასკვნით, ღვთაება ჟინი ანთარი უნდა უკავშირდებოდეს ზოგად უნივერსალურ მოვლენას, რომელსაც თაყვანს სცემდნენ სამეგრელოში. მისი ბუნების გამოვლინებაა ის, რომ იგი უნდა ყოფილიყო ცის ღვთაება და ამასთანავე მას უკავშირდება სამართალი, განსჯა, მართლმსაჯულება.“ მიგვაჩნია, რომ მეგრული „ანთარი“ და სვანური „ნიათარი“ იდენტური შინაარსის შემცველია. „ჟინი ანთარში“

უთუოდ მოიაზრება ზეციური განმსჯელი, რომლის შიში და რიდი ჰქონდა ადამიანს, რაც მას მოუწოდებდა მხოლოდ სიკეთის ქმედებისკენ, ვინაიდან სჯეროდა, რომ სიავე-ბოროტების ჩადენისას ზეციური ძალა განსჯიდა მას, არ აპატიებდა დანაშაულს, „ჟინი ანთარის“ ამგვარი გაგება მას აახლოებს ქრისტიანული ღმერთის ბუნებასთან.

წიგნის დასასრულს ბ. მოსიას დაურთავს ზოგიერთი პარალელი ახალ აღთქმასა და მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაში, რაც დასტურია იმისა, თუ მეგრული ხალხური საუნჯე როგორ ითავისებდა სახარებისეულ სიბრძნეს დროთა ვითარებაში. ზოგიერთ მეტყველ პარალელს აქაც დავიმოწმებთ: რა სა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისსა და დ რესა თუალსა შინა თ სა არა განიცდი“ (ლუკა, 6, 41).

„შხვაშ ჭვიტეს ქარწყე, მუში კილაბურგონილს ვარია“ (სხვის ჭუჭრუტანას ხედავს, მის გამონგრეულს კი არა).

„იყუენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამა თქუენი მოწყალე არს“ (ლუკა, 6, 36). „მარდობა მოწყალე ღორონსია“ (მადლობა მოწყალე ღმერთს).

ამით ვასრულებთ მიმოხილვას ბ. მოსიას მონოგრაფიისა („ახალი აღთქმის სახისმეტყველებითი აზროვნების ასახვა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში – მეგრული მასალების მიხედვით“). წიგნს, ერთვის ვრცელი დასკვნა, წყაროებისა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის მათითებული ნუსხა. მეგრული მასალებიდან ამოსული ავტორი პრობლემის კვლევას აწარმოებს მთელი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების გათვალისწინების ფონზე. ამით იგი ცდილობს, კიდევ უფრო განამტკიცოს საფუძველი საუკუნეების უღელტეხილზე ქართველთა სულიერი ერთიანობისა, გაამაგროს თვალსაზრისი, რომ კუთხეებად დაკუწული საქართველოს გამაერთსხეულებელი იყო ქრისტიანობა და ბიბლია ქართული ენის მეთაურობით, როგორც ამას აღიარებდა ჯერ კიდევ მეათე საუკუნის უბადლო მწერალი გიორგი მერჩულე.

ადამიანისა და სამყაროს სიყვარულში

ვიდრე გივი სიხარულიძის ლექსებსა და ნოველებზე ვისაუბრებდეთ, ხამს ახლოს გაცნობა მისი პიროვნებისა ბიოგრაფიული ესკიზების მოშველიებით. ამჟამად სიბრძნის ასაკშია, სამი შვილით და ოთხი შვილიშვილით დახუნძლული და ამაღლებული, „თბილისური ჯიგრით გაბრწყინებული“, „თბილისზე სიყვარულით გაგიჟებული“. დადის ამქვეყნად „სკიდან ფიჭად ამოღებული სიტკბო“, „მტკვარს დაირად დაკიდებული მთვარე“, „თბილისის ქუჩებში გაზრდილი და გალაღებული“, „თბილის ქალაქს დაბადებული დარდი-მანდი“, თბილისზე „ფიქრით გზააბნეული აშუღი“, „ამ ქალაქის ფიგარო“.

მხატვრული თხზულებების წერა 45 წლის ასაკში დაიწყო. ეს ისე არ გავიგოთ, თითქოს მანამდე თბილისის უბნებში ძველბიჭობდა, სუფრიდან სუფრამდის თამადობით იქცევდა თავს. თუმცა არც ამის უთქმელობა ეგების, რომ სიყმაწვილიდანვე „ძირითადად ქუჩას გახლდათ ნაზიარები და თანატოლებში საქმის გარჩევითაც ლიდერობდა, სწავლა და წიგნის კითხვა თითქოსდა სათაკილო საქმედ მიაჩნდა“ (ნ. ცინცაძე). ბავშვობიდან გატაცებული იყო სპორტით, ცეკვით. ლეგენდარული ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტობას 16 წლის ასაკიდან ეზიარა. დამთავრებული აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების უნივერსიტეტი. როგორც გივი სიხარულიძეზე წერენ: არ არსებობს მსოფლიოს რომელიმე ცეკვა, რომელსაც ერთნაირი მოხდენილობით არ ცეკვავდეს. მთელი 20 წლის მანძილზე იყო სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „თბილისი“ მთავარი ბალეტმეისტერი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

გივი სიხარულიძე, ამასთანავე, საოცრად სპორტული პიროვნება გახლავთ. თავი გამოიჩინა ჩოგბურთში, ტანვარჯიშში. როგორც ნანა ცინცაძე წერს: „იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წყლის თხილამურებზე დადგა, მისთვის არც მთის თხილამურები იყო უცხო“. ის არა მარტო უჩვეულო მოცეკვავე და სპორტსმენი იყო,

არამედ შესანიშნავი მსახიობიც, ქორეოგრაფი, რეჟისორი, რადიოწამყვანი. არც კინემატოგრაფიას დავიწყნია მისი ნიჭი. გივი სიხარულიძემ 1993 წელს ფილმში „უძინართა მზე“ ვანიჩკას მთავარ როლში ითამაშა. ამ ფილმმა ბერლინის ფესტივალზე გრან-პრი, ვერცხლის დათვი მოიპოვა, ასევე „ტავრია გრან-პრი“ სოჭის ფესტივალზე, საქართველოში ოქროს არწივი ერგო წილად, რსფსრ-ში კი „ნიკა“, ესპანეთში, ლას-პალმას მალიორკაში – გრან-პრი; ამერიკის შეერთებულ შტატებში სანდერსის ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გახდა. ბათუმის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე მის მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ქუჩის დედოფალი“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა; ხოლო საერთაშორისო ფესტივალზე ფილმ „გათოშილ ბეღურებში“ მთავარი როლის შემსრულებელმა ირინკა წერეთელმა პირველი პრიზი აიღო ბავშვის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ვახტანგ ღლონტი წერს: „იშვიათად შემხვედრია კაცი, ასე რომ ამართლებდეს საკუთარ გვარ-სახელს... გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს გაუბედურებულ საზოგადოებაში.“ სწორედ ამიტომ უძღვნიან მას მშვენიერ ლიტერატურულ წერილებს, პოეტები კი – ლექსებს. კარგია, რომ მისი ნოველებისადმი მიძღვნილი წერილები (ვახტანგ ღლონტი, თემურ შავლაძე, ნანა ცინცაძე), ასევე – ლექსები (ვახტანგ ღლონტი, ვანო ცინცაძე, გუგული მგელაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ნანა ცინცაძე, გიზო ჭელიძე, რაულ ჩილაჩავა, ლადო მრელაშვილი, თამარ ასლანიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ქართლოს კასრაძე, მიმოზა ცანავა, ირმა ქურასბედიანი) თან დაერთო გივი სიხარულიძის 584-გვერდიან რჩეულს – „ის+მე“, „აწყვეტილი სიცოცხლე“, რომელიც 2010 წელს გამოიცა. ვახტანგ ღლონტი ქალაქურად მომლხენ ბოჰემას უწოდებს გივი სიხარულიძეს, რომელსაც „გულში ანგელოზი უზის“ და უბრალო ხალხი ურჩევნია „სახელიან ხარახურას“. შესანიშნავი ლექსები უძღვნა ვანო ცინცაძემ თბილისის ამ განუმეორებელ კოლორიტს; „კაცი, რომელიც არავის არ ჰგავს, ზოგჯერ არა ჰგავს საკუთარ

თავსაც“, „კაცი, რომელიც თვითონვე არის ცეკვაც, სიმღერაც, ლექსიც, ნოველაც“, „კაცი, რომელიც სხვებს ახალისებს, თვითონვე რჩება დარდის ამარა“, „მისი სიცოცხლე არის ბოჰემა, ცხოვრება ნაღდი ყარაჩოღელის“; გუგული მგელაძე გივი სიხარულიძეს მიიჩნევს „მზისა და მთვარის ნაჯვარ კაცად“, ასევე – „მზის და მთვარის ნატეხად“; ნანა ცინცაძის მიხედვით, იგი „ფიქრებით დედამიწას გამოსცდა“. ვაჟა ოთარაშვილს სწამს, რომ გივი სიხარულიძე „უკანასკნელი მოჰიკანია ძველი თბილისის;“ „სხვა ჯიგარია, ძველი ძმობის ბოლო სარდალი“. აი, გიზო ჭელიძის ერთსტროფიანი ეპიგრამატი: „ვისმენ შენს ნოველებს, ნოველებს არა, აქციებს, გიჟს გეძახიან, ღმერთო, მეც გიჟად მაქციე“. რაულ ჩილაჩავას ნატვრაა: „კაცი მისებრი ნურასდროს ნუ დაკლებია თბილისს“. მერაბ ბერიძის ლექსს ჰქვია „დადის ქალაქში რაინდი კაცი“. ამ სათაურით უკვე ყველაფერია ნათქვამი, ხოლო მერაბ მეტრეველი „კალმის და სცენის რაინდს“ უწოდებს. გიორგი დვალიშვილი თავის ლექსს ასე ასრულებს: „ის მთელი ღამე ფურცლად თავის ნოველებს ათოვს“.

ზემოთ ითქვა: გივი სიხარულიძემ კალამს მოკიდა ხელი მხოლოდ 45 წლის ასაკიდან. მან ჯერ განვლო თავისი ცხოვრების ნახევარი გზა და... მწერლობაში შემოათენდა. ნოველების წიგნს წიგნი მოსდევს: „ცირუნია“ (1997); „სევდიანი სკამი“ (1998); „ჩემი ოცნების ხე“ (1999); „დაობლებული სინაგოგა“ (2000); „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“ (2002); „სიცოცხლის მოწმობა“ (2003); „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“. 2010 წელს ქვეყნდება მწერლის ლექსებისა და ნოველების რჩეული (584 გვერდი). მასში შესულია 70 ლექსი და 170 ნოველა. 2012 წელს გამოვიდა ნოველებისა და ლექსების კიდევ ერთი კრებული „არაბულა“. გივი სიხარულიძეს დაუფასდა ქართული ნოველისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილი და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

მიმზიდველია გივი სიხარულიძის ლექსები. მისი ყოველი სტრიქონი დატვირთულია აზრით, გრძნობით, ტკივილით, დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის მწარე განცდით:

„მოდის და მოდის ახალი ფრაზა,
ლექსების გუნდი ცით დაირაზმა.
ყოველი სტროფი იღვრება ნაზად,
გრძნობების ტალღად და აიაზმად“.

გივი სიხარულიძის პოეზიას კვებავს სულის ძლიერების მოტივი, მხოლოდ ამით გადაირჩენს თავს ქართველი კაცი ამ უბედურ დროში. ეს მაშინ, როცა „მისხალ არ დაგვრჩა კაცობის, ქვეწარმავლებად ვიქეცით“. ვირთხებით დავსრიალებთ მიწის ქვეშ, „გადავიქეცით მონებად და საკუთარ ფულის ქისადა“; „შემირცხვენია აქ ყოფნა თუ სულით არ ხარ ძლიერი“. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ვამირანობდით, ვავთანდილობდით გმირები, დღევანდელ ყოფას დაგვცინის ღორი, ჯორი და ვირები“. რა აზრი აქვს ამქვეყნიურ ცხოვრებას თუ ქართველი ქართველს არ ჰგავს, სცოდავს ერიც და ბერიც, რაინდის თვისებანი ლეგენდებში დაიმარხა, თუ წაგვიხდა ქართული გენი:

„თუ ყველა ცოდავს ერიც და ბერიც,
ქართველი ერი სხვის ჩანგზე მღერის...
მაშინ რაღაა წუთისოფელი,
თუკი წაგვიხდა ქართული გენი,
თუ გადაიქცნენ ციცინოებად
ავთანდილ, ფრიდონ, ტარიელ, ლერი“...

გადაგვარება იქამდე დავიდა, რომ „ქალი არ ვარგა არც ერთი ქალად და ვაჟი აღარ ვარგა ვაჟად. ეკრანზე იმდენი კოცნა და სექსია, ველარ გვიშველის მორალზე ლექცია. ქალი ვაჟკაცობს და ვაჟი კი ცელქია, უკვე ამერია ვინ რა სქესია“. გივი სიხარულიძე მინდიასავით განიცდის ხის მოჭრას, ტყეების გაჩეხვას და მის გასხვისებას თურქეთში: „უღვთოდ მოჭრილი ხე. გაყიდეთ საქართველო თურქეთში, ჰე, აბა, ჰე!“ ასეთ კოშმარულ ვითარებაში პოეტს უჩნდება კითხვა: „რად მოვედი, ანდა ვისთვის, და საერთოდ რისთვის, რისთვის“.

ამასთანავე, გივი სიხარულიძემ კარგად იცის, რომ ამ წუთისოფელში მოვიდა სიყვარულისთვის, ადამიანისა და სამყაროს სიყვარუ-

ლისთვის, სწადია, ამ სიყვარულში დაიფერფლოს კიდეც. მას არ უნდა ქართველის უბედურებით ბედნიერი იყოს მტერი: „მზის სხივი — სანთელი, ყველაფერი ნათელი, ბედნიერი მტერი და უბედური ქართველი“. მის პოეზიაში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სტროფით გამოიხედავს აფხაზეთის ტრაგედია:

„აფხაზეთის ომი მცდარია თუ სწორი,
იქ მრავალი დაიღუპა ბოკვერი და ლომი,
არ გამხდარა დუნიაზე კაცი მათი ტოლი,
აკი ცოდვით სულ დადუმდა საკრავი და დოლი“.

ზემოთ, ჩართული სიტყვა „სამწუხაროდ“ იმიტომ დამცდა, რომ, ჩვენდა სავალალოდ, ქართულმა მწერლობამ მიივიწყა აფხაზეთის ტრაგედია, მისი წარსული, აწმყოც და მომავალი. არა მარტო მწერლობამ, საერთოდ, ქართულმა ხელოვნებამ.

გივი სიხარულიძის ლექსებში თავჩენილია ყოფითი თემები, თბილისის სილაზათე, წარმავლობის, სიკვდილ-სიცოცხლის მწარე განცდა, ქალთა მშვენიერების განცდა და სიყვარული, სამოქალაქო მოტივები, მის ლექსებში, ისევე როგორც ნოველებში, მკითხველი იხიბლება სათქმელის გულწრფელობით, უშუალობით, ყოველგვარი მხატვრული კეკლუცობის გარეშე, ანუ იგი არ ტვირთავს სტრიქონებს მოჭარბებული მხატვრული სამკაულებით, წარმოსახვითი ზიზილ-პიპილებით, მისთვის მთავარია სათქმელის არსის, იდეის, აზრის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა, რაც უფრო შთამბეჭდავს და შთამაგონებელს ხდის მის ლიტერატურულ პროდუქციას. ბევრი ლექსი აქვს გივი სიხარულიძეს მისთვის გამორჩეული და საყვარელი ადამიანებისადმი (ზვიად ცეცხლაძე, ზაალ კახიანი, გელოდი კობალაძე, ანა კალანდაძე, ნინო რამიშვილი, გელა მუხაშავრია, ლადო კვარაცხელია, თემურ შაელაძე, ნიკო ჯადუგიშვილი, ალეკო ოღლიშვილი, ანა ხვინთელიანი, ჯუტა წერეთელი, ეთერ კაკულია, ჟიული შარტავა, გურამ საღარაძე, ნანა ხუნდაძე, მარიამ ქვათაძე, ირაკლი ნასაძე, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დუღაშვილი, რეზო შუღლიაშვილი, ანტონ ინგოროყვა, დათა ჩახვაშვილი, რეზო სალუქვაძე,

ბუბა კიკაბიძე, ლეილა აბაშიძე, ოთარ ბრეგვაძე, ჯუმბერ ბერაძე) მიძღვნილი ლექსები, რომელთა რაოდენობა 27-ს აღწევს. რამდენი სითბო, სიტკბო, ალერსი, სიყვარული იღვრება ამ ლექსებში. ეს არის, მწერლის ერთ-ერთი ნოველიდან („ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან ერთხელ ვერაზე“) ამოღებული სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „კაცობის, ქალაქელობის, თბილისური ჯიგრის მატარებელი, სიკეთისათვის დაბადებული კაცის“ პატივის მიგება ზემოთ დასახელებული ქართველებისადმი. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ: „სიყვარული ხომ გიჟმაჟია, შეშლილთა ხვედრია“ . ერთ-ერთ ნოველაში („სრულქმნილო მარადისობავ“) შემოქმედი არც ამას მალავს: „სიძულვილის ქვეყანაში სიყვარულზე წერას ვინ მაპატიებს ან ვინ შემარჩენს?“ საუბარია სამყაროსა და ადამიანებისადმი სიყვარულზე.

გივი სიხარულიძეს ვაჟკაცურად შეუძლია გაიმეოროს XI საუკუნეში ავიცენას ნათქვამი:

„ვირებში თუ ხარ, შენც უნდა ტლინკები ჰყარო,
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიაო მთელი სამყარო.
ვირებში თუმცა მუდამ ვირად მომქონდა თავი,
მაინც გამიგეს, არაბული ტაიჭი ხარო“.

ზემოთ ნახსენებ ნოველაში მტკივნეულ კითხვას სვამს მწერალი: „რანი ვართ ეს ქართველები, როგორ გვეჯავრება ჩვენზე ნიჭიერი, გონიერი და კეთილმოსავი კაცი, როგორ შეგვიძლია ხოტბა შევასხათ და ცაში ავიყვანოთ უნიჭობა, მით უფრო მაშინ, თუ მისგან რამეს გამოველით. რისი სინდისის ქენჯნა, ანდა რა სინდისზეა ლაპარაკი. ვცხოვრობთ მგლებივით — თუ ვინმე დასაგლეჯია — დავგლეჯთ, მოსაკლავია? — მოვკლავთ, შესაჭმელია? — შევახრამუნებთ“.

გივი სიხარულიძის ლექსებსა და ნოველებში თვალნათლივ გამოსჭვივის მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, სიყვარულის, როგორც სამყაროს გადამრჩენის, უძლეველობა. აკი ზემოთ ვახსენეთ, „რჩეულში“ 170-მდე ნოველაა შესული, ამთავითვე ვიტყვით: ამ ნოველებს კვებავს ქალაქური და სოფლური ყოფა. ამასთანავე, ვერ შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურაში თემას,

რომელიც მათში მეტნაკლები დოზით არ იყოს განსხეულებული. თუმცა უმთავრესად მაინც, ვახტანგ ღლონტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მან იცის ქალაქი და ქალაქმაც იცის იგი. იგია ამ ქალაქის ყოფის მთავარი პერსონაჟიც და მემატიანეც“. თითქოს ფრანგი ალფრედ მიუსეს შეგონებით გაისარჯა მწერალი: „რომ დაწერო შენი ცხოვრების ისტორია, ჯერ უნდა განელო ის ცხოვრება“.

ნათქვამია: ადამიანი მიყვება დროს და არა დრო — ადამიანს. გივი სიხარულიძეც მიჰყვება დროს და ქმნის ერთმანეთზე უკეთეს თხზულებებს. უპირველესად ხელში აიღონ მისი „რჩეული“ იმათ, ვინც თავზარდამცემად გვიჩიჩინებენ: კომპიუტერი და ინტერნეტი შეცვლისო წიგნებს, ამიტომ სოფლად და ქალაქად ბიბლიოთეკები უნდა დაიხუროსო. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნებს, ამაში გივი სიხარულიძის „რჩეულიც“ დაგიჭერ მხარს.

„რჩეულში“ მრავალი საინტერესო ნოველაა, რომელთა ანალიზი შორს წაგვიყვანს. დავასახელებთ რამდენიმეს: „ის+მე“, „გარდაცვლილი ხე“, „სევდიანი სკამი“, „აწყვეტილი სიცოცხლე“, „ცირუნია“, „სიცოცხლის ანარეკლი“, „ჩემი ოცნების ხე“, „დაობლებული სინაგოგა“, „მწერალი“ „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“, „სვეტიცხოველი“, „სიცოცხლის მოწმობა“, „აკადემ-აკადემიკოსი“, „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“, „ყვავებულბულიანი“ და ა.შ.

თემურ შავლაძის ენით რომ ვთქვათ, გივი სიხარულიძის ნოველებში ძირითადად ქალაქისა და მის მკვიდრთა ფსიქოლოგიური სახეხასიათებია წარმოჩენილი... ეს ნოველები კონკრეტულად ადამიანისა და, ზოგადად, ადამიანობის სიყვარულს შთააგონებენ მკითხველს — თანალმობის, თანადგომის, თავდადებისა და უანგარობის, იმედგაცრუების შემთხვევაშიც კი.

აქვე მინდა „რჩეულიდან“ გამოვიხმო გივი სიხარულიძის ანდაზური გამონათქვამი, მრავალთაგან მხოლოდ თითო-ოროლა: „მე ლამაზი ზღაპარი მირჩევნია მწარე სიმართლეს“, „როგორც ყველაფერში არის არაფერი, ისე არაფერში არის ყველაფერი“, „მხოლოდ მოგონებით ცხოვრება სიკვდილის ტოლფასია“; „ჩვენი ცხოვრება ჰგავს შეწყვეტილ კინოსერიალს“ და ა.შ.

„ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი“

წიგნი გადმომცეს, დავხედე — ავტორი რაფიელ გელანტია! ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი წიგნით გამომეცხადა. უმალ თვალწინ დამიდგა მისი სტუდენტობის წლები, მის მიერ სახელოვნად განვლილი გზა, მისივე და-ძმაც გამომეცხადა თითქოს — უნიჭიერესი და განათლებული მზეევინარ და მურმან გელანტიები. თვალმა დამარცვლით აკრიფა წიგნის სახელდების პირველივე სიტყვა — „ნ-ან-ა“. იმთავითვე გამახსენდა დედის აფხაზური სახელი „ან“ და ქართული „ნან“ (ნანა). ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ ქართველები და აფხაზები ერთი დედის (საქართველოს) ორი ძუძუა. დიდი აკაკისა არ იყოს: „ცალი ძუძუ რომ ჩამოჭრან და სიკვდილმა მოკლას ერთი, ცალ ძუძუს და მეორე ძმას რაღა შვებას მისცემს ღმერთი“. ამგვარ ყოფაში ვართ დღეს ქართველებიც და აფხაზებიც. ეს მოუშუშებელი ჭრილობა აწუხებს ამ წიგნში რაფიელ გელანტიას.

საესებით ვეთანხმებით ბადრი ცირამუას წინათქმაში გახმოვანებულ სიტყვებს: „რაფიელ გელანტიას პიროვნული თვისებების, მისი შეხედულებების და სულის ალიკვალია ეს წიგნი — მიტევების, შერიგების, დანდობის მოსურნე... იგი აფხაზეთის გადარჩენაზე ლოცულობს“. მართლაც, „ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი“ მოგვითხრობს ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულ ერთობაზე, ერთსისხლხორცობაზე, ერთნაირი ცხოვრების წესზე და ტრადიციებზე, რაც მთავარია, მისი განახლების იმედზე. ეს მშვენიერი წიგნი შეიცავს მოთხრობებს, ნოველებს, ჩანახატებს, ეტიუდებს, პუბლიცისტურ წერილებს. ავტორს ერთი წუთითაც არ ღალატობს ზომიერების გრძნობა, სიტყვის მომჭირნეობის ხარჯზე ტევადი აზრის გადმოცემის უნარი.

თითოეული სტრიქონი სამშობლოსაკენ მომავალი წეროების მწკრივს ჰგავს, სადაც თითოეული წერო (სიტყვა) ცდილობს არ ჩამორჩეს ერთმანეთს, გრძნობდეს ერთმანეთს. გალაკტიონი შემეხმიანა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე — რაა მამული“. სწორედ ამ შეგრძნებით და მოწიწებით უნდა გაიაროო წიგნის სტრი-

ქონებში. ისე მოკრძალებით უნდა შეხვიდე მის სამყაროში, როგორც მეუღნახე თავის ვაზნარში.

რ. გელანტიას წიგნში ვეცნობით ომამდელ, კონფლიქტისდროინდელ და შემდგომი პერიოდის აფხაზეთს. აქვეა სამეგრელო, იმერეთიც, თბილისიც... ავტორი მკითხველს მოაგონებს მწარე ისტორიას, რომ პირველად 1993 წელს არ მომხდარა მტრის ხელით ქართველებისგან აფხაზეთის გაწმენდა. მოთხრობაში „ცხენისწყლის ლოქო“ რ. გელანტია მოგვასმენინებს იმერეთის ერთ-ერთი სოფლის (ილორი) მკვიდრის, 100 წლის მოხუცის მონაყოლს: „სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მოულოდნელი გარდაცვალებით გათამამებულ აფხაზ დიდგვაროვნებს, მთიელთა დახმარებით, რომელთაც აქეზებდა ოსმანთა იმპერია, აუწიოკებიათ მთელი სამეგრელო და ცხენისწყალზე გამოსულან. მაშინ ქართველებისგან პირველად გაუწმენდიათ აფხაზეთი“.

1992 წლის 14 აგვისტოს ავადსახსენებელი პროვოკაციული ომის დაწყებამდე აფხაზეთში თითოეული ჩვენთაგანი გრძნობდა, თუ ამ დალოცვილი კუთხის ფირუზ ცაზე რა ავისმომასწავებელი ღრუბლები გროვდებოდა. ამას არა მარტო ქართველები, არამედ თავად აფხაზებიც გრძნობდნენ. რ. გელანტიას ეს მომენტი არ გამორჩენია გონების მხედველობიდან. ორი ნოველის გაცნობაც კმარა: „ხვალ იყო ომი“, „სიმაღლე“. ყური დავუგდოთ სოფ. კვიტოულში უხუცესი აფხაზის ნათქვამს: „გასაყოფი რა გვაქვს თბილისთან, კახეთთან, იმერეთთან, აჭარასთან. სხვებთან, რომელთაც ჩვენსავით არაფერში სჭირდებათ ომი, შვილების სისხლი... ნამეტნავად აირია ქვეყანა იქაც და აქაც. განრისხებულა შაშვი, უჩვეულოდ წითელია დაკლული საქონლის ბეჭები, არნახულად შეშფოთებული არიან მერცხლები, დაბოღმილან მტრედები“ („ხვალ იყო ომი“). რ. გელანტია მეხსიერებაში აღადგენს დიდი პიროვნების დამიანე გოგოხიას ნაწინასწარმეტყველევს: „მე კარგად ვიცნობ აფხაზეთს. მით უფრო ქართველობას, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს. სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული ჩვენი სუსტი მხარეების იმგვარი საბედისწერო გადანასკვი, რომ ნაცარტუტად იქცეს აფხაზეთი. ეს საოცარი

სანახები საომარ ასპარეზად გადაიქცეს“ („სიმაღლე“).

ბატონი დამიანეს გარდაცვალებიდან (1991 წ. 20 მარტი) გავიდა სულ რაღაც ხანი, აფხაზეთი საომარ ასპარეზად და ნაცარტუტად იქცა. რ. გელანტია არაერთ მოთხრობასა თუ ნოველაში წარმოაჩენს ამ ღვთაებრივი მხარის სისხლიან ტრაგედიას. გულისა და სულის შემძვრელია „სვირინგიანი ქალი“. მასში აღწერილია 1993 წლის ოქტომბერში სოფ. ახალდაბაში დატრიალებული ტრაგედია. ავაზაკების მიერ სკოლის შენობაში 300-მდე მასწავლებლის, ქალის, კაცის, მოსწავლეების შეყრა, მათი წამება და გაუპატიურება, ფსიქიკურად დამახინჯება. მესამეკლასელიდან მოყოლებული ყველა ტყვე გოგონასთვის ნამუსის ახდა. ავტორი კონკრეტულად გვაცნობს ეკას გაუბედურებას. მის ბავშვურ პრიალა მუცელზე ველური მოძალადის დაჟინებული მოთხოვნით, როგორც პირველი ნამუსამხდელისა, მელნით შელებილი ძაფით და ნემსით ამ არამზადის სახელისა და გვარის ამოსვირინგება, რაც ტრადიციად ქცეულა და ასე გაჩენილა ეკას მუცელზე 42 სვირინგიანი ნაკვალევი ბოქვენიდან მკერდამდე.

„ტყვის ტყვეების“ კითხვისას ცრემლები მიგაცილებენ. 1993 წლის 9 მარტს ქართველ მზვერავთა ჯგუფმა (თემურ და ზაურ კვარაცხელიები, გურამ და გენო ბიგვავები, ზურაბ კვეკვესკირი) გუმისთაზე ფრონტის ხაზი გადალახა. მათ შეიპყრეს ასაკოვანი მოენე აფხაზი და გამოქვაბულში შეიყვანეს. ტყვე დაურ კვარაცხელია აღმოჩნდა. იგი თურმე თემურ კვარაცხელიას მამას იცნობდა, გურამ ბიგვავასთანაც ახლობლობა აღიარა და აი, რა თქვა ბოლოს: „მე არ ვიცოცხლებ მოღალატის სახელით, მე კვარაცხელია ვარ, თუმცა აფხაზი, მაგრამ მაინც კვარაცხელია, კოლხი ქართველი. აფხაზეთის ყველა კუნჭულში სისხლით ნათესავთა გარემოცვაში ვხვდები“. ამით ავტორმა დაურ კვარაცხელიას ათქმევინა ყველა გააფხაზებული, მაგრამ შეგნებული ქართველის სათქმელი.

„ვარდანიების დედაში“ მოთხრობილია აფხაზზე გათხოვილი სვანი ქალის ტრაგიკულ ხვედრზე, რაც მას ამ საშინელმა ომმა მოუტანა. მოესწრო ოთხივე შვილის და ქმრის სიკვდილს. მიუხედავად ამისა, სულით არ გატეხილა და უფალს ევედრებოდა სხვათა შვილების

ბედნიერებას. შემდეგ კი წმინდა საფლავებს ზედვე დააკვდა. მოთხრობას ასე ასრულებს ავტორი: „ვარდანიების ეზო-კარში გახუნებულან სუდარები და სურათები, ბალახი მოსდებია იქაურობას, ველური ლელვები ამოსულან კიბეებსა და სახურავებზე.“ ეს ამაზრზენი სურათი თვალწინ დაგიყენებს აფხაზეთის ტერიტორიაზე უპატრონოდ დარჩენილ ეზო-კარს (უკვე ნაეზოვარ-ნასახლარებს).

იმდენად რეალისტურ ფერებშია გახვეული, რომ შეუძლებელია არ დაიჯერო აფხაზი შამილის ვაჟკაცობის ამბავი მოთხრობის „ცერა თითის“ მიხედვით. 1993 წლის 2 ივლისს აფხაზური ქართულენოვანი სამკაციანი ჯგუფი სოფ. შრომის მაღალმთიან დასახლებაში შეიპარება. მოულოდნელმა აფეთქებამ 12 წლის ბიჭს ცერა თითი წაგლიჯა. სისხლით მოთხუპნული ბავშვი ჯგუფის მეთაურმა შამილმა გუდაუთის საავადმყოფოში წაიყვანა, თანაც იქ მომუშავე და გააფრთხილა, რომ ბიჭის ქართველობა არ გაემხილა. ოპერაციის პროცესში ტკივილის გამო ბავშვმა „ვაი დედაო“, დაიგმინა. შამილის დამ იმარჯვა. აფხაზი ექიმების და ექთანთა გასაგონად თქვა: „ბავშვს ქართველების ტყვეობაში ჰგონია თავი და გამოსავალს ეძებსო, აფხაზურად უხსნიდა, რომ თავისიანებში იყო და არ შეშინებოდა. კობა განიკურნა.

ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით, ოღონდ ამჯერად ქართველი მეომრის მხრიდან გამოჩენილ კაცობას აფხაზი ბავშვის გადარჩენაში. ეს არის მოთხრობა „ან, ნან, აბ...აა!“ საანალიზო წიგნის ეს რიგით მეორე მოთხრობა რომ წავიკითხე, ვიგრძენი, რაფიელ გელანტიას სახით სერიოზულ მწერალთან მქონდა საქმე და დანარჩენ ნაწარმოებებსაც ამის გამო მომეტებული გულისყურით მოვეკიდე. დავრწმუნდი: ნიჭიერი მათემატიკოსობა და მწერლობა იღბლიანად შერწყმოდა ერთმანეთს. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ. იმ ასაკშიც არ გახლავართ, რომ ვინმეს, მითუმეტეს, ჩვენს უსაყვარლეს მეგობარ რაფიელს, შეუფერებელი მოფერებით გული მოვუფხანო. აღნიშნული მოთხრობა ვრცელი წერილის ღირსია, რისი საშუალებაც ამჯერად არ გაგვაჩნია. იგი ერთი დიდი ტრაგიკული რომანის დამტევი

თემაა. აქ მხოლოდ დავაფიქსირებ თბილისში გამართულ სასამართლო პროცესზე აფხაზი ქალის საიდას გულწრფელ აღიარებას. მე, როგორც მრავალი აფხაზი ქალი, მაიძულეს მზვერავი, დივერსანტი, სნაიპერი გავმხდარიყავი. ქართული და რუსული ენების მცოდნე ახალგაზრდა ქალებს წვრთნიდნენ, ამზადებდნენ დივერსანტებად და სნაიპერებად, მზვერავებად. მათ ანაწილებდნენ ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვაჭრად, მეძავად, სამედიცინო დარგის მუშაკად. ზოგი კი ჰუმანიტარული დახმარების განაწილებაში ხვდებოდა.

რ. გელანტიას წიგნის ფურცლებზე სისხლის ლაქად არის გავლებული 1992-1993 წლების ტრაგიკულ ამბებთან ერთად 1994 და 1998 წლებში გალში დატრიალებული უბედურებანი, როდესაც ამოხოცეს იქაური მკვიდრნი. გადაწვეს მთელი რიგი სოფლები ველურებმა. შემდგომ წლებში იმავე გალს განათლების საქმის მეთაურად „მოვლენია" აფხაზ მეომარ ქალთა მეთაური აზა, თბილისში განათლება მიღებული, ფილოლოგი, ილია ჭავჭავაძეზე სადიპლომო ნაშრომის შემსრულებელი. შემაშფოთებლად არის წარმოსახული მისი პიროვნება მოთხრობაში „ილია სამურზაყანოში". ეს გადაგვარებული აზა გალის სკოლაში შესწრებია ქართული ლიტერატურის გაკვეთილს. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნიდა „ოთარაანთ ქვრივს". ესაუბრებოდა მათ დიდი ილიას სტუმრობაზე სოხუმში, დიდი მწერლის ზრუნვაზე სამურზაყანოსა და გუდაუთაში ქართული და აფხაზური სკოლების გასახსნელად. ამ დროს აზამ ტყვია დაახალა ილიას პორტრეტს, მასწავლებელს ავადმყოფი უწოდა, თანაც გამაფრთხილებლად გამოსცრა კბილებიდან: „ილიას ხსენება არ იყოს აქ. აკრძალულია აფხაზეთში ქართული, გაიგეთ ეს. ისწავლეთ რუსულად, აფხაზურად, ცოტა რამ ქართულადაც, თუ ასე არ ეშვებით ამ საზიზღრობას".

საინტერესოდ მოგვითხრობს რ. გელანტია საქართველოს გარეთ მყოფ ქართველთა და აფხაზთა მეგობრულ დამოკიდებულებაზე ერთმანეთთან. ამ მხრივ დიდ სიამოვნებას გვიტოვებს ნოველა „ერთი საღამო სანკტ-პეტერბურგში". ასევე ყურადღებას იქცევს ნაწარმოები

„აფხაზი ნოსტრადამუსი“. ავტორი და მისი აფხაზი მეგობარი შემთხვევით ზუგდიდში ხვდებიან ერთმანეთს. აფხაზი ეტყვის ძველ მეგობარს: „მთიელმა და რუსმა ბომჟებმა გაზიდეს ყველაფერი, აფხაზ კაცს ასე ცუდად არასდროს უცხოვრია. დავიღალეთ, ცხოვრება გვინდა. არც თქვენ ხართ მაინც და მაინც კარგ დღეში“.

თხემით ტერფამდის დაგიელის ტკივილი „სამურზაყანოს ორაგულების“ კითხვისას, თითოეული ქართველი ორაგულივით აფხაზეთში დასაბრუნებელ გზას ეძებს. ავტორის თქმით: „ორაგულებს ჰგვანან აფხაზეთის ქართველები, რომლებიც ცოცხლები თუ გარდაცვლილები საბოლოოდ უსათუოდ ბრუნდებიან აფხაზეთში“. „ნილოსის ნიანგებში“ რ. გელანტია ძველი ეგვიპტის ამბების მოთხრობით ჩვენივე სინამდვილეში გვაბრუნებს: „ქვეყანაში წესად იქცა სიცრუე, ტყუილი, თაღლითობა, თვალთმაქცობა, აღვირახსნილობა, მოჩვენებითობა ყველგან და ყველაფერში და ეს კეთდება თითქოსდა ხალხის ნებით და ხალხის სახელით“. ეს ყველაფერი აფხაზეთის გადავიწყებისაკენ არის მიმართული.

ნოველა „ციბაში“ ლაზიკის ძველი ამბების გადმოცემისას თანამედროვეთა გასაფრთხილებლად ამბობს ავტორი: „ლაზიკაში საბოლოოდ ირწმუნეს, რომ პატარა ქვეყანას გადარჩენის ერთადერთი გონიერი არჩევანი აქვს — მხოლოდ საკუთარი ხალხის და ქვეყნის ინტერესების პირველობა ყველა სხვა ინტერესთა გათვალისწინებით, მაგრამ ნდობა არავისი და არასოდეს“. ეტიუდში „ქურთი თემური“ ერაყის ომის მონაწილე, აწკი თბილისის ქუჩის დამლაგებლად ქცეული ქურთის ენით შთაგვაგონებს რ. გელანტია: „აფხაზეთს ლანგრით არავინ მოგართმევთ, გამოდით ძილქუშიდან, თავი და ხელები გაანძრიეთ“.

რ. გელანტიას როგორ არ დაეჯერება: „აფხაზეთი ძმათა საერთო სახლია, დიდი დედის უწმინდესი სახლი... დასრულდეს გერების ძებნა, ძმობისთვის უკადრებელი დასმენები, უცხო თესლისა და ჯილაგის ხმობა“.

დიახ, რაფიელ ბატონო! ეს სისაძაგლე როცა დასრულდება, ჩვენ კვლავ შევესწრებით ლიხნაშთობას და წიფურიობას აფხაზეთში.

ჯინჯიხი ამოცანების ამომხსნელი

როდესაც ჯემალ ჯინჯიხაძის ნაშრომ-ნაჯაფარს თვალს გადაავლებ, მყისვე მეხსიერების ეკრანიდან ამოტივტივდება შუა საუკუნეების ერთი ქართული გამონათქვამი: „ფრიად მაშვრალი მუშაკი“. მართლაც, ეს ჩინებული პიროვნება მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ფრიად დაშვრა. მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა. თორემ მთელი სიმწარე საწუთროისა გამოსცადა. თუმცა სულით არასდროს დაცემულა, საკუთარ თავზე და ნებისყოფაზე გაბატონებულმა დაძლია სიავენი სოფლისანი. ლაო ძის უთქვამს: „ვინც თავისი თავის მძლეველია, მძელთამძლეა“. ჯემალ ჯინჯიხაძე სწორედ მძლეთამძლე პიროვნებად მესახება. მას ცხოვრების გზაზე საიმედო ბლიქვის წამკვრელი არასდროს ჰყოლია. სახელოვანი მამის კვალზე შემდგარს ქედი წუთითაც არ მოუხრია. ასე იყო დღემდე, ასეა დღესაც და ასე გაგრძელდება მომავალშიც. 70 წელს გადაცილებულს ოდნავადაც არ ეტყობა დაღლა, პესიმისტური განწყობა თუ ეგზისტენციალური განცდანი. მუშაობს გონებრივად ძალისხმევის კიდევ უფრო მეტი მობილიზებით და წიგნს წიგნზე სცემს.

როგორც ზარატუსტრა იტყოდა: „ცხოვრება, ქვეყნიერება კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ველია“. ეს ჭეშმარიტება სიყმაწვილიდანვე აქვს გათავისებული ჯემალ ჯინჯიხაძეს. ამ ბრძოლის ველზე არ დაეცემა ის, ვისაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი თავის შეცნობის პრობლემა. ქრისტიანული სოკრატიზმი: „შეიცან თავი შენი“, — ამოძრავებს დღემდე ჯემალ ჯინჯიხაძის სულს და მთელი მისი შემოქმედებითი ენერგია ამით არის დაღდასმული. თითქოს მოსალოდნელი იყო აფხაზეთის დაცემის და საკუთარ სამშობლოში დევნილობის მწარე განცდის ჟამს მისი ფიზიკური თუ სულიერი დაუძლურება, მაგრამ არა! პირიქით, უფრო ძლიერი აღმოჩნდა იგი: „რაჟამს უძლურ ვიყო, მაშინ ძლიერ ვარ“ (II კორ. 12, 10). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ცხოვრების გზაზე ზოგჯერ არ

დაცემულიყოს. ჩვენ გვჯერა მისივე ნათქვამისა: „პირველად მაშინ დავეცი, როცა წიგნები დამიწვეს... მეორედ მაშინ დავეცი, როცა ასაკი დამიწუნეს... გადასცილდიო სამოცდახუთს... მე კი მეგონა, სწორედ ამ ასაკში ვიქნებოდი უფრო საჭირო... გამოცდილებით დახუნძლული“... ჩვენ თანავუგრძნობთ პოეტის მიერ გულში გამეორებულ სტრიქონებს:

„გულს ვერ ვიოკებ, ბოროტების ქვაზე მინახალს,
ვაქსოვ იმედის სიანკარეს აზრთა ბინულებს.
მაგრამ სიღრმეში ძველ დარდებსაც გული ინახავს,
როგორც ხევებში ჩანათოვარს სძინავს ყინულებს“.

ამას არ ჩაუგდია ჯემალ ჯინჯიხაძე სასოწარკვეთილებაში, პირიქით, გაუათკეცა კიდეც შემოქმედებითი ენერგია. მარაზმი მისთვის მიუღებელია. მან კარგად იცის, რომ „შრომა – ეს არის სასარგებლო კლაპანი, რომელიც გეჭირდება უფრო დამღუპველი ბოროტების საწინააღმდეგოდ“ – (ჰარნაკი). სწორედ თავდაუზოგავი შრომით მიაღწია ჯემალ ჯინჯიხაძემ დიდ წარმატებებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. პრაქტიკოსი მასწავლებლიდან იგი მოგვევლინა შესანიშნავ მათემატიკოსად, ჩინებულ ენათმეცნიერად, მეთოდისტად და ა.შ. გამოცემული აქვს 40-მდე წიგნი მათემატიკის, ფილოლოგიის, მათემატიკის ისტორიის, მათემატიკის სწავლების მეთოდიკის თუ პედაგოგიკის დარგში. მათ შორისაა სახელმძღვანელო წიგნები, მონოგრაფიები, ლირიკული კრებულები და სხვ. ავტორია აურაცხელი წერილისა, სტატიისა, რეცენზიისა.

ჯ. ჯინჯიხაძე თავის სახელოვან 70 წლის იუბილეს გასულ წელს ხელდამშვენებული შეხვდა. გამოსცა ორი სოლიდური წიგნი („ღამეული სილუეტები“ და „ლირიკა“), რომლის გვერდების საერთო რაოდენობა 1000-ს აღწევს. „ღამეული სილუეტები“ ავტობიოგრაფიული წიგნია, მეტად თავისებურად, ჯინჯიხაურ სტილში დაწერილი. იგი შემცველია ცალკეული მოთხრობების, ნოველების, ეტიუდების, ჩანახატებისა. ვინც მომავალში დაწერს წიგნს აფხაზეთის განათლების ისტორიაზე XX საუკუნის II

ნახევარში, ეს წიგნი უტყუარ დოკუმენტურ მასალად და წყაროდ გამოადგება. იგივე ითქმის 1992-1993 წლების პროვოკაციული ომის მართალ ისტორიაზე. საინტერესოდ წარმოაჩენს ავტორი აფხაზეთის ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სახეებს: ნიკანდრო ბასილაია, აკაკი ქარჩავა, თამარ ქარჩავა, ოთარ მიქაძე, ჯუმბერ კვინიკაძე, ნიკოლოზ კუპრავა, ნოდარ თოდუა, ოთარ მიქიაშვილი, თენგიზ ფერცულიანი, გოდერძი დიხამინჯია, ეთერ ჩაჩიბაია, ქსენია კვიციანი, როინ ტაგანაშვილი, პოლიევქტი მანია, ოთარ ვახანია დას ხვ.

ქართული პოეზიის უძირო ზღვას მჩქეფარე ნაკადად შეუერთდა ჯემალ ჯინჯიხაძის „ლირიკა“, რომელიც 650-გვერდიან ერთტომეულს წარმოადგენს პოეტის ლექსებისა. „ლირიკის“ ავტორს, როგორც პოეტს, სოხუმში ცხოვრების პერიოდში არავის იცნობდა. მის ლექსებს თუ პოეტურ წიგნებს მკითხველი მხოლოდ დევნილობის ჟამს გაეცნო. „ლირიკაში“ შესული რამდენიმე ლექსი დათარიღებულია 1957, 1958, 1973, 1985 წლებით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯემალ ჯინჯიხაძე სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ასაკშიც წერდა ლექსებს, მაგრამ კარადაში „ამწყვდევდა“ და სამზეოზე არ გამოჰქონდა. არადა, ეს ნაწარმოებებიც არანაკლებ გვაწონებენ თავს.

ჯემალ ჯინჯიხაძემ ჰარმონიულად შეათანხმა ერთმანეთთან ბრწყინვალე მათემატიკოსის და ჩინებული პოეტის სახელი. მახსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში დიდი ილია ვეკუა წერდა: ჭეშმარიტი მათემატიკოსი ამავე დროს პოეტიც არისო. ასე ჰქონდა ნაპოვნი დიდ მეცნიერს რაღაც საერთო მათემატიკოსი პოეტის ნიჭიერებაში. კ. გამსახურდია იტყოდა: „მათემატიკა ნამდვილი, დიდი რანგის პოეზიაა“. საინტერესოდ ჟღერს ვაიერშტრასის სიტყვები: „არ შეიძლება იყო მათემატიკოსი, თუ არა ხარ სულში პოეტი“. კრონეკერსაც მოვუსმინოთ: „მათემატიკოსი ვერ იქნება ის, ვინც პოეტი არ არის“. თუ ვინმემ შეასხა ხორცი ბრძენი ადამიანების დამოწმებულ კონცეფციებს, ერთ-ერთი გამორჩეულთაგანი ჯემალ ჯინჯიხაძეა.

საგულისხმოა იმის შეხსენებაც, რომ მან საკანდიდატო დისერტაცია სწორედ ენათმეცნიერების დარგში დაიცვა (1987), რასაც მოჰყვა მათემატიკის სწავლების მეთოდიკის დარგში დაცული სადოქტორო დისერტაცია (1994). ეს იყო დევნილი მეცნიერისა და პედაგოგის მიერ დაცული პირველი დისერტაცია.

„ლირიკა“ უდაოდ იმსახურებს სოლიდურ მონოგრაფიას. აქ შესული ლექსების უმეტესობა ისევე სათუთია, როგორც ტაძარში მოციმციმე სანთლები — თვითონ იწვიან, სხვა რომ გაანათონ. არ მინდა გადაგღალოთ ბრძენთა გამონათქვამი ციტატებით, მაგრამ ედმუნდ ბერკს ვერ ავუვლი გვერდს: „როცა გრძნობები ეწინააღმდეგება თეორიებს, გრძნობები მართალია და თეორიები ტყუის“. არ ვიცი რომელი თეორიები ტყუიან, მაგრამ „ლირიკის“ მკითხველმა ერთი რამ ვირწმუნე და გავითავისე: ჯემალ ჯინჯიხაძის ლექსები მართალი გრძნობებითაა დაწერილი. გამოირჩევიან საოცარი უშუალობითა და გულწრფელობით. მასში ლირიზმის და მართალი სიტყვის ზეიმია. დავესესხები სულმნათ ოთარ მიქიაშვილს: „ეს ლექსები თვითნაბადი ლექსებია, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი, უფრო მეტიც, ზოგ ამოსუნთქვას, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთად რამდენიმე ლექსიც კი ამოჰყოლია“. ამან მომაგონა ანეგდოტს მიახლოებული ერთი ფაქტი. პროფ. ოთარ ჭურღულიას უკითხავს ჯემალ ჯინჯიხაძისთვის: მოკლე დროში როგორ მოასწარი ამდენი ლექსის შექმნაო. ბატონ ჯემალს უპასუხნია: „იმ ხანებში რუსთავიდან დავდიოდი, საკმაო მანძილი იყო გასავლელი, სხვა რა საქმე მრჯიდა, თბილისში ჩამოსვლამდე 6 თუ 7 ლექსი უკვე დაწერილი მქონდაო. კიდევ კარგი, ჩემო ჯემალ, ხაშურიდან არ დადიოდი თბილისშიო, — მომხიბვლელი ღიმილით გადაუხარხარია ცნობილ პროფესორს.

„ლირიკის“ ავტორი კვალდაკვალ მისდევს მამუკა ბარათაშვილის შეგონებას; „ლექსი უნდა იყოს გემრიელი და წყობილი“... „ლექსი მძიმე და გრძელი სიტყვა უგემური იქნება“. ეს ერთტომეული მეტნაკლებად ყველა თემის მომცველია, რასაც პოეზია იცნობს. მასში დიდი ტკივილია აფხაზეთში უმოწყალოდ დაღვრილი ქართველისა და აფხაზის

სისხლისა, ამ თვალმარგალიტი კუთხის გასხვისებისა. ეს არის დრამატიზმით დამუხტული პოეზია, გამორჩეული ექსპრესიულობით და ემოციური სტილით. დანტეს ჯოჯოხეთის კარიბჭის წარწერის („თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დატოვეთ ყველა“) პერიფრაზისა არ იყოს: „ლირიკის“ კარიბჭესთან მოსულნო, აღიჭურვეთ იმედებით ჭეშმარიტ პოეზიასთან შეხვედრისა.

ჯემალ ჯინჯიხაძის ერთი მშვენიერი ლექსით დავასრულებ:

„მნაყავს ცხოვრების ავი როდინი,
შემოღამების სუნთქვა გროვდება,
აღარ თავდება ხვალეს ლოდინი,
საქმე ჯინჯიხი არ ბოლოვდება.
და მე არ მიკვირს, რატომ ნელდება
სუნთქვა, ქარისთვის განატანები,
ზღაპრულ სფინქსების რომ მიძნელდება
ავხსნა ჯინჯიხი ამოცანები“.

ეს თავმდაბალი პიროვნების სიტყვებია. ვინც ჯემალ ჯინჯიხაძის შემოქმედებას და ცხოვრების ეპიზოდებს იცნობს ღრმად, ადვილად მიხვდება, რომ მან დიდი ხანია ახსნა მისი წილი მათემატიკის ჯინჯიხი (ძნელი, რთული) ამოცანები, „ზღაპრულ სფინქსების“ ჯინჯიხი ამოცანებიც ასევე პოეზიისას და წუთისოფლისას.

ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის შარავანდედში

დრო სწრაფად გადის. არ ვიცი, წლები გარბიან თუ ჩვენ მივარბენინებთ მათ. ულმობელია ჟამთასვლა. უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ. დღეთა ასეთ სრბოლას უნდა მივაწეროთ, რომ პროფ. ზურაბ პაპასქირს უკვე ბროლის მარცვლებივით მოუგროვებია 60 წელი. არადა, თითქოს გუშინ იყო: ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ვმორიგეობ ლაბორანტის რანგში. ჩემთან შემოვიდა ჩემთვის მუდამ უსაყვარლესი პიროვნება, ქართული ენის კათედრის ლაბორანტი ქ-ნი თინა ჯიქია და მეუბნება: გასახარელ ამბავს გეტყვი — ამჟამად სსრკ ისტორიის კათედრაზე იმყოფება ვიღაც სრულიად ახალგაზრდა ვაჟკაცი და პროფ. ირაკლი ახალაიას ელაპარაკებაო; ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ იგი წარმოშობით ზუგდიდელია, დაუმთავრებია მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა და თბილისიდან ჩვენთან გაუმწესებიათო სამუშაოდ. ძალზე მესიამოვნა ქალბატონ თინასთვის ჩიტის მიერ უწყებული ამბავი, ერთად გამოვედით კათედრიდან და ფეხაკრეფით ჩავუარეთ სსრკ ისტორიის კათედრას, რომლის კარი ნახევრად გაღებული იყო. ცნობისმოყვარეობამ იძალა, კათედრის წინ შევყოვნდით და გვარიანად ავათვალიერ-ჩავათვალიერეთ სტუმარი. ვერ მოვისვენე, ვიდრე არ გამოვეცნაურებოდი მას. ეს ჟამიც რამდენიმე წუთში დადგა. ასე გავიცანი ბატონი ზურაბ პაპასქირი. ეს იყო 1976 წელს. ეს გაცნობა იღბლიანი აღმოჩნდა ჩვენი ურთიერთობისთვის დღემდე.

აკი მოგახსენებდით, წლები უსწრაფესად გარბიან-მეთქი, თურმე იმ გაცნობიდან სრულიად შეუმჩნევლად 35 წელიწადს გაურბენია. დამეთანხმებით, ეს დრო სრულიად საკმარისია ადამიანის, მითუმეტეს მეცნიერის, საფუძვლიანად შესასწავლად. უფსკრულიაო ადამიანის გული, — უთქვამს ნეტარი ავგუსტინეს. პირსაბანზე შეუსრულებიათ ერთი ძველთაძველი ჩინური წარწერა: „ადამიანის გულში ჩაძირვას უფსკრულში დანთქმა სჯობს: უფსკრულს დანთქმული იქნებ კიდევ

ამოხვიდე, ადამიანის გულში ჩაძირული ხნას ვეღარ ჰპოვებ". არ არის „უფსკრული" ზურაბ პაპასკირის გული. მასში დანთქმულს ამოსვლაც არ გაგიჭირდება. „გულის" თანხლების გარეშე მის დასახასიათებლად ეპითეტებს ძნელად შეარჩევ: გულთბილი, გულკეთილი, გულწრფელი, გულახდილი, გულისხმიერი; გულითადი, გულჩვილი, გულუბრყვილოც კი. ვინც ზურაბ პაპასქირს ძალზე ახლოს იცნობს, ვერ შეძლებს ამ მსაზღვრელებიდან რომელიმე ამოაგდოს, ან ხაზი გადაუსვას.

60 წელი წუთისოფლის სტუმრებისთვის, ერთი შეხედვით, არც ისე ცოტაა, თუმცა არც ისე დიდი. ჩვენი იუბილარის შემხედვარისთვის იგი ნამეტნავად გამოიყურება. მისი ახალგაზრდული შემართება, მოქნილობა, მოხდენილობა, ელეგანტურობა ნაკლებად თუ დაგაჯერებთ, რომ თურმე იგი სამოცისა გამხდარა. ამაზე განგებ ვაკეთებ აქცენტს: 1992-1993 წლების აფხაზეთის პროვოკაციულ ომში, ხოლო სოხუმის დაცემის შემდეგ მთელი 100 დღის მანძილზე აფხაზთა ტყვეობაში ყოფნამ ვინ იცის მისი რამდენი წლის სიცოცხლე შეიწირა. რაინდულად გაუძლო ძნელბედობას, ფიზიკურად არ გატეხილა, არც სულიერად დაცემულა, არც მორალურად გაჩანაგებულა. ჭირსა შიგან გამაგრების პრინციპით და მომავლის რწმენით იავარყო მელანქოლიურ განწყობილება და სხვებსაც ამით მისაბაძ მაგალითად გვექცა. ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ზურაბ პაპასქირი ცხოვრების სცენაზე მუდამ ხმალშემართულის როლს თამაშობს, მუდამ ფრონტის წინახაზზეა. მისთვის უკანდასახევი ყველა ხიდი აფეთქებულია. არის პრინციპული, პირუთვნელი, დაუდეგარი პოლემისტი. არასოდეს გვინახავს იგი დავრდომილი, დაჩაჩანაკებული, გულამომჯდარი, გულმოცემული, გულჩახვეული, გულამოსკვნილი (ისევ „გულმა" შემახსენა თავი). პესიმისტებს მუდამ ოპტიმისტურად განგვაწყობს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დედისერთა შვილი ყალიბდება ამპარტავნად, თავხედად, ეგოისტად... ზურაბ პაპასქირი აქაც გამონაკლისია. მისაბაძია მისი თავმდაბლობა, თავაზიანობა, მოკრძალება,

ზნეკეთილობა. მას არასოდეს მიუწვდომელისთვის ხელი არ წაუპოტინებია, საკუთარი თავისთვის სიკეთის მდომს, სხვისთვისაც სიკეთე უნატრია, სხვისი მიღწევები არასდროს შეშურებია, პირიქით, უზომოდ გახარებია. დისტერვეგისა არ იყოს, მან საუკეთესოდ იცის, რომ ადამიანია მისი სახელი. ადამიანური თვისებებისთვის არასდროს ულალატნია. ასე მოვიდა დღემდე, ასე იქნის მომავალშიც.

ბიბლიაში ნათქვამია; „ჭალარას წარმოუდექი ფეხზე“ (ლევიანნი, 19, 32). ზურაბ პაპასქირი შრომაში, გარჯაში, წვა და წვალებაში გაჭაღარავდა. თუმცა პაოლო იაშვილსაც დაეჯერება: „თმაში ჭალარა, ეს სითეთრეა სიყვარულს რომ შემატებია“. ეს ის კაცია, რომელიც, ბიბლიისა არ იყოს, მუდამ მახვილებისგან სახნისებს ჭედავს და შუბებისგან – ნამგლებს. ბრძენთა ნათქვამთა ციტაციამ ამიტანა და ვახტანგ მეექვსესთან მასტუმრა: „ადამიანს ამაღლებს არა გვარი და აზნაურობა, ან სიმდიდრე, არამედ ცოდნა მეცნიერებისა და კარგი აღზრდა“. სწორედ კარგმა აღზრდამ მიიყვანა ზურაბ პაპასქირი ცოდნის წყარომდე და აზიარა მეცნიერების სიმართლეს. რაც დათესა, 60 წლისთავზე მას იმკის: 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ნარკვევი, სტატია, მათ შორის 11 მონოგრაფია თუ წიგნი; მეცნიერული ნაღვაწის პუბლიკაციები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და თურქულ ენებზე; მონოგრაფიისათვის – „აფხაზეთი საქართველოა“ – დამსახურებულად მინიჭებული აქვს გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, ასევე 1982 წელს – კომკავშირის პრემია, რაც იმ დროისათვის ერთობ პრესტიჟული პრემია იყო. ეს პრემია ავტორს მოუპოვა ნაშრომმა – „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია XI-XII საუკუნეებში“. 2010 წელს მეცნიერული მიღწევებისათვის ზურაბ პაპასქირს მიაკუთვნეს რუსთაველის სტიპენდია.

რომენ როლანი იტყოდა; „სიცოცხლის მთელი სიხარული შემოქმედებაშია, ქმნიდე... ნიშნავს, მოკლა სიკვდილი“. სწორედ მეცნიერულ შემოქმედებაში პოულობს ჩვენი იუბილარი უდიდეს სიხარულს და სიამოვნებას. იგი დღესაც ჭაბუკური ენერგიით

აგრძელებს კვლევა-ძიებას. თითოეული ჩვენთაგანი დიდი ინტერესით ელოდება მისი ახალი წიგნის თუ სამეცნიერო ნარკვევის გამოქვეყნებას. ინტერესით ელოდება იმიტომ, რომ ავტორი გვანებივრებს მეცნიერული სიახლეებით, კვლევის თავისებური მეთოდით და სტილით. ზემოთ ვახსენეთ, ზურაბ პაპასქირი შეუპოვარი პლემისტია-თქო. მან კარგად უწყის მეცნიერული ენით, ისტორიული არგუმენტებისა და დოკუმენტების ენით ვის ეპაექროს, ვის ეკამათოს; გაშინაგანებული აქვს გოეთეს შეგონება:

„ბრძენი რომ სულელს ეპაექრება,
თვითონაც იმის დონეზე დავა...
მცოდნე უმეცარს მაშინ ედრება,
როცა უმეცარს უმართავს დავას“.

ზურაბ პაპასქირი მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე იკვლევს საქართველოს ისტორიის და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიას, აფხაზეთის ისტორიას და ერთიან ქართულ სახელმწიფოში მისი სტატუსის გარკვევასთან დაკავშირებულ საკითხებს. მის მეცნიერულ საქმიანობაში თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ დაკვირვებებს, გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებს.

როდესაც ზურაბ პაპასქირის სამუშაო კაბინეტში შევდივარ, მუდამ სულიერ იდილიას ვგრძნობ. იქ ნაკლებად მახსოვს საუბარი რაღაც წვრილმანებზე. მუდამ საქმიანი მსჯელობა საქართველოს ისტორიაზე, აფხაზურ-ქართული ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივებზე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალზე. შესვენების პერიოდშიც კი მისი კარი ღიაა, მუდამ კომპიუტერთან ზის, ან წიგნშია თავჩარგული. ამიტომ შევდივართ მასთან ხშირად სულის მოსათქმელად. ზოგჯერ მოვუბოდიშებ კიდეც, მუშაობაში ხელს ხომ არ შეგიშლი-თქო. ნებისმიერ საკითხზე მას ახასიათებს ლოგიკური მსჯელობა, სათქმელის დამაჯერებლად გადმოცემა, მის

სიტყვებს ყოველთვის აზრი უსწრებს წინ. ერთი სიტყვით, ეს არის კაცი, რომელიც მეცნიერებით ცოცხლობს და სუნთქავს, დღე და ღამ ფუტკარივით შრომობს.

ზურაბ პაპასქირის 60-წლიანობამ ნაზონის სიტყვები გამახსენა: „წელთა თვლა ზედმეტი ჯაფაა. ადამიანის ჟამი გრძელია, მაგრამ მთავარი წლები კი არა, საქმეებია და ისინი თვალე". 60 წლის შეკრება თუ დათვლა კი არ არის მთავარი, არამედ რა მიღწევებით ეგებები მას, საკითხავი სწორედ ეს არის. მოდით, ერთად დავითვალოთ კვლავ ზურაბ პაპასქირის მეცნიერული „მოსავალი": 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 11 მონოგრაფია თუ წიგნი. მას აღიარება მოუპოვა წიგნებმა: „ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობის სათავეებთან"; „ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი", „აფხაზეთი საქართველოა", „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან", ნაკვეთი I (2004 წ.), ნაკვეთი II (2007 წ.), „და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" (2009) და ა.შ.

ზურაბ პაპასქირი ამჟამად არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახურის კოორდინაციის უფროსი. იგი ამ საქმეს წლების მანძილზე უძღვება. მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო შრომების რამდენიმე ტომი გამოიცა მაღალ დონეზე. იგი არის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავე ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „საისტორიო ძიებანის" მთავარი რედაქტორი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. პარალელურად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის ცენტრში, იყო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

როდესაც ზურაბ პაპასქირის მეცნიერულ მიღწევებზე ვსაუბრობთ, უსამართლობა იქნებოდა მისი მეუღლის, ქ-ნ ნონას ამაგისთვის

წაყრუება, იგი პროფესიით ექიმია. ისინი, როგორც იტყვიან, ღმერთმა შეაუღლა, ალბათ. ამ მშვენიერ ოჯახთან სოხუმის პირობებში ძალზე ახლო ურთიერთობაში ვიყავი. მათთან სტუმრობისას მუდამ სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობდი. მათი მეუღლეობრივი დამოკიდებულება, ტაქტიანი მოპყრობა, მისაბაძი შინაგანი ოჯახური კულტურა მუდამ მხიბლავდა. ქალბატონმა ნონამ ექიმობას უარი უთხრა, ერთობ საპატიო სამსახურს დიასახლისობა და შვილების აღზრდა არჩია, ასევე თავისი მეუღლისთვის ყოვლისმომცველი ხელშეწყობა მეცნიერული მოღვაწეობისათვის. ასე რომ, როცა ზურაბ პაპასქირის წარმატებებზე ვსაუბრობთ, ქ-ნ ნონას ღვაწლიც უნდა გვახსოვდეს, რომელიც მუდამ მოქმედებდა შეგონებით: „კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს“.

ბიბლიაში ვკითხულობთ: „ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“. ჭეშმარიტად! ნონას და ზურაბის მიერ შვილების მიმართ გამოყენებულმა აღზრდის მეთოდმა სანაქებო შედეგს გვაზიარა. 35 წლის თემურ პაპასქირი საქართველოში (და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში) აღიარებული და პოპულარული ახალგაზრდა მეცნიერია. ამჟამად იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. თავის დროზე თემურ პაპასქირი იყო თსუ-ს „ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის“ კათედრის ასპირანტი. ასპირანტურაში სწავლების მეორე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1942)“. ასპირანტურის დამთავრებამდე წელიწადნახევრით ადრე დისერტაციის დაცვა ჩვენს სინამდვილეში იშვიათი მოვლენა იყო და ეს შეძლო ჩვენმა საამაყო თემურმა. მან 2006 წელს გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო მონოგრაფია – „დიდი სამეულის“ დიპლომატია ევროპაში ომის დასკვნით ეტაპზე“. უკვე გამოცემული აქვს 40-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო წიგნი –

ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია 1914-1945, ნაკვეთი I, თბ., 2009. თემურ პაპასქირი ამერიკაში კითხულობდა ლექციების კურსს („მეორე მსოფლიო ომის ისტორია“) ვისკონსინის უნივერსიტეტში – ოკლერი, ფლობს ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ასე რომ, „ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“.

დაბოლოს, ზურაბ პაპასქირის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნის ერთი ფურცელი მინდა გადავშალო: 1983 წლის თებერვლის დასაწყისში, თოვლჭყაპიან ამინდში, სოხუმში მოულოდნელად ჩემს პატარა და უბრალო ოჯახში მესტუმრა დიდი პიროვნება ზვიად გამსახურდიას სახით. გამიმხილა: ამაღამ შენთან ვაპირებ დარჩენას, ახლა კი აფხაზეთის არქივში წამომყევი, მთელი დღე იქ უნდა ვიმუშაო რაღაც მასალების მოსაძიებლადო. არქივიდან მობრუნებულზე მეუღლესთან ერთად შევუდექი სამზადისს განუმეორებელი სტუმრისათვის საკადრისი სუფრის გასაშლელად. შევადგინე 10-კაციანი სია, რომელიც ბატონი ზვიადისთვის უნდა დამებვედრებინა. თუმცა მასთან შეთანხმების გარეშე ვერ „გავრისკე“ მათი მოწვევა. ვეახელი ნაშუადღევს ბატონ ზვიადს და მორიდებით შევებედე: ამაღამ ჩემს უმნიშვნელო ოჯახში თქვენისთანა პიროვნების სტუმრობა, ქართული ტრადიციის თანახმად, სუფრის გარეშე არ ჩაივლის და მინდოდა ჩემთან ერთად ეს ადამიანებიც გაგმასპინძლებოდათ თქვენ-მეთქი. სია გავაცანი, ხმადაბლა მეუბნება: ეს სია ოთხ კაცამდე შევამციროთ, სიაში დატოვე; მგალობლიშვილი, გვარამია, მიბჩუანი და პაპასქირი. მიბჩუანისა და პაპასქირის ახლოს გაცნობა ჩემს ინტერესში შედისო.

ნუგზარ მგალობლიშვილი სოხუმში არ აღმოჩნდა, ანზორ გვარამიას ასავალ-დასავალი ოჯახმაც არ იცოდა. თემურ მიბჩუანი და ზურაბ პაპასქირი მოწვევას აღფრთოვანებით შეხვდნენ. დღევანდელი გადასახედიდან ადვილი სათქმელია, მაგრამ მათი „თანხმობა“ იმ დროისათვის გმირობის ტოლფასი იყო. ზვიად გამსახურდიას სასტიკად ავიწროებდა ხელისუფლება, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებ-

და სუკი. მასთან ურთიერთობაში მყოფნი „აღრიცხვაზე“ ჰყავდათ აყვანილი. მაგრამ ამისი არც თემურს შეშინებია და არც ზურაბს, თუმცა ჩემთან ერთად კარგად იცოდნენ თუ რა რისკზე მიდიოდნენ. იმ საღამოს საუბრის მთავარი თემა აფხაზეთი იყო. ზურაბ პაპასქირის მსჯელობებს ბატონი ზვიადი ყურადღებით უსმენდა და მოწონების ნიშნად ზოგჯერ თავსაც უქნევდა.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: 1989 წლის მაისში (ნაცხრააპრილარს) სოხუმში დაგეგმილ მრავალათასიან მიტინგზე მონაწილეობის მისაღებად აკაკი ბაქრაძე ჩამოვიდა. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შემდეგ იმხანად ბატონი აკაკი საქართველოში ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო. მიტინგის დასრულების შემდეგ მან ზურაბ პაპასქირის ოჯახში არჩია წასვლა. რამდენიმე საათი დავყავით იქ სახელდახელოდ გამართულ ტრაპეზზე „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ავთანდილის მიხედვით პირველად მონათლა ზურაბმა აკ. ბაქრაძე გონების სიმბოლოდ და ჩვენი დროის ავთანდილი უწოდა. წალენჯიხაში გველოდა დიდი მიტინგი, ჩვენც იქითკენ მივეშურებოდით. ვიმგზავრეთ ზურაბ პაპასქირის „ჟიგულით“. როცა მანქანაში ვჯდებოდით, კარი გამოვაღე და მძღოლის (ბატონი ზურაბის) გვერდით შევთავაზე აკ. ბაქარაძეს დაბრძანება. იუარა. იქ შენ, 120-კილოგრამიანი კაცი უნდა დაჯდეო (ზუსტად მიხვდა ბატონი აკაკი ჩემს იმჟამინდელ „წონას“). საინტერესოა, რომ წალენჯიხის დიდ მიტინგზე ჩვენი ჩასვლის შესახებ როცა გამოაცხადეს, აკაკი ბაქრაძესთან ერთად ზურაბ პაპასქირის გამოჩენას ოვაციებით შეხვდნენ.

ბეთჰოვენს უთქვამს: „არ არსებობს დაბრკოლება მისთვის, ვისაც აქვს ნიჭი და შრომისმოყვარეობის უნარი“. სწორედ ხალასი ნიჭითა და უბადლო შრომისმოყვარეობის წყალობით დაძლია ზურაბ პაპასქირმა ყოველგვარი დაბრკოლება და სასახელოდ შეეგება 60 წლის იუბილეს.

2011 წელი
თბილისი

ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას 1970 წლის სექტემბრიდან ახალი წევრი შეემატა. კათედრის გამგის პროფ. ოთარ ჭურღულიას მიერ კათედრის მასწავლებლად მოწვეულ იქნა სოხუმის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლის პედაგოგი აბესალომ გადილია. მას იმ დროისათვის უკვე კარგად იცნობდა მთელი აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება. გავლილი ჰქონდა ასპირანტურის სრული კურსი, დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი მხოლოდ დაცვის თარიღის დანიშვნის მოლოდინში იყო. ახალწვეულ ლექტორს დაეკისრა სალექციო კურსის წაკითხვა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში.

ა. გადილიამ თავისი ერუდიციით, კეთილშობილური ადამიანური თვისებებით, უბრალოებითა და პატიოსნებით იმთავითვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტი ახალგაზრდობის ყურადღება. იგი დიდებული ოჯახის შვილი იყო. თავად სანიმუშო ოჯახის პატრონი. მეუღლე ლუნა ჭანტურია ბრწყინვალე პედაგოგი გახლდათ, ასევე ჩინებული დიასახლისი. ეს იყო უაღრესად სტუმართმოყვარე ოჯახი. რა დაგვავიწყებს ამ ოჯახში არაერთხელ ნაგემებ გემრიელ პურმარილს. სწორედ აქ პირველი სტუმრობისას გავიცანი ა. გადილიას შუათანა ქალიშვილი, იმხანად ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე ინდირა. პირველი გაცნობა ყოველთვის შთამბეჭდავია. ეს გავაზივით მოქნეული გოგონა წუთითაც არ ტოვებდა დედას მარტო, მის გვერდით ტრიალებდა და ყოველმხრივ ცდილობდა სტუმრებისთვის მეტი სიამოვნებანი მოეგვარა. აბესალომს კარგი გოგონა ჰყოლია, — გადმომხედა ბ-ნმა ოთარ ჭურღულიამ. ამ ოჯახში ადრეც ვარ ნამყოფი და ინდირას კარგად ვიცნობო, — დაამატა ბ-ნმა ვახტანგ ვახანიამ.

გავიდა ხანი, ინდირა გადილია სოხუმის პედინსტიტუტის ქარ-

თული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის I კურსის სტუდენტი გახდა (1972 წელი). ამავე წელს ჩაირიცხა ჩემი დაც, ლუარა მოსია. ინდირა და ლუარა არა მხოლოდ თანაკურსელები, არამედ სანიმუშო მეგობრებიც გახდნენ. ჩვენს ნაქირავებ ბინაში ზოგჯერ თუ გამოჩნდეობდა თანაკურსელებთან ერთად, თანაც მოკრძალებით მეტყოდა: თქვენი მერიდება, თორემ ლუარასთან ყოველდღე მირჩევნიაო ყოფნა. ინდირა გადილიას, გულნაზ აშორტიას და ლუარა მოსიას არა მარტო სტუდენტები, არამედ ჩვენც „შესანიშნავ სამეულს" ვეძახდით. მართლაც კარგი და ძლიერი კურსი იყო. რად ღირს იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ თავის დროზე შესანიშნავად დაიცვეს საკანდიდატო დისერტაცია ინდირა გადილიამ, მედეა კვარაცხელიამ და ჯემალ ხარებავამ. იგი უიღბლო კურსიც აღმოჩნდა. სამწუხაროდ ადრე გამოეთხოვნენ წუთისოფელს მაყვალა ხურცილავა, მანანა ხაჟომია, ინდირა გადილია.

ინდირა გადილიამ სტუდენტობის პერიოდში თავი გამოიჩინა წარმატებული სწავლით. აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე (მხედველობაში გვაქვს როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკური კონფერენცია). უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შეიქმნა აზრი კათედრაზე მისი დატოვების შესახებ, რათა მას ასპირანტურაში განეგრძო სამომავლოდ სწავლა. თუმცა მაშინ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ინდირამ სამოღვაწეოდ მშობლიურ სკოლას მიაშურა, ღირსეული პედაგოგის სახელი იმთავითვე მოიხვეჭა. მერე იყო ოჯახის შექმნა... შვილები... დედის სიკვდილი... აფხაზეთის ტრაგედია... საკუთარ სამშობლოში დევნილის უმწარესი ხვედრი.

1994 წელს უკვე თბილისში დამკვიდრებული ინდირა გადილია მუშაობას იწყებს თავის დევნილ მშოლიურ უმაღლეს სასწავლებელში — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მასწავლებლად. მინიჭებული ჰქონდა მეთოდისტი მასწავლებლის წოდება. ამასთანავე, იგი დაადგა მეცნიერების გზას,

2001-2003 წლებში წარმატებით ჩააბარა გამოცდები საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებულ საგნებში. 2004 წელს წარმატებითვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ლადო ასათიანის პოეზია“, მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. საგულისხმოა, რომ ეს იყო პირველი სადისერტაციო ნაშრომი დიდი პოეტის, ლადო ასათიანის პოეტურ მემკვიდრეობაზე. ეს იყო ამ უბრწყინვალესი პოეტის შემოქმედების კომპლექსური, მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა 2004 წელს.

2009 წელს ინდირა გადილიამ ორი მშვენიერი წიგნი გამოაქვეყნა: „მირზა გელოვანის შემოქმედება“ და „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“. ამ სამაგიდო წიგნში მეცნიერულად შესწავლილია ადრე წასულ, მარად ჭაბუკად დარჩენილ პოეტთა შემოქმედებითი მიღწევები: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გიორგი ნაფეტვარიძე, სევერიან ისიანი, ვალდიმერ უბილავა. გარდა ამისა, იგი წლების განმავლობაში ლიტერატურულ წერილებს აქვეყნებდა პრესაში, სამეცნიერო ჟურნალებში, შრომების კრებულებში.

ამასობაში ინდირას შვილებიც წარმოესწრნენ, წარჩინებით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, ბებიაც გახდა. რომ არა აფხაზეთის მოუშუშებელი ჭრილობა, ცხოვრება თითქოს კალაპოტში ჩადგა, ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა დევნილობის ფარგლებში. უცებ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა. ზუგდიდში (მაშინ იქ ვცხოვრობდი) შევიტყვე ამაზრზენი ამბავი: ინდირა გადილიას უკურნებელი სენი შეჰყრია, ოპერაცია გაუკეთებიათ და ექიმებს ვერაფერი სანუგეშო უთქვამთო. მეგრულად რომ იტყვიან – „ბორზალი“ დამეცა თავზე, ოჯახში ვერ დავრეკე, ან რითი მენუგეშებინა მის გამწარებული მამა, ბ-ნი აბესალომი, რომელმაც 2006 წელს თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი და საიმედო ლომკაცი, ალბერტი თბილისის მიწას მიაბარა. ძმის სიკვდილმა მორალურად დათრგუნა ინდირა. არ გამოვრიცხავ, შესა-

ძლოა ვერგადატანილი ნერვიულობა გახდა მაპროვოცირებელი მის სხეულში ამ ვერაგი სენის თავჩენისა.

როდესაც ინდირას ეს ავისმომასწავებელი ავადმყოფობის ამბავი შევიტყვე, იმწამსვე გამახსენდა მის მიერ ჯერ კიდევ სოხუმში ნათქვამი: ამ დღეებში ერთ-ერთი გაზეთიდან ამოვიკითხე, რომ თურმე კიბო გენეტიკურად არ გადადის მშობლიდან შვილზე. გამეხარდაო, რადგან დედაჩემი ხომ ამ სენით იყო შეპყრობილი და სულ ვშიშობდი, ვაითუ მემკვიდრეობით მეც არ გადამედოსო. ინდირას დედა ქ-ნი ლუნა ჭანტურია ოპერაციის შემდეგ მთელი ოცი წელი უმკლავდებოდა უკურნებელ სენს. ჩვენც ინდირას მიმართ ამით ვინუგეშებდით თავს და გვეგონა წლობით დაძლევდა ავადმყოფობას. ერთხანს თითქოს იმედებიც განგვიმტკიცდა. ინდირა გამოჯანმრთელდა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა განაგრძო, ამავე უნივერსიტეტთან არსებული ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქტიური მეცნიერ-თანამშრომელი გახდა. გასული წლის 4 ივნისს უნივერსიტეტში მოეწყო მისი წიგნების — „მირზა გელოვანის შემოქმედება“ და „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ წარდგენა. აქ იგი დიდებულად გამოვიდა სიტყვით. ამასთანავე, ინდირა ენერიგულად მუშაობდა აფხაზური მწერლობის პატრიარქის დიმიტრი გულიას შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე. ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჰქონდა ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. თუმცა მის სურვილებს განხორციელება არ ეწერა.

ინდირა გადილიას თავისი ცხოვრების ნახევარგზაზე შემოაღამდა. წავიდა ჩვენგან კეთილშობილი პიროვნება, ხალასი ბუნების ქალბატონი, შესანიშნავი ადამიანი, ერუდირებული ლექტორი, ჩინებული მკვლევარი. წავიდა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი, მოუშუშებელი იარა, განუზომელი სევდა-ნაღველი. თბილისის მიწაში, თავის ძმასთან ახლოს, ჩაიტანა აფხაზეთის დაკარგვით, მისი ვერაგული გასხვისებით, ოდაბადის ბუდის მოშლით ატალღებული დარდი და ვარამი. ჩვენი უსაყვარალესი ინდირა დააკლდა არა მარტო თავის

ძვირფას ოჯახს, არამედ აფხაზეთის ინტელიგენციას, მთელ ქართველ ინტელიგენციას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, თავის კოლეგებს, უსაყვარლეს მეგობრებს. სტუდენტებმა დაკარგეს დედასავით მზრუნველი ლექტორი.

მართალია, პროფესორი ინდირა გადილია ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ დაგვიტოვა თავისი სულიერი მემკვიდრეობა ზემოთ დასახელებული წიგნების სახით. ამ წიგნებში ტრიალებს მისი სული, ამ წიგნებში ცოცხლობს მისი სული. მან დაგვიტოვა წიგნები, რომელსაც მუდამ ეყოლება მკითხველი, ქართული პოეზიის, ლადოს, მირზას, ალიოშას... პოეზიით დაინტერესებული მკითხველი. სვეგამწარებული მამაც სულდგმულობს ინდირას წიგნებსა და ლიტერატურულ წერილებში გაშლილი სულის მოძრაობით. ამ იმედით შეუდგა აბესალომ გადილია ბოლო თვეების მანძილზე სამეცნიერო ჟურნალებში თუ პრესაში სხვადასხვა დროს ინდირას მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილების შეგროვებას და ცალკე წიგნად გამოსაცემად მომზადებას.

იმედია, ამ წიგნსაც ისეთივე სიყვარულით მიიღებს მკითხველიც და სპეციალისტიც, რა სიყვარულიც შეუგებებია მას ინდირას მანამდე გამოქვეყნებული წიგნებისათვის. დასანანია, რომ სამეცნიერო მუშაობის განხრით ბევრი სურვილი ვერ აისრულა, ბევრი ჩანაფიქრი და პროექტი ვერ განახორციელა. ბედისწერამ და მუხთალმა სიკვდილმა თავისი გაიტანა. ერთი სიტყვით, მარად ტკბილად მოსაგონარმა სამაგალითო პიროვნებამ ინდირა გადილიამ ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი.

საწუხ არს ესე!

2011 წელი

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“

ცნობილმა ქართველმა პოეტმა, პუბლიცისტმა და ჟურნალისტმა ვახტანგ ხარჩილავამ პრესის ფურცლებიდან გულის ამოყოლებით არაერთხელ გაახმოვანა: არ ესროლოთ სამეგრელოს (ანუ საქართველოს). პოეტი საომარი იარაღებიდან გასროლას არ გულისხმობდა მხოლოდ, არამედ სამეგრელოსთვის ტალახის სროლასაც, ანუ მისი ღირსების შესალახად ბინძური ნაბიჯების გადადგმას. არადა, ბევრჯერ გადაიდგა ასეთი ნაბიჯები. გვეგონა, მიწყნარდა ეს ყოველივე, მაგრამ ამაოდ. არენაზე გამოხვანცალდა განათლების ცენტრი „კოლხიდა“ და მის მიერ გაშანშალებული გაზეთი „შურობუმუ“ (პროექტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების“ ფარგლებში).

„შურობუმუ“ არ არის მეგრული სიტყვის სწორი ფორმა. უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ – „შურბუმუ“. „შური“ იგივე „სულია“. „ბუმუ“ მოდის სიტყვიდან „ბუმა“, „ბუნა“, რაც ნიშნავს განაბვას. „შურიში ბუნა“ ქართულად ითარგმნება სიჩუმედ, უხმაურობად. გადატანით იგი ხმის გაკმენდას ნიშნავს. გადავშალოთ ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონი“: „შურბუმუ“ – სულგაკმენდილი, სულგანაბული, გაჩუმებული, გაყუჩებული, ხმაგაკმენდილი. „შურბუმობა“ – დუმილი, მდუმარება. ასე რომ, როცა პრეტენზიულ გაზეთს სახელს ვარქმევთ, ლექსიკონში მაინც ჩავიხედოთ.

თუმცა ამ მომენტში, შესაძლოა, ეს არ იყოს მთავარი. მთავარია გაზეთში ამბოხებული „იდეები“. გაზეთის სახელწოდებას ზემოდან დოინჯის შემოყრით დასცქერის ლოზუნგური მოწოდება: „მარგალ ვორექ!“ (მეგრელი ვარ). ამ „ძრავიდან“ იწყება მკითხველის დაჭქვა. პირველივე გვერდზე დიდი ასოებით შემოგვბღავიან სიტყვები: „მოვითხოვთ მეგრულ და სვანურ ენებს მიენიჭოთ რეგიონალური ენის სტატუსი“. ელეთ-მელეთი მოგვდის და „მასალების“ გაცნობამდე

ვეძებთ რედაქტორის გვარს ან სარედაქციო კოლეგიის ვინაობას, მაგრამ ამაოდ. უთუოდ უნდა შემოჯდე უკუდო მგელზე, დღეს რომ ასეთი მოთხოვნა მოგივიდეს თავში.

ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდეთ „შურობუმუს“ გამომცემელს, შევაგუებთ იმ აზრს, რომ იგი მოგვლენია ქვის მკოდავის ან ქვიშის თოკის მგრეხელის როლში. ხომ არ დაავიწყდა, რომ საქართველოს ქვეყანა ჯერ კიდევ ღერძზე ტრიალებს. ნაბდის გაშლა მიწის მკვიდრო, რად გაიმეტე თავი მიმომწვლილველობით, ვინ გიკარნახა ასეთი მოთხოვნების კალმის წვერზე აგება. კიდევ ერთხელ ვცადოთ სამეგრელოსთვის ყანყრატოში ხელი ტაცება? გვახსოვდეს: ხატოვნად რომ ვთქვათ, პაჭიჭს წვერი მაშინ შემოერღვა, როცა იანოვსკიმ ჩვენშივე ჰპოვა აშორდიასნაირი ამქარნი. უფრო საშიშნი არიან თანამედროვე იანოვსკები, ვოსტორგოვები, ლევიცკები, ფორშტაინები... ნუ გავახარებთ მათ კუდბაწარა პროექტების განხორციელების თუნდაც მცდელობით.

ახლა კი მძიმე ნაბიჯებით მიმოვიაროთ „შურობუმუს“ „იდეების“ სამყარო. თურმე განათლების (თუ არ განბნელების) ცენტრის „კოლხიდის“ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ევროპის ქარტია რეგიონალურ და უმცირესობათა ენების შესახებ. ამ ქარტიის პრინციპების და იდეალების ცხოვრებაში განხორციელების საქმეში მხარდაჭერისათვის „კოლხიდას“ მიუმართავს წერილებით: ევროსაბჭოს წარმომადგენლობისათვის საქართველოში, საფრანგეთის საელჩოსთვის, გერმანიის საელჩოსთვის, რუსეთის საელჩოსთვის (?!), ფონდ „ჰორიზონტისთვის“, რაც მთავარია, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსთვის“ (?!). აი, სად მარხია ძაღლისთავი. „კოლხიდა“ შეგვახსენებს, რომ 2005 წლის 22 სექტემბერს განმეორებით მიუმართავს წერილით ფონდისთვის – „ღია საზოგადოება – საქართველო“.

თითქოს არტახში მიბია ხელი, მიმართვის ავტორი პასუხის გაცემის ღირსად ვაქციო. თუმცა არც პირზე ხავსის მოკიდება ეგების. პასუხის გაცემა აუცილებელია თვალაბმულთათვის, რომლებიც

შესაძლოა ადვილად წამოეგონ „შურობუმუს“ ანკესზე. არავის ეგონოს, ენა ამეცრა, საღერღელი ამეშალა და ჩასაფრებულის პოზიციიდან ბღღვერს ვადენ „კოლხიდელთა“ იდეალებს, ან პირმოხეული ლანძღვის ხასიათზე ვიყო. „შურობუმუს“ გამომცემელმა ჩემი „აფრის აშვება“ უნდა შეათავსოს ზნეობრივ დარიგებასთან: „მოყვარეს პირში უძრახე“...

თუმცა რომელ მოყვარეზეა საუბარი, როცა გაეცნობი „კოლხიდის“ მიმართვის ტექსტს მსოფლიო საზოგადოებისადმი (2007 წ.) საკმარისია ორიოდე ნაწყვეტი ამოვიღოთ იქიდან: „ქართულ სახელმწიფოში იგნორირებულია რეგიონალურ მეგრულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის ინტერესები, რაც გამოიხატება იმაში, რომ მეგრულ ენას არ გააჩნია ენის სტატუსი“... „საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა არ ცნობს მეგრულ ენას და იგი განდევნილია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან“. ამ სიტყვებმა თავქაჯი შემიყარა, გულზე ბინდი დამეცა. თავი იმით დავიმშვიდე, რომ თურმე უმიზეზოდ არ დაბადებულან სიტყვები: ლიბრი, თავსუბუქობა, თავფქვილა, ქარიფანტია, მწყერიფრენია, ჩიტირეკია...

„კოლხიდიდან“ მოლეწილ ზვავს „შურობუმუ“ ვერ აკავებს: თურმე როგორ განაწყენდა საპატრიარქო ბიბლიის მეგრულად თარგმნის მოთხოვნაზე, თურმე აუცილებელია მეგრულ ენაზე შეიქმნას რადიოსადგური და ერთი სატელევიზიო არხი. თურმე მეგრულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის ინტერესების იგნორირება საფრთხეს უქმნის მთელ გეოპოლიტიკურ დემოკრატიული პროცესების განვითარებას, თურმე ამ საკითხების მოუგვარებლობის შემთხვევაში სამეგრელოში კონფლიქტი გარდაუვალია.

ამასთანავე, მიმართვის „ჭირკოდილა“ ავტორი „ბრძნულად“ გვარკვევს აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებში: „აფხაზეთის კონფლიქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფომ თავის დროზე ვერ აიცილა ურთიერთდაპირისპირება მარტივი მიზეზის გამო, არ გაითვალისწინა საწყის ეტაპზე ეთნიკური აფხაზების სამართლიანი ინტერესები, ვერ შეძლო მათი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში“. ხედავ,

მკითხველო, აფხაზებზე ყურებგაპანტურებული რა მარტივად „ხსნის“ აფსუური კონფლიქტის ამოცანებს. უფრო მეტიც: თუ ამ „მწარე გაკვეთილებს“ არ გავითვალისწინებთ, თურმე იგივე ტრაგედია დატრიალდება სამეგრელოში.

ბოდვების ბუხარს კიდევ შევუკეთოთ შეშა? რეგიონალურ და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპის ქარტიის პრინციპებითა და იდეალებით გათანგული „კოლხიდა“ და მისი „წეკნაღველა“ თავმჯდომარე გულგასენილია მიმართვის იმ ობიექტების საქციელით, რომელთაც ვითომც იმედები გაუცრუეს მას.

იგი უკმაყოფილოა ტელე-რადიო კომპანია „ოდიშის“ მუშაობით, რადგან ამ კომპანიაში მეგრულ ენაზე არ მზადდებაო გადაცემები. გაზეთიდან შემოგვცქერიან ასევე ანწუხზე აგებული სხვა საზეებიც: ზუგდიდის რაიონის კულტურის სამსახურის უფროსი, ზუგდიდის მთავარი საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, რომლებიც თურმე არ ამარაგებენ ბიბლიოთეკას მეგრულ-ლაზური წიგნებით. „შურობუმუ“ ასევე „შოლტავს“ ნ. მამფორიას და ნ. ჭითანავას, ერთ-ერთი კონცერტის რეპერტუარში მეგრული სიმღერების შეუტანლობის გამო.

„კოლხიდის“ თავმჯდომარეს ვეკითხებით: ზემოთ დასახელებული მიმართვის ობიექტების გარდა, რატომ არ სცანით საჭიროდ ზუგდიდში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ანგარიშგასაწევი ენათმეცნიერთათვის მოგემართათ კონსულტაციებისათვის. უფრო მეტსაც გეტყვით: ვარსკვლავების კრეფა ვერაფერი ჭაშნიკია. როცა ქმნიდით განათლების ცენტრ „კოლხიდას“, უპირველესად თქვენ თვითონ გეფიქრათ განათლებაზე. კერძოდ, საფუძვლიანად გარკვეულიყავით ქართველური ენების (მათ შორის მეგრულის) შესწავლის ისტორიაში. გულდასმით გაცნობოდით იმ მეცნიერების ნაშრომებს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველური ენების შესწავლის საქმეში: ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე, პ. ჭარაია. ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. ახველედიანი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ტ. გუდავა, გ. როგავა,

ქ. ლომთათიძე, მ. ქალდანი, ს. ჟლენტი, ბ. გიგინეიშვილი, ალ. ონიანი, გ. კარტოზია, გ. როზენი, ფრ. ბოპპა, გიულდენშტედტი, კლაპროთი, მარი ბროსე, გერჰარდ დეეტერსი, ჰანს ფოგტი, გ. კლიმოვი, ჰ. ფეინრიხი. სხვა საკითხია, თუ განათლება „მგზავრის წერილების“ „მეცნიერ აფიცერიეით“ გვესმის.

აქვს კი აზრი „შურობუმუს“ გამომცემელ-გამავრცელებელს შევახსენოთ, რომ ქართველურ ენათა ოჯახში შედის ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენები. ამ ენათა ახლო ნათესაობის მეცნიერული დასაბუთება ხდება ჯერ კიდევ XVIII-XIX სს (გიულდენშტედტი, კლაპროთი, როზენი). დავუჯეროთ თუ არა ნიკო მარს: „მეგრული ქართული ენის ძმა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა“. ქართული და მეგრული ერთი ძირიდან ამოზრდილი ქართველური ენებია. როგორც ვარაუდობენ, საერთო ქართველური ფუძე-ენა დაიშალა დაახლოებით 5 ათასწლეულის წინ. ქართველურ ენათა ოჯახში ერთადერთი სამწერლობო ენა არის ქართული. მეგრული ერთ-ერთ დამოუკიდებელ უმწერლობო ქართველურ ენადაა აღიარებული.

ეს დამოუკიდებელი უმწერლობო ქართველური ენა თუ რა ფენომენალური ლექსიკური მარაგის შემცველია, მკაფიოდ წარმოჩნდა ბოლო ხანებში გამოცემულ მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში, რომელიც შედგენილია პ. ჭარაიას, დ. ფიფიას, გ. ელიავას, ო. ქაჯაიას, ალ. ქობალიას, ბ. კილანავას მიერ. მეგრული ენის საოცრებანი წარმოჩენილია მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვლ. ვახანიას მიერ 2007 წელს გამოქვეყნებულ შვიდტომეულში — „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“. მეგრული ენის მნიშვნელობაზე ალაპარაკდა თავის დროზე აკ. წერეთელი: „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა... აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღიათ, რომელიც ქართველს ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებ-

მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი". 1897 წელს ალ. ხახანაშვილი „ივერიის" ფურცლებზე წერდა; „დროა ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდეს შესწავლა და გაგება მეგრულისა... სასურველია, რაც კი შესაძლოა, მოყვანილ იყოს მეგრულს ენაზედ ანდაზები, პატარა-პატარა ლექსები, გამოცანები და... საუბარიც, თვით ქართული სალიტერატურო ენისათვის სასარგებლო იქნება". როგორც ზ. სარჯველაძე შენიშნავს, დოკუმენტურად ყველაზე ადრე გვხვდება მეგრელ-სახელი: „აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ ღმრთისა მიერ, ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი" (ატენის წარწერა 835 წლისა). აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი სა-მეგრელ-ო XI ს. დასტურდება; „მიიწია რა ტრაპეზუნტედ, სანახებთა მათ სამეგრელოისა; ესრეთ გუემულნი ექსორია — ყვნეს სამეგრელოს". „მეგრული ენა" პირველად იხსენიება ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „წამება დავით და კონსტანტინესი" (დაწერილი უნდა იყოს XII ს. პირველ ნახევარში): „ესე განაჩინა მძლავრმან წმინდათა მათთვის და თვით აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი". შორს წაგვიყვანს საუბარი ძველი ბერძნული წყაროების ღაღადებაზე კოლხური დამწერლობის შესახებ (ჰალეფატე, იოანე ანტიოქელი, ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი).

24 საუკუნის მანძილზე, ანუ ფარნავაზ-ქუჯის ურთიერთობიდან დღემდე ქართული ენა ქმნიდა და განამტკიცებდა საქართველოს ერთიანობის საძირკველს, რასაც სამეგრელო არასოდეს განდგომია. მეგრელებმა ღვთისმსახურების ენად, ასევე სახელმწიფო ენად ქართული აირჩიეს და აღიარეს. „შურობუმუს" თავზე წამოუცვამს თავის დროზე მეგრულად გამოსული გაზეთ „ნოთეს" (მნათობი) ავტონომისტური მიზანი: „რა ენაზე ვლაპარაკობთ, იმ ენაზე ვწეროთ". „კოლხიდის" თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ მეგრელები ცალკე ერია, რომელთაც საკუთარი ენა აქვთ და ამიტომ საჭიროა (სვანურთან

ერთად) მეგრულს მიენიჭოს რეგიონალური ენის სტატუსი.

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“

იქნებ გავიწყდება, რომ ამ არეული და შეშლილი XXI ს. დამდეგის მოქალაქე ხარ. იქნებ არასაკმარისად გეჩვენება შაგრენის ტყავივით დაპატარავებული საქართველოს ტრაგიკული ხვედრი. ნუ აღვივებ სამეგრელოში არარსებულ სეპარატიზმს. სწორედ სეპარატიზმის აღზევებამ ჩამოათალა საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო. სამეგრელოს მოსახლეობას არასოდეს გაუვლია გულში, რომ მეგრელები ცალკე ერია. ნუ იტყუებით. მეგრელში არასოდეს გამოუწვევია გაკვირვება ბიბლიის მეგრულ ენაზე უქონლობას. „შურობუმუ“ მკითხველს აცნობს მეგრულად თარგმნილ იოანეს სახარების პირველ თავს. სპეციალურად დავითვალე და „თარგმანში“ აღმოვაჩინე 55-ზე მეტი ქართული სიტყვა. დასასრულს „მთარგმნელი“ მოგვიწოდებს, მონაწილეობა მივიღოთ თარგმნის პროცესში.

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“

აქვე დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ 12 სტროფის ჯალაღონიასეული მეგრული თარგმანი, სადაც 40-ზე მეტი ქართული სიტყვა ბრწყინავს. ახლა კი, რაც მთავარია, გაეცნოთ გაზეთის ბოლო გვერდის ბოლო სტრიქონებს მეგრულ ენაზე; „გაზეთი დამოუკიდებელი რე დო ხელმძღვანელენს თავისუფალი პრესაში პრინციპებით. რედაქციაში აზრი შილებე ვემთხვეუდას მასალაში მინჯეში აზრებს. საავტორო უფლებეფი დაცული რე. რედაქციაში მუშულირი მასალეფი მინჯეფს უკახლე ვადართუ“. ამ 25-სიტყვიან სტრიქონებში 10-მდე მეგრულ სიტყვას თუ იპოვით. მოტანილი ფრაგმენტები ხომ საკმარისია იმის დასამოწმებლად, რომ ქართული და მეგრული ათადან-ბაბადან ანუ უხსოვარი დროიდან ერთი საერთო ძირიდან მოდის. მეგრული ენა ქართველური ენაა (სვანურთან ერთად) და შეიძლება კი მას მიენიჭოს რეგიონალური ენის სტატუსი?

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“

ვის სჭირდება დღეს გაზეთის პირველი გვერდის ბოლო სტრიქონის კნავილი: „მა ჩქიმ მარგალურით ქუდმორინეთ თე ქია-

ნას“ (მე ჩემი მეგრულით დამაყენეთ, მაცხოვრეთ ამ ქვეყანაზე). ვინც ე.წ. „შურობუმუს“ გაეცნობა, უმალ დარწმუნდება, რომ „კოლხიდამ“ უნდა განახორციელოს გარეშე ძალების მიერ შემოგდებული პროექტი, რათა მიიღოს იქიდან დაფინანსება ასკილის ყვავილობის პერიოდში.

თუ „კოლხიდა“ მიზნად დაისახავს სამეგრელოს ისტორიის, კულტურის პროპაგანდას, მეგრული კულტურული ტრადიციების განვითარებას, კოლხური ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორის ელექტრონული ვერსიის, ანუ აუდიო-ვიდეო პროდუქციის შექმნას, ამას მივესალმებით მხოლოდ.

დასკვნის მაგიერ ვიტყვით: ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ანტიქართული პროექტების განსახორციელებლად მეგრული ენისათვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით სპეკულირება. კმარა სამეგრელოს მოსახლეობის ნერვებზე თამაში. ბზობის ყვავივით გაქრეს ფიქრიც კი ბიბლიის მეგრულად თარგმნის თაობაზე. ანტიმართლმადიდებლური ქმედებებით ღმერთი ბორზალს დაგვალეწავს თავზე. საჭიროა ტვინის დარხევა იმაზე, რასაც ვაკეთებთ. ნუ წავიცვამთ სულის თითზე ანტიქრისტეს ბეჭედს.

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“

ს ა რ ჩ ე ვ ი

იონა მეუნარგია 3

ივანე გეგია 32

ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული
ურთიერთობის შებედლო მკვლევარი 63

ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული
გამოვლინება 73

„უკადო მივლინებიდან“ მოვლინებული 81

გალაკტიონ ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და
საეროქალაქო-აუბლიციტური ლირიკა 97

მიახლოება „მგლოვიარე სერაფიმთან“ 113

მეგრული ზეპირსიტყვიერების სახისმეტყველებიდან 131

ადამიანისა და სამყაროს სიყვარულში 152

„ნ-ან-ა ჩვენი. აფხაზეთი“ 159

ჯინჯიხი ამოცანების ამომხსნელი 165

ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის
შარავანდედში 170

ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი 178

ხმა ჩაიკმინდე „შურობუმუ!“ 183

საგამომცემლო უზრუნველყოფა:

საგამომცემლო სახლი „ივერიონი“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია